

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის
აჭარის მუზეუმი



მუზეუმის მაცნე

IX

ბათუმი 2017

მთავარი რედაქტორი
პროფესორი ოთარ გოგოლიძე

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი ნუგზარ მგელაძე

ისტორიის დოქტორი თემურ ტყეშელაშვილი

სამდივნო: რუსუდან კობრაძე

ნანა ქორიძე

ნანული სეზაძე

ზაზა შენგელია

თინათინ ფაღვანი

დონარი დოლიძე

© გამომცემლობა „თეგო“

ISSN 1987-6807

“დაზვერვის შეჯიბრი” ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ

მკითხველის წინაშე მინდა წარვადგინო საარქივო დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ ბათუმის ოლქის ბობოქარ ცხოვრებაზე მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. განსაკუთრებით კი პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ. იმდენად საინტერესოა ეს მასალები, რომ როდესაც მას უღრმავდები განცვიფრებული ხარ იმაზე, თუ როგორ ცდილობდა მსოფლიოს დიდი ქვეყნები გამაგრებულიყვნენ აქ. ამ მიმართულებით ისინი არც თანხებს იშურებდნენ და არც ემისრების დაფინანსებას. ცდილობდნენ თავიანთი აგენტები ჰყოლოდათ ბათუმის ოლქის სახელისუფლო ორგანოებში და ამასთანავე ადგილობრივ მოსახლეობაში ეწარმოებინათ ძირგამომთხრელი ანტირუსული პროპაგანდა. ასეთი საქმიანობა თვალში საცემი გახდა სწორედ პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინა პერიოდში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც რუსეთის დაზვერვას ეძინა. ისიც აქტიურობდა და ძალიან მნიშვნელოვან საიდუმლო ცნობებსაც ღებულობდა. ამ დროს შეიძლება ვუწოდოთ „დაზვერვათა შეჯიბრების“ პერიოდი. ე.ი. რომელი ქვეყნის დაზვერვა აღმოჩნდებოდა მოწოდების სიმაღლეზე, გამარჯვების სადავეებიც მას ექნებოდა ხელში მომარჯვებული. ასეთი „დაზვერვათა შეჯიბრებების“ სამოქმედო ადგილი სწორედ რომ ბათუმის ოლქი გახდა. ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო მასალები შეეხება სწორედ ამ სადაზვერვო საქმიანობას.

1913 წლის 23 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიამ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიიღო შემდეგი შინაარსის წერილი „აგენტურის მონაცემებით გავიგეთ, რომ მიმდინარე წლის (1913 წელი - ო. გ.) 5 მაისს თურქეთის ქალაქ ერზურუმიდან კავკასიაში იდუმალ შემოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული 20 კაცი. მათი მიზანია, კავკასიის მაჰმადიანების მომზადება აჯანყებისათვის რუსეთ - ოსმალეთის მოსალოდნელი ომის პირობებში. ეს პირები შემოსვლას აპირებენ ბათუმის ოლქშიც და აგიტაციის ჩასტარებას. ძალიან სახიფათოა და შეიძლება ცუდი პროპაგანდით მოსახლეობა აამხედრონ ჩვენს წინააღმდეგ. გთხოვთ, მიიღოთ გადამჭრელი ზომები და დააწესოთ განსაკუთრებული მეთვალყურეობა. სისტემატიურად გვაცნობოთ მათი თითოეული ნამოქმედარი. ამასთანავე იმასაც გაცნობებთ, რომ რუსეთის საიმპერატორო წრეებში მიმდინარეობს საიდუმლო მზადება შესაძლო საერთაშორისო ვითარების გართულებასთან დაკავშირებით.“ მსგავსი შინაარსის წერილი მიიღო კავკასიის მეფისნაცვალმა იგივე რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1913 წლის 28 მაისს: „მოსალოდნელი ომის დროს ძალიან სახიფათოა თურქი ემისრების მოქმედება თქვენდამი რწმუნებულ მხარეში. . . უახლოესი მომდევნო წლები ძალიან სახიფათო იქნება ჩვენი იმპერიისათვის.“

ამ ცნობის მიღების შემდეგ კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიიდან მოდის არა ერთი გამაფრთხილებელი წერილი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის სახელზე, თურქი ემისრების მოსალოდნელ შემოსვლაზე ოლქში და იმ ამოცანებზე, რომელიც უნდა შეასრულოს ბათუმის ოლქის გუბერნატორმა.

მოქმედება შემდეგნაირად განვითარდა. იმ 20 აგენტიდან, რომელიც შემოვიდა კავკასიაში, 4 ემისარი სამოღვაწეოდ გამოეშურა ბათუმის ოლქში. მათ ხელმძღვანელობდა ყოფილი მუჰაჯირი იუნუს - ოღლი. მათი სამოქმედო ადგილი იყო ზემო აჭარა და გონიოს მხარე. ხოლო ართვინში კი გაეშურა კიდევ ერთი ემისარი სულეომან - ოღლი. განსაკუთრებით აქტიურობდა იუნუს ისხან - ოღლი, რომელიც ატარებდა ანტირუსულ აგიტაციას - მოსახლეობას შორის ავრცელებდა პროკლამაციებს. მან მოახერხა მოსახლეობის ერთი ნაწილის გადაბირებაც კი. 1913 წლის 15 ივლისს პოლიციას მიუვიდა შეტყობინება, რომ ის და რამდენიმე კაცი ტყეში ატარებს საუბარს.

პოლიცია სასწაფოდ გაეშურა მინიშნებულ ადგილას. მოხდა გამაფრთხილებელი გასროლა, რომ დანებებულიყვნენ. საპასუხოდ მათ პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს. სროლა გაგრძელდა თითქმის ერთ საათს. ბოლოს პოლიციამ გადამწყვეტი იერიში მიიტანა, მაგრამ მათ შეძლეს სროლითვე უკან დახეულიყვნენ და მიმალულიყვნენ. პოლიციამ ვერ შეძლო იუნუს ოღლის შეპყრობა, მათ ხელში ჩაუვარდათ ერთი დაჭრილი ემისარი, რომელიც უშვერი სიტყვებით აგინებდა პოლიციელებს, აფურთხებდა და ამბობდა, რომ ცოცხალი თავით არ წაყვებოდა ურჯულოების განყოფილებაში, როდესაც ემისარი ძალით მიიყვანეს განყოფილებაში. შუალამისას განყოფილებას თავს დაესხა 10-მდე შეიარაღებული პირი, როგორც ხულოდან, პოლიციის შეტყობინებიდან ვგებულობთ, ორმხრივი ცეცხლის შემდეგ ერთი პოლიციელი დაიღუპა, ორი კი დაიჭრა. მომხდურებმა მაინც ვერ შეძლეს დატყვევებულის გამოხსნა და იძულებილი გახდნენ მიმალულიყვნენ. ხოლო, დატყვევებული ემისარი კი ძლიერი ბადრაგის თანხლებით წაიყვანეს ბათუმის ციხეში. როგორც ამ საქმიდან ჩანს, მოქმედებდა ძლიერი ჯგუფი სპეციალური მომზადებით, რომლებიც შეიარაღებული იყო როგორც ცეცხლსასროლი იარაღებით, ასევე სააგიტაციო საშუალებებით. ასევე გართულდა საქმე ართვინში, სადაც მოქმედებდა აგენტი სულეიმან-ოღლი. ის ხშირად ბათუმშიც ჩამოდიოდა და ხვდებოდა როგორც ცალკეულ პირებს, ასევე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს. მაგ. 1913 წლის 19 აგვისტოს ბათუმის ოკრუგის უფროსმა სტასოვმა გაიგო პოლიციიდან, რომ ეს სულეიმან-ოღლი შეხვედრია „ფედერალისტების“ პარტიის წარმომადგენლებს. მაგრამ ის კი ვერ დაუზუსტებია, თუ რაზე საუბრობდნენ ისინი. პოლიციელი კი იმას ამბობს, რომ ეს „ფედერალისტების“ პარტია იბრძვის საქართველოს ავტონომიისათვის, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რა მიზნებს ისახავს ეს პარტია ბათუმის ოლქში“. პოლიციამ ამჯამად ვერც ამ სულეიმან - ოღლის ფაქტზე დაჭერა და დაპატიმრება მოახერხა, რადგან ის ისე იქცეოდა, რომ არ აძლევდა არავის დაექვევის საშუალებას. იმავე პოლიციის 1913 წლის 9 სექტემბრის შეტყობინებიდან ვგებულობთ, რომ ბათუმსა და ართვინში მოქმედებდა ორგანიზაცია „წმინდა საქმე“, რომლის ცენტრი იყო სტამბულში. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული იყვნენ თურქი ეროვნების პირები: ოსმან პარხალ - ოღლი, დურსუნ ხუსეინ რეიზ - ოღლი, აგრეთვე აფხაზი ეროვნების პირები ნური და ხაკი ბეგ გეჩბები. ამ ორგანიზაციას ჰქონდა კავშირები სახელისუფლო ორგანოებში მოკალათებულ აგენტებთან, გააჩნდათ დიდი რაოდენობით თანხა, საბეჭდი მანქანა და აგენტების ფართო ქსელი. ამ ორგანიზაციის შეესახებ ისტორიოგრაფიაში არაფერი არ არის ცნობილი და ჩვენს მიერ მოპოვებული ეს ცნობა პირველია და ვფიქრობთ საინტერესო, რადგან, როგორც პოლიციის დასმენებიდან ხდება ცნობილი, მთელ სადაზვერო საქმიანობას ბათუმისა და ყარსის ოლქში სწორედ ის ხელმძღვანელობდა.

ბათუმის ოლქი გახდა სწორედ ის ადგილი, სადაც მნიშვნელოვანი მოვლენები უნდა განვითარებულიყო. ოსმალეთის იმპერია, თავის მოკავშირეებთან ერთად ცდილობდა, რომ ეს მხარე მოეწყვიტა რუსეთის იმპერიისაგან და შეერთებინა. ამიტომაც არ იშურებდა ის ამ კუთხით არც თანხებს და არც ემისრებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი მხრიდან, ყოველი ასეთი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა, თუმცა გარკვეულ მომენტში წარმატებასაც კი მიაღწია.

გამოყენებული წყარო

1. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 278, აღწერა 1, საქმე 124, ფურცელი 28-67

მიგრაციული პროცესების ძირითადი მომენტები აჭარაში თანზიმათის პერიოდში (XIX ს. 40-70-იან წლებში)

XIX ს. შუა ხანების, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ცვლილებებს განიცდიდა. იგი არ ემთხვევა თანამედროვე მოწყობას, ამიტომ განსახილველ ტერიტორიად ავიღეთ უმეტესად თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია.

მოსახლეობის მიგრაციის ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს დემოგრაფიული პროცესების ჩამოყალიბებაში.

XIX ს. 40-70-იან წლებში ოსმალეთის იმპერიაში, მათ შორის ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განხორციელდა თანზიმათი ანუ რეფორმები. იმ პერიოდის აჭარაში მიგრაციული პროცესი არასოდეს გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი. მიუხედავად ამისა თანზიმათს ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკავშირებენ სივრცობრივ ძვრებსაც აჭარის მოსახლეობაში. ერთი მხრივ, სამართლიანადაა მიჩნეული, რომ თანზიმათი ჩვენს რეგიონში გამოიწვევდა გაოსმალებას. თუმცა საჭიროა, მაგრამ არ ხსნიან რეფორმების პროგრესი რატომ გამოიწვევდა გაოსმალებას. მიიჩნევენ, რომ თანზიმათი იყო მთავარი ფაქტორი რამაც გამოიწვია აჭარის მოსახლეობის მიგრაციის მძლავრი ნაკადი. საპროტესტოდ მოსახლეობა ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს და „შედარებით უსაფრთხო ადგილებში სახლდებოდნენ“, ამან დადი დაამჩნია ბათუმსაც (1. 40). ავტორები არ მიუთითებენ არც მიგრანტთა რაოდენობას, არც გადასახლების კონკრეტულ მიზეზებსა და ადგილს თუ საიდან სად გადადიოდნენ ისინი. ზოგი ისტორიკოსის პატრიოტულად გამსჭვალულ ნაშრომებში მოცემული პერიოდის მიგრაციული პროცესი შეფასებულია, როგორც „ცალმხრივი მოძრაობა“, ანუ ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი საქართველოდან მოსახლეობა თანზიმათის გამო გარბოდა რუსეთის მფლობელობაში მყოფ საქართველოში (3.87-89).

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენს ისტორიოგრაფიაში მოცემულ საკითხზე მსჯელობა ასეთია: თანზიმათი იყო როგორც რეგიონული, ისე სახელმწიფოთაშორისი მიგრაციის მძლავრი ფაქტორი, თანაც სახელმწიფოთაშორისი მიგრაციისა „ცალმხრივი მიმართულებით“, ოსმალეთის საქართველოდან რუსეთის საქართველოში. ვფიქრობთ საკითხი მეტ შესწავლას მოითხოვს.

ჯერ უნდა დავაზუსტოდ ზოგადად რა იყო თანზიმათი, ასევე როგორი იყო მიგრაციის ფაქტები მის დაწყებამდე, შემდეგ კი მისი მიმდინარეობისას. თანზიმათი დაიყო ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავდა 1839 წლიდან 1853 წლამდე (ყირიმის ომის დაწყებამდე) პერიოდს, მეორე კი 1856 წლიდან 1877 წლამდე პერიოდს. 1839 წ. 3 ნოემბერს გამოცხადდა სულთნის რესკრიპტი. იგი იძლეოდა ყველა ქვეშევრდომის სიცოცხლის, ღირსების და ქონების ხელშეუხებლობის გარანტიას. ასევე უნდა გატარებულიყო ადმინისტრაციული, სამხედრო, სასამართლო და ფინანსური რეფორმები, უნდა მომხდარიყო საგადასახადო სისტემის რეორგანიზაცია. რეფორმები ნამდვილად დაიწყო, თუმცა რიგ შემთხვევაში არაეფექტურად. 1856 წლის ახალი რესკრიპტით გამეორებული იქნა იგივე დაპირებები, ფიქრობდნენ უფრო ენერგიულად მოეკიდათ ხელი გარდაქმნებისთვის, ასევე გათვალისწინებული ჰქონდათ ეკონომიკის განვითარებაც. თანზიმათმა შეასრულა შედარებით პროგრესული როლი ოსმალეთის იმპერიის განვითარებაში. ეს პროგრესი ქართველების გაოსმალებას იმიტომ

გამოიწვევდა, რომ განათლების სფეროში გატარებული რეფორმით სწავლა-აღზრდის სისტემა, რომელიც ფაქტიურად მოშლილი იყო და ახლა თანდათან მწყობრში უნდა ჩამდგარიყო ოსმალურ ენაზე მიმდინარეობდა და ასევე კონფესიონალურ (მაჰმადიანური განხრით) ხასიათს ატარებდა. თანაც მომავალ თაობას ზრდიდნენ იმ აზრით, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ძირითადად თურქები იყვნენ¹ (ენა, რელიგია, წეს-ჩვეულებები, ისტორია და სხვა ყველაფერი მათი უნდა ყოფილიყო). საქმისწარმოება სამსახურებში და საერთოდ ყველა საბუთები ასევე ოსმალურ ენაზე იყო. ოფიციალურ დონეზე ქართულისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. ყველაფერი ეს იმპერიის ცენტრალიზაციის გაძლიერებით გვირგვინდებოდა.

იმ დროს აჭარის იქეთ მთელი საზღვრის გადაღმა საქართველო უკვე რუსეთს ჰყავდა დაპყრობილი, სადაც რუსიფიკატორული პოლიტიკა წარმოებდა. ამასთან, ოსმალეთთან შედარებით რუსეთის საქართველოში ქართველებს შედარებით უკეთესი ეროვნული გარემო ჰქონდათ, თუმცა არა იმდენად, რომ ის ოსმალეთის საქართველოში მცხოვრები ქართველი გლეხისთვის, მითუმეტეს მაჰმადიანისათვის მიგრაციის მძლავრი ფაქტორი გამხდარიყო. ეს აჩვენა თუნდაც 1841 წლის აჯანყებამ გურიაში. იგი მიმართული იყო ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. ხოლო მისი დაწყების მნიშვნელოვანი საბაზი გახდა ხმების გავრცელება რუსეთის ჯარში საყოველთაო გაწვევის შესახებ.

ჩვენი რეგიონის საზღვრები სახელმწიფოთაშორის მიგრაციისთვის გარდა ოფიციალური შესაძლებლობისა, არაოფიციალურადაც ე. ი. უკანონოდ გადაკვეთი-სათვის საკმაოდ გამჭვირვალე იყო. მოსახლეობა ორივეთი სარგებლობდა. თუმცა უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევაში დასახლებასთან დაკავშირების ზოგჯერ პრობლემები იქმნებოდა.

მიგრაციას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. მისი ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია ცხოვრების პირობების გაუმჯობისებისკენ სწრაფვა. აქ სხვადასხვა მომენტის გამოყოფა შეიძლება. მაგალითად ძალად თავს მოხვეული რელიგიისაგან, წეს-ჩვეულებებისაგან, ასევე ექსპლუატაციისაგან გაქცევა. უპრიანია ცოტა ხნით შევჩერდეთ რელიგიის ფაქტორზე.

მას შემდეგ, რაც ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთმა დაიპყრო და იქ თანდათან საკუთარი წესები დაამყარა ბუნებრივი გახლდათ ქრისტიანული გარემოს მქონე მოსახლეობის ნაწილის საქართველოს დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებში გახიზვნა. როგორც მთლიანად ყოფილ სამცხე-საათაბაგოში, აჭარაშიც, მაჰმადიანური რელიგია პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენეს. თაობების მანძილზე ორი რელიგიის პაექრობა ისლამის სასარგებლოდ იცვლებოდა ის XIX საუკუნის შუა ხანების მანძილზე აქ გაბატონდა კიდევ. ამიტომ სულ უფრო ნაკლებად შემორჩენილ ღრმად მორწმუნე ქრისტიანებს თვალი ჩრდილოეთისკენ ეჭირათ.

ჩვენს რეგიონში საინტერესოა რელიგიის და ექსპლუატაციის გადახლართვის, როგორც მიგრაციის ფაქტორის მომენტი. კერძოდ, ამასთან იყო დაკავშირებული მოსახლეობის ექსპლუატირებულთა ნაწილის გაქცევა რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთის იმპერიაში. მართალია ოსმალეთის იმპერიაში გლეხები იჩაგრებოდნენ გაბატონებული კლასისაგან, თუმცა რუსეთის იმპერიაში და მის მიერ დაპყრობილ საქართველოში ბატონყმობა მძვინვარებდა (XIX ს. 60-იან წლებამდე). რადგან ისლამი ფორმალურად უარყოფს ბატონყმობას, მოხდა საქართველოს სხვა კუთხეებიდან ყმათა

¹ ვრცელდებოდა აზრი, რომლის მიხედვით ყველა მაჰმადიანი თათარია და რომ მაჰმადიანი, ე.ი. თათარი, ე.ი. თურქი იდენტურია.

აჭარაში ჩასახლება და მათ მიერ აქ ისლამის მიღება. ვ. მგელაძე წერს, რომ ამით ისინი „თავს აღწევდნენ იმ ფეოდალურ კაბალას, რომელსაც ბატონებთან განიცდიდნენ. ამასთან საკუთარი გვარისა და სახელის გამოცვლით თავის პატრონს უსპობდნენ ძებნის საშუალებას“ (4. 67-68). აჭარის ეთნოგრაფიისა და ისტორიის ცნობილი მკვლევარის ზ. ჭიჭინაძის თანაავტორობით გამოშვებულ ერთ-ერთ წიგნში ვკითხულობთ: „... ხშირად თვით მებატონეთა ტყვე ყმანიც მორბოდნენ ჩვენკენ თავის ნებით, აქ ეძლეოდნენ ცხოვრებას და მერე თათრობასაც უერთდებოდნენ“ (5.167). ჩვენს რეგიონში რელიგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ აჭარის აღმოსავლეთით მაჰმადიანებით, მათ შორის ე.წ. თურქი მესხებით დასახლებული ახალციხის რაიონი მდებარეობდა, სადაც საზღვრის ორივე მხარეს სუნიტი მუსლიმი მრევლი, როგორც ყველგან და ყოველთვის გარკვეულ სულიერ კავშირს გრძნობდა ერთმანეთთან. ამიტომ მათთვის საზღვრის გადაკვეთა რაიმე მიზეზის გამო, საცხოვრებლის შეცვლის მიზნით ფსიქოლოგიურ ბარიერთან ნაკლებად იყო დაკავშირებული.

მნიშვნელოვნად გვევლინება მიგრაციის წარმომქმნელი პოლიტიკური ფაქტორი. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ 1841 წელს გურიაში მოხდა აჯანყება ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. შესაბამისად მდგომარეობა იქ იმ დროს საკმაოდ დაძაბული იყო. მისი ჩახშობა და რეპრესიები საზღვარს გადაღმა ბედის მამიებელთა გარკვეულ რაოდენობას ქმნიდა. ასევე აღსანიშნავია ყირიმის ომი და მისი შედეგები. ცხადია ამ მოვლენებს ჩვენ ქვემოთ შევხებით. ქვეყანაში არსებული უსამართლო რეჟიმები, მის წინააღმდეგ გამოსვლა, რეპრესიები, ომი და სხვა მდგომარეობაც ხელს უწყობდა მიგრაციის კრიმინალური ფაქტორის წარმოქმნას. კრიმინალები, ისევე როგორც ხელისუფლებასთან დაპირისპირებული სხვა კატეგორიის ადამიანები ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს და კვეთდნენ საზღვარსაც.

უსამართლო ქვეყანაში სისხლის აღების წესი მძვინვარებდა, რაც მასში ჩათრეულ ადამიანებს დამალვისაკენ, საზღვრის გადაკვეთისაკენ, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისაკენ უბიძგებდა. გარდა ამისა ტექსტში შევხვდებით სხვა მიზეზებს, რომლებიც მიგრაციულ პროცესებს განაპირობებდა.

რეალურად, გარესახელმწიფო მიგრაცია შემხვედრი მოძრაობით ხასიათდებოდა. ჯერ ოსმალეთის საქართველოდან საქართველოს დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებს, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულ საქართველოს შორის.

ქვემოთ წარმოდგენილი წყაროები და მათი განხილვა ნაწილობრივ შუქს ჰფენს მიგრაციის მოვლენებს ჩვენთვის საინტერესო რეგიონსა და პერიოდში, ასევე გადასახლების მსურველთა მიმართულებასა და ზოგჯერ ზოგადად რაოდენობას, ავსებს ჩვენს წარმოდგენას იმდროინდელ მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით. სანამ თანზიმათის პერიოდის აჭარის მიგრაციული პროცესების შესახებ საბუთებს განვიხილავდეთ საინტერესოა რა ხდებოდა სახრეთ-დასავლეთ საქართველოში თანზიმათის გამოცხადებამდე (1839 წლამდე) და მისი პროცესის დაწყებამდე. წარმოვადგენთ რამოდენიმე შესაბამის საბუთს. ჯერ აჭარიდან აღმოსავლეთ მხარეს, ახალციხისაკენ მიგრაციის თაობაზე. 1838 წ. 3 მარტს ახალციხის პროვინციის უფროსმა პატაკი წარუდგინა საქართველოს მთავარმართველს ბარონ როზენს, რომ ამა წლის იანვარსა და თებერვალში თურქეთიდან ახალციხეში გადმოვიდნენ მუსლიმები, წარმოგიდგენთ მათ სიას. მეორე ფურცელზე ჩამოთვლილია 13 სული (6. ფურც. 1,2). ამავე საქმესთან დაკავშირებით გენერალ-ლეიტენანტი გოლოვინი ალექსანდროპოლის (თანამედროვე გიუმრის, მდებარეობს ახალციხის რაიონის სამხრეთით) კომენდანტს წერდა, რომ თურქეთის მოსაზღვრე საფაშოებში რეკრუტის შეკრებასა და

გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებით, რამოდენიმე მუსლიმი ოჯახი უკვე გადმოვიდა ახალციხის პროვინციაში და ხმების თანახმად ბევრი აპირებს მათ მიბაძოს. ეს განაახლებს თურქეთის მხრიდან საჩივრებს. მე მივწერე ახალციხის პროვინციის უფროსს და მის დაქვემდებარებაში მყოფთ, რომ არ შეუშვან მუსლიმები რომლებიც გაურბიან რეკრუტს და გადასახადს (იქვე, ფურც. 14.). ამ პროცესს ეხება 1838 წ. 27 აპრილსს ერზრუმის სერასკირის და მუშირის ოსმან ფაშას მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი გამოგზავნილი საბუთი, რომ ჩილდირის რაიონიდან ათი ეზო გადავიდა ახალციხის საფაშოში მათი ოჯახებით, რადგან არ სურთ გადაიხადონ გადასახადები. გთხოვთ ესენი გადმოასახლოთ და მათთან ერთად ოთხი გამოქცეული ჯარისკაციც. დაარწმუნეთ ისინი, რომ ჩვენი ქვეყნები მეგობრებია და გამოქცეულებს არ დასჯიან (იქვე, ფურც. 17,18) .

იმავე პერიოდში ანალოგიური პრობლემები იყო აჭარა-გურისს საზღვარზე. 1838 წ. 28 მარტს იმერეთის გენერალური შტაბის მმართველმა გენერალ-მაიორმა ესპეხომ მიმართა ბარონ როზენს, რომ ტრაპიზონის სანჯაყიდან სოფელ ბათუმის მცხოვრები 30 თურქი² ოჯახებით მოადგა ჩვენს საზღვარს გურიაში გადმოსვლის და ჩვენი ქვეშევრდომობის მიღების მიზნით. გვთხოვენ შესაბამის ნებართვას და ამბობენ, რომ სხვა მცხოვრებლებსაც სურთ აქ გადმოსახლება ერთი მიზეზით, განიცდიან გადასახადების სიმძიმეს და უფროსობისგან შევიწროებას. შემდეგ ესპეხო ბარონ როზენს უსვამს შეკითხვას თუ როგორ მოიქცეს (იქვე, ფურც. 3). დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 14 აპრილს იგივე ესპეხო გენერალ-ლეიტენანტ გოლოვინს წერდა, რომ 15 მარტს ტრაპიზონის სანჯაყიდან გურისს საზღვარს მოადგა 7 თურქი (? - ალ.ჩ), რათა მიეღოთ ჩვენი ქვეშევრდომობა და ჩვენთან ეცხოვრათ. მე მივიღე რა 9 აპრილს თქვენი აღმატებულების მიწერილობა თურქეთში გამესახლებინა 30 თურქი ოჯახი, მივუთითე გურისს დროებით მმართველს გაესახლებინა ეს 7 კაცი და მომავალში არ შემოუშვან ამდაგვარი დიდი რაოდენობით. წარმოადგინონ ნებართვა მხოლოდ 1-დან 3-4 ოჯახისა სურვილით იცხოვრონ ჩვენთან (იქვე, ფურც.6).

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ თანზიმათის გამოცხადებამდე, 1839 წლამდე ოსმალეთის სამფლობელოდან, აჭარიდანაც იყვნენ მსურველები გადასახლებულიყვნენ რუსეთის სამფლობელოში, ახალციხესა და გურიაში. მიზეზი კი გახლდათ: შევიწროება ადმინისტრაციის მხრიდან, რეკრუტიდან თავის არიდება და მძიმე გადასახადები. მათ გადასვლა მოახერხეს, თუმცა ორივე იმპერიის ხელისუფლება იღებდა ზომებს მათ დაბრუნებაზე და სავარაუდოდ დააბრუნეს კიდევ, ნაწილი მაინც.

აღნიშნულ პერიოდში ჩვენს რეგიონში მიგრაციის ფაქტორებად გვევლინება ჯანმრთელობის მდგომარეობა და ეკონომიკური პირობები. რუსული საბუთების მიხედვით, თურქეთიდან შემოსული ჭირის გამო 1839 წელს ახალციხეში ყოფილა მსხვერპლი (7.84). 1840 წლისთვის კავკასიაში, თურქეთში, რუსეთის საზღვართან „შავი ჭირი მძვინვარებდა მთელი სისასტიკით“ (იქვე, 66). ამავე დროს (1840 წლისთვის) აზიურ თურქეთში არ იყო საკმარისი პური და მოსახლეობა ჩუმად მოიპარებოდა რუსეთში (იქვე, 86). აქედან ვგებულობთ, რომ 1839-1840 წწ. ოსმალეთიდან მოსახლეობა ავადმყოფობისა და უპურობის გამო მირბოდა რუსეთის საქართველოში.

² ესპეხო ბათუმელ ქართველებს, შესაძლოა მუსლიმებს თურქებს უწოდებს. საერთოდ აჭარაში თურქთა რაოდენობა ყოველთვის ცოტა იყო. ამ საკითხს კიდევ შევეხებით. აქ სასაზღვრო ზოლში ოფიციალურად საზღვრის გადაკვეთას ოჯახებით, მუდმივი საცხოვრებლის გამოცვლის მიზნით ქართველი ქრისტიანი ან მუსლიმი თუ მოისურვებდა და არა თურქი. მითუმეტეს, რომ ოდნავ ქვემოთ ტექსტში ვნახავთ 1842 წ. ზაფხულში შედგენილ რუსულ საბუთში ქობულეთელი თოიბეები თურქებადაა მოხსენიებული. ეტყობა რუსი ჩინოვნიკთა ნაწილი ჩოლოქს ანუ საზღვრის იქეთ მცხოვრებთა მაჰმადიან ქართველებს თურქებს უწოდებდა.

მიუხედავად პრობლემებისა იყო საპირისპირო მოძრაობაც. მაგალითად 1841 წ. 28 სექტემბერის ერზრუმის სერასკირის წერილის მიხედვით ახალციხელმა ნასწავლმა მოლამ შეიხ გაჯი ეფენდიმ თბილისში მიიღო ნებართვა გაეშვათ მისი სამი ძმა ოჯახებით თურქეთში (8.ფურც. 1).

იმავე პერიოდში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აჭარა-გურიის საზღვარი.

1841 წელს გურიაში მოხდა აჯანყება, რომელიც მიმართული იყო, როგორც ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაციის თვითნებობა-ბოროტმოქმედებათა ისე მებატონეთა ძალადობის წინააღმდეგ. ქობულეთელი ბეგი თავდგირიძე, რომლის წინაპარი გურიიდანაა გადმოსული და რომელსაც გურიის მიწებზე პრეტენზიები გააჩნდა, დაინტერესებული იყო ჩოლოქს გადაღმა არეულობით. ამიტომ ქობულეთიდან იქ გადაჰქონდათ იარაღი და ამუნიცია. აჯანყება იმავე წელს ჩაახშვეს. მაშინ რამოდენიმე ათეული გურული გადასულა ქობულეთში. ეტყობა ესენი იყვნენ აჯანყების აქტიური მონაწილეები, ან უბრალოდ ხელისუფლების მოძულენი. მათ საზღვარს გადაღმიდან დაიწყეს რუსეთის ხელისუფლების შეწუხება. ამასთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ შეადგინა სპეციალური საქმე (დაიწყო 1842 წ. 29 ივნისს, დამთავრდა 1843 წ. 17 თებერვალს), რომელშიც ვკითხულობთ, რომ გურიიდან ქობულეთში გადასულან გურულები, მიუღიათ მაჰმადიანობა³. ეტყობა მათი რაოდენობა იყო ყველაზე ცოტა 50. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ეს გურულები მოაშოროს ქობულეთის საზღვარს და გადასახლოს თურქეთის სიღრმეში, რადგან აქ საზღვრაზე ცუდ საქმეებს სჩადიან, ქურდობენ, ძარცვავენ(9). თუმცა არ ზუსტდება ვის წინააღმდეგაა მიმართული ამ გურულების ქმედება, უბრალო მოსახლეობის, გაბატონებული კლასის, თუ ხელისუფლების წარმომადგენლების. ამ შემთხვევაში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილის გადასვლას საზღვრის გადაღმა უნდა ჰქონდეს პოლიტიკური მოტივი. შესაძლოა ამ ამბებთანაა დაკავშირებული გურიის რაზმის უფროსის 1842წ. ზაფხულში შედგენილი მოხსენება, რომელიც წარუდგინა საქართველო-იმერეთის გუბერნატორს. მოხსენებაში ვკითხულობთ: გურიიდან საზღვარგარეთ გადავიდნენ და მაჰმადიანობა მიიღეს ქობულეთელმა თურქებმა (?-ალ.ჩ.) ხუშუტა და ხასანა თოიძეებმა. გადმოვიდნენ ფარულად სოფელ ლიხაურში და მოტყუებით უნდოდათ სამი გლეხი გადაეყვანათ თურქეთში, რომელნიც აზნაურ გურგენ ბებურიშვილს ეკუთვნოდა, მაგრამ ლიხაურის მოურავმა და ბებურიშვილმა გაიგეს, გამოევიდნენ და გააქციეს თოიძეები. ქობულეთელი თურქები აგრძელებენ ძარცვას. მე მივმართე ქობულეთის მმართველს მუსტაფას (ეტყობა სანჯაყ ბეგ მუსტაფა თავდგირიძეს -ალ. ჩ.), რომ მან მიიღოს ზომები ქობულეთელთა ამდაგვარი ქმედებების შესაჩერებლად და დასაჯოს თოიძეები (10).

თანზიმათით გათვალისწინებული სამხედრო გარდაქმნის მნიშვნელოვანი თარიღია 1843 წელი, როცა ოსმალეთის არმიაში დაწესდა ახალი სტრუქტურა და გამოცხადდა მუსლიმთათვის საყოველთაო სამხედრო ვალდებულება. ამასთან, საკადრო არმიაში სამსახური შემცირდა 15-დან 5 წლამდე (11.168).

ამით უქმდებოდა სამხედრო-ლენური სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომლითაც ლენის (ფეოდის) მფლობელს ომის დროს (რეგულარული არმიის გვერდით) უნდა გამოეყვანა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ჯარისკაცი. გაწვევა რეკრუტში ანუ ნიზამი აჭარაში ნაწილობრივ ადრეც ხდებოდა. ახლა, ცხადია აღნიშნული საყოველთაო

³ მივიჩნევთ, რომ ისლამის მიღებით უფრო მყარად იგრძნობდნენ თავს ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში და ისარგებლებდნენ ხელისუფლების მხარდაჭერით.

გაწვევა აჭარელ მუსლიმ მამაკაცებზეც ვრცელდებოდა. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ახალციხის სამოქალაქო უფროსის მიერ 1843 წ. 13 ნოემბერს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის მიმართ გაკეთებული მოხსენება. მასში ვკითხულობთ, რომ მრავალ თურქ ქვეშევრდომს სურს გადმოსვლა ჩვენს საზღვრებში რადგან თურქეთში მიმდინარეობს გაწვევა რეგულარულ ჯარში. ვფიქრობ, ისინი ვინც ჩვენგან გაიქცნენ და სურთ დაბრუნება მივიღოთ, ხოლო თურქი ქვეშევრდომების ამბავი გადაწყვიტოს უფროსობამ (12. ფურც. 1). ვგებულობთ, რომ ზოგი რუსი ქვეშევრდომი შესაძლოა უმეტესად ბატონყმობის წნეხის გამო გაქცეულა და გადასახლებულა ოსმალეთის ფარგლებში, თანაც მიუღიათ ისლამი. ახლა კი რეკრუტის გამო მათი ნაწილი დაბრუნებას აპირებდა. 1844 წელს მთიან აჭარაში მოსახლეობის აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი გაზრდილ გადასახადებთან ერთად, იყო პროტესტი ჯარში საყოველთაო გაწვევის მიმართ. აჯანყებულები აცხადებდნენ, რომ იბრძობებდნენ ბოლომდე, თუ ვერ გაუკმკლავდებიან, მათი წინაპრები ქართველები იყვნენ ამიტომ ხელახლა გაქრისტიანდებიან და „Предадутся къ русским“ (ასეა ტექსტში- ა.ჩ. 13. ფურც.24).

თანზიმათამდე აჭარლები სამხედრო-ლენური წესის თანახმად სამხედრო ვალდებულებას ძირითადად ადგილზე იხდიდნენ, ადგილობრივი სანჯაყ ბეგების მეთაურობით. თუმცა მათ უმნიშვნელო ნაწილს რეგულარულ ჯარში იმპერიის სხვა, იმ დროისთვის შორეულ კუთხეებში აგზავნიდნენ და ისიც 15 წლით მოუწესრიგებელ არმიას, ენობრივი ბარიერით. ეს კი აჭარელთა სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა. ისინი ძირითადად არ იყვნენ წინააღმდეგი ადგილზე ემსახურათ, მაგრამ არა სამშობლოსაგან მოწყვეტით რეგულარულ ჯარში. ცხადია თანზიმათის დროს მუსლიმთათვის საყოველთაო გაწვევის შემოღებით პრობლემა ჩვენს რეგიონში გამწვავდებოდა. მეორე მხრივ სამხედრო სამსახურის ვადა შეამცირეს და ყირიმს ომის (1853-1856 წწ.) შემდეგ ხელისუფლებამ არმიას მეტი ყურადღება მიაქცია. მიუხედავად ამისა აჭარელთა ნაწილი მისი სასტიკი წინააღმდეგი იყო. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: „ყესტალა სამბაშოლლი სოფელ დაგვიდან იყო... ყირსარდალი იყო და ყაჩაღებისა და ფირალებს დასდევდა... მემედ დედიასძე ჯაფარიძეს სალდათობა მოუწია (ნიზამი), მაგრამ მემედი დაიძალა...ამის გამო დაიჭირეს მემედის მამა“. მემედი მიმართავს ყესტელა სამბაშოლლის:

„... მე, რომ ნიზამში წვედიდე
რაღა ეშველოს ოჯახსა
ისტე, იცოდე ვერ წავალ
ვერ ავატირებ ნენესა.
ბაბაის დაჭირვას რას ვჩივი,
რას გამორჩებით ბერ კაცსა...
დროზე გადარებული ვარ
მე ველარ ვთანგავ ჭლიკეფსა
ასჯელ თოფი გადმოვსწიე
კიღამ ვესროლე ჯირეკსა...“

(ჩაწერილია-ახმედ აბდროხმანის ძე ჯაფარიძისგან 102 წ... სოფ. ქობულეთის მცხოვრები) ჩაწერა ალ. ქათამაძემ-1940წ. 14 V“ (14. №249,ფურც.7).

აჭარაში იმდროინდელი სახელმწიფოთაშორისი მიგრაციის სურათს გარკვეულად შუქს ჰფენს რუსეთის ხელისუფლების მიერ შექმნილი საქმე №2043, სათაურით „ქობულეთის ოლქის ერთ ოჯახზე და სამ ახალგაზრდაზე, რომლებიც გადავიდნენ გურიამი და მიიღეს წმ. ნათლობა“ (დაიწყო 1850 წ. 11 იანვარს, დამთავრდა 1850 წ. 28

თებერვალს). საქმეში ვკითხულობთ, რომ ქობულეთიდან ოზურგეთში გადავიდა 5 პირი და ერთი ოჯახი ექვსი სულით, რათა მიეღოთ ქრისტიანული სარწმუნოება. ლაზისტანის კაიმაკამმა მოიწერა, რომ ესენი თავს არიდებდნენ სამხედრო სამსახურს, შესაბამისად გადაასახლეს, მაგრამ უკან დაბრუნდნენ და იმალებოდნენ თავად დათა გურიელის მამულში. აქ მოინათლნენ. ამავე საქმეში, რამოდენიმე ფურცლის შემდეგ ვნახულობთ საბუთს სადაც წარმოჩენილია რელიგიის ფაქტორი მიგრაციის პროცესში. საბუთის სათაურია: კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს დიპლომატიური კანცელარიის დოკუმენტი, რომელიც გაეგზავნა საქართველოს არქიპასტორს (ქვემოთ წერია საქართველოს ეგზარქოსს), 1850 წ. 18 თებერვალი. საბუთში ვკითხულობთ, რომ პორტასთან არსებული ტრაქტატებით, მონათვლის შემდეგ ჩვენ არ ვართ მოვალე გადავცეთ ეს ხალხი თურქეთის მთავრობას, ისევე როგორც თურქეთის მთავრობა მოვალე არაა გადმოგვცეს რუსეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები, რომლებიც გამაჰმადიანდნენ. ამიტომ გავეცი ბრძანება შეწყდეს მათი ძებნა, ეს ეცნობოს თურქეთის ხელისუფლებას. იმ ხალხს კი მიეცეს საცხოვრებლის არჩევის უფლება. პორტა ცდილობს რეკრუტით და სხვა ბეგარით დაიმორჩილოს ეს შორეული პროვინციები. ხოლო იქ მცხოვრებნი, განსაკუთრებით ქობულეთლები, ამას გამოუბრძიან ჩვენთან და იღებენ ქრისტიანობას. ჩვენი ქვეყნები მეგობრებია და ჩვენ თავი უნდა ავარიდოთ სამართლიან საჩივრებს. ამიტომ გთხოვთ მოიწვიოთ გურიის სასულიერო ხელმძღვანელობა. თქვენი მოძღვრისეული დარიგებით არ იქნას დაშვებული გადაცდენა საეკლესიო წესებიდან. მუსლიმებმა ბოროტად არ ისარგებლონ (15 ფურც. 15, 16, 17, 27, 28).

ოსმალეთის იმპერიაში მაჰმადიანი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებდა 1844 წლამდე სიკვდილით ისჯებოდა. არც შემდეგ ადგა კარგი დღე. დიდი ალბათობით სწორედ ეს გახდა მიზეზი, როცა რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებასა და პორტას შორის არსებულ ტრაქტატებში შევიდა პირობა, რომლითაც რუსეთის იმპერიაში გამოქცეული მაჰმადიანი რომელიც მოინათლებოდა უკან არ გაიციმოდა. თუმცა, ოსმალეთის მხარემაც თავის სასარგებლოდ მსგავსი პირობა მიიღო, რომლითაც იქ გაქცეულებს და გამაჰმადიანებულებს უკან აღარ აბრუნებდნენ. თუკი ეს ტრაქტატებში იყო შეტანილი, ე.ი. კანონის ძალა ჰქონდა და იგი მიგრაციის გარანტს წარმოადგენდა.

ამავე საბუთში ვნახულობთ მოტივს რომელიც რუსეთის საქართველოში გადასვლის მსურველთა იმედად რჩებოდა. კერძოდ, მათ ეძლეოდათ საცხოვრებლის არჩევის უფლება. ამასთან დაკავშირებით დავაზუსტოდ იმ დროს რუსეთის საქართველოში არსებული მდგომარეობა. ოსმალეთის იმპერიიდან რუსეთის იმპერიაში გლეხთა საცხოვრებლად გადმოსვლისას ისმება ელემენტარული კითხვა: დიახ, ოსმალეთის იმპერიაში ექსპლუატაციისაგან შევიწროებულ გლეხებს ცხოვრება უჭირდათ, მაგრამ განა ბატონყმურ რუსეთის იმპერიაში უკეთესი მდგომარეობა იყო? ცხადია არა. რეფორმამდელ ხანაში (60-იან წლებამდე) რუსეთის იმპერიაში, კერძოდ საქართველოში მფლობელობის მიხედვით გლეხები იყოფოდნენ: საბატონო, სახაზინო და საეკლესიო. ამათ შორის შედარებით განსხვავება იყო, თუმცა არც ერთს არ ულხინდა. რუსეთის საქართველოში მცხოვრები ყმა გლეხები სწორედ საზიზღარ ბატონყმურ სისტემას გაურბოდნენ. გადადიოდნენ ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში, მათ შორის აჭარაშიც, იღებდნენ ისლამს, ფორმალურად მაინც და შედარებით თავისუფალი ცხოვრების იმედად რჩებოდნენ. მაშ რატომ მოდიოდნენ გლეხები ოსმალეთის საქართველოდან რუსეთის საქართველოში? წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ქვეთავში „ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30-50 წლებში“ ვკითხულობთ, რომ იმ დროს საქართველოში ჩამოსული

კოლონისტები, მათ შორის არარუსებიც იღებდნენ „საკმაოდ მოზრდილ მიწის ნაკვეთებს“ (16.123). კიდევ მეტი, ზოგი გლეხი იმ დროს თავისუფალი იყო და მემამულის საკუთრებას არ წარმოადგენდა (იქვე.134). არსებობდა აგრეთვე სოფლის ბურჟუაზიის მცირე ჯგუფიც (იქვე.173). ეტყობა ოსმალეთის საქართველოდან რუსეთის საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად წამოსულ გლეხთა მთავარი იმედი ძირითადად საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, მიწის მიღება, უკეთეს ეკონომიკურ პირობებში მოხვედრა იყო. თუკი ხელოსნები იყვნენ უფრო გაუმართლებლად, მაგალითად ქუთაისში მათზე დიდი მოთხოვნა ყოფილა (2.15-16). აღნიშნულ, საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილ საბუთში სიფრთხილეს გამოჩენილი გურიის სასულიერო პირების მიმართ, კერძოდ არ დაუშვან გადაცდენა საეკლესიო წესებიდანო. ამ სიფრთხილეს თავისი მიზეზი ჰქონდა. საქართველოს ეგზარქოსი 1839 წ. 27 ოქტომბერს გენერალ გოლოვინს საიდუმლოდ მოახსენებდა: „გენერალი ესპეხო წერს, რომ გურიის მღვდლები ფლობენ რა ყველა მანკს დაკავებულნი არიან ქურდობითაც და ყალბი დოკუმენტების შექმნითაც ხაზინის კუთვნილ მამულებზე და მათ მიერ მითვისებულა“ (97.105). ამიტომ შესაძლოა გურიის სასულიერო პირები პირადი სარგებლის და გამორჩენის მიზნით დარღვევებზეც დათანხმებულიყვნენ, რითაც ისარგებლებდნენ მაჰმადიანი ქართველები. ისინი საზღვრიდან გადმოსულნი, რეკრუტს თუ სხვა მძიმე მოვალეობას გამოქცეულნი, ასევე სხვა მიზეზებით წამოსულნი, რელიგიის შეცვლით შირმით შეეცდებოდნენ უკეთეს მდგომარეობაში მოხვედრილი ყვნენ.

ამდაგვარი იყო განსახილველ საკითხზე მდგომარეობა ზოგადად აჭარაში 40-იან წლებსა და 50-იანი წლების დასაწყისში, ყირიმის ომის დაწყებამდე (1853 წ.). აქ, სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კრიმინალური, რელიგიური და სხვა ადგილი ჰქონდა სახელმწიფოთაშორის ორმხრივ მიგრაციას. აქედან, ჩრდილოეთისაკენ გურიის, ხოლო ზემომთიან რეგიონში აღმოსავლეთისაკენ – ახალციხის მიმართულებით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წყაროები და ლიტერატურა

1. რ. უზუნაძე, რ. სურმანიძე, ნ.ზოსიძე, ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2013
2. ა. სურგულაძე, განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1978
3. შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1963
4. ვ. მგელაძე, ზემო აჭარული სოფელი ძველად, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1973
5. ზ. ჭიჭინაძე და სხვათა მიერ, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, 2-3 ტომი, საქართველოს საგამომცემლო კოოპერატივი „მწიგნობარი“-ს გამოცემა, მირ. ხუხუნაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1924
6. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (სსცსა), ფონდი (ფ)11, საქმე 779.
7. Акты Кавказской археографической комиссии (КАК), Т. IX, 1838-1844 гг. Изданы под редакцией председателя комиссии ДСС. АД. Берже Тифлис типография канцелярии главно-начальствующаго гражданского частью на Кавказ 1884

8. სსცსა, ფ. 11, საქმე 1170
9. სსცსა, ფ. 16, საქმე 7095
10. იქვე, საქმე 7111
11. Новая история стран зарубежной Азии и Африки. Издательство ленинградского университета, Л., 1971 г.
12. სსცსა, ფ. 16, საქმე 7296
13. იქვე, საქმე 8085
14. ხ.ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი
15. სსცსა, ფ. 11, საქმე 2043
16. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970
17. Акты К.А.К ,Т XII ,1856-1862, გამომცემლობა არაა მითთბული, 1904
18. სსცსა, ფ. 11, საქმე 3022
19. გაზეთი „ГОЛОСЪ“ , 1878 წ. 1 (13) მარტი , №60
20. სსცსა, ფ. 11. საქმე 3181
21. სსცსა, ფ. 8 . საქმე 5346
22. Emiroglu Küdret, Trabzon Vilayeti Salnamesi-1871, Safak Matbaacilik ltd sti, Ankara, aralik, 1993
23. ვ.ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1996
24. ვ.ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII–XX საუკუნეებში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1984
25. www.dzglebi.ge; ქურთები
26. Г.Казбег Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского санджака, типография окружного штаба кавказского округа
27. თ. აჩუგბა, აფხაზთა დასახლება აჭარაში, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1988
28. სსცსა, ფ. 8, საქმე 4706
29. საქართველოს ისტორია, ტ. IV, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბილისი, 2012
30. ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1958
31. ხ. ახვლედიანი, ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1944
32. А. Френкеля, Очерки Чурук-су и Батума типография А.А.Михельсона. Тифлис. 1879
33. Батумское побережье „Русские тропики“, сборник статей, Подъ редакцией С. А. Анисимова, Батумь, типография Таварткиладзе, 1911
34. ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, №11, 2000
35. ჟურნალი „ივერია“, 1877 წ. №20, 14 ივლისი
36. სსცსა, ფ. 5, საქმე 618
37. იქვე, საქმე 622
38. ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, გამოცემული ი.ა. მანსვეტაშვილის საფასით, ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქ. №12, 1913
39. ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პეიოდში, აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1948

ოსმალეთის მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაცია

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში ოსმალეთის დამარცხების მიუხედავად, მის საგარეო პოლიტიკაში მაინც დიდი ყურადღება ეთმობოდა დედასამშობლოსთან დაბრუნებული ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქების ისევ დაპყრობას. ამის შესაძლებლობა მას მიეცა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 12 თებერვალს ოსმალეთმა დაარღვია დროებითი ზავი და განაახლა სამხედრო მოქმედება. ამიერკავკასიის სეიმმა გადაწყვიტა დაეწყო დამოუკიდებელი საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან. 23 თებერვალს ოსმალეთის მხარემ აცნობა თბილისს, რომ თანახმა იყო მოლაპარაკება თბილისში შემდგარიყო. ამიერკავკასიის სეიმმა და მთავრობის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა მოლაპარაკება ქ.ტრაპიზონში გამართულიყო. პირველ მარტს ამიერკავკასიის სეიმმა ტრაპიზონის საზავო კონფერენციისათვის აირჩია დელეგაცია: ა.ჩხენკელი (თავმჯდომარე), ჰ.აბაშიძე, მ.გაჯინსკი, ი.გაიდაროვი, გ.გვაზავა, რ.კაჩაზნუნი, გ.ლასხიშვილი, შეიხ-ულისლამიკი და სხვები. იმავე სხდომაზე დამტკიცდა ძირითადი დებულებები, რომლითაც ზავზე მოლაპარაკების საფუძვლად დადგინდა რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის საზღვარი, ტრაპიზონში მოლაპარაკების პარალელურად 1918 წლის 10 მარტს ოსმალეთის მთავარსარდლობამ ამიერკავკასიის მხარეს ოფიციალურად მიმართა და მოსთხოვა ბრესტის ხელშეკრულების თანახმად მისთვის დათმობილი ბათუმის, ყარსის და არტაანის სანჯაყების ევაკუაცია და ჯარების 1877 წლის საზღვრებში გაყვანა ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია 1918

წლის 8 მარტს კრეისერ „კაროლ კარლით“ ბათუმიდან ტრაპიზონში ჩავიდა ოსმალეთის დელეგაცია იგვიანებდა. ამ დროს ტრაპიზონი ოსმალთა ხელში გადავიდა. ტრაპიზონის გუბერნატორად დაინიშნა მეჰმედ ალი ედინი, რომელმაც არ მისცა უფლება ამიერკავკასიის დელეგაციას კრეისერიდან ქალაქში გადაეყვანა 50-კაციანი შეიარაღებული დაცვა, ამით ოსმალებმა აგრძნობინეს ა.ჩხენკელს, რომ მათ სტუმრად თვლიდნენ და დაცვასაც თვითონ კისრულობდნენ. 1918 წლის 12 მარტს ტრაპიზონში ჩავიდა ოსმალეთის დელეგაცია საზღვავო დეპარტამენტის უფროსის პირველი რანგის კაპიტანის ჰუსენ-რაუფ ბეის თავმჯდომარეობით. გერმანული წყაროების მიხედვით ამ დროს ტრაპიზონში იყო რუსეთის 8 ათასი ჯარისკაცი, იმავე დღეს შედგა დელეგაციების მეთაურთა შეხვედრა და გაცნობა. ტრაპიზონის საზავო კონფერენცია ოფიციალურად მიმდინარეობდა 1918 წლის 14 მარტიდან 1918 წლის 9 აპრილამდე, შედგა კონფერენციის ექვსი პლენარული სხდომა, ორი თათბირი და სხვა შეხვედრა, საუბრები. ტრაპიზონის კონფერენცია საომარი მოქმედების პირობებში მიმდინარეობდა. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის სეიმი და მთავრობა ვერ ახერხებდა თავდაცვის ორგანიზებას და საერთო სახელმწიფოებრივ საწყისებზე ქვეყნის წინამძღოლობას, ამიერკავკასია იმართებოდა ეროვნული ნიშნით: აზერბაიჯანს მუსავატების პარტია განაგებდა, სომხეთს-დაშნაკები, საქართველოს სოციალ-დემოკრატები. ამათსავე განკარგულებაში იყო ფორმალურად ერთიანი ამიერკავკასიის არმიაში შემავალი ეროვნული სამხედრო ნაწილები. ამას ემატებოდა დაპირისპირება დაშნაკებსა და მუსავატებს შორის, ისინი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ პროოსმალურ განწყობილებაში და არც თუ უსაფუძვლოდ.

მუსავატები დაშნაკებს ბრალს სდებდნენ პრობოლშევიკურ საქმიანობაში. ასეთი დამოკიდებულება აღრმავებდა ერთა შორის დაპირისპირებას. თათარ სომეხთა

კონფლიქტებმა თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა, მდგომარეობა გართულდა ფრონტზე: ოსმალებმა ალყაში მოაქციეს არტაანი და დაიწყო მზადება ყარსსა და ბათუმზე შეტევისათვის, გაძლიერდა ბერძნებით და სომხებით დასახლებული სოფლების მარცვა და აწიოკება, ძლივს მოხერხდა ქრისტიანი მოსახლეობის ევაკუაცია, ასევე დაიძაბა ვითარება ახალციხის მხარესა და ბათუმის ოლქში. ტრაპიზონში მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლებოდა ამიერკავკასიისათვის საზიანოდ. 1918 წლის ორ აპრილს იქ ჩავიდა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ვეხიზ ფაშა შტაბითურთ, მისი ბრძანებით ოთხ აპრილს ასკერებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გადმოლახეს ბათუმის ოლქის საზღვრები და ქალაქს 10 კილომეტრზე მიუახლოვდნენ. ხუთ აპრილს შედგა ტრაპიზონის კონფერენციის ბოლო სხდომა ამიერკავკასიის დელეგაციამ განაცხადა, რომ თანახმა იყო ემსჯელა ოლთისის, არტაანის და ყარსის გარკვეული ტერიტორიების დატოვებაზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბათუმის დათმობაზე. ამრიგად ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია მხარეთა ინტერესების მკვეთრად განსხვავების გამო უშედეგოდ დამთავრდა. ამიერკავკასიელი პოლიტიკოსების აზრით მას უნდა მოეტანა საბოლოო ზავი ოსმალეთთან ომამდელ საზღვრებში, ამიტომ ერიდებოდნენ კონფერენციის ჩაშლას და ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებაზე თავს იკავებდნენ. შეიქმნა გაურკვეველი სიტუაცია, იძალა დაბნეულობამ, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და თვით ბათუმის დაკარგვის მიზეზი გახდა. ამ სხვადასხვაობისა და ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური სისუსტის ვითარებაში ოსმალეთი ბათუმ-ყარსს და არტაანს დაეუფლა ძალმომრეობით, რითაც უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები. ასეთ პირობებში საჭირო გახდა ოლქის მოსახლეობის ინფორმირება, მისი პოზიციის გარკვევა. სოფლებში იმართებოდა კრებები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული, ამიერკავკასიის მთავრობისა და ქართული საზოგადოების წარმომადგენლობა. ასეთი კრება ქობულეთშიც გაიმართა, სადაც სიტყვით გამოვიდნენ გულო კაიკაციშვილი, გურიიდან ჩამოსული იულონ რამიშვილი, რაფიელ ჩიხლაძე, სულეიმან ჭყონია. კრებაზე გამოსულების აზრი საერთო იყო: „საქართველო მტკიცედ დარწმუნებულია თავისი აჭარელი ძმების მამაულიშვილურ გრძნობებში“.

1918 წლის დასაწყისში ბათუმის ოლქში მომრავლდნენ თურქოფილები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ სოფლად და ხალხს მოუწოდებენ ოსმალეთის მხარეზე გადასვლას. 1918 წლის მარტში ოსმალთა ძალებმა ტრაპიზონში მოიყარეს თავი, სადაც ჩავიდნენ მაღალი ჩინის ოფიცრები. უკვე გასაგები იყო, რომ ეს ქალაქი ბათუმის წინააღმდეგ საომარო მოქმედების ბაზა იქნებოდა. პორტში თავი მოუყარეს გემებს ბათუმის გარშემო, დანაღმული ზონის გამოსავლენად ამუშავდა ოსმალეთის დაზვერვა. შვიდ აპრილს ოსმალთა შემოტევამდე დაუდგენელმა პირმა მწვანე კონცხის მიდამოებში აჰყარეს რკინიგზა, რამაც მოსახლეობაში დიდი პანიკა გამოიწვია. ქართული ეროვნული საბჭო დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნული საჯარისო ძალებით ტრაპიზონის მიმართულებით ფრონტის შევსებას, მაგრამ ქართული ჯარი ჩამოყალბების პროცესში იყო და მისი ნაწილები სხვადასხვა ადგილებში მიმოფანტული იყო. ქუთაისში იდგა პირველი ქართული მსროლელი პოლკი, სამი ბატალიონი, შეიქმნა მე-5 4000 კაციანი ქართული მსროლელი პოლკი, გორში წვრთნას გადიოდა მეოთხე მსროლელი პოლკის 400 მეგრძოლი, თბილისში იდგა და ივსებოდა პირველი ცხენოსანი პოლკი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ირანიდან დაბრუნებული ქართველი კავალერისტებით. ოსმალეთთან მოსალოდნელი კონფლიქტი მოითხოვდა საჯარისო ნაწილების სასწრაფო გაზრდას და ერთი მიმართულებით დისლოცირებას. რთული ვითარება მოითხოვდა რუსეთის ფრონტზე მყოფი ჯარისკაცების სამშობლოში დაბრუნებას, რაც შტაბის

ხელმძღვანელობამ ქართველებს დაუმალა. მხოლოდ უკრაინის რაღამ გამოთქვა მზადყოფნა დასახმარებლად.

უკრაინაში საქართველოს სამხედრო საქმეთა რწმუნებულის ვაჩიშვილის თაოსნობით ოდესის ოლქში აღირიცხა ქართველი ჯარისკაცები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ორი პოლკი. სამშობლოში მათი დაბრუნება უკრაინის ცენტრალური რადის სამდივნოს წარმომადგენელმა შულგინმა ითავა. „ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტმაც ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნა შეიარაღებული რაზმი, რომელიც წვლილს შეიტანდა ბათუმის ოლქის დაცვაში“.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტს გამოუყო იარაღის გარკვეული რაოდენობა. ქუთაისის გარნიზონის ქართულ კრებაზე გადაწყდა შეემუშავებინათ ოპერატიული გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო ორი რაზმი, ერთი დაკომპლექტებოდა ოფიცრებისაგან და დაიცავდა ბათუმის ციხე-სიმაგრეს, მეორე ოფიცერთა და გვარდიელთა შემადგენლობით, შერეული სახით გაიგზავნებოდა ციხე-სიმაგრის კომენდანტის განკარგულებაში.

1918 წლის მარტის ბოლოსათვის ბათუმი საომარ ყაიდაზე გადავიდა. გამოცხადდა 60 წლამდე ასაკის მამაკაცების მობილიზაცია. ხანშიშესული მამაკაცები საპატრულო საპოლიციო სამსახურში გაიწვიეს. ბათუმში თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა სამხედრო ძალამ. ვაჟთა გიმნაზიაში განლაგდა გენერალ ართმელაძის პირველი ქართული პოლკი (450 ჯარისკაცი) და იქვე განლაგდა ოფიცერთა განსაკუთრებული ბატალიონი კაპიტან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. მეორე ქართული პოლკი იდგა (1030 ჯარისკაცი) ბათუმის ე/წ არდაგანის ყაზარმებში. აჭარისწყლის სტრატეგიული ბაზიდაბ ქალაქს იცავდა პოდპოლკოვნიკ დევადის 230 კაციანი ოფიცერთა რაზმი და ბათუმის ქართული პოლკის ორი არასრული ასეული (80 ჯარისკაცი) სოფელ გონიოში იმყოფებოდა მეხუთე ქართული პოლკი ოთხი ტყვიამფრქვევით პოლკოვნიკ შერვაშიძის ხელმძღვანელობით.

საზღვაო ფლოტის შორსმსროლელი ქვემეხები ოსმალთა შესაძლებელი თავდასხმის მიმართულებით მიატრიალეს. გამაგრებული პუნქტების საერთო ხელმძღვანელი იყო გენერალი ოდიშელიძე.

ოსმალთა არმიაც არ იყო მრავალრიცხოვანი. მიუხედავად ამისა, 1918 წლის 9-10 აპრილს ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ ოსმალები ბათუმს მიუახლოვდნენ. ბათუმის დაცვა ორი სტრატეგიული მიმართულებით დაიგეგმა: ერთი ზღვის სანაპიროს გასწვრივ სარფი-გონიოს ხაზით, მეორე ჭოროხის ხეობით ერგესკენ. ორივე ხაზი ერთიანდებოდა ქალაქის მისადგომებთან კახაბერ-ადლიას შორის და ქმნიდა მესამე სტრატეგიულ ხაზს. 11-12 აპრილს ბათუმი პანიკამ მოიცვა. ქალაქში გაჩნდა ხანძარი, დაიწყო მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია, სამხედროებს ძირითადად მიჰქონდათ სურსათი, რის გამოც დიდძალი საომარი ტექნიკა ოსმალებს დარჩათ. 1918 წლის 14 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის ხმოსნებმა და ქალაქის ინტელიგენციის ნაწილმა გადაწყვიტა ოსმალებთან გაეგზავნათ დელეგაცია. პარლამენტარები ლორთქიფანიძე, თავბერიძე და დიმიტრიადი ავტომობილზე აღმართული თეთრი დროშით გაემართნენ მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ. ოსმალთა არმიის პოლკოვნიკმა არმიის მეთაურის, ვეხიბ-ფაშას ბრძანებით შეკრებილთ გამოუცხადა მადლობა პარლამენტარების გამოგზავნისათვის და პოლიციისათვის, რომელიც წესრიგს იცავდა ქალაქში, ხოლო საღამოთი უნდა დაშლილიყვნენ, რომ არ მომხდარიყო გაუთვალისწინებელი შემთხვევა. ოსმალთა ჯარის ქალაქში შემოსვლას არ უნდა მოყოლოდა მოსახლეობის დაპირისპირება. ასეთ შემთხვევაში მცხოვრებლებს არავითარი საშიშროება არ დაემუქრებოდა. ამის შემდეგ დაიწყო ქალაქში ოსმალთა ჯარის ნაწილების შემოსვლა. 14 აპრილს საოკუპაციო ჯარების სარდლობამ თურქულ,

ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა სამ პუნქტიანი ბრძანება: ახალი ხელმძღვანელობა მოსახლეობას მოუწოდებდა სიმშვიდისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში წესრიგის დამრღვევებს ემუქრებოდა სამხედრო საველე სასამართლო, მოითხოვდა ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარებას. პირველი ღონისძიება იყო ოლქის მართვა, რომელიც სახელმწიფო ქონების აღწერით დაიწყო, კონფისკაცია უყვეს საექსპორტო ნავთობს, აიკრძალა ნავთობპროდუქტების უნებართოდ გატანა, რადგან ოსმალებს აკლდათ საწვავი და ბათუმის მარაგი მათთვის ძვირფასი შენაძენი იყო. შემოიღეს ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა. პირველი გუბერნატორი იყო ჰამიდ-ბეი. იგი სამი კვირის განმავლობაში მართავდა აჭარას. მან შემოიღო ოსმალეთში არსებული სახელმწიფო აპარატი. შეიზღუდა ქალაქის თვითმმართველობა. მას ჩამოართვეს სურსათის მარაგი და ეკონომიკური საკითხის გადაწყვეტის უფლება. შემოიღეს კომენდატის საათი. დადგენილი წესების დარღვევისათვის ხორციელდებოდა მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები. გამონაკლისი გავრცელდა მხოლოდ მოსახლეობის მიმართ, რამაც გამოიწვია რუსი და სხვა ეროვნების მცხოვრებლების მკვეთრი ანტიქართული დამოკიდებულება. პ.მასლოვმა ოსმალთა ოფიცრებს განუცხადა, რომ რუსები ლოიალურად არიან განწყობილი ახალი ხელისუფლების მიმართ და ბათუმის მათ ხელში გადასვლა კანონზომიერ მოვლენად ჩათვალა და აღნიშნა, რომ მართალია ქალაქის დამცველთა შორის იყვნენ რუსები, მაგრამ ეს მოხდა არა მათი ინიციატივით, არამედ ქართველთა ზეგავლენით „ჩვენ მოგეცით ბათუმი ბრესტის ხელშეკრულებით და ამ დღიდან ვართ თქვენ გულითადი მოკავშირეები და მეგობრები“ ამით დაასრულა მასლოვმა.

ოკუპაციის გამო ბათუმი დაცარიელდა. ქალაქი დატოვა თვითმმართველობის ხმოსანთა უმრავლესობამ, საჭირო გახდა სათათბიროს შევსება ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებით. 1918 წლის 16 აპრილს ბათუმს ესტუმრა ოსმანთა იმპერიის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა, ქალაქის თვითმმართველობის სახელით მას მიესალმა ბინიათ-ოღლი. საპასუხო გამოსვლაში ენვერ-ფაშამ აღნიშნა, რომ ოსმალები აქ მოვიდნენ არა როგორც დამპყრობლები, არამედ თავიანთი ძველი და განუყოფელი კუთხის დამბრუნებელნი „ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედა სამშობლოს“ დაასრულა თავისი სიტყვა მინისტრმა. ეს იყო დამპყრობთა პირველი პოლიტიკური განცხადება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოკუპაციის გამო. ამასთანავე გრძელდებოდა ახალი ტერიტორიების ანექსია. ოსმალებს აღარ აკმაყოფილებდათ ბრესტის ზავი. 17 აპრილს ბრძოლები გაიმართა მდინარე ჩოლოქთან ნატანების მიმართულებით. მტერმა დიდი ზარალით დაიხია უკან, სამაგიეროდ ოზურგეთის მიმართულებით, რომელსაც მეოთხე ქართული ლეგიონი იცავდა. მებრძოლემმა თითქმის უბრძოლველად დათმეს პოზიციები და უკუიქცნენ. ოსმალთა დაწოლის შედეგად ქართულმა ჯარმა დატოვა ოზურგეთიც და გადაინაცვლა ჩოხატაურში. ლეგიონის უფროსმა პოლკოვნიკმა წერეთელმა გენერალ მაზნიაშვილს მისწერა: „მტერთან ახლოს ვართ და გთხოვთ მომცეთ უფლება მოლაპარაკება გავმართო“ 17-18 აპრილს ბრძოლაში ბათუმის მისადგომებთან თავი იჩინა შეუთანხმლობამ და არა ერთსულოვნებამ. ასე რომ თუ ჩოლოქ-ნატანებთან ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ, სამაგიეროდ ოზურგეთთან იოლი გამარჯვება მოიპოვეს. აქედან გამომდინარე ჩოლოქის პოზიციების გამაგრებას აზრი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა 23 აპრილს დაიწყო კონტრშეტევა ოზურგეთის გამოსახსნელად. მტერი უკან იხევდა, მაგრამ მაზნიაშვილს თბილისიდან მოუვიდა ბრძანება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რადგან ოსმალეთისა და ამიერკავკასიის მთავრობას შორის დაიდო დროებითი ზავი. „გიორგი მაზნიაშვილი იგონებდა, რომ ჩხენკელის ბრძანებას ცოტათი დაეგვიანა ოსმალეთის

ჯარები ქალაქიდან გასვლას აპირებენ თავიანთი ბარგი-ბარხანით. ასე რომ ბათუმის ზავით სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთს დარჩა. მაგრამ ერს ასულდგმულედა დამოუკიდებლობის და თავისუფლების მაღალი იდეალები. ოლქის მოსახლეობის მზადყოფნა ერთიანი მომავლისათვის აისახა ამ კუთხის შვილთა მგზნებარე გამოსვლებში „ჩემი გული ნაღველით ივსება, როდესაც ვიგონებ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს ჩვენთან არ არის, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ დღეს თუ არა ხვალ ჭირშიც და ლხინშიც ჩვენთან იქნება“ - აღნიშნა ჰაიდარ აბაშიძემ. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით დაფუძნებული კრების სხდომაზე გამოსვლისას.

ოლქის მოსახლეობის ბრძოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს იძენდა. 1918 წლის 14 ივლისიდან, რადგან ოსმალთა ხელისუფლებამ აჭარაში ჩაატარა რეფერენდუმი მოსახლეობის ორიენტაციის გასარკვევად, რეფერენდუმი არ გამოხატავდა ადგილობრივთა ნება-სურვილს. სააღყო წესები, მკაცრი მეთვალყურეობა, მოსახლეობის გახიზვნა გამორიცხავდა რეფერენდუმის ობიექტურად ჩატარებას. გუბერნატორმა რეფერანდუმში მონაწილეობის უფლება დართო ბათუმის ოლქში დროებით მცხოვრებთ (სპარსელებს) ისინი ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული აჭარის ბედით. რეფერენდუმით ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა დაპყრობილ ოლქებზე თავისი უფლებების დაკანონებას. ეს არ აწყობდა არა მარტო ყოველმხრივ დაზარალებულ საქართველოს, არამედ ბერძნებსაც და ოფიციალურად გამოთქვა პროტესტი ოსმალთა მიერ ბრესტის ზავის მეოთხე მუხლით გათვალისწინებულ რეფერენდუმის უხეში დარღვევის გამო (მ.აბაშიძე. რჩეული ნაწერები. 1973. გვ.58-62). ასეთ ვითარებაში გააქტიურდნენ პროგრესული ძალები, ისინი ირაზმებოდნენ მემედ აბაშიძის, რეჯებ ნიჭარაძის, ქემალ ნოღაიდელის, უსუფ ქათამაძის, ჰაიდარ აბაშიძის და სხვა პატრიოტების გარშემო. ხელისუფლებამ გაამკაცრა ადმინისტრაციული ზომები და შეიპყრო მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, ხოჯა დაუდ სირბილაძე, სულეიმან ბეჟანიძე, ხასან ლორთქიფანიძე და ტრაპიზონის ციხეში გაგზავნეს. სიკვდილი მიუსაჯეს მემედ აბაშიძეს, მაგრამ იქაური ქართველების ხელშეწყობით იგი ტრაპიზონის ციხიდან გამოიპარა და თხუთმეტი დღის შემდეგ ზღვით ფარულად ჩამოვიდა ფოთში. ამ დროისათვის კი ზია აბაშიძეს, ჰაიდარ აბაშიძეს, ყადირ შერვაშიძეს, სულეიმან დიასამიძეს და სხვებს თბილისში დაარსებული ჰქონდათ „სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს მემედ აბაშიძე. ორგანიზაცია აერთიანებდა პატრიოტებს ართვინიდან, იმერხევიდან, მურღულიდან, ბორჩხადან, აგრეთვე არტანუჯის, შავშეთ-სათლეღის, ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებიდან. აჭარაში გააქტიურებული იყო ოსმალეთის ჟანდარმია, რომელიც პატრიოტულ ძალებს ლეგალურ საქმიანობას უზღუდავდა, ამიტომ განმათავისუფლებელი კომიტეტი გადავიდა მოსახლეობაში ახსნა განმარტებით მუშაობაზე. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს ქართული პრესა. მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, რეჯებ ნიჭარაძის და სხვათა სტატიებში აისახა აჭარის ყოფითი საკითხები. ისინი მოსახლეობას განუმარტავდნენ არსებული მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებს და მოუწოდებდნენ დაუმორჩილებლობისაკენ პატრიოტული ძალების შეკავშირების მიზნით განმათავისუფლებელი კომიტეტის ფილიალები ჩამოყალიბდა ახალციხესა და ოზურგეთში. კომიტეტის საქმიანობა მიზანსწრაფული გახდა. იგი მთელი სიცხადით ამხელდა საოკუპაციო რეჟიმის აუტანლობას.

ოსმალებმა ბათუმში არ შემოუშვეს ქართველი ელჩი, რომლის წარმომადგენლობა მოთავსებული იყო მარინეს ქუჩაზე საბაშვილის სახლში. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ასკერთა მარადიორობა. ადგილობრივ მცხოვრებთა ადათ-წესების შეურაცხყოფა.

ასკერთა მკვლევლობისათვის ოსმალური სასამართლო სიკვდილით სჯიდა დამნაშავეებს. მოსახლეობის არც ერთი ფენა არ იყო დაცული გარდა რუსებისა. ისინი ეწეოდნენ ქართველთა პროვოცირებას ჩადიოდნენ თბილისში, სადაც კავშირი ჰქონდათ რუსულ ეროვნულ საბჭოსთან და იქედან დაბრუნებულები მიმართავდნენ სხვადასხვაგვარ ანტიქართულ პროვოკაციას ოსმალთა საამებლად.

ოსმალეთის ექსპანსიურ ზრახვებში ყოველთვის ენაცვლებოდა ერთმანეთს მუქარისა და დაყვავების პოლიტიკა. ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოსაგებად სულთანმა აჭარაში დიდი თანხა გამოგზავნა. 1918 წლის 20 ივლისს ბათუმის სათათბირომ ექვსი დელეგატი გაგზავნა სტამბოლში ოლქის მოსახლეობის სახელით სულთან მუხამედისათვის ტახტზე ასვლის მისალოცად სულთანმა ისინი დაასაჩუქრა, დაუნიშნა პენსიები, ზოგს ბეგის ტიტული უბოძა, ამის საზღაურად მათ ხალხში გაავრცელეს ცნობა თითქოს რეგიონს ოსმალეთი ფართო ავტონომიას ანიჭებდა.

შემოსვლისთანავე ოსმალები შეეცადნენ ბათუმის იერსახის შეცვლა. გუბერნატორის ბრძანებით 1918 წლის 22 აგვისტოდან მარინეს პროსპექტს დაერქვა სულთან სელიმის სახელი, პეტროგრადისას-კონსტანტინეპოლის, გრიბოედოვის ქუჩას ართვინის, პუშკინისას არდაჰანის, ტურგენევისას ჰაზი მუსტარ ჰაჯის, შერემეტიევისას დერვიშ ფაშას, ქუთაისისას აზიზიეს და ა.შ. აბრებს მხოლოდ თურქულ ენაზე უკეთევდნენ წარწერას. ცვლიდნენ ძველ მმართველობით აპარატს ახალი ოსმალური სტრუქტურებით. ოლქის გუბერნატორის ადგილზე დარჩენილ ქრისტიან ქართველებს ავიწროებდა, მისი ემისრები მაჰმადიანებს მათ წინააღმდეგ აქეზებდნენ. სავაჭრო დაწესებულებები არ ღებულობდნენ ქართულ ფულს. სამაგიეროდ უცხოურ ვალუტასთან ერთად მიმოქცევაში გაუშვეს ნიკოლოზის თუმნიანები. ქართველთა ადგილობრივი ეროვნული საბჭოს ძალისხმევამ მოსახლეობის ინტერესების დასაცავად შედეგი ვერ გამოიღო. წარუმატებელი აღმოჩნდა ქალაქის თვითმმართველობის პროტესტი. ოსმალებმა მთლიანად გამარცხეს სასკოლო დაწესებულებები. მათი შენობები ყაზარმებად აქციეს. ოლქში ჭარბად გაიხსნა მედრესები, სადაც ბავშვებს გაუგებარ ენაზე ისლამის ლოცვებს ასწავლიდნენ. ოკუპაციამ შეაფერხა კულტურული ცხოვრება.

1918 წლის აგვისტოში ოსმალთა გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება რომელშიც ქალაქ ბათუმის ქართველ, რუს, ბერძენ, ებრაელ მოსახლეობას და ქართველ მუსლიმანებს მხოლოდ თითო დაწყებითი სასწავლებელი ექნებოდა. სადაც თურქული ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პრესა, დაიხურა ყველა ადგილობრივი გამოცემა. ჟურნალ გაზეთები აღარც თბილისიდან შემოდიოდა. თუ ვინმე გაზეთის გამოცემას დაიწყებდა, რამდენიმე კვირის მანძილზე თუ გამოვიდოდა ისიც მკაცრი ცენზურით. პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ქართულ ენაზე რაიმე მასალის გამოქვეყნება.

ქალაქის თვითმმართველობა დაკნინდა და უმნიშვნელო ორგანიზაცია გახდა. 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველო რთული მდგომარეობის მიუხედავად დემოკრატიული მშენებლობის გზას დაადგა. ხალხის სრული მხარდაჭერა არჩეული მთავრობისადმი და დაწყებული მნიშვნელოვანი რეფორმები ქვეყნის ნათელი მომავლის იმედებს ბადებს და ყოველივე ამის ფონზე კოლონიურ უღელქვემ მოქცეული ბათუმის ოლქის პერსპექტივა უიმედოდ გამოიყურებოდა. ხსნა მხოლოდ ეროვნული მოძრაობაში ჩანდა, რომელსაც საქართველოსთან ამ კუთხის დაბრუნება უნდა მოჰყოლოდა.


1918 წლის შემოდგომაზე ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ წერტილი დაუსვა ოსმალეთის ბატონობას ბათუმის ოლქში მან უსიტყვოდ მიიღო გამარჯვებული

სახელმწიფოების ყველა ულტიმატუმი, მათ შორის ომის დროს დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის შესახებ. მოკლე დროში შეიქმნა პერსპექტივები დედა-სამშობლოსთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისევ დასაბრუნებლად.

1918 წლის ნოემბრის დამლევს ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ამ დროს ბათუმი გადაიქცა ამიერკავკასიაში გაბნეული ასკერებისა და ოსმალთა მოხელეების თავშესაფარ ადგილად. ამან განაპირობა შემდეგ ინგლისის ოკუპაციის პერიოდში ოსმალთა მრავალრიცხოვანი აგენტებისა და ჯაშუშების აქტიურობა ოლქში. 1919-1920 წლებში ისინი ქმნიდნენ პროოსმალურ ორგანიზაციებს, ხელს უწყობდნენ მათ ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. სიხარულიძე, მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები, თბ., 1994
2. მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათ., 1973
3. გაზეთი ერთობა N168, 1918
4. გაზეთი ერთობა N147, 1919
5. ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის დროს, ბათ., 1948
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1996
7. გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათ., 1990
8. ო. გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, ბათ., 1995
9. ო. გოგოლიშვილი სოციალური და ეროვნული მოძრაობა ბათუმის ოლქში მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში, ბათ., 2005



კრეისერი „კაროლ კარლი“



ოსმალო მეომრები

Proclamation of the Military Governor of Batoum Province.

1. All societies and unions with exception of those which are certified in legal form, must inform the Administrative Council of their existence.

2. It is necessary to inform the chief of Batoum Town-police the day of meeting when these meetings take place in the town and in case of meetings beyond the frontiers of the town the local chiefs of the district must be informed. Simultaneously a notice, indicating the questions which will be considered must be sent to the afore mentioned persons.

3. A representative of the Police or an another person authorized for this purpose by the authorities may be present at these meetings.

4. Unless the aforesaid regulations are observed the working of the societies and unions can not be allowed.

23 Janv. 1919
Batoum.

Military Governor
of Batoum province
Brigadier General
COOKE-COLLIS

ОБЪЯВЛЕНИЕ
от Военного Губернатора Батумской Области.

1) Все Общества и Союзы, кроме техъ. Уставы коихъ утверждены законнымъ порядкомъ, должны сообщать о своемъ существованіи или возникновеніи Совѣту по управленію Батумской областью.

2) О днѣ собранія надлежитъ увѣдомлять Начальника Батумской Городской Милиціи.—когда таковое прсеходитъ въ городъ.—и Начальника участка въ тѣхъ случаяхъ, когда собраніе должно состоять за предѣлами города.

Одновременно необходимо препроводять означеннымъ должностнымъ лицамъ и повѣстку, съ указаніемъ, какіе именно вопросы будутъ обсуждаться на Собраніи.

3) На собраніяхъ можетъ присутствовать представитель Милиціи или другое уполномоченное на то соответствующею властью лицо.

4) Безъ соблюденія приведенныхъ выше требованій деятельность Обществъ и Союзовъ не можетъ быть дѣлушена.

23 Января 1919 г.
г. Батумъ.

Военный Губернаторъ
Батумской Области Генералъ **КУКЪ-КОЛЛИСЪ**

Ген. Д. А. Канелъ, Батумъ.

Proclamation of the Military Governor of the Province and town of Batoum.

In order that everybody should have the same time and to economise in fuel I order:

At 12 midnight (Batoum-time) January the 21 1919 to put the watches forward 50 minutes and to use henceforth the time used by the British Military Authorities.

A canon is fired daily at 12 mid-day and this time must henceforth be used by all government offices.

Disobedience of this order will be punished by the Administration.

21 Jan. 1919
Batoum.

Military Governor
of Batoum province
COOKE-COLLIS

ПРИКАЗЪ
Военного Губернатора Батумской Области.

Въ видахъ единообразія въ исчисленіи времени и экономіи въ топливѣ, приказываю:

Въ полночь (по мѣстному времени) съ 21 на 22 января (с.г.) переставить часы на 50 минутъ впередъ и нечислять отнынѣ, впредь до особаго распоряженія, часы по времени, принятому въ англійскомъ флотѣ.

Ежедневно будетъ производиться выстрѣлъ изъ пушки въ 12 ч. дня по новому исчисленію времени, каковое отнынѣ принято во всехъ правительственныхъ учрежденіяхъ.

Винновныя въ неисполненіи этого приказа будутъ подвергнуты законной отвѣтственности.

21 января 1919 г.
г. Батумъ.

Военный Губернаторъ
Батумской Области
КУКЪ-КОЛЛИСЪ

Ген. Д. А. Канелъ, Батумъ.

ბათუმი ქართულ სატირულ-იუმორისტულ პერიოდიკაში

ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალისტიკის შექმნა, რომლის ტრადიციებზეც შემდეგი თაობები აღიზარდნენ, აკ.წერეთლის სახელთანაა დაკავშირებული.

სატირის ჩანასახი გვხვდება ბერძნული ლირიკის ფორმაში-იამშიკაში. მის ფუძემდებლად თვლიან არქილოქესა და სიმონიდე ამორეოსელს, ხოლო დასრულებული სახით იგი ჩამოყალიბდა ძველ რომში პლავტუსის, ტერენციუსის, ლუცილიუსის შემოქმედებაში.

სატირა უბრალოდ კი არ უარყოფს მანკიერებას, არამედ სასაცილოს ხდის მას. აქ კრიტიკის ფორმად სიცილი გამოდის, რომელიც ნაკლოვანებათა მხილების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. სატირა გვხვდება ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრში. წარმოსახვის სატირულ ხერხებსა და საშუალებებს იყენებდნენ: მოლიერი, ვოლტერი, სვიფტი, ჰაინე, გოგოლი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ასზე მეტი დასახელების სატირულ-იუმორისტულ ჟურნალი, გაზეთი თუ ალმანახი გამოდიოდა. ისინი უდიდესი ინტერესითა და სიყვარულით მიიღო მკითხველმა. შეურიგებელი, მებრძოლი სატირით შეიარაღებული ავტორების მახვილ თვალს საქართველოს არცერთი კუთხე-კუნჭული არ დარჩენია, მათ შორის არც ბათუმი გამორჩენიათ მხედველობიდან. გულთან ახლოსაა მიტანილი XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

მიუხედავად ნაკლოვანი მხარის კომიკური ასახვისა, ავტორები მთელი სერიოზულობითა და გულისტკივილით ეკიდებიან მათ მიერ წარმოდგენილ ნაკლს და ამ გზით ცდილობენ თქვან ის, რასაც კარგა ხანია ამჩნევს საზოგადოება, მაგრამ ხმამაღლა ვერ წარმოუთქვამს.

აჭარის ხ.ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცულია 30-ზე მეტი დასახელების ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთი, ალმანახი და კრებული. მათგან აღსანიშნავია აკ.წერეთლის მიერ 1907-1908 წლებში გამოცემული გაზეთები: „ხუმარა“, „მასხარა“, „ბზიკი“, „ცეცხლი“ და „ეკალი“. ამათ გვერდს უმშვენებს „შურდული“ (1907 წ.), „ნიშადური“ (1907 წ.), „შუამავალი“ (1907 წ.), „ემშაკის მათრახი“ (1909 წ.), „კონდახი“ (1913 წ.), „ალიაქოთი“ (1912 წ.) და სხვ.

„ნიშადური“ - ქართული ყოველკვირეული სატირული ჟურნალი გამოდიოდა 1907-1909 წლებში თბილისში, გამოიცა სულ 61 ნომერი, რედაქტორ-გამომცემელი ვ.გუნია. ჟურნალში იბეჭდებოდა ლიტერატურული და პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები, პოლიტიკური სატირა, იუმორი, კარიკატურები და სხვ. თანამშრომლობდნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, შიო მღვიმელი, შიო ახოსპირელი, იროდიონ ევდოშვილი, დუტუ მეგრელი, ია ეკალაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, მარიამ გარიყული, სერგი გერსამია, თედო სახოკია, იოსებ გრიშაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, აკაკი შანიძე და სხვ.

„ემშაკის მათრახი“- ქართული ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1907-1908 წლებში, 1915-1917 წწ. 1919-1921 წწ. სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ: თ.ბოლქვაძე და ნ.კალანდაძე (ემშაკი). მხატვრული გაფორმება, კარიკატურები და ნახატები ეკუთვნოდა ო.შმერლინგს, შ.ქიქოძეს. დაიხურა გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით 1908 წელს. გამოცემა განახლდა 1915 წელს, გამოდიოდა 1917 წლამდე. ისევ შეწყდა მისი გამოცემა და განახლდა 1919 წ. იყო 1921

წლის თებერვლამდე. შუალედებში „ემმაკის მათრახი“ გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით: „მათრახი“, „მათრახი და სალამური“, „სალამური“, „ჩვენი სალამური“.

„ემმაკის მათრახი“ იყო აგრეთვე ქართული იუმორისტული ალმანახი. გამოდიოდა 1909 წელს. გამოვიდა ორი ნომერი. გამომცემელი იყო ვ.ცქიტიშვილი.

„ბზიკი“ - ქართული იუმორისტული ჟურნალი (1907 წ. თბილისი) იგი ჟურნალების „ეკალისა“ და „ოხუნჯის“ გაგრძელება იყო. პირველი ნომრის რედაქტორი იყო აკაკი წერეთელი, მე-2 ნომრის - პ.გაჩეჩილაძე. რიცხვისა და თვის მიუნიშნებლად გამოვიდა „ბზიკის“ ორი რვაგვერდიანი ნომერი.

„ხუმარა“ - ქართული ყოველკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი გამოვიდა 1907 წელს. რედაქტორ-გამომცემელი იყო აკაკი წერეთელი, გამოიცა მხოლოდ ერთი ნომერი. ფაქტობრივად იყო პირველი ქართული იუმორისტული ჟურნალი. ხელისუფლებამ აკრძალა გ.ზაზიაშვილის კარიკატურების გამო.

„ცეცხლი“ - პოლიტიკურ-სატირული კარიკატურებიანი ჟურნალი, გამოდიოდა 1907-1908 წლებში. გამოიცა სამი ნომერი თარიღების მიუთითებლად. რედაქტორ-გამომცემლები კ.სალუქვაძე (N1 და N3), ვ.კვინტრაძე (N2). ფაქტობრივი რედაქტორი იყო აკაკი წერეთელი. კარიკატურები ეკუთვნოდა მხატვარ როტერიშვილს (როტერს).

ამ და სხვა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული მასალა ბათუმზე, ამოღებულია მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული სატირულ-იუმორისტული პერიოდიკიდან.

ბათუმზე გამოქვეყნებულ წერილებს ხელს აწერდნენ: ბლიკვაძე (ფანჯუსე), ალექსანდრე მგელაძე (ბლიკვაძის სააგენტო), ნესტორ კალანდაძე (ემმაკი), ილიკო აბაშიძე (მეთვალყურე), პარმენ ლორია (საწყალი მუშა), დავით ჰავლიაშვილი (ავცია), კაპიტონ გოგოლაძე (კენტი), აპოლონ წულაძე (პიტნა) და სხვ.

რუბრიკებით: „საკვირაო მასლაათი“, „ჩვენებური ამბები“, „ნარევ-ნაკვეს გასართობი“, „დეპეშათა სააგენტოსგან“, „მოცლილი კაცის დღიური“, „მესტვირული“ და სხვა დაბეჭდილ მასალებში სატირის მახვილი მიმართულია იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი საჭირობოროტო საკითხებისადმი.

ყოველკვირეულ ჟურნალ „ემმაკის მათრახის“ (რედაქტორ-გამომცემელი თ.ბოლქვაძე 1908 წ.) მე-18 ნომერში გამოქვეყნებულია შ.გოფოძის წერილი „ბათომი“.

„სძინავს ბათომს სძინავს რაღაც ძალდატანებულ უიმედო ძილით და არც ფიქრობს გამოფხიზლებას. გაგვიქრა, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ჩვენს პატარა, მაგრამ მაღლიან ქალაქში ცხოვრება სდულდა და გადმოდიოდა...საერთო კრიზისმა და გაჭირვებამ ჩვენც ჩაგვიკაკუნა...საერთო ძილს ჩვენი ქალაქის „მამანიც“ ჩაუძინებია. მართალია, დროგამოშვებით ისინი იკრიბებიან ერთად, მაგრამ რაზე აქვს სჯა-ბაასი ალახმა უწყის. მცხოვრებლებს კი ამით არც გვცხელა, არც გვთბილა...წვიმა-ავდრებზე ქუჩებში ისეთი ტბები დგება, რომ ნავი გაცურდება. თუმცა ამ სენის თავიდან აცილება არც იმდენად საძნელო იყო, მაგრამ „მამები“ ასეთი საქმეებით თავს არ იტკენენ. ღამ-ღამობით ქალაქი ხშირად წყვდიადში რჩება, მაგრამ არც ამაზე ფიქრობს ვინმე... ცხოვრება ბათომში საშინლად გაძვირდა. სანოვაგეზე ფასი დღითი-დღე მატულობს“.

ამავე ჟურნალის მე-18 ნომერში „კენტის“ ფსევდონიმით დაბეჭდილია ორი ლექსი საერთო სათაურით - „ბათუმში“. ერთ-ერთია „ბოლნიცა“.

საავადმყოფოს ვესტუმრე
ჭაობში ჩამალულიყო,
ხმა ბაყაყების „საამო“
სუსხიდან მიმალულიყო...“

ყოველკვირეულ ჟურნალში „შურდული“ (რედაქტორ-გამომცემელი ს.თავდიშვილი, 1907 წ.) იბეჭდებოდა სატირულ-იუმორისტული წერილები „კიწავას სააგენტოსა“ და „ბლიკვადის სააგენტოს“ ხელმოწერით. აღნიშნული ჟურნალის პირველი ნომრის დეპეშების განყოფილებაში მოთავსებულია ორი დეპეშა ბათუმიდან. „აჭარა ამ დღეებში ჩამოვიდა რამოდენიმე რუსულის მცოდნე მუნჯი, სკოლებში რუსულის მასწავლებლად. მუნჯები უკვე შეუდგნენ თანამდებობის ასრულებას...“

„ბათუმი გასულ კვირას ცნობილმა პედაგოგმა ალექსანდრე ნათაძემ საკრებულო დარბაზში საჭირო ლექცია წაიკითხა ბავშვების აღზრდის შესახებ. ლექტორმა დაასაბუთა, რომ თუ მას კარგ დედებს ჩავაბარებთ, იმას შეუძლია კარგი შვილები ჩაგაბაროს. ლექტორი ხანგრძლივი მუშტის ცემით დააჯილდოვეს“.

ბათუმელი კორესპოდენტების მახვილ თვალს არაფერი გამოპარვია. იუმორისტული აღმანახის „მათრახი და სალამური“-ს (რედაქტორ-გამომცემელი ე.ტურაბელიძე, 1909 წ) სახელზე გაგზავნილი დეპეშიდან ვგებულობთ: „ბათომი. ხმები დადის ვითომც ქალაქის თვითმმართველობა ხოლერის ჯეროვან შესახვედრად არ ემზადებოდეს, ტყვილია. დანამდვილებით გავიგეთ, რომ ხოლერას სასეირნოთ უფასოთ დაეთმოა ალექსანდროვის ბაღი, სადაც „ნურია გელის“ ტბაში მობინადრე ბაყაყნი უფასო განუწყვეტელი ორკესტრით დაატკბობენ მათ ყურთა სმენას“.

აღნიშნულ ჟურნალში, გარდა დეპეშებისა ბათუმიდან, არის შეკითხვებიც, რომლის ავტორია „კვინწარი“. „მოეხსენება თუ არა „ემშაკს“, რომ ბათუმში 14 იანვარს გამართულ ქართულ სადამოზე სკოლის სასარგებლოდ რამე-რუმეების ზოგიერთმა გამყიდველებმა აღებული ფული ქე იმასქნეს!...რომ იმავე სადამოზე ზოგიერთი ნივთები, ლატარეაში სათამაშოდ ჩაგდებულნი, იმათ ჩაუვარდათ ხელში, ვისაც ეს ნივთები მეტის-მეტად მოეწონათ და ვინც წინდაწინ გამოსთქვამდნენ სურვილს, რომ ნეტავ ეს ნივთები მე ამომივიდესო? თუ მოეხსენება ეს, ამ არსებათ წინააღმდეგ რა ზომების მიღებას აპირებს?“.

ამავე ჟურნალში გაგზავნილი დეპეშის ავტორი შეწუხებულია ბათუმში წყლის უქონლობის გამო. „ბათომი. ბათომის ქალაქის თავს თავის დასაბანი წყალი ვერ ეშოვა და კინაღამ დაეჩქარებინა ახალი წყლის მიღების კეთება“. მე-4 ნომერში კი ამ დეპეშაზე დამამშვიდებელი პასუხია გაცემული. „ბათომი. ქალაქის თავმა უკვე გაიყვანა თავის კაბინეტში წყალი და ყოველდღე იბანს თავს“.

ქართულ სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთებს შორის ყველაზე დიდხანს გაძლო და ღრმა კვალი დატოვა ჟურნალმა „ემშაკის მათრახმა“, რომლის რედაქტორი იყო ნესტორ კალანდაძე, ხოლო ხელს აწერდა თეოფილე ბოლქვაძე. „ემშაკის მათრახის“ ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი ბათუმიდან იყო სახალხო მასწავლებელი და მწერალ-იუმორისტი ალექსანდრე მგელაძე. მის მესტვირულსა თუ სატირულ წერილებს, რომლებსაც „ბლიკვადისა“ და „ფანჯუსეს“ ფსევდონიმებით აქვეყნებდა, ბათუმელი მკითხველები მოუთმენლად ელოდნენ.

აღნიშნული ჟურნალის პირველივე ნომერში სათაურით „ბათუმის ავან-ჩავანი“ დაიბეჭდა „ბლიკვადის სააგენტოს“ მიერ მიწოდებული მასალა: „გაიხსნა კერძო ახალი გიმნაზია. ჯერ-ჯერობით მხოლოდ აკლიათ: 1. მთავრობის ნებართვა. 2. ნივთიერი საშუალება, 3. შესაფერი გამგის შოვნაც გასჭირდა. სხვა ხელის შემშლელი მიზეზი-არაფერია“.

საინტერესოა, ბლიკვადის ლექსი „მეზობლები“, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალში „მათრახი და სალამური“. ლექსს თან ახლავს კარიკატურა - ანდრონიკოვი (ბათუმის ქალაქის თავი ანდრონიკაშვილი) და ნიკო ნიკოლაძე (ფოთის ქალაქის თავი) ხვდებიან ერთმანეთს გზაზე. ანდრონიკოვს ცარიელი ტომარა აქვს მკლავზე

ჩამოკიდებული, ხოლო ნიკო ნიკოლაძეს სავსე ტომარა ზურგზე მოკიდებული - ლექსის შინაარსიდან ვგებულობთ, რომ ანდრონიკოვი მიემგზავრება პეტერბურგს ფულისთვის, ხოლო ნიკო ნიკოლაძე ბრუნდება იქედან ფულით. ლექსიც სწორედ მათი გაბაასებაა. მოგვყავს ნაწყვეტი:

ნ.ნიკოლაძე: „...მე მოვჩანჩალებ კი არა,
მოვდივარ დატვირთულიო,
პეტერბურგს ვიყავ, ფოთისთვის
ურიცხვი მომაქვს ფულიო...“

ნიკო ნიკოლაძის შეკითხვაზე - შენ საით მიემგზავრებიო, ანდრონიკოვი პასუხობს:

„პეტერბურგს მივალ, ეგების
ვიშოვო ორი გროშიო,
რომ ჩემს ბათუმსაც ვარგო რამ,
ამ კრიზისობის დროშიო“.

ნიკო ნიკოლაძე დაუფარავად ეტყვის - ტყუილად მიდიხარ პეტერბურგსო. განაწყენებული ანდრონიკოვი ეუბნება:

„მე განა შენზე ნაკლებ ვარ
და ცოტა მიცნობს ერიო...
რომ უკან გამომაბრუნონ
უფულო, ცარიელიო?!“

ჟურნალის ამავე ნომრის დეპეშების განყოფილებაში არის დეპეშა ბათუმიდან: „ბათუმის თავი ცარიელი დაბრუნდა პეტერბურგიდან“.

სახუმარო გაზეთ „მათრახის“ მე-3 ნომრის ახალი ამბების განყოფილებაში აღნიშნულია ასეთი ფაქტი: „ქ.ბათუმში ამ დღეებში მოხდა ქალაქის ხმოსანთა არაჩვეულებრივი კრება. კრებამ, როგორც ერთმა კაცმა, ერთხმად დაადგინა დაიქირაოს ქალაქმა თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული 200 სტრაჟნიკი შანტანჟისტებთან საბრძოლველად“.

არ შეიძლება ღიმილი არ მოგვევაროთ და თვალწინ არ დაგიდგეთ ჩვენს ირგვლივ მყოფი ზოგიერთი ადამიანი, როცა ბლიკვადის ლექსს წაიკითხავს გაზეთ „მათრახის“ მე-5 ნომერში.

„...ჩოქვითა და მეტანიით
ადი მალლა, აიცვალე,
შეძვერი და გამოძვერი,
რაც დღეს გითქვამს,
ხვალ შეცვალე.
გზა მოძებნე განდიდების,
გაიტანჯე და იწვალე,
სალექტორო კათედრაზე
წამოსკუპდი, გენაცვალე,
იბჟუტურე, იკიმიანე,
იფშუტე და იხვანხვალე
და ლექტორი (ჩინოვნიკი) დაგერქმევა,
თუ გადგია ცხვირს სათვალე.
ესეც თქვენი „ნამოღვაწი“
გამოჩნდება დღეს, თუ ხვალე,
თუ არა და - მე ეს ყური
კაკალ ძირში მიმათალე...“

ყოველკვირეულ ჟურნალში „ნიშადური“ „დროებითი ბათუმელის“ ფსევდონიმით არის მოთავსებული ლექსი „გამოცანა ბათუმელთათვის“.

„...პატარა და ცუგრუმელა,
გაუხდია კუჭი ღმერთად,
და ეტყობა ამ „მეცნიერს“
რომ არ არის მარტო, კენტად,
ცალმხრივი აქვს მიმართული
გული, სული, თვალი, ყური,
ცალმხრივადაც დაბერდება
„კაპიტალის“ მოყვარული...“

ამავე ჟურნალის მე-9 ნომერში მოთავსებულია დიდი ქართველი მამულიშვილის მემედ აბაშიძის წერილი - „ქართველ მაჰმადიანების გამოხმაურება“, რომელმაც არ შეიძლება მკითხველზე შთაბეჭდილება არ მოახდინოს> „...რა დასამალია, რომ ჩვენი ესოდენ ტანჯვის ატანა, პირუტყვული მოთმინება და მორჩილება მხოლოდ ჩვენი უვიცობისა და უმეცრების ბრალია! მასთან ერთად ამასაც თუ დავივიწყებთ, რომ დღეს ჩვენი ოლქის ზოგიერთი ნაწილების მცხოვრებთა შორის თუ მხედველობაში პროვოკატორებს და კოჭის მოციქულებს არ მივიღებთ, სხვა მცხოვრებთა ზნე, პატიოსნება, სიმართლე და ვაჟკაცობა, ისევ შეურყვნელად არის დაცული. სამართლის აღსადგენად და უსამართლობის საწინააღმდეგოდ, ჩვენი შემოქმედებითი, მღელვარე ნიჭი ნურავის ნუ ჰგონია, რომ სრულებით გამქრალი იყოს“.

სატირა და იუმორი არც გასაბჭოების შემდეგ გამქრალა, პირიქით, კიდევ უფრო აქტუალური გახდა და ახალი თემებიც დაემატა.



1923 წლის 3 ივნისიდან თბილისში გამოდიოდა სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“, თვეში 2-ჯერ. 1924-1930 წლებში იგი გამოდიოდა „ტარტაროზის“ სახელწოდებით, როგორც გაზეთ „მუშის“ დამატება. 1931 წლიდან გამოვიდა ისევ „ნიანგის“ სახელწოდებით. ჟურნალი ამხელდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს. ბეჭდავდა სატირულ და იუმორისტულ ნაწარმოებებს, ნახატებსა და კარიკატურებს. თანამშრომლობდნენ ცნობილი მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ: ს.თოდრია, სანდრო ეული (ქურიძე), გრ.აბაშიძე, ვ.ჭელიძე, ნ.დუმბაძე, ზ.გემაზაშვილი, ზ.ბოლქვაძე და სხვ.

ჟურნალის დამატება - „ნიანგის ბიბლიოთეკა“ ყოველწლიურად გამოსცემდა სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებთა 12 კრებულს.

გამკითხავი სიცილი ბასრ ხმალზე უფრო მჭრელიაო, ბრძანებდა დიდი ილია და მართლაც, აქ მოყვანილი მცირეოდენი სატირულ ლექსები, დეპუშები და წერილებიც კი საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ რა პირუთვნელად ამხელს და ამათრახებს, მთელი ერის წინაშე წარმოაჩენს ეპოქისათვის დამახასიათებელ საზოგადოების მანკიერ თვისებებს ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთები, აღმანახები და კრებულები. ეს კი ნათლად მეტყველებს, რომ ქართული სატირული პერიოდიკა მებრძოლი სიცილით დაწერილი ისტორიაა.

გამოყენებული ლიტერატურა და პრესა

1. ქ.მიქაძე ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1984 წ.
2. ჟურნალი „ემშაკის მათრახი“, 1908 წ. N18, გვ.13
3. იქვე, N16, თბ., 1908 წ.
4. ჟურნალი „შურდული“, თბ., 1907. N11
5. იქვე, გვ. 11
6. აღმანახი „მათრახი და სალამური“, თბ., 1909,N26
7. იქვე, N19
8. იქვე, N 3
9. ჟურნალი „ემშაკის მათრახი“, თბ., 1907, N 1
10. ჟურნალი „მათრახი სა სალამური“, თბ., 1909, N 20
11. გაზეთი „მათრახი“, თბ., 1908, N 3
12. იქვე, N 5
13. ჟურნალი „ნიშადური“, თბ., 1907, N 7
14. იქვე, N 9
15. ქსე, ტ.II, IV, თბ., 1979, გვ. 353, 62, 258, 629.
16. ქსე. ტ.V, VI, IX, XI - თბ., 1981, 1985, 1987, გვ.277, 453, 141, 50.



1908 թ. 10 ՀԱՌ


ՇՈՒՆԱԳՐ

№ 22

ՉԱՊԱՅԱՆԱԿԱՆ ԿՐՈՆՈՒԹՅԱՆ

1908 Վ.

Ֆելստեինի Երգեցող




Ինչպե՞ս հարգեմք
հայրենի օրհեստը
և աշխարհը
և բնակչության մեր
և հայրենի երկիրը

1908 թ. 10 ՀԱՌ

ALFA ROMEO

ԻՍԽԱՆԻ ԳԵՂԱՑԻ

№ 2



1342 Ն.Ո.

Բայց ինչպե՞ս հարգեմք հայրենի օրհեստը և աշխարհը և բնակչության մեր և հայրենի երկիրը

Գլխի քնի ճանաչում

1907 թ. 10 ՀԱՌ

ԻՍԽԱՆԻ ԳԵՂԱՑԻ

№ 2

ՉԱՊԱՅԱՆԱԿԱՆ ԿՐՈՆՈՒԹՅԱՆ

1907 Վ.

Ֆելստեինի Երգեցող



Ինչպե՞ս հարգեմք հայրենի օրհեստը և աշխարհը և բնակչության մեր և հայրենի երկիրը

1907 թ. 10 ՀԱՌ

ԴԻՄԻՏՐԻ ԳԵՂԱՑԻ

№ 3

1907 Վ.



Ինչպե՞ս հարգեմք հայրենի օրհեստը և աշխարհը և բնակչության մեր և հայրենի երկիրը

ბათუმის ერთი ქუჩა – გოგებაშვილის ქუჩა

გოგებაშვილის ქუჩა მდებარეობს ქ. ბათუმის შემოსასვლელში. გასდევს სანაპირო ზოლს და ქალაქის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. ქუჩა იწყება ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანთან და მთავრდება საბაგიროსთან. 2010 წლამდე ქუჩა გრძელდებოდა იოსებ ნონეშვილის ქუჩამდე (ბარცხანა). ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით გოგებაშვილის ქუჩად დარჩა ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედნიდან საბაგირომდე მდებარე მონაკვეთი, ხოლო დანარჩენ ნაწილს საბაგიროდან ნონეშვილის ქუჩამდე დაუბრუნდა ძველი სახელი და ეწოდა ბაქოს ქუჩა.

სხვადასხვა დროს ქუჩას მინიჭებული ჰქონდა სანაპიროს, ბაქოს, ლეიტენანტ შმიდტის, ქობულეთის და ლავრენტი ბერიას სახელები. 1954 წელს კი მიენიჭა გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის სახელი.

იაკობ გოგებაშვილის ქუჩა ქალაქის ყველაზე ძველ და ისტორიულ ქუჩას წარმოადგენს. ქუჩის ტერიტორიაზე ცალკეული დასახლებები ჯერ კიდევ მე-18 ს. II ნახევარში გაჩნდა, ხოლო რაც შეეხება თავად ქუჩას, იგი წარმოიქმნა მე-19 ს. I ნახევარში. იმ პერიოდისათვის ფაქტიურად ეს ერთი სანაპირო ქუჩა არსებობდა, რომელიც ძალზე ვიწრო იყო და ეწოდებოდა „ალი კიისი“. ქუჩა დაფარული იყო წვრილი ხრეშით, შუაში კი გადიოდა არხი წყლისათვის. (ახვლედიანი, 1944: 172). 1888 წ. 25 სექტემბერს ბათუმს ესტუმრა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ოჯახთან ერთად. იმპერატორის სტუმრობასთან დაკავშირებით ქალაქის სამეურნეო საბჭოს მიერ მოიკირწყლა ყველა ის ქუჩა, სადაც იმპერატორს უნდა გაევიღო. ვინაიდან იგეგმებოდა იმპერატორის მიერ ქალაქის ბადის მონახულება და სობოროს ტაძრის საძირკვლის ჩაყრა. ასევე მოიკირწყლა ის ქუჩები, რომლებიც გადიოდა რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებების ნავმისადგომებთან. მათ შორის იყო გოგებაშვილის ქუჩაც.

ქ.ბათუმის თვითმმართველობამ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს პირველ რიგში პორტთან მიმავალი გზების გაყვანის თაობაზე. მომზადდა პროექტი, რომელიც დამტკიცდა 1890 წლის 16 თებერვალს. პროექტი შეადგინეს ბათუმში მივლინებით ჩამოსულმა ქუთაისის გუბერნიის ინჟინერმა სლიუჟინსკიმ, ქალაქის არქიტექტორმა ლენჩინსკიმ და თვითმმართველობის წევრმა კოიანდერმა. ქუჩები დაიყო 3 ჯგუფად: I ჯგუფს მიეკუთვნებოდა ის ქუჩები, რომელზედაც უნდა გაევიღო საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ტვირთს ნავთობპროდუქტების გარდა. II ჯგუფში ერთიანდებოდა ის ქუჩები, რომელზეც გაივიღა ნავთობპროდუქტები და ზეთი. III ჯგუფში შედიოდა სანაპიროს ქუჩა, რომელზეც გაივიღა ყველანაირი ტვირთი და ამიტომაც მას ჰქონდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ეს სამუშაოები შესრულდა 1891 წ. ქალაქის არქიტექტორის ა.სოზინოვისა და თვითმმართველობის წევრის ა.კოიანდერის მიერ (Батумь и его окрестности, 1906:524-525).

გოგებაშვილის ქუჩა ყველაზე ხმაურიანი და ხალხმრავალი ქუჩა იყო და ქალაქის სავაჭრო ნაწილს წარმოადგენდა იქ გახსნილი უამრავი წვრილი სავაჭრო დუქნებით. აქ სახლების I სართულებზე გახსნილი იყო მაღაზიები და კაფეები. ამ ქუჩაზე ყველაზე მეტად შესამჩნევად სცემდა ქალაქის ცხოვრების პულსი. „სანაპიროზე მიმოსვლა არ წყდებოდა არც დღისით და არც ღამით. აქ მაღაზიებს ევროპული გემოვნების ადგილობრივი მკვიდრნი - ქართველი მუსლიმანები გაურბოდნენ. აქ შეხვდებოდით

აღმოსავლელ ქალებს, რომლებიც თავიდან ფეხებამდე შემოსილი იყვნენ მუქი ფერის ბალახონებითა და მჭიდროდ ჰქონდათ პირი აკრული. აქ პირდაპირ ტროტუარებზე იყო გახსნილი მრავალრიცხოვანი საყავეები, სადაც ათეულობით ეროვნების ადამიანთა ნახვა შეიძლებოდა, განსაკუთრებით თურქების და ბერძნების. ისინი ჩაფიქრებით სვამდნენ ყავას ან თამაშობდნენ ნარდს. სანაპიროზე ასევე შეხვდებოდით რუსული და საზღვარგარეთის გემების მატროსებს, რომლებიც ჩამოდიოდნენ ბათუმის ყურეში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან. აქვე სანაპიროზე დაინახავდით ნავებს მეთევზეებთან ერთად. მეთევზეები აქვე ყიდდნენ თავიანთ საქონელს. სანაპიროსთან ახლოს მდებარეობდა ქალაქის სიამაყე- თურქული ბაზარი, სადაც ასამდე სავაჭრო დუქანი იყო განთავსებული. დუქნებში იყიდებოდა ყველაფერი, რასაც იცვამდა და რითაც იკვებებოდა ადგილობრივი მკვიდრი, ასევე რაც შეიძლებოდა მოეთხოვა ნაპირზე ჩამოსულ უცხოელ მატროსს“ (Батумское побережье. Русские тропики, 1911:130-133).

სანაპიროზე მდებარეობდა ქალაქის საუკეთესო სასტუმროები, რომლებიც ყოველთვის გადატვირთული იყო სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრებით. სანაპიროზე მდებარე ნავმისადგომთან ჩერდებოდნენ როგორც შინა, ასევე საზღვარგარეთ ნაოსნობის გემები. აქ განლაგებული იყო რუსული სავაჭრო და სანაოსნო საზოგადოებების როგორც ნავმისადგომები, ასევე საზოგადოებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სწრაფ საფოსტო გზავნილებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პორტებს შორის. ამავე ქუჩაზე ფუნქციონირებდა საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების სავაჭრო და სამრეწველო-სანაოსნო საზოგადოებებიც, მათ შორის ფრანგული სანაოსნო ორგანიზაცია „ჰაკე“, ჩრდილო გერმანული „ლოიდი“, ავსტრიის „ლოიდი“, იტალიის ნაციონალური საზოგადოება, რუსეთ-დუნაის ორგანიზაცია და სხვა. აქვე სანაპიროზე იყო განთავსებული საბაჟო, საპორტო სამმართველო, საზღვაო სანაოსნოს კანტორა და საწყობები, სამხედრო გუბერნატორის კანცელარია და სხვ (Соловкин, Батумское побережье. Южная колхида, 1919:45).

ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანი, საიდანაც იწყება გოგებაშვილის ქუჩა, ჩვენი ქალაქის გული და მრავალი დიდი საქმის მომსწრე და მოწმეა. იგი დღესაც ქალაქის ცენტრალურ მოედანს წარმოადგენს, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტარდებოდა და დღესაც ტარდება ყველა სადღესასწაულო ზეიმი. ადრე ეს მოედანი აზიზიეს მოედნის სახელით იყო ცნობილი. ის ქალაქის ერთ-ერთი ხალხმრავალი ადგილი იყო. აქ იდგა დიდი ქვის მეჩეთი, მინარეთიანი, გამოცალკავებული ვრცელი ეზოთი. აზიზიეს მეჩეთი ბათუმში 1868 წ. აშენდა ოსმალეთის სულთან აბდულ აზიზის დედის ვალიდე ხანუმის მიერ და სულთანის საპატივცემულოდ აზიზიეს მეჩეთი ეწოდებოდა. (Суворов, 1895:3). მეჩეთი დაანგრის საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში XX ს. 30-იან წლებში.

ამ მოედანზე 1921 წ. 18-20 მარტს გააფრთხილებული ბრძოლები მოხდა გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ოსმალების წინააღმდეგ, რომლებიც 1921 წ. 16 მარტს ბათუმში შემოიჭრნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისკაცებმა და სამოქალაქო პირებმა გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით გაათავისუფლეს ბათუმი, რითაც აჭარა დედა-საქართველოს შეუწარჩუნეს.

ბრძოლაში დაიღუპა 80-ზე მეტი მამულიშვილი, მათგან 50 მეზრდოლი 23 მარტს დაკრძალეს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში საფლავი დაფარეს ასფალტით, აქციეს ტრანსპორტის სავალ ნაწილად.

ისტორიის ეს თეთრი ლაქა გამოსწორდა 1990 წლის გაზაფხულზე, როცა ბათუმის საზოგადოებამ აღადგინა დაკარგული საფლავები. 1990 წ. 19-28 მაისს ეროვნული

მოდრაობის წარმომადგენლებმა გათხარეს დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი ჯარისკაცების საფლავები, რათა ნათელი მოეფინათ ისტორიისათვის, აღესრულებინათ მათი ხსოვნისადმი ყველა აუცილებელი რიტუალი. საფლავებიდან ამოღებული ძვლები ახალ კუბოებში გადაიტანეს და 3 ივნისს იქ დაკრძალეს, სადაც მათი ადრინდელი ადგილსამყოფელი იყო. „3 ივნისს უამრავი ხალხი შეიკრიბა თეატრის წინ მდებარე მოედანზე 1921 წ. 18-20 მარტს ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ მამულიშვილებთან გამოსათხოვებლად.

თეატრის ფოიეში სამფეროვანი დროშებით მორთული 50 კუბო ესვენა. სამგლოვიარო მუსიკის ფონზე პროცესია სამმო საფლავისაკენ დაიძრა. მოედანი აავსო ხალხის ტალღამ და გმირი ჯარისკაცები სამმო საფლავში დაასაფლავეს“. (გაზ. „აჭარა“ 1990: 5 ივნისი).

აჭარის გასაბჭოების შემდეგ მოედანს ლენინის სახელი დაერქვა და დაიდგა ლენინის ძეგლი. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ლენინის ძეგლის დემონტაჟის შემდეგ (1990 წ. აპრილი) მას თავისუფლების მოედანი ეწოდა. 1991 წლიდან კი დაერქვა საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი. 2012 წლის 26 თებერვალს ბათუმ-ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით გმირთა საფლავზე აღიმართა ქვაჯვარი. ქვაჯვარის ავტორია ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ხუროთმოძღვარი ელგუჯა გოგობია. (ჩიგოგიძე. აქმ ხვ. 2014).

საბჭოთა პერიოდში ლენინის მოედანზე წელიწადში 2-ჯერ ეწყობოდა მშრომელთა დემონსტრაციები: 1 მაისს - მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს და 7 ნოემბერს - ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავებთან დაკავშირებით. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ მშრომელები, სტუდენტები და მოსწავლეები. საზეიმოდ ირთებოდა მოედანი და მოედნისპირა სახლები პლაკატებით, ტრანსპარანტებით, ალისფერი ალმებით. სახლების ფასადებზე მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ენებზე წარწერილი იყო სიტყვები: მეგობრობა, ძმობა, მშვიდობა. ლენინის ძეგლის ორივე მხარეს ფლაგმტოკებზე ფრიალებდა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები, მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადების კ.მარქსისა და ვ. ლენინის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრების პორტრეტები.

საგანგებოდ მოწყობილ ტრიბუნაზე იდგნენ აჭარის ასსრ და ქ. ბათუმის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიის, შრომისა და ომის ვეტერანები, სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

ზღვა ხალხი იკრიბებოდა დილიდან ლენინის მოედანზე. აქ იყვნენ მუშები და მოსამსახურეები, მათი ოჯახის წევრები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული სტუმრები.

დემონსტრაცია იწყებოდა დილის 10 საათზე და 2 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ნაკრები სასულე ორკესტრი უკრავდა საზეიმო მარშს.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები ქმნიდნენ ცალკეულ კოლონებს. მწკრივში ეწყობოდა 10-10 კაცი. კოლონებს შორის მანძილი იყო 5 ნაბიჯი.

ტრადიციისამებრ ბათუმის მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაცია ბათუმის საშუალო სკოლების პიონერებისა და მოსწავლეების მარშით იწყებოდა. ეს იყო ვრცელი და თვალწარმტაცი, შთამბეჭდავი, ამაღელვებელი სანახაობა. საზეიმო მარშით, ლამაზად გაფორმებული კოლონებით, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით მოდიოდნენ

ნორჩი დემონსტრანტები. მოჰქონდათ ყვავილები, ხატოვანი ტრანსპარანტები, ასრულებდნენ სპორტულ ვარჯიშებს, წარმოადგენდნენ ოქტომბრის იუბილისადმი მიძღვნილ კომპოზიციებს, სადღესასწაულო თეატრალიზებულ წარმოდგენებს (გაზ. „აჭარა“. 1987 წ. 8.11, N 216)

პირველ კოლონას ქმნიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანები. მეორე კოლონაში იყვნენ ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულები. მათ მოჰყვებოდნენ ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები და ქალაქის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები. ერთმანეთს ცვლიდნენ ბათუმის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეები, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, აჭარის ასსრ სამინისტროებისა და მათი საქვეუწყებო დაწესებულებების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ქალაქის სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების თანამშრომლები. დემონსტრაცია მთავრდებოდა ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კურსანტებისა და ლექტორ-მასწავლებელთა გამოსვლით.

ყველა კოლონაში დიდი სიყვარულითა და მოწიწებით მოჰქონდათ მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადების პორტრეტები, მოაფრიალებდნენ წითელ დროშებს, ტრანსპარანტებს, პლაკატებს.

დემონსტრანტთა კოლონები ნუმერაციის მიხედვით გადიოდნენ გოგებაშვილის ქუჩიდან ლენინის მოედანზე. ჩაუვლიდნენ მთავრობის ტრიბუნას რუსთაველის პროსპექტით, გადიოდნენ ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკთან და დაიშლებოდნენ. (გაზ. „აჭარა“. 1987. 5.11. N213:3.)

ლენინის მოედანზე მშრომელთა დემონსტრაცია ბოლოს ჩატარდა 1988 წლის 7 ნოემბერს.

ლენინის (ყოფ. აზიზიეს) მოედნის მიმდებარედ მდებარეობდა სამხედრო სიმაგრე „ბურუნ ტაბიე“. (კონცხის სიმაგრე) სიმაგრე 1864-1867 წლებში იქნა აგებული ოსმალეთის ხელისუფლების მიერ. მასზე განლაგებული იყო თურქული სამხედრო გარნიზონი. საბჭოთა პერიოდში კი ამ ადგილზე იდგა რუსული გარნიზონი, რომელიც გავიდა 2004 წელს. „ბურუნ ტაბიეს“ კონცხთან ზღვის სანაპირო ზოლში საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფუნქციონირებდა სპორტული კომპლექსები „განთიადი“ და „დინამო“, რომლებიც დაინგრა ბულვარის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით და გაყვანილი იქნა ახალი სასეირნო ბილიკები.

სანაპირო ზოლის დიდი ნაწილი ეკავა ბათუმის გემთსაშენ საწარმოს, რომელიც 1957 წ. ქარხნად გადაკეთდა. ქარხანაში მზადდებოდა მსუბუქი ტიპის სამგზავრო 145 ადგილიანი გემები, 96 ადგილიანი სამგზავრო კატარლები, 6 ადგილიანი სწრაფმავალი კატარლები და სატვირთო ნავები.

პროდუქციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენდა კატარა - აგრომარხილი, რომელიც განკუთვნილი იყო პოლარული სადგურებისათვის და მოძრაობა შეეძლო როგორც წყალზე, ასევე თოვლსა და ყინულზე. ასევე მზადდებოდა წყალქვეშაფრთიანი ჩქაროსნული კატარლები, რომლებიც 80 კმ. სიჩქარეს ავითარებდა საათში. 1995 წლიდან ქარხანა გადაიტანეს ახლად აგებულ კეთილმოწყობილ კორპუსში (კომახიძე, 2011:444), ძველი შენობა კი დაინგრა საზღვაო ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით XX ს. 90-იან წლებში და იმ ადგილას გაკეთდა ახალი პარკი, სადაც არის სასეირნო ბილიკი, სკვერი და სასეირნო კატარლების ნავმისადგომი.

2012 წ. 12 ოქტომბერს ამ ახალი პარკის შესასვლელთან ჭაჭის შადრევანი გაიხსნა. ყოველ დღე 19 საათზე ახალ პარკში მიმსვლელებს ჭაჭის არაყის უფასოდ დალევის

შესაძლებლობა აქვთ. ყოველდღე 10 წთ-ის განმავლობაში კომპიდან სხვადასხვა სახეობის ჭაჭის არაყი გადმოედინება. 25 მეტრიანი კომპის შენობას 4 აუზი აქვს. ჭაჭის დაგემოვნების მსურველებს სპეციალური სენსორული აპარატი ჭაჭას ჭიქაში ჩამოუხსამს. შენობას 5 გუმბათი აქვს. ბათუმის ჭაჭის კომპის ანალოგიური შენობა თურქეთის ქ.იზმირში მდებარეობს.

ბათუმში გოგებაშვილის ქუჩაზე რამდენიმე შენობა არქიტექტურული ძეგლის სტატუსს ატარებს. ერთ-ერთი მათგანია გოგებაშვილის ქ. N3-ში მდებარე ბათუმის საზღვაო ნავსადგური. ამ ლამაზ შენობაში აჟურული სვეტები, ბეტონი, მინა, სივრცე და მოხერხებულობა კარგადაა შერწყმული მკაცრ არქიტექტურულ ფორმასთან. შენობის სვეტებიანი ფრთების სიმაღლე 9,25 მეტრია, ცენტრალური ნაწილისა 18,5 მ. ხოლო შპილისა 20 მ. შენობა არქიტექტორების ვ.გოლოვინისა და ვ.კრემლიაკოვის პროექტის მიხედვით ააგო ტრესტ „ნოვოროსიისკსტროის“ N435 სამმართველომ (სამუშაოთა მწარმოებელი ი.კორძაია) 1962 წელს. (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1962, 9 სექტემბერი).

ბათუმის საზღვაო ვაგზალში შემოდიან დიდი წყალწვის გემები. თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობითა და ბუნებრივად ღრმაწყლიანი სანაპიროთი ბათუმის საზღვაო ვაგზალი და ნავსადგური დღეისათვის საუკეთესოა შავი ზღვის აუზში.

საზღვაო ვაგზლის მოპირდაპირე მხარეს გოგებაშვილის ქ.N8 ახალი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. ადრე ამ ადგილას მდებარეობდა ცნობილი სასტუმროები „ბელვიუ“ და „ორიენტალი“, ეს სასტუმროები მოიცავდა მთელ კვარტალს და გადიოდა 4 ქუჩაზე- ლორის მელიქოვის, სომხის შესახვევის, ელიავას და ქუთაისის ქუჩაზე. ორივე შენობა აგებული იყო XIX ს. ბოლოს. წყაროების მიხედვით სასტუმრო „ბელ-ვიუ“ კურტ-ოლლის საკუთრება იყო. შემდეგ ჩილინგარიანის. სასტუმრო „ორიენტალი“ ასევე კურტ-ოლლის საკუთრება იყო, ხოლო მფლობელი იყო ე.ს.ბერძენიშვილი. ეს სასტუმროები მდებარეობდა ქალაქის საუკეთესო ნაწილში პორტისა და სავაჭრო კანტორების ახლოს ზღვის ხედიით. მშრალი და ნათელი ნომრების ფასი იყო 1 მანეთი და უფრო ძვირი. სასტუმროებს ჰქონდათ სრული კომფორტი სტუმრებისათვის. სასტუმრო „ორიენტალში“ ფუნქციონირებდა პირველი კლასის რესტორანი, აბაზანები და დუშები ზღვისა და ჩვეულებრივი წყლით, გაზეთები და ჟურნალები ადგილობრივ და რუსულ ენებზე, იყო ტელეფონი და ჰყავდათ თარჯიმნები (Всеобщий адресь ежегодникъ г.Батума на 1902 г. Н.С.Державина, 1902:96-97) საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში ფუნქციონირებდა აჭარის არ შინაგან საქმეთა სამინისტრო. ვარდების რევოლუციის შემდეგ (2004 წ.) სამინისტრო გაუქმდა და იგი ფედერალურ დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო შენობა აუქციონის წესით ინვესტორმა შეიძინა, რომელიც იმავე ადგილზე პირვანდელი სახით ახალ სასტუმრო კომპლექსს აშენებს.

გოგებაშვილის ქ. N12-14-ში მდებარე შენობას ბათუმელები და მისი სტუმრები იცნობენ „ჩაის სახლის“ სახელით. სახლი აშენებულია XIX ს. ბოლოს და ეკუთვნოდა ა.ს. ჩილინგარინს. 1922 წ. ნაციონალიზაციის შემდეგ იქ განთავსდა სავაჭრო სახლი სახელწოდებით „მატივეიჩი და კომპანია - ბათუმი“, მოგვიანებით კი სავაჭრო პორტის სამმართველო. ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ამ შენობას საბჭოთა პერიოდში მრავალფუნქციური დატვირთვა ჰქონდა. ქართული ჩაის პოპულარიზაციის მიზნით აქ მოქმედებდა „ჩაის სახლი“, სადაც იმართებოდა ჩაისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები. 2004 წ. შენობა ინვესტორმა შეიძინა და ორ სართულს კიდევ ორი სართული დააშენა. სახლს ამჟამად მრავალფუნქციური დანიშნულება აქვს.

გოგებაშვილის ქ.N18-ში მდებარე სახლი, სადაც ახლა საპატრიარქოს საბავშვო ბაღია განთავსებული, აშენებულია XIX ს. 50-იან წლებში და ეკუთვნოდა რუსეთის ვიცე-

კონსულს ჯიუდიჩს. ეს ადგილი ადრე ხშირი ტყით იყო დაფარული. ტყეში დაშლივინებდა გარეული ღორის ჯოგები (ჯგუფები). რუსეთის კონსულს ჯიუდიჩს, როდესაც 1856 წელს დაიწყო სახლის მშენებლობა, მოუხდა ტყის გაჩეხვა. „ჩემი სახლის ფანჯრებიდან შეიძლებოდა ტახზე ნადირობა“ - იგონებდა პ.ჯიუდიჩი. (უზუნამე,1997: 20). ბათუმში რუსების შემოსვლის შემდეგ ჯიუდიჩის სახლი ყველაზე კარგ სახლად ითვლებოდა. სახლს ჰქონდა შესანიშნავი ბაღი. ჯიუდიჩი იყო მცენარეების დიდი მოყვარული.ის საზღვარგარეთიდან და სხვა ადგილებიდან იწერდა იშვიათი ჯიშის ეგზოტიკურ და დეკორატიულ მცენარეებს. შემდეგ ამ ბაღიდან ბევრი იშვიათი მცენარე გადაურგავთ ქალაქის პარკში (Батумь и его окрестности,1906: 637).

ბათუმის რუსეთთან შეერთების შემდეგ ჯიუდიჩის სახლი შეისყიდა სახელმწიფო ხაზინამ და განკუთვნილი იყო ბათუმის ოლქოს სამხედრო გუბერნატორის დასაბინავებლად. წლების განმავლობაში ამ სახლში ცხოვრობდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე დრიაგინი, ამიტომ ამ სახლს შეერქვა „გუბერნატორის სახლი“ (Батумь и его окрестности, 1906:26)

საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში განთავსებული იყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საბავშვო ბაღი.ბაღს XX ს. 80-იან წლებში ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. რეკონსტრუქციის შემდეგ შენობა გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს, კერძოდ ბათუმ-ლაზეთის ეპარქიას და აქ განთავსდა ეპარქიის საბავშვო ბაღი.

გოგებაშვილის ქ.N16, საიათნოვას ქ.N1 მდებარე სახლი, რომელიც XX ს. დასაწყისშია აშენებული,ა.ს. ჩილინგარიანის საკუთრება იყო 1922 წ. მოხდა შენობის ნაციონალიზაცია. საბჭოთა პერიოდში შენობის II სართულზე განთავსებული იყო „ინტერკლუბი“ და მეზღვაურთა კლუბის სააქტო დარბაზი. 2001 წ. შენობა შეისყიდა ინვენსტორმა, რომელმაც მოახდინა მისი რესტავრაცია, შუა ნაწილში დააშენა მე-3 და მე-4 სართული. შენარჩუნებულია მისი ფასადის პირვანდელი სახე. ამჟამად შენობას მრავალფუნქციური დანიშნულება აქვს.

არქიტექტურული ძეგლის სტატუსს ატარებს გოგებაშვილის ქუჩის N22-ში მდებარე შენობება, რომელიც აშენებულია XIX ს. 80-იან წლებში და აქ განთავსებული იყო სასტუმრო „ნეაპოლი“. სასტუმროს მეპატრონე იყო მემლი ზადე და საბლი. შენობის ნაციონალიზაცია მოხდა 1922 წ. და იქ მაცხოვრებლები შეასახლეს. (газ. „Известия“ 1922 г. 15 апр. №82). 1948 წ.ამ შენობის პირველ სართულზე გაიხსნა ბავშვთა სამხატვრო სკოლა, რომლის დირექტორად წლების მანძილზე მუშაობდა აჭარის დამსახურებული მხატვარი შოთა ზამთარაძე. სამხატვრო სკოლა ამჟამადაც განაგრძობს ფუნქციონირებას.შენობაზე გაკრულია ორი მემორიალური დაფა, რომლებიც გვამცნობენ, რომ ამ სახლში 1905-1908 წ.წ. ცხოვრობდა ცნობილი პოლონელი მხატვარი ზიგმუნდ ვალიშევსკი, ხოლო 1950-1979 წ.წ. აჭარის დამსახურებული მხატვარი გრაჩ სეჩენიანი.

შთამბეჭდავი სანახავია გოგებაშვილის ქ. N24, ხულოს ქ.N1 მდებარე ორსართულიანი შენობა, რომელიც ასევე არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს.სახლი აშენებულია 1905 წ. პარკენტანიანის მიერ და მის საცხოვრებელს წარმოადგენდა. აქვე განთავსებული იყო ფრანგული სანაოსნო კომპანია „პაკე“, რომლის სათაო ოფისი მარსელში მდებარეობდა (Справочник - Указатель Аджаристана на 1924:22). 1936 წ. პარკენტანიანს სახლი ჩამოართვეს და იქ სხვა მაცხოვრებლები შეასახლეს. (ამ სახლში მცხოვრები ექიმ კოსტია პახატურიძის ინფორმაცია. 2007 წ. 9 მარტი). სახლის I სართულზე 2008 წლამდე ფუნქციონირებდა გამომცემლობა „აჭარა“, შემდეგ კი შეისყიდა „VTB“ ბანკმა, რომელიც აქ დღესაც ფუნქციონირებს.

ზღვის სანაპიროზე იახტ კლუბთან ახლოს მდებარეობს რესტორანი „სანაპირო“. ის აერთიანებს ორ რესტორანს და სამ კაფე-ბარს. მთლიანობაში აქ 500 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი. ორივე რესტორანში არის ცოცხალი მუსიკა.

უკანასკნელ წლებში გოგებაშვილის ქუჩაზე აშენდა ორი ფემინებელური სასტუმრო „ადმირალი“ და „ლე პორტი“.

სასტუმრო „ადმირალი“ მდებარეობს გოგებაშვილის ქ. N20. სასტუმრო აშენდა 2014-2015 წლებში Vitra ჯგუფის მიერ. Vitra ცნობილი ინდუსტრიული ჯგუფის ელზასიბასის შვილობილი კომპანიაა, რომელიც დაფუძნდა 1948 წ. და ამჟამად მსოფლიოში 40-მდე კომპანიას ფლობს საქართველოში ბრენდ Vitras დაკომპლექტებული პროექტებია იუსტიციის სახლი, სასტუმროები „შერატონი“, „რედისონი“, „ჰილტონი“, „ტექნოლოგიური უნივერსიტეტი“ და სხვა.

სასტუმრო „ადმირალი“ 4 ვარსკვლავიანი, 80 ადგილიანია. კორპუსი არის 5 სართულიანი შესანიშნავი ზღვის ხედით. სასტუმროში არსებული სიმყუდროვე, ქართული სტუმართმოყვარეობა, თვალწარმტაცი ხედები და ელევანტურად გაწყობილი ოთახები სტუმრებს უქმნის ყველა პირობას, რომ თავი იგრძნონ კომფორტულად. სასტუმროსთან ფუნქციონირებს მაღალი კლასის ბარ-რესტორანი, რომელიც სტუმრებს შესანიშნავ ქართულ და ევროპულ კერძებს სთავაზობს.

ყოფილი მეზღვაურთა საავადმყოფოს ადგილზე გოგებაშვილის ქ.N30. 2013-2014 წლებში აშენდა მაღალი კლასის აპარტ -ოტელი „ლე პორტი“, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 2014 წ. 14 აგვისტოს. სასტუმრო „რედიქს“ ჯგუფის დამფუძნებლის ლამა პაპაშვილის საკუთრებაა. „ლე პორტის“ მშენებლობა 10 მლნ აშშ დოლარი დაჯდა. სასტუმრო 45 აპარტამენტიანია. I სართულზე ფუნქციონირებს უმაღლესი კლასისა და ევროპული სტანდარტის „რედ კაფე“. „ლე პორტის“ 45 ნომრიდან 2 ერთადგილიანი, 34 ორადგილიანი და 7 სამოთახიანი საცხოვრებელი ფართობია, ბოლო სართული (სასტუმრო 5 სართულიანია) ფემინებელურ აპარტამენტებს ეთმობა, სადაც შავი ზღვისა და ქალაქის ულამაზესი ხედები იშლება. ყველა ბინა აღჭურვილია ავეჯით, აქსესუარებითა და სამზარეულო ტექნიკით. „იგრძენი თავი საკუთარ სახლში“-ეს“ ლე პორტის“ სავიზიტო ბარათია. მისი მდებარეობა, თანამედროვე დიზაინი, კომფორტული ნომრები, მყუდრო გარემო, როგორც ინდივიდუალური, ისე ოჯახური დასვენების არაჩვეულებრივ შესაძლებლობას იძლევა. მნიშვნელოვანია, რომ ბათუმში ასეთი მაღალი სტანდარტების მქონე აპარტამენტში ტურისტები კომპლექსურად, სასტუმრო და საცხოვრებელი ბინის საუკეთესო კომპონენტების ერთობლიობით სარგებლობენ. (www.redix.ge).

გოგებაშვილის ქუჩა სრულდება ბათუმის საბაგირო გზასთან, სადაც ადრე მე-2 მსოფლიო ომში დაღუპულთა დიდების მემორიალი იდგა. იქვე ენთო მარადიული ცეცხლი. დიდების მემორიალი დაიდგა 1975 წლის 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით. 23 მეტრი სიმაღლის ობელისკის არქიტექტორ-სკულპტორი იყო რევაზ კალანდარიშვილი. ობელისკზე ამოკვეთილი იყო შემდეგი შინაარსის წარწერა: „სამარადისო დიდება 1941-1945 წ.წ. დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპულ მებრძოლებს“. დიდების მემორიალი აქ იდგა 2012 წ. აპრილამდე. შემდეგ განხორციელდა მისი დემონტაჟი და დაიწყო საბაგირო გზის მშენებლობა. საბაგირო გზა ბათუმის სანაპიროს ფერიის მთასთან აკავშირებს. საბაგირო გზის სამშენებლო სამუშაოები შეასრულა ავსტრიულმა ფირმა „დობერმაიერმა“, რომელიც მთლიანად კურირებდა საბაგირო დანადგარების შესყიდვასა და დამონტაჟებას. ბათუმის საბაგირო გზა კომპანია „ჰესტოკ ბათუმის“ საკუთრებაა, რომელმაც ამ პროექტით 23 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა.

2600 მეტრი სიგრძის საბაგრო გზაზე 8 გონდოლა მოძრაობს, თუმცა გათვლილია 22 გონდოლაზე. საბაგრო ზოლი ზღვის დონიდან 200 მეტრი სიმაღლიდან ეშვება და საათში 500 ადამიანს ემსახურება. გზის გავლას 11 წთ. სჭირდება. ფერიის მთაზე გახსნილია ეკლესია. ბათუმის საბაგრო გზა გაიხსნა 2013 წლის 16 აგვისტოს.

2010-2011 წლებში განხორციელდა გოგებაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია. მოხდა ქუჩის მოფილაქნება, ქვიშითა და გრანიტის ფილებით მოწყობა. გაკეთდა გზის გამყოფი ზოლი, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები, მოეწყო ტროტუარები, მოხდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. ასევე რეაბილიტაცია ჩატარდა ქუჩაზე მდებარე შენობა - ნაგებობებს, შეიღება შენობების ფასადები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Суворов. Описание г. Батума с планами и видами. Бат. 1895
2. Батумь и его окрестности. Бат.1906
3. Батумское побережье. Русские тропики. Бат. 1911
4. С.Соловкин. Батумское побережье. Южная Колхида.Бат. 1913
5. Всеобщий адресь ежегодникъ г.Батума на 1902 г. Н.С.Державина.Бат.1902
6. Газета „Известия“ 1922 г. 15 апр. №82
7. Справочник Указатель Аджарстана на 1924 г. Изд. Цика АБССР.1924 г.
8. ახვლედიანი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. ბათ. 1944.
9. ნ.ზოსიძე. განწმენდის დღე. გაზეთი „აჭარა“ 1990 წ. 5 ივნისი.
10. რ.უზუნაძე. ბათუმის ისტორიიდან. ბათ. 1997
11. www. Redix.ge. ბათუმის სასტუმროები
12. www. Internet.ge. სასტუმროები.
13. ა.შავიშვილი.მოზრძანდით.საზღვაო ვაგზალის კარები ღიაა.გაზეთი „აჭარა“ 1962 წ. 9 სექტემბერი.
14. გიზო ჩიგოგიძე. სტატია - გიორგი მაზნიაშვილის მეზრძოლებმა აჭარიდან ოკუპანტი თურქები განდევნეს.აჭმ ხ. ფ. 2014 წ.
15. ქ. ბათუმის მშრომელთა 1987 წ.7 ნოემბრის მშრომელთა დემონსტრაციის ჩატარების გეგმა.გაზ. „აჭარა.“5 ნოემბერი .1987 წ.
16. აჭარა ზეიმობს.გაზ. „აჭარა“.1987 წ. 8 ნოემბერი.
17. თ.კომახიძე. აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი. წიგნი II. ბათუმი. 2011.
18. თ. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ- პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში, ბათ. 2005



საბაჟოს შენობა



სასტუმროები „ბელვიუ“ და „ორიენტალი“. გოგებაშვილის ქუჩა N8



სამხედრო სიმაგრე „ბურუნ ტაბიე“



აზიზიეს მეჩეთი



ლენინის ძეგლი თავისუფლების მოედანზე



სამვიდნობეობრო დემონსტრაცია 1986 წელი



საპატრიარქოს საბავშვო ბაღი.
გოგებაშვილის 18



სასტუმრო "ადმირალი"
გოგებაშვილის 20



ბათუმის საზღვაო ნავსადგურის
შენობა. გოგებაშვილის 3



ქვაჯვარი
ზ. გამსახურდიას სახელობის მოედანზე



ჩაის სახლი. გოგებაშვილის 12-14



გოგებაშვილის 16



სასტუმრო “ლე პორტი”. გოგებაშვილის 30



რესტორანი “სანაპირო”



ჭაჭის შადრევანი



გოგებაშვილის ქუჩა



დიდების ობელისკი



ბათუმის საბაგირო გზა

მარტის ქარიშხლიანი დღეები.

კიდევ ერთი „თეთრი ლაქა“ წაიშალა ჩვენი ხალხის ისტორიაში, შვიდი ათეული წლის შემდეგ მოუშუშებელი

გულის ჭრილობა გადაიხსნა ძირძველი აჭარის მიწაზე. მარადიულია იმათი ხსოვნა, ვინც შეეწირა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. დღევანდელმა თაობამ ყველაფერი უნდა გაიღოს იმისათვის, რომ აღარასოდეს შეტრიალდეს უკულმა ერის ბედ- იღბალი.

რა მოხდა ბათუმში? როგორ დაიღუპნენ ქართველი ჯარისკაცები? მათ შესახებ რატომ არ ვწერდით აქამდე არაფერს? ბევრი ასეთი შეკითხვა დასვა ქართველმა ხალხმა. საზოგადოებისათვის დიდი ხნის მანძილზე არაფერი არ იყო ცნობილი.

1920 წლის ბოლოს უკვე შემუშავებული იყო სამოქმედო ღონისძიებები საქართველოზე თავდასხმის შესანიღბავად. 1921 წლის 2 იანვარს მოსკოვში დეპუტები გაგზავნეს ს. ორჯონიკიძემ და ს. კიროვმა, სადაც ჩამოყალიბებული იყო პრაქტიკულად განსახორციელებელი ღონისძიებები საქართველოს მიმართ.

1921 წლის 20 იანვარს გ. ჩიჩერინმა წერილი მისწერა ვ. ლენინს. ამ დოკუმენტის საფუძველზე 24 იანვარს ი. სტალინი წინადადებას აყენებდა სამხედრო საბჭოსათვის მიეცათ დირექტივა კავკასიაში სამხედრო ჩარევისათვის.

მოსკოვში კავკასიის საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე საქართველოს მონაწილეობის სურვილი საბჭოთა დიპლომატებს დროულად მოახსენა რუსეთში საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გ. მახარაძემ.

რუსი დიპლომატები დროს არ კარგავდნენ . 1921 წლის 18 იანვარს ბაქოში ს. ორჯონიკიძეს გ. ჩიჩერინი ატყობინებდა ოსმალეთის ელჩის ალი ფუადის გამომგზავრებას და წერდა: „ჩვენ სასურველად მივიჩნევთ მოსკოვის კონფერენციაზე საქართველოს მიწვევას , მაგრამ საჭიროა ოსმალეთთან შეთანხმება, სასაწრაფოდ გვაცნობეთ პასუხი.“(გაზ. აჭარა, 1991 წ. 28 ოქტომბერი)

ამავე წლის 27 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი კ. საბახტარიშვილი მიმართავდა რსფსრ-ს საგარეო სახალხო კომისარიატს კავკასიის საკითხებზე დასასწრებად.

გ. ჩიჩერინმა რსფსრ ელჩს საქართველოში ა. შერმადინს განუმარტა: საქართველომ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. მხოლოდ მწვავე კონფლიქტის ჩავლისა და ძირითადი საკითხების შეთანხმების შემდეგ, ამ მითითების საფუძველზე მოქმედებდა რუსეთის ელჩი საქართველოში, მაგრამ მაშინ , როგორც ვლადიკავკაზში გამოსვლისას ამბობდა ს. კიროვი: „საქართველოს ცას ღრუბლები ეფინებოდა საშინელი ქარიშხლის ასატეხად და ყველაფრის წასაღევად.“(გაზ., აჭარა, 1991წ. გვ. 4. სტატია „საქართველოს საკითხი დიდ პოლიტიკაში 1918-1921წლებში“)

1921 წლის 21 იანვარს რსფსრ-ს თბილისის საელჩოში შემუშავებული მოთხოვნები (შედგებოდა 9 მუხლისაგან) გადაეცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. სულ რამდენიმე დღეში საქართველოში წითლები შემოვიდნენ.

25 თებერვალს , როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უკვე დასავლეთ საქართველოში იყო გადასული. მოსკოვში გაიხსნა რუსეთ- ოსმალეთის კონფერენცია. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ დიპლომატთა ამ ფორუმს, საკითხები ქართველთა მონაწილეობის გარეშე როდი გადაწყდა.

კონფერენციის მსვლელობაში ცნობილი გახდა, რომ ბათუმის გადასარჩენად საქართველოს მთავრობა თანხმდებოდა გაერთიანებული სარდლობის შექმნაზე. ამ წინადადების მიღებას გ. ჩიჩერინი სამომავლოდ სახიფათოდ თვლიდა. იგი ს. ორჯონიკიძეს წერდა: „მენშევიკებს უნდა მიუთითოთ, რომ ბათუმის ბედი წყდება აქ ჩვენი მოლაპარაკებით ოსმალებთან და არა მენშევიკური ჯარის შემოქმედებით, უვარგისთა ერთიანი სარდლობით.“ (გაზ, აჭარა, 1991, გვ.3.)

1921 წლის 12 მარტს გავრცელდა ხმა ოსმალეთის ბათუმისაკენ გალაშქრების შესახებ. ეს ამბავი აუწყეს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის წარმომადგენელს ოსმალეთში ს. მდივანს და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გ. ჩიჩერინს.

კრიტიკულ მომენტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბევრი რამ იღონა სამხრეთ- საქართველოს გადასარჩენად.

საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, როგორი დამაბული ვითარება იყო კონფერენციაზე. 14 მარტს გ. ჩიჩერინი ს. ორჯონიკიძეს აცნობდა ოსმალეთთან მოლაპარაკების ძირითად შედეგებს, ბათუმის ოლქი ცნობილია საქართველოს ნაწილად. ოსმალეთს დაეთმო ართვინი, არდაგანი, და ყარსი.

აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1921 წლის 16 მარტს. მიუხედავად ამისა, ბათუმში მაინც დიდად დაიძაბა მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში 1921 წლის 17 მარტს ქუთაისში გაიმართა საზავო მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლებსა და საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებს შორის. იმავე საღამოს საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა. 18 მარტს ბათუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა

1921 წლის 17 მარტს ჟორდანიას მთავრობა და რიგი სამხედრო ხელმძღვანელები სამშობლოს ტოვებდნენ. გ. მაზნიაშვილი და ბევრი სხვა არ გაყვა ემიგრანტებს. ციხიდან გამოუშვეს პატიმრები. შეიქმნა რევკომი. ახლადშექმნილ რევკომის წევრი თენგიზ ჟღენტი ახვედრებს მაზნიაშვილს რევკომის თავჯდომარეს ს. ქავთარაძეს. ისახება ბათუმის ოსმალებისაგან განთავისუფლების გეგმა. ბათუმშივე ჩადის ს. ორჯონიკიძე და მაზნიაშვილს მიმართავს: „კანონგარეშე იყავით გამოცხადებული, არ მოგკლავთ, მენშევიკების გენერალო, ოღონდ იბრძოლეთ ჩვენთან ერთად. მაზნიაშვილი კი პასუხობს: „მე არც მენშევიკების და არც თქვენი არა ვარ, საქართველოს გენერალი ვარო“ (გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 26 მაისი, 1990წ. ნომ.57-58)

1921 წლის მარტისათვის საქართველოში უმძიმესი დღეები იდგა. მთელი ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიკავეს. მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმს შეაფარა თავი და უცხოეთში გასახიზნად ემზადებოდა. არმია ფაქტობრივად დაშლილი იყო. საქართველოს ასეთი მდგომარეობით ისარგებლა თურქეთმა და 16 მარტს ბათუმში შემოიჭრა. აჭარას კვლავ საფრთხე შეექმნა. საქართველოს მთლიანობის გადასარჩენად, ემიგრაციაში წასვლის წინ მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმის სატუსაღოდან გამოუშვა ბოლშევიკები სულ 300 კაცი, ხოლო სერგო ქათარაძეს წინადადება მისცა რაღაც უნდა დაჯდომოდათ ოსმალთაგან გაეთავისუფლებინათ ბათუმი.

რევკომმა ბათუმში მყოფ გენერალ გიორგი მაზნიაშვილს სთხოვა სათავეში ჩასდგომოდა მენშევიკური ჯარის შემორჩენილ ნაწილებს. საბჭოთა ჯარები მაშინ საჯავახოსთან იდგნენ. ყოველი წუთი ძვირფასი იყო. მათ მოსვლას რომ დალოდებოდნენ, შეიძლება შემთხვევა ხელიდან გაეშვათ და ამასობაში ქაზიმ-ბეის მაშველი ჯარები შემოშველებოდა. გენერალმა მაზნიაშვილმა მოკლე დროში

სახელდახელოდ შეადგინა სამხედრო ნაწილები, მათ შეუერთდნენ ქართველი მოხალისეები და გააფრთხილები ბრძოლები გააჩაღეს ბათუმში გამაგრებული ოსმალოს ჯარების წინააღმდეგ. მამაცი პოლკოვნიკის ფრიდონ წულუკიძის ხელმძღვანელობით ბარცხანის თურქთა გარნიზონი მთლიანად გაანადგურეს. ასე თანდათან მტერს სხვა უბნებშიც მიაყენეს გადამწყვეტი დარტყმები. ქაზიმ-ბეიმ ითხოვა, სურსათი მომეცით და მთლიანად გავეცლები ბათუმსო. ასეც მოხდა. ჭოროხის გავლით თურქეთის ჯარებმა საქართველო დატოვეს. იმ დღეებსა და ბრძოლებს კარგად ასახავს გენერალ მაზნიაშვილის წიგნი „მოგონებები“, რომელიც „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა.

ცნობილი გახდა, რომ ბათუმისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა 84 ქართველი მეომარი და მოხალისე, აქედან ორმოცამდე მეომარი, რომლებიც აჭარისა და გურიის რაიონებიდან იყვნენ, ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა გაასვენეს. დანარჩენები მხედრული პატივით დაკრძალეს მაშინდელი თავისუფლების მოედანზე. საფლავზე აღმართეს მონუმენტი, ეს მოხდა 1921 წლის 23 მარტს.

დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა ბრძოლებში დაღუპულთა სახელები. მეტიც, მოედნის გაფართოების მიზნით, ობელისკი სხვა ადგილას გადაიტანეს, საფლავები ასფალტის ქვეშ მოექცა, ხოლო მოედანს სახელი შეეცვალა.

რესპუბლიკური პარტიისა და ბათუმის რეგიონალური სახალხო ფრონტის წარმომადგენლებმა სხვა ორგანიზაციებთან და ბათუმის ინტელიგენციასთან ერთად ისტორიის ფურცლები გამოამზეურეს და ყველაფერს ნათელი მოფინეს. მათი თაოსნობით არქივებში მოიძიეს მაშინდელი პუბლიკაციები, ფოტოსურათები, დაკითხეს იმ ამბების მომსწრეები. დადგინდა 14 ადამიანის სახელი, რომლებიც სამმო საფლავში განისვენებდნენ, ესენი არიან: მაყვალა ყანჩაველი, იასონ გვარამია, ტატამ ემხვარი, გრიგოლ ანჩაბაძე, პეტრე ზუხბაია, ერასტო ქირია, ილარიონ ბალიშვილი, პეტრე აკობია, სიმონ წურწუშია, სანდრო მინჯია, მიტო ჩიკვაძე, კუკური ზარანდია, ლადო მეტრეველი და შოთა ვადაჭკორია.

შეიქმნა 1921 წლის მარტში ბათუმისათვის დაღუპულთა დაკრძალვის ადგილას ძმათა სასაფლაოს შესწავლისა და აღმდგენი კომისია. ინიციატორებს ტექნიკით დაეხმარა საქართველოს საზღვაო სანაოსნო. სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ არქეოლოგები ირ. ჩავლეიშვილი, ა. ბაჯელიძე. არქიტექტორები გ. რამიშვილი და დ. გაბაშვილი. აღნიშნული ტერიტორია შემოიღობა და საფლავის გათხრას შეუდგნენ. პირველი 4 ნეშტი მალევე აღმოაჩინეს. დანარჩენი 46 გვამის ნეშტი კი უფრო ღრმად გათხრის შემდეგ.

ამ ამბავმა ტალღასავით გადაუარა ქალაქსა და მთელს აჭარას. მოდიოდნენ ადამიანები და სხვებთან ერთად ფრთხილად, სათუთად თხრიდნენ საფლავებს. გონებაში ისევ გაცოცხლდა საქართველოს ტრაგიკული დღეები, ვაჟკაცურად წამოიმართნენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა აჩრდილები. მძიმე, ფიქრიანი და ტკივილიანი აღმოჩნდა ეს დღეები. დამზადდა 50 კუბო, თითოეული ნეშტი სათუთად ჩაასვენეს და თეატრის მთავარ ვესტიბიულში დაასვენეს. დარბაზი გაივსო გვირგვინებითა და ყვავილებით. შაბათს 2 ივნისს გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი. განსვენებულთ წესი აუგო ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის დეკანოზმა მამა დავითმა და მღვდელმა მამა გიორგიმ.

კვირას, ცენტრალურ მოედანს დილიდანვე მოაწყდა ხალხი. თეატრის კოლონადებიდან ეროვნული სამფეროვანი დროშებია დახრილი. ფასადზე ტრანსპარანტია გაკრული, რომელზედაც სამშობლოსათვის თავგანწირულ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სიტყვებია წარწერილი: „ერთი გაბრაზებული თაობა თუ

დამხვრეტს, მეორე დამშვიდებული თაობა მკვდრებით აღმადგენს. სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება,, (გაზ. კომუნისტი, ოთხშაბათი 6 ივნისი, 1990 წ.) ახდა მისი ეს სიტყვები.

სამგლოვიარო მიტინგში მონაწილეობის მისაღებად შეიკრიბა ბათუმისა და მეზობელი რაიონების მოსახლეობა. პირველ საათზე დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი, წაიკითხეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გივი გუმბარიძის დეპეშა.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს დასაფლავების მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ მ. მამუჭაძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. სიორიძემ, აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა დ. ხახუტაიშვილმა, არქეოლოგმა ი. ჩავლეიშვილმა, ჟურნალისტებმა ნ. ჯაფარიძემ, ა. კუდბამ, ა. დიასამიძემ. ლიტვის დელეგაციის წევრმა ა. რუდსკიმ, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ჩ. ომერაძემ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გუგუნავამ, სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ითქვა, რომ მწუხარე დღეებმა და საერთო სატკივარმა ადამიანები უფრო შეაკავშირა. დღეიდან ბათუმელებს გამორჩეული და წმინდა ადგილი ექნებათ, სადაც არასოდეს დაჰკნება ყვავილები.

მოედანზე, ძველ ადგილას ძმათა სასაფლაო ახლებურად მოეწყო,. მძიმე სანახაობა იყო სამგლოვიარო პროცესია, რომელიც თეატრალური მოედნიდან მთავარი მოედნისაკენ გაემართა. ეროვნულ, სამფეროვან დროშებში გახვეული 50 კუბო მეორედ დაადგა სამუდამო განსასვენებლის გზას. პროცესიას წინ ბედაური მიუძღოდა, შემდეგ კი ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვთა გუნდი. ისმოდა სამგლოვიარო მელოდია. როცა სამძო საფლავში ცხედრები ჩაასვენეს, ნავსადგურში გამოთხოვების და არდავიწყების ნიშნად აგუგუნდა გემების საყვირები.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში სპეციალური კუთხე მიეძღვნა სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს, გამოეფინა სასაფლაოდან ამოღებული მასალები. დამთვალიერებელს შეუძლია გაეცნოს და შეაფასოს გმირთა მოღვაწეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში, ბათ., 2005
2. გაზეთი „აჭარა“, 1991 წ., 28 ოქტომბერი
3. გაზეთი „აჭარა“, 1991 წ., 3 ნოემბერი
4. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 26 მაისი 1990 წ. №58-59
5. გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წ. 6 ივნისი



1921 წლის მარტში ბათუმისათვის დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი.



1921 წლის მარტში ბათუმისათვის დაღუპულთა საფლავების გადატანის პროცესი 1990 წ.



გადაწყვეტილება N 364 სამხო საფლავის გადატანის შესახებ.

1905-1907 წლების რევოლუცია
(მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების მიხედვით)

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ბათუმი არალეგალური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია ამიერკავკასიაში. ამ პერიოდში ქალაქში ჩამოვიდნენ კარლო ჩხეიძე, გრიგოლ (გრიშა) სოლორაშვილი და გიორგი ფრანჩესკი, მოგვიანებით ბათუმში ჩამოვიდა ტამბოვის გუბერნიის კოზლოვსკის მაზრის სოფელ ჩერნოვსკის მკვიდრი ივანე ივანეს ძე ლუზინი, რომელიც ამ დროს მოსკოვიდან თბილისში იყო გადმოსახლებული სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო ჩვენი ქალაქის ხშირი სტუმარი გახდა ი.კოგანი.

ბათუმის პირველი მარქსისტული წრის დაარსების თარიღიდან მეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია 1896 წელი. არსებული მასალებიდან ჩანს, რომ პირველი მარქსისტული წრე ბათუმში არსებობდა 1895 წლის დასასრულს.

ერთ გამოუქვეყნებელ მოგონებაში გრ.სოლორაშვილი წერდა: 1895 წლის დამლევისათვის ბათუმში არსებობდა მარქსისტთა კარგად გაფორმებული ჯგუფი. შესაძლოა გვეგარაუდა, რომ უნებლიე შეცდომა იყო მაგრამ გ.სოლორაშვილი იქვე მიუთითებს „ამ მარქსისტების ჯგუფის მოღვაწეობა 1895 წლიდან იწყებაო“ (აჭმ. ბ.რ.მ. ფ.5. 121 ფ.3. 26)

წრე დაარსებისას არ იყო ფართო. იგი რამდენიმე ინტელიგენტსა და მუშას აერთიანებდა, მაგრამ სალაროს წესდების მიხედვით ეს დროებითი იყო. მუშაობის გაშლის შედეგად უნდა შეექმნათ ისეთი ორგანიზაცია რომელიც შეძლებდა სხვა ჯგუფის გაერთიანებას. ამასთან ყველა წევრს ევალებოდა ჩამოეყალიბებინა საკუთარი ჯგუფი.

წრის მიზანს გვიჩვენებს ე.წ. „საბრძოლო პროგრამა“, რომელიც ბათუმელმა მარქსისტებმა 1896 წლის აგვისტოში მიიღეს. სპ.დონდუას სიტყვით, ამ დღეს კრებას ესწრებოდნენ გ.ფრანჩესკი, გრ.სოლორაშვილი, კ.ჩხეიძე, მიხ.კალანდაძე, მაქ.წულაძე (სტამბის მუშა), აკაკი მგელაძე (როტშილდის ქარხნის მუშა) და ბეგლარ მელია. მათ განიხილეს და დაამტკიცეს საბრძოლო პროგრამა ანუ გეგმა 14 მუხლისაგან შემდგარი. ბრძოლა მონარქისტული თვითმპყრობელობის, კაპიტალიზმის სასულიერო წოდების წინააღმდეგ, კრების, გაფიცვის სიტყვას თავისუფლება და ა.შ. (აჭმ. ბრმ. ფ.5 ფურც.4).

თბილისიდან წიგნების ჩამოტანა ფინანსური სიძნელეების გარდა სახიფათოც იყო, რადგან შეიძლებოდა ჟანდარმერიას ჩავარდნოდა ხელში. ამის გამო წრის ხელმძღვანელთა ინიციატივით აქტიური ნაბიჯი გადაიდგა. მალე შეიქმნა ამ დროისათვის საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მუშებში შეგროვებული ფულით შეიძინეს. იგი ფრანჩესკისთან იყო დაცული. ამის მეშვეობით წრის წევრები მარქსისტულ თეორიას სწავლობდნენ. საამისოდ კი ისინი ქალაქ გარეთ (უმეტესად ბარცხანაში, თამარის ციხესთან, აგრეთვე ვინმე მენაბდის წისქვილთან იკრიბებოდნენ და კონსპირაციის მიზნით სუფრასთან შემომსხდარნი საუბრობდნენ პოლიტიკურ თემებზე. კითხულობდნენ ლიტერატურას და სხვა. წრის წევრები სამეცადინოდ სხვა ადგილებშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ და სხვა არალეგალური ამონაჭრები გაზეთებიდან, მათ მაგალითად სოუქს-სუს ტყეში დაუმუშავებიათ. კ.ჩხაიძის ბინაზეც სიარულს სისტემატური ხასიათი ჰქონდა (აჭმ. ბ.რ.მ. ფ.5 ს.143. ფურც.1-2).

1897 წელს ბათუმში პირველმა მარქსისტულმა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გ.ფრანჩესკი, ი.ლუზინი განახორციელა პირველი თარგმანი ქართულ ენაზე „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა“. თარგმანი გამრავლებული იქნა კეტროგრაფზე (60 ცალი) და გავრცელდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და სხვაგან.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს იყო „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სრული თარგმანი, ზოგიც მოკლე შინაარსი, ან მხოლოდ მისი პირველი თავი. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ 37 x 40 სმ. ზომის ფურცლებზე დაბეჭდილი ნაშრომი 40 გვერდისაგან შედგებოდა. პირველ ფურცელს წარმოდგარა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ კ.მარქსის და ფ.ენგელსის. მეორე ფურცელი იწყებოდა სათაურით: “ზურჟუა და პროლეტარი“ (აჭმ. ბ.რ.ს. ფ.5 ს.43 ფურც. 9). მანიფესტის თარგმანის შემდეგ წრემ გადაწყვიტა კარლ მარქსის ფოტოსურათის დაბეჭდვა და გავრცელება.

აღნიშნული საქმის ორგანიზება მიხეილ კალანდაძეს და კარლო ჩხეიძეს უკისრიათ. მათ შვეიცარიიდან მიღებული კ.მარქსის ფოტო ფოტოგრაფ გიორგი ხუნდაძისათვის გადაუციათ. პირველად 100 ცალი შეუკვეთიათ, მაგრამ ჩანს მას პერიოდულად ამრავლებდნენ. ამ მიზნით მიხ. კალანდაძეს სხვადასხვა დროს მიუღია 16 მანეთი, მომდევნო ხანაში ფარმაცევტი სარდიონ მამალაძეც კ.მარქსის სურათს „ვიღაც ფოტოგრაფს“ აბეჭდვინებდა (აჭმ. ბ.რ.მ. ფ.5 ს.43 ფურც.1).

ეს იგივე გ.ხუნდაძე უნდა იყოს, თორემ კონსპირაციის მიზნით გაუმართლებელი ჩანს საქმეში სხვა პირთა ჩარევა. სურათები ქუთაისში, თბილისში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში გაუგზავნიათ.

თბილისის, ბაქოსა და პეტერბურგის ორგანიზაციების გარდა ბათუმის მარქსისტულ წრეს საზღვარგარეთაც ჰქონდა კავშირი. ამის შესახებ მუზეუმის არქივშია დაცული საინტერესო ცნობა, რომელშიც აღნიშნულია „კონსპირაციას მტკიცედ ვიცავდი... და საზღვარგარეთთან კავშირმა დიდხანს გასტანაო“ (აჭმ. ბ.რ.მ. ფ.5 ს.27 ფურც.5).

1898 წ. 25 თებერვალს ბათუმის ჟანდარმერიის უფროსის პოდპოლკოვნიკ ფეოდოროვის სახელზე თბილისიდან მოვიდა საიდუმლო დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო: დაუყოვნებლივ გაჩხრიკეთ ბათუმში მარინეს პროსპექტზე მცხოვრები ფრანჩესკი, ჩამოართვით ფოტოგრაფიული სურათი, მთელი მიმოწერა და ხელნაწერები.

ჩხრეკამ პოლიციას მისცა ნივთიერი მტკიცება ფრანჩესკის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ. ჩხრეკისას უპოვეს ათი რევოლუციური ბროშურა, საღამოს ფრანჩესკი დააპატიმრეს.

წრის წევრებს ფრანჩესკის დაპატიმრება აცნობა ბეგლარ მელიამ. მანვე დაავალა სპირიდონ დონდუას ლიტერატურის და სხვა საეჭვო ნივთების განადგურება. სხვა მასალებთან ერთად ცეცხლში დაიწვა რევოლუციური ხასიათის ერთი საუცხოო წიგნაკი, რომელიც თარგმნა სოლორაშვილმა და რომლის გამომშვებას ძლიერ ჩქარობდა ჯგუფი (აჭმ. ბ.რ.მ. ფ.5 ს.43 ფურც.6-4).

1897 წლიდან ს.თოდრია მუშად მოეწყო ბათუმის ერთ-ერთ სტამბაში როგორც ჟანდარმთა როტმისტრ როჟანოვის ერთ-ერთი დასმენიდან (N450 30/02-1904წ) ჩანს, 1897-1898 წლებში იგი ასოთამწყობად მუშაობდა გურსკის სტამბაში, შემდეგ შმავესკის სტამბაში. ჟანდარმერიის საიდუმლო მასალებში აღნიშნულია, რომ ამ წლებიდან ს.თოდრია ფართოდ ჩაება რევოლუციურ მუშაობაში და სხვა მოწინავე მუშებთან ერთად საიდუმლოდ ბეჭდავდა და ავრცელებდა „მავნე“ ფურცლებსა და ლიტერატურას ქართულ ენაზე.

მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილია არალეგალური სტამბის მუშაკების ი.ლუზინის და გ.ფრანჩესკის ნივთები: ჭადრაკი, ხელნაკეთი ხის დანა, ჭიქის ჩასადგამი.

მე-20 საუკუნის დამდეგიდან მშრომელთა მოძრაობა მთელ რუსეთში აღმავლობას განიცდიდა. გახშირდა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები. მუშათა მოძრაობის ეკონომიურმა ხასიათმა თავი იჩინა საქართველოში და მათ შორის აჭარაშიც. მუშები ეკონომიური მოთხოვნებით თავიანთი მძიმე პირობების გაუმჯობესებას ცდილობდნენ, მაგრამ მათი გამოსვლები მარცხით მთავრდებოდა „მუშათა კლასის მძიმე ეკონომიურ და საშინაო საყოფაცხოვრებო პირობებს კიდევ უფრო ამძიმებდა და აუტანელს ხდიდა სრული პოლიტიკური უუფლებობა.

გაფიცვებს მშრომელთა მძიმე მდგომარეობაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. დიდი გაფიცვები მოხდა 1900-1901 წლებში. მაგრამ ამ გაფიცვების ხასიათი სტიქიური იყო თუმცა 1901 წლის პირველ ნახევარში მუშებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს. მათ გაუდიდეს ხელფასი. მსგავსი შემთხვევები იშვიათი იყო. ძირითადად საგაფიცვო მომზადება არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა (ო.გოგოლიშვილი 2012.24).

1901 წლის მეორე ნახევარში ბათუმელმა იუკერებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნისა და ამ წრეების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებისათვის. სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1901 წლის 31 დეკემბერს მოწვეული იქნა კონფერენცია. კონფერენციაზე დადგინდა არალეგალური სტამბის მოწყობა. სტამბის მოწყობა დაევალა ამ დარგის მცოდნე მუშებს სილიბისტრო თორდიას, მძებს დათა და ფრიდონ ლომთათიძეებს და კოტე კალანდაძეს. სტამბას, რომელიც 1902 წლის იანვარში მოეწყო, პირველად წნეხის სახე ჰქონდა, თებერვლის თვეში თბილისიდან ჩამოტანილი იქნა საბეჭდი დაზგა, უჯრები, შრიფტი. სტამბა პატარა ზომის და მოცულობის იყო და ამიტომ ადვილად გადასატანი ერთი ადგილიდან მეორეზე. ის პირველად მოთავსებული იყო ი.დარახველიძის ბინაში, შემდეგ ს.ლომჯარიას სახლში, აქედან გადატანილი იქნა სოუქსუს სასაფლაოზე, სადაც დარაჯად მუშაობდა სოციალ-დემოკრატი ი.კეჭყაყაძე.

1902 წ. 9 მარტის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ პოლიციამ განსაკუთრებით გააძლიერა ძიება და არალეგალური სტამბის ჩავარდნის რეალური საშიშროება შეიქმნა. აუცილებელი გახდა სტამბის გადატანა ქალაქგარეთ. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას. არალეგალური სტამბა გადაიტანეს ბათუმისაგან 5 კმ-ის დაშორებით სოფელ მაჰმუდიეში, აფხაზი გლეხი ჰაშიმ სმირბას სახლში.

რევოლუციის ჰაშიმს ცოტა რამ გაეგებოდა, მაგრამ როცა მასთან მივიდა. სილიბისტრო ლომჯარიამ აუხსნა საქმის ვითარება. მოხუცი ჰაშიმი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მესაიდუმლე გახდა. ის არა მარტო მალავდა სტამბას, არამედ ავრცელებდა კიდევ სტამბაში დაბეჭდილ პროკლამაციებს სოფლის მოსახლეობასა და ბათუმის მუშებს შორის. ბოსტნეულით და ხილით სავსე კალათებით ჩამოდიოდა ჰაშიმი ბათუმში, ჯდებოდა ფაბრიკა-ქარხნების მახლობლად და ყიდდა ხილს. საიმედო მუშებს ხილს პროკლამაციებში უხვევდა და ისე აძლევდა, ისინი კი ამ პროკლამაციებს ამხანაგებს შორის ავრცელებდნენ.

არალეგალური სტამბის მეშვეობით რსდმპ ბათუმის ჯგუფი დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა. განსაკუთრებით რევოლუციურ ხასიათს ატარებდა პროკლამაციები, რომელიც გამოდიოდა 1902 წლის 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით. პროკლამაცია, რომელიც 9 მარტის ამბებს მიეძღვნა, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მეფის ხელისუფლებას უდანაშაულო მუშების დახვრეტისათვის. 12 მარტს მოეწყო 9 მარტს დახვრეტილი მუშების დასაფლავება. დემონსტრანტებს შორის გავრცელდა პროკლამაცია „დიდება თქვენ, მართალი საქმისათვის დალუპულთ დიდება, დიდება დედებს, რომელთაც გამოკვებეს, დიდება თქვენ რომელთაც თავი შეიმკეთ დაფნის

გვირგვინით და სიკვდილის წინ ჩაგვჭურჩულებთ ბრძოლაზე ათრთოლებული ტუჩებით, დიდება თქვენს აჩრდილებს, რომლებიც დაგვტრიალებდნენ თავს და ყურში გვიჭურჩულებდნენ გადაიხადეთ-სისხლით“. ეს პროკლამაცია წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან საბრძოლო დოკუმენტს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პროკლამაციებს და ლეგალურ ლიტერატურას ფოსტით უგზავნიდნენ პოლიციას, ჟანდარმერიას, ცალკეულ მოხელეებს. პროკლამაციებს ეკლესიაშიც ინახავდნენ, რომ პოლიციას ეჭვი არ მიეტანა. მაგალითად: 1904 წლის აპრილში პოლიციას ეკლესიის გალავანში აღმოუჩენია 142 ცალი პროკლამაცია, ქართულ და რუსულ ენაზე. ასევე აღმოჩენილი იქნა ბათუმის რკინიგზის სადგურზე 1571 ცალი პროკლამაცია ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე (ხ.ახვლედიანი 1956. 168).

ექსპოზიციაში გამოფენილია ბროშურები: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ 1905 წელი ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ბათუმის არალეგალური სტამბის ნაწილები, საბეჭდი დაზგა, შრიფტი, ბათუმის არალეგალური სტამბის წნები, პროკლამაციების საბეჭდი. 1902-1905 წლებში ბათუმის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციები და მოწოდებები 1902-1906 წწ.

აჭარელ გლეხთა შორის პოლიტიკური მუშაობის გაშლის შესახებ როტმილდის ქარხნის ყოფილი მუშა ოსმან გურგენიძე მოგვითხრობს: „მე შევამჩნიე საიმედო პირები აჭარელი გლეხები და მოვიწვიე კრება. კრებას ესწრებოდნენ სოფელ ყარადენიდან (ახლ.სოფელი განთიადი) მაჭუტაძე ხასან, მენაბდე ალი ყოროლისთავიდან. ღელეყვა ახმედ ორთაბათუმიდან (ახ.სოფ. ჩაისუბანი), ხალვაში ოსმან აგარიდან. კრება ჩატარდა. გადავწყვიტეთ სოფლად წრეები ჩამოგვეყალიბებინა, პროკლამაციები და პოლიტიკური ლიტერატურა გავგვევრცელებინა. ჩვენ შევძელით ზემოთხსენებული გადაწყვეტილებების განხორციელება. წრეები ჩამოყალიბებული იქნა, პროკლამაციებს ვავრცელებდით“ (აჭმ. ბ.რ.მ. ფ.5).

როგორც ბათუმის პოლიციის ოფიციალური მოხსენებიდან ჩანს, 1904 წლიდან რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მუშათა შორის ფართოდ გაშალა წრეობრივი მეცადინეობა. შეიქმნა ორი არალეგალური სტამბა: ერთი პროკლამაციების დასაბეჭდად, მეორე უმთავრესად ლიტერატურისათვის.

ფონდში დაცულია მანთაშევის ქარხნის მუშის ილარიონ დარახველიძის მოგონება. ის იხსენებს, რომ სისტემატურად მოგვდიოდა კავკასიის ორგანიზაციის ბიუროდან და თბილისის კომიტეტიდან პროკლამაციები დიდი სტალინის ხელით დაწერილი. პროკლამაციები მოგვიწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ. დარახველიძის მოგონება ასევე შეეხება 1905 წ. თებერვლის რევოლუციას, 1905 წლის ნოემბრის თვეში ბათუმში მოწყობილ ბარიკადებს. (აჭმ. ბ.რ.მ. ფ.5. 48/35).

ფონდში დაცულია როტმილდის ქარხნის მუშა ილია შარაშენიძის მოგონება. ((აჭმ. ბ.რ.მ. ფ.5. ს.62/159). ის თავის მოგონებაში წერს 1905 წლის 28 ნოემბერს ურეხში ბარაკის ახლოს შედგა მიტინგი, რომელსაც დიდძალი მუშები დაესწრნენ. განხილული იქნა მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომლითაც მეფე პირდებოდა მუშებს 8 საათიან სამუშაო დღეს, სიტყვის, კრების, ბეჭდვის თავისუფლებას. მიტინგზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა დავიდოვი, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მეფის მანიფესტი. მან თქვა: „თავისუფლება მუშებს და გლეხებს მანამდე არ ექნებათ, სანამ რუსეთის თვითმპყრობელობა სრულიად არ განადგურდება და ხელისუფლებას მუშათა კლასი არ აიღებს ხელში და მოუწოდა მუშებს გაძლიერებული ბრძოლისაკენ, რომელსაც მძლავრი რევოლუციური აღმავლობა მოჰყვებოდა.

ამრიგად 1905-07 წლების რევოლუცია იყო ბრძოლა განახლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის.


იმპერიის მასშტაბით დაწყებულ მოძრაობას მძლავრი გამოხმაურება მოჰყვა ბათუმის ოლქშიც. ამ დროს თამამად გაისმა მოწოდება ეროვნული თვითმყოფადობისაკენ, რაც უდავოდ მონაპოვარი იყო კოლონიური ბატონობის უღელქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958.
2. აჭმ. ბ.რ.მ. ფონდი N 5
3. ო. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში (1900-1910 წწ.), თბილისი, 2012.
4. პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1889-1914 წწ.), ბათუმი, 1953.
5. ხ. ახვლედანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლა ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956.
6. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, ბათუმი, 2008.
7. ო. გოგოლიშვილი, სახალხო რევოლუციური მოძრაობა ბათუმის ოლქსა და გურიაში 1905–1907 წლების რევოლუციის დროს, ბათუმი, 2005.



ი. ლუზინი და გ. ფრანჩესკი სტამბაში



ბათუმის არალეგალური სტამბის ნაწილები



ი.ლუზინისა და გ.ფრანჩესკის ჭადრაკი

„საქალაქო ქვეყნის მუშაკთა შტრეიკი“
შინაგაგება — შტრეიკი!

საქალაქო ქვეყნის მუშაკთა შტრეიკი დაიწყო 1905 წლის ნოემბერში. მუშაკთა მოთხოვნები იყვნენ: 8 საათო სამუშაო დღიანი, ხუროთმოძღვრების უფლება, საპროფსინოების და საკავშირეოების დაარსების უფლება, საპროფსინოების და საკავშირეოების დაარსების უფლება, საპროფსინოების და საკავშირეოების დაარსების უფლება...

საქალაქო ქვეყნის მუშაკთა შტრეიკი დაიწყო 1905 წლის ნოემბერში. მუშაკთა მოთხოვნები იყვნენ: 8 საათო სამუშაო დღიანი, ხუროთმოძღვრების უფლება, საპროფსინოების და საკავშირეოების დაარსების უფლება, საპროფსინოების და საკავშირეოების დაარსების უფლება...

Российская Социаль-Демокр. Рабочая Партия.
Пролетарии всех стран соединяйтесь!

Во вторник 8 съ половиной час. утра ст. пристани Русского Общества будет перенесено тело погибшего за свободу бора АЛЕКСАНДРА ГРИГОРЬЕВИЧА КИДВАШВИЛИ на вокзалъ желъзнодорожной станции Р. С. Д. Р. И. Предлагаемъ товарищамъ и также всъмъ трудящимся, состоящимъ освобожденному митингу, присутствовать на вѣщъ тѣла безвременно погибшаго бора.

Комитетъ предлагаетъ также во время процесси закрыть все торговые заведенія.

Батумскій Комитетъ.
 Отпечатано 400 экзemplи, 14-го ноября 1905 года.
 Типографія Батумскаго Комитета.

საქალაქო ქვეყნის მუშაკთა შტრეიკი დაიწყო 1905 წლის ნოემბერში. მუშაკთა მოთხოვნები იყვნენ: 8 საათო სამუშაო დღიანი, ხუროთმოძღვრების უფლება, საპროფსინოების და საკავშირეოების დაარსების უფლება, საპროფსინოების და საკავშირეოების დაარსების უფლება...

ბათუმის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციები

ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში - „მუჰაჯირობა...“

„მუჰაჯერეთ“ - არაბული სიტყვაა და ნიშნავს იძულებით გადასახლებას. საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებით გადასახლება თურქეთის იმპერიაში დაიწყო XIX ს-ში და გამოთქმა „მუჰაჯირი“ მკვიდრდება ქართულ ენაში, საქართველოდან ოსმალეთში გადასახლებულ ქართველების წასვლის მიზეზად.

საქართველოში მუჰაჯირობა დაიწყო ოსმალეთის ბატონობის დამყარებიდან და გასაბჭოებამდე გაგრძელდა. ძირითადად დაკავშირებულია საგლეხო რეფორმების დაწყებასთან და რუსეთ-ოსმალეთის ომთან.

მუჰაჯირობა პირველად დაიწყო მესხეთიდან 1829-30 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მომდევნო წლებში, ხოლო რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1879 წ. 27 იანვარს სტამბულში დადებული ტრაქტატის თანახმად, მუჰაჯირობის ოფიციალური ვადაც კი დაწესდა 1879 წ. 3 თებერვლიდან 1882 წ. 3 თებერვლამდე, თუმცა გადასახლების დრო შემდგომში ოფიციალურად 1884 წლამდე გააგრძელეს. მუსლიმანი ქართველების თურქეთში გადასახლების პროცესი მომდევნო წლებშიც არ შეწყვეტილა.

მუჰაჯირობამ მოიცვა თითქმის მთლიანი სამხრეთ-დასავლეთი მხარე. 1893 წ. განხორციელდა ქართველთა მოსახლეობის ყველაზე დიდი გადასახლება. ფაქტობრივად მუჰაჯირობის პროცესი 1921 წლამდე გრძელდებოდა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომთან არის დაკავშირებული, ასევე დიდი ნაკადი მუჰაჯირობისა, რომელმაც მოიცვა თითქმის მთლიანი აჭარა. ოსმალეთის წარმომადგენლები ცდილობდნენ, ქართველი მუჰაჯირების დასახლებას თურქეთის იმპერიის დაუსახლებელ ადგილებში, აგრეთვე რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე. რუსეთს სურდა მთიელთა და აჭარის მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში, განთავსებული მიწები გამოეყენებინა ფართო კოლონიზაციისათვის, ესარგებლა მხარის ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით. ამას ემატებოდა კიდევ უპირველესი მიზეზი, ოსმალთა იმპერიის მიერ სასულიერო პირების მოშველიება, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაში აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ - „რომელი მუსლიმანიც გაიურის მიწაზე მოკვდებოდა, ვერ ცხონდებოდა და ყურანის უარმყოფელი იქნებოდა...“

1878 წ.- ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით საქართველოს შეუერთდა ისტორიული ქართული პროვინციები. ამ ტერიტორიების მოსახლეობას უფლება ეძლეოდა სამი წლის განმავლობაში თავისი ქონებით გადასახლებულიყო თურქეთის მიწაზე. მუჰაჯირობის შედეგად თითქმის მთლიანად დაიცალა - მურღულის ხეობა, ბევრი გადასახლდა გონიოს უბნიდან, ქვემო აჭარიდან. სულ მუჰაჯირებად წასულმა რიცხვმა თითქმის 150-ათას გადააჭარბა.

ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა დაიწყო ბრძოლა მუჰაჯირობის შესაწყვეტად. გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად დიდი მუშაობა ჩაატარეს გ.წერეთელმა, ს.მესხმა, გ.გურიელმა და სხვებმა. ქართულმა პრესამ ფართო კამპანია გააჩაღა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ამის შედეგად თითქოს გადასახლების პროცესი შენედა და მუჰაჯირთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა.

გადასახლების პერიოდში ქართველი მოსახლეობა მეტნაკლებად ირჩევდა ისეთ ადგილებს, რომელიც თავისი მიტოვებული კუთხის მსგავსი იყო, ძირითადად დასახლებულან შავი ზღვის სანაპიროზე ჭანეთის ტერიტორიაზე, დასავლეთის მხარეს

(თურქეთის), მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნაწილი სტამბოლში და სხვა ქალაქებში. მიუხედავად მათი იქ ცხოვრების მძიმე პერიოდისა ქართველთა ნაწილმა დღემდე შემოინახა ქართული ენა და ზოგიერთი ზნე-ჩვეულებანი.

თურქეთში გადასახლება სათანადო მომზადებისა და ორგანიზაციის გარეშე მიმდინარეობდა. მუჰაჯირები შავი ზღვის ნავსადგურებიდან უვარგისი გემებით გადაჰყავდათ, ნაწილი სახმელეთო გზით, ურმებით მიდიოდა თურქეთისაკენ. მრავალი მათგანი გზაში იმსხვერპლა ეპიდემიამ, შიმშილმა, სიცივემ. თურქეთის ხელისუფლებამ მუჰაჯირებს უვარგისი შეუფერებელი ადგილები მიუჩინა. ბევრი უმიწოდ და უბინაოდ დარჩა. მუჰაჯირები მალევე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და უკან დაბრუნება მოითხოვეს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მათი საზღვარზე გადმოსვლა აკრძალა. მძიმე პირობებში ჩავარდნილი მუჰაჯირები იძულებული იყვნენ დაქირავებულ მეომრებად შესულიყვნენ თურქეთის ჯარში.

რუსეთის იმპერია ახალი ტერიტორიების შემომტკიცებისათვის იბრძოდა და ამ მიწების ისტორიული წარსული თუ გეოგრაფია, ადგილობრივთა მცხოვრებლების აგ-კარგი არ აწუხებდა, მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მისი პოლიტიკური მიზნებისათვის იქნებოდა საინტერესო და სასარგებლო.

ამ დამოკიდებულების შედეგი იყო სწორედ მუჰაჯირობის ორი ტრაგიკული ტალღა მე-19 საუკუნეში. სამუსლიმანო საქართველოს მოუშუშებელი იარა, ადგილობრივების გამოცხადება არა ქართველებად, სხვადასხვა ტომის ხალხთა ჩამოსახლება, რეგიონის ეთნოგრაფიული აჭარლები და სხვა მრავალი ბოროტება.

აჭარის მხარის განმათავისუფლებელი (რუსეთი) მოსახლეობისათვის, დამპყრობზე (თურქეთზე) უარესი აღმოჩნდა. ასეთი იყო ძირძველი ქართული მიწის აჭარის ტანჯული ბედი...

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ წერილში „საქართველოს ჯვარცმის დასაწყისი“ წერდა: „დასავლეთით სპარსეთის ამბებზე გაცილებით დიდმნიშვნელოვანი ამბები ერთი მეორეს სისწრაფით მისდევდა, თუმცა გასაოცარია, მაგრამ იმდროინდელ ქართულ კინკლაობას თუ დავაკვირდებით, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბები გამოჰპარვოდეთ და თითქოს შინაური ბრძოლებითა და ერთიმეორის ხოცვა-ჟლეტით გართულნი ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი დიდი და ძლიერი ოსმალეთის იმპერია, სახელმწიფო, რომელმაც შეუჩერებელი ძლევამოსილებით დედამიწის ზურგიდან აღგავა ოდესღაც ბრწყინვალე ბიზანტია...მამინდელი საქართველო, როგორც ეტყობა ჯერ ვერ გრძნობდა მთელ იმ სამიშროებას, რომელსაც ეს ახლად აღორძინებული სახელმწიფო უქადდა და უდარდელად განაგრძობდა თავის შინაურ, დამაუძღურებელ ბრძოლას. შეუდრეკელი ნებისყოფით აღჭურვილი ოსმალეთი კი თანდათანობით აფართოვებდა არა მარტო თავისი ახალ სამფლობელოს საზღვრებს და ბოლოს ბიზანტიის დიდებული სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლის მფლობელი გახდა.

1453 წელს კონსტანტინოპოლის ოსმალთაგან აღების თარიღი და მთელი აღმოსავლეთის ბედ-იღბლის გადამწყვეტი წელი იყო. საბედისწერო გამოდგა ეს საქართველოსთვისაც, აქედან დაიწყო ყველაფერი ის, რაც შემდგომ სანგრძლივი დროის, საუკუნეების განმავლობაში საქართველომ, ქართველმა ხალხმა, სახელდობრ კი ჩვენმა კუთხემ აჭარამ გადაიტანა.

1547 წელს ოსმალთა დამპყრობლები ჭოროხის გადმოღმა მხარეს დაეპატრონენ, მათ გონიო აფსაროსის ციხე-სიმაგრეს მაღალი გალავანი შემოავლეს, ციხეში კი ოსმალთა ჯარისკაცები ჩააყენეს და იქედან შეუდგნენ მთელი აჭარის თანდათანობით

დაპყრობას...დიახ სწორედ აქედან მოყოლებული ოსმალები მეთოდურად იპყრობდნენ აჭარას, სხვა ტერიტორიებსაც ზემო აჭარას, ქვემო აჭარას, ქობულეთს. ოსმალთა სისასტიკემ და ძირძველი ქრისტიანი აჭარლების გამუსლიმანების საფრთხემ იმთავითვე შეაშფოთა ქვეყნისათვის მოფიქრალი ადამიანები და როცა 300 წლოვანი თურქთა ბატონობის უღელი გადაიგდო აჭარელმა კაცმა შვებით ამოისუნთქა, ქართულ მიწას აკოცა და თქვა: - დიდება შენდა ღმერთო, რომ საბოლოოდ ურჯულების ხელში არ დაგვტოვეო...

აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში მრავალი უბედურებები ხდებოდა. „მუჰაჯირობის“ - პერიოდში ძირძველი ქართული მიწა თითქმის დაცარიელდა მოსახლეობისაგან. დაცარიელდა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურღული, ტაო, აჭარა, ქობულეთი - გაჩანაგდა მეურნეობა და ბევრი სოფელი სამუდამოდ გაქრა. მუჰაჯირობის დროს გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები არ არის შემონახული, თუმცა თუ მაშინდელ საზოგადო მოღვაწეებს და მათ მიერ მოპოვებულ მასალას დავეყრდნობით, იმ შემზარავი ფაქტის წინაშე დავდგებით, რასაც საქართველოდან ქართველთა იძულებით განდევნა ქვია და იძულებაში მხოლოდ ოსმალეთის მიერ დაქირავებული აგიტატორები და მოღვაწეები კი არ იყვნენ, არამედ გაუსაძლისი, სოციალური პირობების კვალსაც დავინახავთ და თუკი პარალელებს დღევანდლობასთან გავავლებთ, დათვალა ვინმემ რამდენი ახალი „მუჰაჯირია“- საქართველოდან გახიზნული იმისათვის, რომ ლუკმა-პური იშოვოს და ოჯახი გამოკვებოს...

იცლებოდა საქართველო ქართველებისაგან და ასე დაიწყეს შავიზღვისპირა საუკეთესო მიწების დატაცება არა მხოლოდ ოსმალებმა, ბათუმის ნავსადგურისაკენ თვალი ეჭირა არა მხოლოდ ოსმალოს, რადგან აჭარის მიდამოების ლამაზი მდებარეობა, მისი შესანიშნავი ჰავა და სუბტროპიკული ხეხილის კორდების სიუხვე ხიბლავდა და თავისკენ იზიდავდა ყველას, ვისაც კი ფული ჰქონდა. მაშინდელ საქართველოში კი მდიდარი არცთუ ისე ბევრი იყო... ამას შესანიშნავად აღწერს სერგეი მესხი თავის სტატიებში „ბათუმის მიწები“ (1879 წ. 8 ივნისი).

„-გაზეთში ამას წინათ იყო გამოცხადებული, რომ თბილისის სომხები ახლად შექმნილ ბათუმის მაზრაში მამულების შექმნას აპირებდა. თვალი აჭარაზე სხვა სომხებსაც უკავიათ სასომხეთიდან. ამათ უფიქრიათ, რომ უეჭველია ზოგიერთი ქართველი გადავა ოსმალეთში, თავიანთ ადგილ-მამულს მიატოვებენ და ამ მიტოვებულ მამულებს იაფად ვიყიდითო...ჯერ რუსეთისთვისაც არ იყო ბათუმი და მისი მაზრა ჩაბარებული, ჯერ არც კი იცოდნენ ნამდვილად მართლა გადასახლდებიან თუ არა აქედან მცხოვრებლები და ადგილ-მამულები დარჩება თუ არა გასაყიდი...მთავრობა რა კანონს დადებს, რა კანონს მოახდენს ამგვარი მამულების შესახებ...და საოცარია რატომ ჩნდებიან ასეთი პირები, რომელთაც აქაც და იქაც განუზრახავთ ხელის მოთბობა, სარგებლობა, მუქთად დაუფლება მამულებისა. რა საკვირველია სომხებს ფულები აქვთ და ყველგან შეუძლიათ ყიდვა, მაგრამ კარგი იქნება ამთავითვე იცოდნენ, რომ ბათუმის მხარისაკენ ამ შემთხვევაში საშიში და ყურადღებაში მისაღები. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამჟამად ერთი სომეხიც არ მოიპოვება, რომელსაც ხეირიანი ვაჭრობა ჰქონდეს. მომატებული ნაწილი აქაური მამულის პატრონები არიან ლაზები, რომელიც ხასიათით, ზნით, მოხერხებულობით და მახვილი ჭკუით, აგრეთვე ენითაც, თითქმის წმინდა მეგრელები არიან. ვიცით აგრეთვე რომ საზოგადოდ შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში ვაჭრობის საქმეს ყოჩაღად უძღვებიან მეგრელები და ანგარიშის ცოდნა და მოხერხება, ფულის შენახვა და დაფასება იციან. რა თქმა უნდა ბათუმის მხარე ამისთანა ხალხს უფრო ადვილად შეეთვისება. ამისთანა ხალხთან

რომელიც, იმავე დროს, თანამომძე ხალხიცაა უფრო სიამოვნებით, უფრო ადვილად დაიჭერს საქმეს, ვინემ სხვაგვარ ვაჭრებთან, ყველა ამას მიუმატეთ კიდევ ისიც, რომ მეგრელი ვაჭარი არ არის თავის დღეში ისეთი შეუბრალებელი გულის, ისეთი ფულის მოყვარე, რომ ფულისათვის თავისი სინდისი და გული გაყიდოს, გაჭირვებული ხალხი შეავიწროვოს.

სოფლის მამულების შექმნის მსურველი სომხები რასაკვირველია არ იყვნენ, რადგან სოფლის მეურნეობა მათთვის არ არის გაჩენილი. თუ ამ მამულების გაყიდვა დაიწყო მთავრობამ, უეჭველია ბევრი უცხო ტომის ხალხი აღმოჩნდება ყიდვის მსურველი. იმედი გვაქვს რომ ჩვენ ამ შენიშვნას სხვა რაიმე აზრით არ ჩამოგვართმევენ, ჩვენი სურვილი ის არის, რომ ამ მხრით, შექმნილ მხარეებში კეთილგანწყობა დამთავრდეს და ქართველური სიყვარული დამკვიდრდეს...

1878 წ-მდე არც ერთი სომეხი არ ცხოვრობდა, არ ვაჭრობდა ანუ არ ჰქონდა თავისი ადგილი სადაც ფულს იშოვიდა...მუჰაჯირობამ აჭარაში იმდენი მიწა და იმდენი სახლი დატოვა ცარიელი, ზღვას მონატრებულ სომხებს უმაღლესად სურვილი იმისა, რომ დაპატრონებოდნენ უპატრონოდ მიგდებულს. მათ ფულის ყადრიც იცოდნენ და თავისი ენის, სამშობლოს ფასიც.

აჭარაში სომხები 100-120 წლის წინათ შემოსულან, აქ უკვე მუჰაჯირობა დაწყებული იყო, ბათუმი უკვე ომის დასრულების შემდეგ საქართველოს საკუთრებაში გადმოვიდა, სომხები რომლებიც აჭარაში დამკვიდრებას ლამობდნენ, სხარტი გონების წყალობით გამუსლიმანდნენ, ემანდ თურქები უკან არ დაბრუნდნენ და თავები არ დაგვაჭრანო...აქეთ რუსებს უგორებდნენ კოჭებს, თქვენ ხართ ჩვენი გადამრჩენიო და იქეთ რელიგიას იცვლიდნენ. აჭარაში შემოსული გამუსლიმანებულ სომხებს, ადგილობრივმა მოსახლეობამ „ჰემშილი“ შეარქვა. თუმცა ტრაპიზონში მის მიმდებარე სოფლებში, ძირითადად მოსახლეობას ასევე გამუსლიმანებული სომხები შეადგენდნენ და შესაბამისად იქაც ასევე „ემშილებს“ - ეძახიან.

სიტყვა „ჰემშილი“ - თურქულია და „გენეტიკურ სომეხს“ - გულისხმობს და რადგან ტრაპიზონი ასე თუ ისე ურთიერთობდა ბათუმთან, სავარაუდოდ სომხებს ეს სახელწოდება ტრაპიზონიდან გადმოჰყვათ.

თურქეთში მცხოვრებ ეთნოსებს შორის, ქართველები ერთ-ერთი დიდი ჯგუფია. ნაწილი ისტორიულ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ნაწილი კი მუჰაჯირობის შედეგად არის გადასახლებული, რომლებიც მთელი თურქეთის ტერიტორიაზე არიან გაბნეულები. ქართველები არიან ტრაპიზონში, ბურსაში, ანკარაში, იზმირსა თუ სტამბოლში.

1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, აჭარაში მცხოვრები მუსლიმანი ქართველები მასიურად გადაიხვეწნენ სამშობლოდან. ომის შემდეგ მთელს მხარეში შიმშილი და გაჭირვება. ოსმალეთის ჯაშუშების კარგმა მუშაობამ ბევრი ქართველი დაარწმუნა რომ იქ, ოსმალეთის იმპერიაში, უკეთესი ცხოვრება ელოდათ. საქართველოში დარჩენის შემთხვევაში კი მათ რუსები რჯულს შეუცვლიდნენ. ათასობით ქართველი მუსულმანი ქედიდან, ხულოდან, შუახევიდან, ქობულეთიდან, ბათუმიდან აიყარა და უკეთესი ცხოვრების საძიებლად ოსმალეთის იმპერიას მიაშურა, გადასახლების მსურველებს სპეციალური ვადა დაუწესეს, თუ რა დროში უნდა მოესწროს სამშობლოს დატოვება, თუმცა მუჰაჯირობა საქართველოს გასაბჭოებამდე გაგრძელდა. მუჰაჯირობით დაინტერესებული იყვნენ ოსმალები, ყველა მხრივ უწყობდნენ ხელს წასვლის მსურველებს, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადასულიყო ოსმალეთის იმპერიაში საცხოვრებლად. მუჰაჯირობის მსურველები ოჯახებით წასვლამდე სოფლიდან აგზავნიდნენ ე.წ. „დელეგატებს“. ოსმალეთში ჩასულ

დელეგატებს, ხელგამლილი ხვდებოდნენ და ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ. უკან დაბრუნებულებს თავიანთ სოფლებში ჩამოჰქონდათ ამბავი ზღაპრული ცხოვრების შესახებ, რომელიც ელოდათ უცხო მხარეში-აჭარაში კი რეალური ცხოვრება უკვე აუტანელი იყო, გამეფებული იყო უსამართლობა და უკიდურესი სიდუხჭირე.

მუჰაჯირად წასვლა გარკვეული წესით ხდებოდა. წასვლის მსურველი ვალდებული იყო რუსული ადმინისტრაციისათვის ჩაებარებინა მიწის ნასყიდობის საბუთი ან ხელწერილი მიწაზე სამუდამოდ უარის თქმის შესახებ. ამის შემდეგ მას უფლება ჰქონდა გაეყიდა ან გაეჩუქებინა თავისი ქონება.

აჭარიდან მკვიდრი მოსახლობის მუჰაჯირად წასვლას რუსეთის ხელისუფლებაც დიდად უწყობდა ხელს. ერთადერთი ვინც მუჰაჯირობით შეწუხებული იყო იმ პერიოდში, ქართველი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. სერგეი მესხმა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე არაერთი სტატია მიუძღვნა მუჰაჯირების თემას. ს.მესხი თავის წერილებში ხელისუფლებას და პირველ რიგში ქართველ საზოგადოებას უყურადღებობაში ადანაშაულებდა, რომლებსაც ისინი ახლადშემოერთებულ აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები თანამემამულეების მიმართ იჩენდნენ.

„თითქმის არც ერთი ფაქტით, არც ერთი სახსრით და ჩვენი მოქმედებით, ჯერ არ დაგვიმტკიცებია ამ ხალხისათვის, რომ ჩვენ მათთვის ბედნიერება და სიკეთე გვსურს, რომ ჩვენ ნამდვილ ძმებად მიგვაჩნია ისინი და ვზრუნავთ მათთვის და ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ისინი მიდიან ოსმალეთში, სადაც საქმით თუ ვერ უსრულებენ, სიტყვით ჰპირდებიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ხელის გამართვას და დახმარებას. ამაზე ყველა ქართველმა უნდა იფიქროს, რომ ნაპოვნი ძმა ხელახლა არ დაგვეკარგოს - წერდა ს.მესხი.

იმ პერიოდის საქართველოში სამშობლოდან წასასვლელად გამზადებული ადამიანების ბედზე საზრუნავად საზოგადო მოღვაწეების გარდა, არავის ეცალა. მათი წერილები და გულისტკივილი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ემიგრაციის ტალღა შეეჩერებინა. დაპირებული სამოთხე მუჰაჯირებმა ვერც ოსმალეთის იმპერიაში იპოვეს. შეიძლება მტერი ღმობიერი აღმოჩნდეს, ასე რომ ბედკრული ქართველის ბედს არსად არ იზიარებდნენ, მათ შორის არც საქართველოში ძმები თვისნი.

„დიდგორის ომის ტოლფასი მოვლენა“ ასე უწოდა აჭარის ოსმალეთის იმპერიის მფლობელობისაგან განთავისუფლებას და დედა-სამშობლო საქართველოსთან დაბრუნებას. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა.

და მართლაც ვინ იცის რამდენჯერ ააოხრა მტერმა საქართველო და სისხლის გუბეებით მორწყო საქართველოს მიწა. რამდენჯერ გადაწვა საქართველოს გული. მიწასთან გაასწორა ეკლესია-მონასტრები, შერყვნა სიწმინდეები, აჩეხა ბაღ-ვენახები, ტყვედ წაასხა ქართველი ქალ-ვაჟები, მაგრამ საქართველო ვერ დააჩოქა, თუმცა ყოფილა ისეთი დროებაც მამულის გადარჩენისთვის მიწა-წყლის შენარჩუნებისთვის მტერს რომ დაუზავდა ქართველი.

საქართველოს კუთხეებს შორის ყველაზე მეტად მაინც კახეთი და აჭარა დაზარალდა, თუმცა აჭარას უფრო მეტად ტრაგიკული ბედი ერგო, სამი საუკუნის მანძილზე დედა-სამშობლოსგან მოწყვეტილი, ტრადიციებით, ენით, ზნე-ჩვეულებითა და რაც მთავარია რელიგიურად განსხვავებული მტრის ბატონობის ქვეშ მოქცეული იბრძოდა, გმინავდა, კვნესოდა, მაგრამ ჩუმად, ფარულად მაინც ინახავდა ქართულ სიტყვას, ქართული ჯიშისა და სისხლისადმი პატივისცემას და ეს სიყვარული მონატრება 300 წლის მანძილზე თაობიდან- თაობას გადაეცემოდა.

დანარჩენი საქართველო არასოდეს არ ყოფილა გულხელდაკრეფილი, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდათ, ქართველი მეფეები თუ მთავრები ცდილობდნენ შებრძოლებოდნენ ოსმალებს და დაებრუნებინათ მამულს მოწყვეტილი კუთხე.

მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა ამის ისტორიული შესაძლებლობა მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთ-თურქეთის ომის დროს შეიქმნა.

სამი საუკუნე საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ ერი გადაგვარდეს, სხვა ჯიშსა და სისხლში აირიოს, ამიტომ გმირობის ტოლფასია სამშობლოს მოწყვეტილი იმ ქართველთა ერთგულება, რომლებმაც თურქეთში საშინელ დევნასა და ტერორში შეძლეს ქართული მეხსიერების, ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება. ჩვენმა ხალხმა უმძიმეს პერიოდში შეძლო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ამ რეგიონში არასოდეს ჩამკვდარა ქართული სიტყვა და საშინელი ტერორის პირობებში აქ შეიქმნა საიდუმლო დამწერლობა - „დედაბრული“, რომლითაც უხდებოდათ საზღვარს იქეთ და აქეთ ნათესავებს წერილობითი ურთიერთობის დამყარება. საზღვარს იქეთ გადასული ჩვენებურები ამ საიდუმლო სიტყვებით ატყობინებდნენ აჭარაში დარჩენილ მოსახლეობას, როგორი ცუდი და გაუსაძლისი ყოფა იყო და არაფრით არ მიატოვონ მშობლიური კერა, თუნდაც ცივი მჭადის გარდა არა ქონდეთ რა. წერდნენ თუ როგორ ენატრებოდათ აქაური ეზო კარ-მიდამო, აქაური ღელე-ღურდანი. ამ საიდუმლო ნაწერის საზღვარზე გაშიფვრა ვერ ხვდებოდა, ამიტომაც უსაფრთხოდ მოდიოდა ადრესატამდე. სამწუხაროდ ბათუმის ნავსადგურიდან-ოსმალეთისაკენ მიმავალ მუჰაჯირთა ნაკადი მატულობდა.

400 კაცამდე სხვადასხვა ოკრუგებიდან გამოსახლებულნი-მუჰაჯირები, დატიტყნილები, დასველებულნი თოვლში-ჯდებოდნენ გემზე, მაყურებელს ქვის გულიც რომ ჰქონოდა, აღძრავდა მათში სიბრალულს მათდამი. (ჯამეები ავსებული იყო მუჰაჯირებით, მომლოდინე თათრის გემის მოსვლით. გაზ. დროება -1880 წ.).

„ძნელი სათქმელია რამდენად სჯეროდათ ოსმალეთში ბედნიერი ცხოვრების გადასახვეწად გამზადებულ აჭარლებს, მაგრამ წასვლა რომ არ სურდათ მე-19 საუკუნის ქართული პრესის ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს (გაზ. დროება. სერგეი მესხი).

საშინელ სურათს წარმოადგენდა თურმე ეს ხალხის გადასახლება მნახველთ უამბიათ და მოუწერიათ ჩვენთვის, რომ მუჰაჯირები დედამიწას ჰკოცნიან, ჰკოცნიან ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს რასაც კი სტოვებდნენ. ცხარე ცრემლების ღვრით გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ასე მიდიოდნენ.

ბევრი ძალიან ბევრი იხოცება შიმშილისაგან და ვინც კი ადგილამდის მიაღწევდა დიდი სიკეთე არც მათ ჰქონდათ. წასასვლელად გამზადებული ბათუმის ნავსადგურში რამდენიმე დღეს ელოდა გემს. ნავსადგური სავსე იყო მოხუცებით, ავადმყოფებით, ძუძუმწოვარა ბავშვებით, დატაკი მშიერი ხალხით, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალეთში ეწევინ უკეთეს ბედს...

ერთი შემზარავი ამბავიც მომხდარა. ერთ გემს რამდენიმე ასეული ადამიანი წაეყვანა და ოსმალეთში ამ ხალხისათვის არ მიუციათ ნაპირზე გადმოსვლის ნებართვა, კაპიტანმა გემი უკან ბათუმში დააბრუნა, მაგრამ ახლა ბათუმში არ მისცეს ხალხს ჩამოსვლის ნება. გემზე ავადმყოფობა და საშინელი შიმშილი გაჩნდა, მგზავრების დიდი ნაწილი დაიღუპა.

კაპიტანმა ნებართვის გარეშე მუჰაჯირები ნაპირზე ჩამოსვა, მაგრამ ისეთ ნაპირზე გზა მხოლოდ ზღვისკენ მიდიოდა. რაღაც დროის შემდეგ აჭარის მთავრობას დაუხსნია ეს ხალხი, მაგრამ უმეტესობა უკვე გარდაცვლილი იყო შიმშილისა და ავადმყოფობისაგან.

აჭარიდან ხალხის გადასახლებას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მეტი ყურადღება მოითხოვა აჭარის მიმართ: “ჩვენ გაჭირვებულებების ძმები ვართ, ეს არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი. ქართველობავ ჩვენი უწმინდესი ვალია უნდა მივეშველოთ დღეს. მე-19 ს. რამდენი მაგალითი ვნახეთ ხალხის მამაკაცისეული ძირიდან აყრისა და გადასახლებისა. ჩვენ ეს გულისტკივილი შევიტანეთ ჩვენს მატთანში.

მშველელი კი არსად ჩანდა. ათასობით ადამიანი რამდენიმე წლის მანძილზე აწყდებოდა ბათუმის ნავსადგურს, რუსი ჩინოვნიკები ყურს არ იბერტყავდნენ, არც ადარდებდათ ეს საკითხი. მუჰაჯირებს კუთვნილი მიწების გაყიდვის უფლება არ ქონდათ, რადგან ამ მიწებზე ყოველთვის შეიძლებოდა რუსეთიდან ხალხის ჩამოსახლება.

ისტორიას ახსოვს სამწუხაროდ მრავალი ფაქტები მუჰაჯირობის განაწამებ ცხოვრებაზე, ახსოვს თურქეთის უღრან ტყესა და მუჰაჯირის ეკლიან გზებზე განაწამები, ჭკუაზე შეშლილი და გაბრაზებული დედის სახეები, დედების რომლებმაც უამრავი წამების, შიმშილისა და ტკივილის მიუხედავად მაინც შეინარჩუნეს ქართული ენა, ქართული ადათ წესები, ჩვენი კულტურა, წარსული და რაც ყველაზე მთავარია თავიანთ შვილებს გულში ღრმად ჩაუკირეს ყოველივე ეს და სამშობლოს - „დიდი მემლექეთის“ უსასრულო სიყვარული.

თურქეთისაკენ მიმავალ გზაზე მაინც არ წყდებოდა მუჰაჯირთა რიგები, მიუხედავად ყველაფრისა მაინც მიდიოდნენ... ცრემლებით... გულისტკივილით... უკეთესი ცხოვრებისა და იმის იმედით, რომ ამჯერად მაინც ვინმე იზრუნებდა მათზე. მათი საწუხარი არსად არავის გულთან არ მიუტანია.

და მაინც თურქეთში მუჰაჯირად წასულმა მოსახლეობამ შეინარჩუნა მცირედ, მაგრამ მაინც ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც გამოხატა აქაურთა ქორწილში, სამეურნეო საქმიანობაში, მატერიალურ კულტურაში, სამზარეულოში, ჩაცმულობაში და ასე ყოფის თითოეულ ელემენტს დაეკისრა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნების ფუნქცია. ჭეშმარიტად ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა, ქართული ადათ-წესების იდუმალ პირობებში შესრულება იყო ერთად-ერთი გზა ოსმალების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის და ემსახურებოდა ეროვნული მეობის დაცვის ინტერესებს... ქართული ენისა და ადათ-წესების შენარჩუნებისათვის ასევე დიდი ფუნქცია ეკისრება აჭარელი ქალების მიერ შემუშავებული კოდირებული ალფავიტის მეშვეობით დაწერილ წერილებს, რომელთაც ქართული სული იქეთ-აქეთ გამაცოცხლებელი ჰაერივით მიჰქონდა- მოქონდა ე.წ. „დედაბრული“ ნაწერი...

მუჰაჯირობის დროს მწვავე ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს მიუძღვნა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და პროზაიკოსმა ჯემალ ჯაყელმა რომანი „მუჰაჯირი“. ეს იყო პირველი ისტორიული რომანი, რომელშიც მუჰაჯირობის ერთ-ერთ უმწვავეს და უმტკივნეულს თემას განიხილავდა - მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ქართულად გადახვეწილს სამშობლოდან წასულს ნიშნავს, რელიგიური ნიშნით.

რომანის მთავარი გმირი მუჰაჯირია, რომელიც მუჰაჯირი გახდა არა საკუთარი მრწამსით არამედ საქართველოს ერთიანობის მტრების ძალისხევით და ამას მწერალი დამაჯერებლად ამხელს.

რა თქმა უნდა მუჰაჯირობაზე ხალხს უბიძგებდა ცხოვრების მძიმე პირობები, რუსიფიკაციის ტლანქი სისტემა, რითაც მშვენივრად სარგებლობდნენ ოსმალეთის იმპერიის შემორჩენილი აგენტები. მაგრამ მათ შორის მთავარი მაინც რელიგიური ფანატიზმი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხალხის ცხოვრებაში ყოველთვის დადგება

ეკონომიკური შეჭირვების მძიმე პირობები, მაგრამ ხალხი მაინც საკუთარ ფუძეზე უნდა დარჩეს და საკუთარი ბედი საკუთარი შრომითა და ბრძოლით უნდა გამოჰქედოს.

ომმა აჭარას თითქოს თავისუფლება მოუტანა, მაგრამ სალდათების უხეშობით ხალხს ეგონა, თითქოს ერთის ბატონობა მეორეთი შეიცვალა. ენა არ ესმოდათ, რუსი სალდათების წესრიგი ეუცხოვათ და სამართალი რომ ვერ უნახავთ წასულან მუჰაჯირად.

რომანში განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი რუსული კოლონიალიზმის არსი. ქართული მიწების დასაკუთრებისა და აქ რუსი მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებული პუნქტების შექმნის მიზნით. რუსი მმართველები ყოველნაირად აქეზებენ ქართველებს მუჰაჯირებად წასვლაზე, სასტიკად ეწინააღმდეგებიან გონმოსული მუჰაჯირების უკან მობრუნებას, მაგრამ თუ ქვეყანა მოკლებულია რეალურ ეროვნულ სუვერენიტეტს, იგი ვერც ერთ ეროვნულ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. საყურადღებოა, რომ რუსული პოლიტიკისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას მწერალი კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის ხანაში გამოხატავდა. სწორედ იმ წლებში, როცა ტოტალური ტემპითა და მამტაბით მიმდინარეობდა შეტევა ეროვნული ენის პოზიციებზე. მწერალი ამბობს: „ხალხმა კი არ უნდა ისწავლოს ხელმძღვანელის ენა, არამედ ხელმძღვანელმა უნდა ისწავლოს იმ ხალხის ენა, რომელსაც ის მეთვალყურეობს.“

საქართველო რომ ყოფილიყო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, არ მოხდებოდა ძირძველი მოსახლეობის გადახვეწა სამშობლოდან. ამ თვალსაზრისით ჯ.ჯაყელის „მუჰაჯირი“- ეროვნული თხზულებაა, რომელიც მიმართულია ეროვნული ცნობიერების გამტკიცებისაკენ...

რომანში დიდ ყურადღებას იქცევს მთავარი გმირის „გობრონელის“ სიტყვებში გამოხატული იდეების მამტაბები და პერსპექტივები. ეს იდეები სუფთა ეროვნული სულისკვეთებით გამოირჩევიან: „ქართველის საქმე, საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი. ქვეყანა თუ ხარ, სახელმწიფო თუ ხარ, ქვეყნის პატრონი თუ ხარ, ასე უნდა ქნა. თუ არა და უნდა გაჩერდე. რას ნიშნავს თურქეთის საქართველო, საქართველო თუა თურქეთის რატომ არის. თურქეთი თუა საქართველოსი რატომ არის, ვინ ვის ატყუებს აქ. ტრაპიზონამდე მიწები ქართულია და იმის იქეთ კიდე. ეს ციხეები, ტაძრები, ხიდები ქართველების ამენებულია, ჩვენი, მაგრამ არაა ჩვენი“ მწერალი გაიაზრებს მუჰაჯირობის პრობლემებს და მარტო მუჰაჯირების დაბრუნებაზე კი არ წერს, არამედ ქართული მიწის დაბრუნებაზე, გურჯისტანის საზღვრების აღდგენაზე. რა თქმა უნდა იმდროინდელი სახელმწიფო მოღვაწეები ამ საკითხზე ვერ გამართავდნენ მოლაპარაკებებს, მაგრამ ის რომ „იქაურმა“ და „აქაურმა“ ქართველებმა უნდა იცოდნენ ისტორიული ჭმმარიტება“- ეს აუცილებელია.

მწერალი დიდი გულისტკივილით აგვიწერს თუ რა ძნელად მიმდინარეობდა დედა - საქართველოსთან შემოერთების შემდეგაც ეროვნული პოზიციების აღდგენის პროცესი აჭარაში და დიდ იმედს გვიტოვებს - იბერია გაბრწყინდება... რომანის მთავარი მიზანი და პათოსია ბრძოლა საქართველოს ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობისათვის, ქართული სულის უმთავრეს თვისებათა გადარჩენისათვის, ისტორიაში აჭარის როლისა და ადგილის სწორი გაგებისათვის.

საქართველოდან გადახვეწილ „ჩვენებურებს“- თურქები დღესაც გურჯებს ეძახიან და ეს პატარა სიამაყის გრძნობას მაინც ბადებს ქართველთა გულში. ჩვენებურებმა როგორც შეეძლოთ ქართული კულტურა და ტრადიციები დღემდე შემოინახეს, ესეც გმირობის ტოლფასია.

ოსმალეთში ასეულ-ათასობით კავკასიელთა გვერდით გადასახლებას ვერც აფხაზები გადაურჩნენ. ასევე მუჰაჯირობა შეეხო ჩერქეზებს, ჩეჩნებს, აიზიტებს, ყაბარდოელებს, ოსებს - კავკასიელი ხალხის გადასახლებით, როგორც ყოველთვის რუსეთი ცდილობდა ამ მხარეში პოლიტიკური სიმშვიდისთვის მიეღწია, გათავისუფლებული მიწები ფართო კოლონიზაციისათვის გამოეყენებინა და მხარის სამხედრო სტრატეგიული მდგომარეობით ესარგებლა - აფხაზეთიდან 50 000-მეტი ადამიანი გადასახლეს, მათ დღემდე შემოინახეს, როგორც აფხაზური ენა, ასევე ცხოვრების წესი, ყოფა, ტრადიციები და ის ტრადიცია რომელიც დღემდე აქვთ შემონახული. თუნდაც თევზის არ ჭამის ტრადიცია. მათ მეხსიერებაში დღემდე არის შემორჩენილი, უდიდესი მნიშვნელობისაა, რაც ადასტურებს მათი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას.

მუჰაჯირობის ისტორიაში არსებობს არაერთი დამადასტურებელი ფაქტი, როდესაც დევნილები თურქეთისაკენ მიმავალ გემებზე აჯანყებას აწყობდნენ, დახოცილებს კი პირდაპირ ზღვაში ყრიდნენ, იყო შემთხვევები როცა ადამიანები თავად ხტებოდნენ ზღვაში იმ იმედით, რომ სანაპირომდე მიაღწევდნენ, მაგრამ უმრავლესობა ზღვაში იბრჩობოდა, უკან მიმავალი გემების მგზავრები ხედავდნენ თუ როგორ ჭამდნენ მათი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეზობლებს თევზები, სწორედ მაშინ ჩაუთქვეს ერთმანეთს რომ ოსმალეთშიც და იქედან სავარაუდოდ დაბრუნების შემთხვევაში თევზი არასოდეს ეჭამათ.

ვინც გადარჩენა მოახერხა ან ასეულობით წლის მერე ოსმალეთიდან დაბრუნდა და აჭარის ტერიტორიაზე დასახლდა, ეს სოფლებია ფერია, ადლია, ანგისა, ეს ის სამი დიდი დასახლებაა სადაც აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები ცხოვრობენ და თევზს საერთოდ არ ჭამენ... ნოდარ მუსხაჯბი-„მუჰაჯირის შთამომავალი - აფხაზი კაცი თევზს არ ჭამს, როცა ისინი ხედავდნენ თევზს, მასში ხედავდნენ თავიანთი ოჯახის წევრს, მეგობარს, მეზობელს ან ნათესავს...ესაა მთავარი მიზეზი, აფხაზების თევზის არ ჭამის ტრადიციაში“.

მას შემდეგ საუკუნე ნახევარი გავიდა თევზის ჭამის ისტორია უკვე დავიწყებას ეძლევა, მაგრამ აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლებს, კვლავ გულდაწყვეტით ახსენდებათ ეს ტრადიცია...როგორც ჩვენი ქვეყნის კუთხის შვილები - აფხაზი მუჰაჯირები საქართველოს-გურჯისტანს დიდ მემლექეთს ეძახიან...

ერთ-ერთ პატარა ლამაზ თქმულებას ყვებიან ჩვენებურები - „ჭოროხი იმიტომაცა ჩქარი მდინარე, რომ „გურჯისტანში“ ჩამოიტანოს მუჰაჯირთა სულები და ფიქრები“.

გურჯისტანს ანუ საქართველოს ისინი დიდმემლექეთს ეძახიან, მეორე ასეთი ლამაზი თქმულება შემოგვინახეს ასევე: „ჩვენებური ქალები, ქმრების ჩუმად სახლში სტირიან და ცრემლებს გუგუმებში (თუნგი) აგროვებენ, ზაფხულში „ჩურუგა“ (ივლისის) თვეში გვალვების დროს, როცა მდინარეში წყალი ნაკლებია, ადიან კოლადან, არტანიდან, შავშეთიდან, კლარჯეთიდან, პერიდან, ერუშეთიდან და სხვადასხვა ქართული პროვინციებიდან მტკვარის სათავესთან მიაქვთ დაგროვილი ცრემლი და უმატებენ თითქმის დამშრალ მტკვარს, რომელსაც საქართველოში ჩამოაქვთ იქაურთა დარდი და ტკივილი“. მათ მუდამ ენატრებათ გურჯისტანი და დღესაც ასე გულდაწყვეტილი ყვებიან მოგონებებს საქართველოზე და ენატრებათ აქაურობა. ვინ იცის რამდენჯერ შეგვებო მათი ცრემლი ჩვენ და ამიტომაც არ მთავრდება მონატრება, სიყვარული და უსაზღვრო საქართველოს დიდება. უფალო შენ დაიფარე, გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო... ამინ!!!

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათ., 1948
2. მესხი ს., წერილები „ბათუმის მიწები“, გაზეთი „დროება“ 1879 წ. 8 ივნისი
3. ჯაყელი ჯ., მუჰაჯირი, ბათუმი, 1968
4. ჯაყელი ლ. საველე მასალები, ბათუმი, 2017 წ. მუჰაჯირის შთამომავლის ნოდარ მუსხაჯბის მონათხრობი მუჰაჯირობაზე (იხ. ავტორის პირადი არქივი).



ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისკენ



მუჰაჯირები ოსმალეთისაკენ მიმავალ გზაზე



სამახსოვროდ გადაღებული ფოტო მამულეთის არდავიწყებისათვის

ტრადიციული სამოსი აჭარაში

ქართული ეროვნული სამოსი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. პრაქტიკული დანიშნულების გარდა სამოსი უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სოციალურ და ქონებრივ მდგომარეობას, მეურნეობრივ საქმიანობას, გამოხატავს ეროვნულ, სქესობრივ, ასაკობრივ თავისებურებას და ესთეტიკურ გემოვნებას. იგი უშუალოდ კავშირშია სხვა ცხოვრებისეულ მოვლენებთან.

ოსმალთა თითქმის სამ საუკუნოვანმა ბატონობამ გარკვეული კვალი დააჩნია აჭარის კულტურისა და ყოფის ზოგიერთ მხარეს, მათ შორის ტანსაცმელსაც. მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ურთულესი ისტორიული პირობებისა ამ კუთხის სამოსმა თავისი განვითარების მანძილზე შეძლო საკუთარი ტრადიციების, მხატვრული ინდივიდუალობისა და ზოგად-ქართული იერის შენარჩუნება.

უძველეს ქართულ ჩაცმულობაზე ცნობებს არქეოლოგია და უცხო ავტორთა ჩანაწერები გვაწვდის. ამ მონაცემების მიხედვით ადრეული ქართული სამოსის ფორმისა და თარგის აღდგენა ჭირს. ის კი ცნობილია, რომ სამოსისათვის უმეტესად სელისა და მატყლის ქსოვილებს იყენებდნენ. პირველ ცნობებს საქართველოში გავრცელებული სამოსის შესახებ ძველი ბერძენი მოგზაურები – ქსენოფონტე და სტრაბონი გვაწვდიან. ამ დროის სრულყოფილი ინფორმაცია ტანისამოსის შესახებ არ მოგვეპოვება. მხოლოდ ეკლესიებში შემონახული მხატვრობა, ბარელიეფები და მინიატურები გაგვაჩნია, რომლის საფუძველზეც შეიძლება სამოსის ძირითადი სტილისა და მორთულობის განსაზღვრა.

ქართული ეროვნული ტანსაცმელი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ამავე დროს სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა, როგორც ბუნებრივი განვითარების საფუძველზე ისე მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შედეგად. ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ურთიერთობამ უახლოეს მეზობლებთან, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატის თავისებურებებმა გამოიწვია საქართველოს მთასა და ბარში, დასავლეთსა და აღმოსავლეთში ჩაცმულობის განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბება.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერთმანეთს გაემიჯნა ქალისა და მამაკაცის, გათხოვილი და გასათხოვარი ქალის, ყოველდღიური და სადღესასწაულო, მუსიკალური, საქორწილო და სამგლოვიარო და სხვა ტანსაცმელი. გაჩნდა ტანსაცმლის პროფესიული და კლასობრივი სახეები. შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ჩასაცმელმა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, რამდენიმე ძირითადი ხასიათის ცვლილება განიცადა. საბოლოოდ კი ფეოდალური წყობილების დასრულებასთან ერთად დაკარგა თავისი მნიშვნელობა. იგი შეცვალა თანამედროვე და მოხერხებული სტილის ევროპულმა სამოსმა. ტრადიციული ჩასაცმელი მხოლოდ ნაციონალურ, დეკორატიულ სამოსად გადაიქცა.

ქართული სამოსი გამოიკვლია და შეისწავლა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა. მან აღწერა არა მარტო XVIII საუკუნის სამოსი, არამედ XI-XIII საუკუნეების ჩაცმულობა. ვახუშტი განასხვავებს ერთმანეთისაგან საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩაცმულობას, გვაუწყებს თუ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში როგორ ტანსაცმელს იცვამდნენ, რა მასალისაგან ამზადებდნენ მას და სხვა (ბატონიშვილი, 1941:32) შემდეგ ცნობილმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა VI–დან XIII საუკუნის ჩათვლით აღწერა ქალის, მამაკაცის და ბავშვის სამოსი. იგი ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ განიხილავს უძველესი დროიდან XIX საუკუნის არსებული ქართული ტაბსაცმლის განვითარების

პროცესს. მხედველობიდან არ არის გამოტოვებული კუთხეების მიხედვით ტანისამოსის დიდი მრავალფეროვნება. აჭარულ ტანსაცმელთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი ახსენებს მხოლოდ კაბა ფორკას. (ჯავახიშვილი, 1962:4)

ქართული ეროვნული ტანსაცმლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ცნობილი მეცნიერები ივ. ციციშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ნ. ჩოფიკაშვილი, დ. ბოჭორიშვილი და სხვანი, რომელთა შრომები მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალებს შეიცავენ ქართულ ჩაცმულობაზე.

აჭარული ჩაცმულობა სრულყოფილად არავის შეუსწავლია. მაშინ, როცა ჩაცმულობის შესახებ ცნობები გვხვდება XIX საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში. მათგან საყურადღებოა დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, თ. სახოკიას, ზ. ჭიჭინაძის, ჟ. მურიეს, ა. ფრენკელის და სხვათა მონაცემები. ისინი მხოლოდ გაკვრით ეხებიან აჭარელთა ჩაცმულობას. დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი გვამღევენ აჭარელი მამაკაცის ჩაცმულობის დახასიათებას. ა. ფრენკელი კი დაწვრილებით გვაწვდის ინფორმაციას ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის შემადგენელი ელემენტების შესახებ და რაც მთავარია, თურქული სახელწოდებების გვერდით იგი ასახელებს ქართულსაც. ასევე დეტალურად ახასიათებს თ. სახოკია აჭარული ჩაცმულების ელემენტებს. (ბაქრაძე, 1987:50; ყაზბეგი, 1995:26-59, 60-61; სახოკია, 1950:191).

აჭარული ჩაცმულობის შესახებ საყურადღებო ცნობებია თავმოყრილი ჯ. ნოლაიდელის ნაშრომში - „ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა ცხოვრებიდან“ აჭარელთა ყოფის ადათ-წესების აღწერისას ავტორი იძლევა საქორწილო თავსაბურავის ელემენტებისა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა დახასიათებას. (ნოლაიდელი, 1955:15). აჭარული სამოსი ეთნოგრაფიულად შეისწავლა და გამოსცა წიგნი - „ხალხური ტანსაცმელი აჭარაში“ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა იზოლდა სამსონიამ.

საერთო ეროვნული ჩაცმულობის გვერდით საქართველოს თითოეულ კუთხეს მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი კოლორიტული სამოსი ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აჭარულ ტანსაცმელს. მთისა და ბარის ზონის ტანსაცმელი ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. ქალის სამოსი დანიშნულების მიხედვით იყო შინ სახმარი ანუ საცვეთი და საგარეო ანუ სანამუსო. ასევე მკერდდახშული, ჩაღილული, მკერდზე ბორტებ გადაფენილი, მკლავებზე აკეცილი, ვიწრო და გრძელ სახელოიანი, მკერდლია გულისპირიანი და ასე შემდეგ.

საინტერესოა ტერმინის „კაბა“ სახელწოდების გარშემო არსებული შეხედულებანი. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ტერმინი კაბა სპარსულიდან არის შემოსული და ორივე სქესის სამოსის აღმნიშვნელი ზიარი ტერმინია (ჯავახიშვილი, 1962:72); ი. ციციშვილის აზრითაც ტერმინი კაბა ორივე სქესის ზედა სამოსის სახელწოდებაა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით იგი ვარაუდობს, რომ ტერმინი კაბა არაბების ბატონობის დროს უნდა იყოს შემოსული. (ციციშვილი, 1954 :55) ამგვარად ტერმინი კაბა ძველი დროიდან იხმარებოდა საქართველოში და იგი როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ტანსაცმლის აღმნიშვნელია.

აჭარის გეოგრაფიულ სინამდვილეში სამი ტიპის კაბა არსებობდა: ზუბუნ-ფარაგა, დატეხილი კაბა და ფორკა კაბა.

ზუბუნ-ფარაგა აჭარელი ქალის ჩაცმულობის ძალიან ძველი ელემენტია. ზუბუნი თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქურთუკს ნიშნავს. მისი არცერთი ეგზემპლარი თანამედროვე ყოფას არ შემორჩა. ერთადერთი ნიმუში დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქსოვილების ფონდში. (სამსონია, 2005:48)

ზუბუნ-ფარაგა იკერება როგორც შინ ნამზადი (სელი, კანაფი, აბრემუმი) ასევე ფაბრიკული ქსოვილებისაგან. კაბა მთლიანი, წელში გაუკერავი და ბოლომდე გახსნილი

იყო. კაბა გამოჭრილი იყო და მასში მოჩანდა პერანგის მოქარგული საყელო. კაბის გულისპირის შემკობას დიდი ყურადღება ექცეოდა, რაც კაბის საერთო იერს ესთეტიკურ ელფერს მატებდა.

ზუბუნ-ფარაგას გვერდები საგანგებოდ იყო შეხსნილი. ის ახალუხისებური თარგითაა შეკერილი და შედგება წინა ორი ფარაგის, უკანა ფარაგისა და მიდგმული სახელოსაგან. ზუბუნი წინ მთლიანად გახსნილია. გვერდებიც წელს ქვემოთ ასევე შეხსნილია. მას შესაბნელები არ აქვს. ჩახსნილი ადგილები ამოქარგულია ვერცხლისმკედის გრებილით და ქმნის ფოთლოვან ორნამენტს. ზუბუნი წელიწადის დროთა მიხედვით განსხვავებული იყო. ზამთარში გძელი, სახელოიანი და დაბამბული, ზაფხულობით კი უსახელო დაუბამბავი. ზუბუნი გავრცელებული იყო სამცხე-ჯავახეთში. მას ატარებდა როგორც ქრისტიანი, ისე მუსულმანი მოსახლეობა. ზუბუნი სომეხი ქალის ჩაცმულობაშიც გვხვდება. ეს სამოსი გავრცელებული იყო ანატოლიაში, აზერბაიჯანში, უდმურტეთში, ბულგარეთში, რუსეთში და ყველგან... (სამსონია, 2005:50) ზუბუნის აჭარული ვარიანტი ქართულ ნიადაგზეა ჩამოყალიბებული და ახალუხის ნაირსახეობას წარმოადგენს. მის დასამზადებლად გამოიყენებოდა ხავერდის, ფარჩის, ყანაოზის ქსოვილები.

აჭარელთა ყოფაში ზუბუნ-ფარაგას პარალელურად მოიხმარებოდა დატეხილი კაბა. მთლიანი კაბა თანდათან შეცვალა წელში გადაჭრილმა კაბამ. თარგის ცვლილება აჭარაში შესაძლოა იაფი მსუბუქი ფაბრიკული ქსოვილის შემოჭრითაც იყო გამოწვეული. დატეხილი კაბის მასალად გამოიყენებოდა ნაზი ქსოვილები- ყანაოზი, ყუმამი და სხვა.

დატეხილი კაბის თავისებურება ისაა, რომ იგი გრძელია და ნაოჭებიანი. კაბა ტანზე მჭიდროდ მორგებული უნდა ყოფილიყო და ნაოჭებში ფარული ჯიბეები იყო დატანებული. თავიდან წელამდე ჩახსნილი კაბის გულისპირი ღილებით იკერება. კაბის გულისპირს მწვანე ზონარითა და ტეხილი ორნამენტებით ამკობდნენ. საერთოდ მიღებული იყო კაბის გულისპირის, საყელოსა და სამაჯების შემკობა სხვადასხვა ფერის ძაფებით. (სამსონია, 2005:53).

დატეხილი კაბის თარგი და მოხმარების წესი ძირითადად ერთნაირი იყო აჭარის ყველა სოფლისათვის. მის დასამზადებლად წითელი, მწვანე, ყვითელი და ალისფერი ქსოვილები გამოიყენებოდა. ქალების რწმენით მუქი ფერის კაბის ტარება ცოდვად ითვლებოდა.

დატეხილი კაბა თანდათან შეიცვალა და გამარტივდა კაბის თარგი. გაქრა წინა, ჩახსნილი ადგილი, რამაც გამოიწვია შესაბამელი ღილების რაოდენობის შემცირება, რადგან კაბა ბოლომდე კი არ იყო გახსნილი არამედ მკერდს ზემოთ. ფორკა კაბის თარგი მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, ისე სხვა ქვეყნის სამოსისაგან. საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამოსთან სიახლოვე შეინიშნება კაბის მოხვევის ფორმებში, გამოჭრა-შეკერვის წესში.

მთლიანი კაბების გარდა აჭარელი ქალი წელქვედა კაბასაც ატარებდა. მისი თარგი იგივეა, რაც დატეხილი კაბის ქვედატანისა. მასზე 7 მეტრი ქსოვილი იხარჯებოდა. უპირატესობას ანიჭებდნენ ხასხასა ფერებს- წითელს, მწვანეს, ყვითელს. ქვედა კაბას უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა ვიდრე მთლიან კაბას. იგი ბოლომდე გახსნილი იყო. კალთის ბოლოს არშია ამშვენებდა. ასეთ კაბას „დატეხილ კაბას“ უწოდებდნენ. ასეთი ნაოჭებიანი კაბა გავრცელებული იყო როგორც მართმადიდებლურ, ისე მაჰმადიან და კათოლიკე ქართველებში.

აჭარელი ქალის ჩაცმულობა ძირითადად ორი სახისაა: საგარეო ანუ სანამუსო და შინ სახმარი ანუ საცვეთი. სანამუსო ტანსაცმელი საცვეთისაგან განსხვავდებოდა მასალის ხარისხით, ფერითა და შემკულობით, მაგრამ თარგი ორივესთვის ერთნაირი იყო. სანამუსო კაბას იყენებდნენ სადედოფლოდ, საქორწილოდ და სხვა სახის დღეობა-

დღესასწაულებში. ახალგაზრდა ქალები შედარებით მხიარულ ნათელ ფერებს არჩევდნენ, ხოლო ხანდაზმული მანდილოსნები მუქ ფერებს ეტანებოდნენ. გათხოვილი და გაუთხოვარი ქალის ტანსაცმელი თარგის მიხედვით არ განსხვავდებოდა. სხვაობა გამოიხატებოდა მხოლოდ თავსაბურავის შემადგენლობასა და სამკაულების მრავალფეროვნებაში.

მაღალი წოდების ქალის ჩაცმულობა განსხვავდებოდა მოსახლეობის უბრალო ფენის ჩაცმულობისაგან. უმთავრესად ტანსაცმლის სხვადასხვა ელემენტის მდიდრული შემკულობით, ქსოვილის ხარისხითა და ძვირფასი სამკაულებით. თარგი ყველა სამოსისათვის ძირითადად ერთნაირი იყო.

საქორწილო კაბა ჩვეულებრივ სანამუსო ტანსაცმლის თარგზე იყო გამოჭრილი. შედარებით მდიდრული შემკულობითა და ქვედატანის ნაკეცების სიუხვით გამოირჩეოდა. საქორწილო კაბის ფერის შერჩევას უპირატესობა ეძლეოდა წითელ ფერს. საკაბედ წითელი ფერის ქსოვილის გამოყენება მაგიური მნიშვნელობითაც აიხსნება. ეს არ გამორიცხავდა სხვა ფერის კაბის მოხმარებას. (ბეზარაშვილი, 1970:178) აქვე ითვალისწინებდნენ კაბის მოსართავ სირმებსაც. სადედოფლო კაბა გულისპირის შემკულობითაც გამოირჩეოდა. პერანგის მოქარგული საყელო ავსებდა ტანსაცმლის მთლიან შემკულობას.

ძველ საქართველოში სამგლოვიარო ტანსაცმლისათვის გამოყენებული იყო შავი ფერი. თუმცა ივ. ჯავახიშვილი თეთრი ფერის გამოყენების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა მაგალითად, ცოლის ან ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილი მეუღლე დასაფლავების დღეს საქორწილო თეთრ ტანსაცმელს იცვამდა. შავი ტანსაცმლით კი შეიმოსებოდა დასაფლავების შემდეგ. (ჯავახიშვილი, 1962:77).

XX საუკუნის დასაწყისამდე აჭარელი ქალის ძირითად ტანსაცმელს ქართული ახალუხის ტიპის კაბა წარმოადგენდა. აჭარელი ქალის ტანსაცმლის განვითარების უკანასკნელ საფეხურზე ევროპული ტიპის კაბამ დაიჭირა გაბატონებული ადგილი.

აჭარელი ქალის გარე სამოსის ზედა ტანის ჩაცმულობაში ერთ-ერთი ძირითადი იყო სიხმა. იგი მზადდებოდა ხავერდის, სატინის, ფარჩის ქსოვილისაგან. ახალგაზრდები ხმარობდნენ წითელს, მწვანეს, ხოლო ხანდაზმული ქალბატონები შავ სიხმას.

აჭარაში სიხმის ორი სახეობა დადასტურდა: გულამოჭრილი და გულდახურული. მისი მორთვა-შემკობისათვის იყენებდნენ სხვადასხვა ფერის ძაფსა და ყაითანს. მეორე სახის სიხმა ნაკერებით იყო გაფორმებული და მას ნაკერიანი სიხმა ეწოდებოდა. იგი ფაბრიკული ქსოვილისაგან (ხავერდი, სატინა, მაუდი, ფარჩა) მზადდებოდა. მის ფერს ასაკისა და გემოვნების მიხედვით არჩევდნენ. ახალგაზრდები ნათელ ფერებს ანიჭებდნენ უპირატესობას, ხოლო ხანში შესული მანდილოსნები კი მუქ ფერებს.

სიხმის სატანე რვა მეტრი თეთრი ქსოვილითაა დასარჩულებული. სატანე მჭიდროდ იყო მორგებული ქალის ტანზე. სიხმის შესაბნევი მკერდს ქვემოდ იწყებოდა და წელამდე გრძელდებოდა. ღილებად კოპჭებს იყენებდნენ. სიხმის შესამკობ მასალად იყენებდნენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ყაითნებს, ფერად ძაფებს და ღილებს. ერთმანეთთან შეხამებული იყო წითელი და შავი, ყვითელი და მწვანე, შავი და მწვანე. მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა სიხმაზე გამოყენებული ორნამენტი. აჭარელმა ქალებმა სათუთად შემოინახეს ჯვრით გამოსახული ჩასაცმელი და ჩვენს დრომდე მოიტანეს იგი. ამ ჩასაცმელში ნათლად იგრძნობა ქართული ეროვნული ჩაცმულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები. სიხმის მსგავსება ქართველი ქალის ჩაცმულობასთან განსაკუთრებული სიცხადით მის ქარგულობაში მოჩანს. ჯვარსახოვანი გამოსახულებები აჭარელი ქალის ჩაცმულობაში წარმოადგენდა ორნამენტის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს, რომელიც მიუთითებს ქართული ტრადიციული ორნამენტის შემონახულობაზე აჭარაში (რობაქიძე, 1978:12). ჯვრის გამოსახვა ქართულ ტანსაცმელზე

საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება. მაგალითად, ჯვრის გამოსახულებით უხვადაა შემკული ხევსურული ტანსაცმელი.

სიხმა თავისი ძირითადი თარგით საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებთა ყოფაში არ დასტურდება. მიუხედავად ამისა მათზე გამოსახული ჯვარი, გარკვეულ მსგავსებას ავლენს ქართული სამოსელის შემკულობასთან.

ჩათაკა თურქული სიტყვაა და ქურთუკს ნიშნავს. ჩათაკა სიხმასთან შედარებით მოგვიანებით შემოვიდა, მან ხმარებიდან თითქმის განდევნა სიხმა. იგი საპატარძლო ახალგაზრდა გათხოვილი და გაუთხოვარი ქალების ჩაცმულობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტანისამოსი იყო. სიხმისაგან განსხვავებით ჩათაკა თემომდე წვდებოდა ქალს მისი მოქარგული ბოლოებით. მის დასამზადებლად გამოიყენებოდა ხავერდი, ფარჩა, ატლასი. უპირატესობა ენიჭებოდა მწვანე, წითელი და ყვითელი ფერის ქსოვილებს.

ჩათაკისა და სიხმის საყელოს თარგი ერთნაირია. გულისპირზე მარცხენა მხარეს აქვს პატარა ჯიბე. სარჩულად გამოყენებულია უბრალო ჩითი. გულისპირი შვიდი კოპჭით იკვრებოდა. ჩათაკას მსგავსი სამოსი საქართველოს სხვა კუთხეებში არ მოიძებნება.

სალტა იტალიური სიტყვაა და ქურთუკს ნიშნავს. კაბის ზემოდან სახმარ სათბილო სამოსს წარმოადგენდა. მას მაღალი წოდების ქალები ატარებდნენ. მოქარგულია მისი წინა და უკანა კალთები, სახელოები. საყელოს შემოველება სპირალური ორნამენტი. კარგადაა ორნამენტირებული სალტას უკანა მხარეც. თარგით განსხვავდებოდა სიხმის და ჩათაკისაგან, სარჩულად სადა ჩითი აქვს დადებული. მისთვის დამახასიათებელია გახსნილი გულისპირი შესაბნევის გარეშე. იგი ქარგულობითაც გამორჩეული სამოსია. ორნამენტის მასალად გამოიყენებოდა ვერცხლისმკედის გრეხილი. ტანსაცმლის ამ ნიმუშს აჭარაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია.

იჩლული თურქული სიტყვაა და შიგნით ჩასაცმელ სამოსს ნიშნავს. ის ფარჩის ქსოვილისაგან მზადდებოდა. იჩლულის თარგს შეადგენს წელამდე მწვდომი მთლიანი უკანგაუკერავი სატანე, უსაყელო, ჩახსნილი გულისპირითა და მიდგმული სახელოებით. სახელო მაჯიდან შეხსნილია 15 სანტიმეტრით, ნაკერია შავი ძაფით და შემკულია ოქრომკედით ნარევი გრეხილით. იჩლულის ზედა ტანი შეკერილია თეთრი ნარმის, ხოლო სახელოები წითელი ჩითის სარჩულზე. ეს სამოსი საზაფხულო სამოსს წარმოადგენდა. იჩლული შეძლებული ქალის ჩასაცმელი იყო.

ხირხა სიხმისა და ჩათაკას ზემოდან სახმარ თბილ შესამოსელს წარმოადგენს, რომელიც ცივი კლიმატური პირობების დროს სახმარ სამოსადაა აღიარებული. ხირხის თარგი წააგავს ჩათაკის თარგს. ჩათაკისაგან მას მხოლოდ სიგრძე და საყელო განასხვავებს. ხირხას საყელო არა ჰქონდა. იგი ფერადი ყაითნებითა და ძაფებით ირთვებოდა. ხირხა აჭარის მთაშიც იყო გავრცელებული და ბარის ზოლშიც.

აჭარაში ხირხა გავრცელებული ჩასაცმელი იყო ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის თ. სახოკია თავის ნაშრომში „მოგზაურობანი“. იგი მიუთითებს აჭარული სამოსის განმასხვავებელ ნიშნებზე ქართულ სამოსთან შედარებით. ის მოიხსენიებს ჩითის ხირხას- დაბამბულს და უბამბოს. ამ სამოსს იგი ადრებს ქართულ ქათიბს. (სახოკია, 1950: 192) ხირხა სეზონის მიხედვით განსხვავებული ყოფილა საზაფხულოდ იცვამდნენ დაუბამბავს, საზამთროდ კი- დაბამბულს. ხირხა, როგორც სამოსის განსხვავებული სახეობა აჭარელთა ყოფაში ჩვენამდე ვერ შემორჩა.

სარტყელი ქალის ტანსაცმლის კომპლექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სარტყელის გარეშე ქალის ჩაცმულობა წარმოუდგენელია. მასალის მიხედვით იგი ორგვარია: შინ ნამზადი შალის და აბრეშუმის ძაფის სარტყელი; ასევე ფაბრიკული აბრეშუმის ქსოვილის სარტყელი, რომელსაც თალაბულუსი ეწოდება. სარტყელი ორ ჯგუფად იყოფა: სადა და ჭრელი. ის წელს სიცივისაგან იცავდა, მას წელის დარაჯს

ემახდნენ. სარტყელი შემდეგ ზამთარ-ზაფხულ სახმარი ელემენტი გახდა. ხანში შესულ ქალებს მცირე ცვლილება შეუტანიათ სარტყელის დამზადების წესებში. იმ ნაწილში, რომელიც წელს ფარავდა, ბამბის ან მატყლის თხელი ფენა მოუთავსებიათ, ასეთ სარტყელს ზამთარში ხმარობდნენ.

ჭრელი სარტყლების დამზადებაც ასეთი წესით ხდებოდა, ფერებში შეხამებული იყო მწვანე, წითელი, ვარდისფერი და ასე შემდეგ. აბრეშუმის სარტყელი ამშვენებდა საპატარძლოს და პატარძლებს. ახალგაზრდა გაუთხოვარი გოგონები სარტყელს არ ატარებდნენ.

სახიანი ქსოვილისაგან სარტყელის დამზადება საქართველოში XIV საუკუნიდან ივარაუდება. აჭარელთა ყოფაში შემორჩენილი ქსოვილის სარტყელი თავისი ფორმით განსხვავდებოდა საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული შალის სარტყლებისაგან. აჭარულ სარტყელს სამკუთხედის ფორმა აქვს, საქართველოს სხვა კუთხეებში ამგვარი სარტყელი არ გვხვდება. გამონაკლის შეადგენდა სამცხე-ჯავახეთი, სადაც მსგავსი ტიპის სარტყლები იყო ხმარებაში. მას ქალები და მამაკაცები დაქორწინების შემდეგ ატარებდნენ. (სამსონია, 2005:75)

ფემტემალი თურქულ-სპარსულიდანაა შემოტანილი და წინსაფარს ნიშნავს. წინსაფარს წელზე ტანსაცმლის ზემოდან შემოირტყამდნენ. იგი წელიწადის ყველა დროის ქალის ტანსაცმლის განუყრელ ელემენტს წარმოადგენდა. ფემტემალი იკერებოდა შინნაქსოვი შალის ნაზი ქსოვილისაგან, ასევე ფაბრიკული შავი ატლასისაგან. ზემო აჭარაში მას ქალებთან ერთად გოგონებიც ატარებდნენ. წელზე შესაკვრელად უკეთდებოდა შავი, მწვანე, ვარდისფერი და თეთრი ძაფის ნარევისაგან დამზადებული ზონარი, რომელსაც ბალი ეწოდებოდა. განსაკუთრებით მზადდებოდა სადედოფლო ფემტემლები, რომლებიც სილამაზით გამოირჩეოდა.

აჭარული ფემტემალი სხვა ხალხში გავრცელებული ფემტემლისაგან სიგრძითა და სიფართოვით განსხვავდებოდა, იგი კაბის მთელ ქვედა ტანს ფარავდა.

თავსაბურავი აჭარელი ქალის ჩაცმულობის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია. აჭარელი ქალი თავის დაბურვას, თმების დავარცხნითა და ნაწნავების გაკეთებით იწყებდა, მიღებული იყო ოთხი ან ექვსი ნაწნავის ტარება. ხანში შესული მანდილოსანი ორ ნაწნავს იკეთებდა. ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი რამდენიმე ნაწნავს ატარებდა, ხოლო გათხოვილი- ორს. ნაწნავი საერთოდ ქართველი ქალის ვარცხნილობის მთავარი ელემენტია.

თავბურვა ლეჩაქით იწყებოდა, რომელიც ქალის ერთი ოჯახური მდგომარებიდან მეორეში გადასვლის გამომხატველ ელემენტად იყო მიჩნეული. ათი წლის ასაკიდან გოგონას თავს დაახურავდნენ ლეჩაქს. გოგონას გათხოვებამდე შეეძლო პატარა თავჩითით სიარული. მაგრამ დანიშნულ ან გათხოვილ ქალს ამის უფლება უკვე აღარ ჰქონდა. ლეჩაქი ორი სახის არსებობდა: მარმამისა და დოლბანდისა. ლეჩაქის აღიარებული ფერი იყო თეთრი. იგი ძირითადად სამკუთხა და ოთხკუთხა ფორმის მზადდებოდა. თავისებური იყო ლეჩაქის მოხვევის წესიც. მისი ერთი ყური ნიკაპთან უნდა შეკეცილიყო, მეორე უკან გადაშვებულიყო, მესამეს ყურით ყელთან შემოიხვევდნენ და შიგნით შეკეცვით იმაგრებდნენ. უკან გადაშვებული ყური ლეჩაქში ფემტემლის ბაღში მაგრდებოდა. ლეჩაქი შემკული იყო ლითონის ფირფიტებით.

აჭარაში ლეჩაქის მოხმარების ფაქტს აღწერენ XIX საუკუნის II ნახევრის მოგზაური- მკვლევარები ზ. ჭიჭინაძე და თ. სახოკია. ზ. ჭიჭინაძე წერდა, რომ ოსმალთა პერიოდში ლეჩაქის მაგიერ შემოიღეს ფესი, ნიშნად მაჰმადიანობისა. აჭარელმა ქალებმა იუარეს ფესის ტარება. ისლამის რეჟიმმა ვერ შეძლო ქართული ლეჩაქის განდევნა ხმარებიდან. ლეჩაქი მთელ საქართველოში ერთიანად გავრცელებულ თავსაბურავს წარმოადგენდა. (სახოკია, 1950:193) ლიტერატურული მონაცემებით დგინდება, რომ

აჭარული ლეჩაქი ძველი ქართული თავსაბურავია, რომელიც აჭარის მთამ დღემდე შემოგვინახა.

თავსაბურავის კიდევ ერთი დამახასიათებელი ელემენტია ლეჩაქის თავზე დასამაგრებელი თავსაკრავი, რომლის სამი სახეობაა ცნობილი: მუყაოსაგან რკალისებური ფორმის ძვირფასი ნაჭერ გადაკრული თორი, გაორმაგებული ქსოვილისაგან შეკერილი თავსაკრავი და ბადისებრი ნაქსოვი თავსაჭირი.

თორს მუყაოსაგან ამზადებდებდნენ, გამოჭრიდნენ სამი სანტიმეტრი სიგანის მუყაოს თავის ზომის მიხედვით და ბოლოებს ძაფით შეკერავდნენ. უპირატესობა ეძლეოდა ნათელ კაშკაშა ფერებს. თავსაკრავად იყენებდნენ ძვირფას ქსოვილებს: ფარჩას, ხავერდს, ატლასს. შესამკობად სხვადასხვა ფერის პატარა ზომის მძივებს. თავსაჭირზე სწორხაზოვნად განლაგებულია მზის გამოსახულებანი, რომელსაც ხალხურად ბრდღვიალა ეწოდება. თორის მხოლოდ წინა და გვერდითი მხარეა შემკული, უკანა კი - სადაა.

ფესი თეფელული- ლეჩაქის შიგნით სახმარი ნახევარფეროს ფორმის ქუდს წარმოადგენდა. მას გათხოვილი ქალები ატარებდნენ. ფესი შალის ძაფისაგან მზადდებოდა. იგი აჭარული ქალის არც თუ ისე გავრცელებული თავსაბურავი ყოფილა. ფესს შიგნით ზოგჯერ პატარა ბალიშის ფორმის ბამბის ან მატყლის ფენას დაუდებდნენ, რომელიც ფესს ჩაზნექისაგან იცავდა და სიმაღლესაც მატებდა. მას მონეტებით მორთავდნენ, რომელთა რაოდენობაც 5-დან 13-მდე აღწევდა. ზ.ჭიჭინაძის აზრით 1810-1820 წლებში ოსმალებს სურდათ აჭარულ ქალებში შემოეტანათ სხვადასხვანაირი ტანსაცმელი. მაგრამ მათი განზრახვა ვერ განხორციელდა. ერთხანს ქალები ფესის ტარებასაც შეაჩვიეს, მაგრამ ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. ზ. ჭიჭინაძე მიუთითებს, რომ დაახლოებით XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის სულ მიატოვეს ქალებმა ჩადრქვეშ ფესის ტარება. (ჭიჭინაძე, 1913:118) თეფე- თურქული სიტყვაა და მწვერვალს, ბორცვს ნიშნავს.ფესმა ვერ შეძლო ხმარებიდან გაედევნა ქართული თავსაბურავი ლეჩაქი.

ჩადრი ანუ ჩარჩაბი- ოსმალთა ბატონობის დროს გავრცელებული წამოსასხამის ფორმაა.იგი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და მუსულმან ქალთა თავსაბურავს, ზეწარს ნიშნავს. ჩადრი დანიშნული და გათხოვილი ქალის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენდა. ჩადრთან ერთად სახის დასაფარავად იყენებდნენ ფეჩს. ახალგაზრდა გასათხოვი გოგონები ჩადრს არ ატარებდნენ. მის დასამზადებლად შალისა და აბრეშუმის ქსოვილი გამოიყენებოდა. მასზე ათი მეტრი ქსოვილი იხარჯებოდა. იგი იკერებოდა ხელით. ჩადრი თეთრი, შავი და ლურჯი ფერის იყო.

ჩადრის არსებობა აჭარულ ქალთა ჩაცმულობაში შეუნიშნავი არ დარჩენილა თ. სახოკიასაც. იგი წერდა: „სიარულის თუ მუშაობის დროს, შინ თუ გარეთ სულ ერთთავად ატარებდნენ ამ ჩადრს, რომ მამათა სქესის წარმომადგენელთ, განსაკუთრებით უცხოელებს თავი არ დაანახონ“. (სახოკია,1950:192-93)

დუვალი და ვალა ორივე ქალის საქორწილო თავსაბურავია. დუვალი მუყაოსაგან კეთდებოდა. მას კონუსისებური ფორმა ჰქონდა და ზევიდან ძვირფასი ქსოვილი იყო გადაკრული. დუვალს ხოჯა კერავდა წითელი ფერის ქსოვილისაგან წაყვანის წინ დედოფალს გადააფარებდნენ თავზე. დუვალს ზემოდან ვალას წამოახურავდნენ თავზე, ვალა ფაბრიკული წესით დამზადებული ოთხკუთხედი ფორმის წითელი თავსაბურავია. ირგვლივ მას თავისივე ფერის არშია უკეთდებოდა.

საინტერესოა დუვალთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებული ერთი ჩვეულება: სასიძოს სახლში, პატარძლის ძმა ან ახლო ნათესავი ვაჟი ქალს მოხსნიდა დუვალს და გაიქნევდა ქალიშვილების ჯგუფისაკენ. ხალხის რწმენით, ვისაც მოხვდებოდა გაქნეული საქორწილო თავსაბურავი, ის გახდებოდა ამ ვაჟის საცოლე. მაყრებისა და სტუმრების ვახშმის დასრულებამდე დედოფალს დუვალის მოხსნა არ შეეძლო.

თავსაბურავის კომპლექსის შესწავლით დასტურდება, რომ აჭარელი ქალის თავსაბურავმა განიცადა უცხო გავლენა, მაგრამ ქართული თავსაბურავი მაინც ვერ განდევნა ხმარებიდან.

აჭარაში მამაკაცის ტანსაცმელი ქალის სამოსელთან შედარებით ერთფეროვნებით გამოირჩეოდა. მამაკაცის ტანსაცმლის კომპლექსში შედის: ჩოხა, შალი (შარვალი), ზუბუნი, წულა, ქალამანი, ზამკალი, ყაბალახი.

მამაკაცის ტანსაცმელში მკვეთრად იყო გამოხატული წოდებრივი ნიშანი. სოციალურად მაღალი ფენის წარმომადგენელთა ტანსაცმელი ძვირფასი მაუდი საგან იკერებოდა და ვერცხლის ქამარ-ხანჯალით იმკობოდა.

მთისა და ბარის ზონის ტანსაცმელი ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. ბარის ზონაში გავრცელებული იყო ჩაქურა, ყაბალახი და „აზიაცკები“. ზემო აჭარაში საოჯახო წესით ნამზად ჩოხა-შალს და წულა-ქალამნებს ეჭირა. ბარის მოსახლეობა სუბტროპიკული ჰავის გავლენით შედარებით მსუბუქად იცვამდა. მთის ზონის მოსახლეობა კი თბილად.

ჩაქურა ჩოხის ზედატანს წარმოადგენდა და წელს ზემოთ ჩასაცმელი იყო. სამოსის ამ სახეობის სახელწოდება დაკავშირებულია ჩაქვთან, სადაც პირველად დაუწყიათ ჩაქურას კერვა. შესაძლებელია მისი პირვანდელი სახელწოდება ჩაქვურა ყოფილიყო, შემდეგ განიცადა სახეცვლილება და ჩაქურად დამკვიდრდა.

ჩაქურას კომპლექსში, გარდა ჩოხისა შედიოდა, ზუბუნი- ორჯიბიანი ახალუხის ტიპის სამოსი, შარვალი, თალაბულუსის სარტყელი, ზანკლები (პაჭიჭი), წინდები და ტყავის ჭვინტიანი ფეხსაცმელი ლაფჩინი. (სამსონია, 2005:95) შარვლის შესაკვრელად „ხონჯარს“ იყენებდნენ. ჩაქურას ატარებდნენ შემღებული პირები.

ტერმინი „ჩოხა“ ქართულში IX-X ს-დან ჩნდება. როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა უფრო სპარსულიდან უნდა იყოს შემოსული, ვიდრე თურქულიდან. (ჯავახიშვილი, 1962 :9) ამასთანავე ჩოხას აქვს სამი გაგება: „იგი წარმოგვიდგება როგორც ხალხური ზედა სამოსის ერთ-ერთი სახე, მონაზონთა შესამოსელი და შალის ერთ-ერთი ქსოვილის სახეობა“ .

გადმოცემით ჩოხა-შალი ეწოდება როგორც ჩასაცმელს, ასევე ქსოვილს. მატყლის ქსოვილის აღმნიშვნელი სიტყვა ჩოხა-შალი შემდეგ ამ ქსოვილისაგან დამზადებულ ჩასაცმელს შეარქვეს. ჩოხა რომ ჩასაცმელსაც ერქვა და ქსოვილსაც, ამას სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიც ადასტურებს. მასში ჩოხა განმარტებულია, როგორც მატყლის სამოსელი, ხოლო საჩოხე „შალია მსხვილი, გინა წმინდა, საკაბეთ მონაზონთა და გლეხთა ჩასაცმელი“, ხოლო თვით სიტყვა „შალი“ განმარტებულია, როგორც მატყლის ნაქსოვი. (სულხან-საბა ორბელიანი, 1928: 289)

ჩოხა შავი ფერისაა, გულისპირი წინ გახსნილია და იკვრება სამი მეტრის სიგრძის შინ ნაქსოვი ხვანჯრით ან ყაითნით. მას წელზე ორჯერ შემოიხვევდნენ და შეიკვრავდნენ. გულის ორივე მხარეს დაკერებულია ჯიბეები. ჩოხას ზურგზე და მკლავებზე სიმაგრისათვის დაკერებული აქვს მეორე პირი, რომელზედაც შემოვლებულია ყაითანი. შავი ფერის ჩოხას არშიად ხშირად მწვანე ფერის ყაითანს უკეთებდნენ. ფერთა შეხამებას დიდი ყურადღება ექცეოდა. შემღებულ პირთა ჩოხა უფრო მეტად იყო შემკული ყელთან, მაჯებთან, სამასრებთან.

ჩოხა სარჩულიანიც იკერებოდა და უსარჩულოც, შემღებულ პირთა ჩოხა საპირეთი და სარჩულით. თარგი ყველა შემთხვევაში ერთი იყო. ჩოხისათვის ჯერ ზურგი გამოიჭრებოდა სწორი განებით, შემდეგ გვერდები და სახელოები. იგი ტანზე მჭიდროდ მორგებული უნდა ყოფილიყო. მას სილამაზეს ანიჭებდა ფერადი სირმებით მოყათნული სამასრეები, რომელშიც ხის ან სპილოს ძვლის მასრეები იყო ჩაწყობილი. სამასრეები წარმოიშვა XIX საუკუნის დასაწყისში. მანამდე ატარებდნენ წელზე ან მხარზე გადაკიდებულ ფალასკას.

შარვლის უკანა ნაწილი ძალზე დანაოჭებულია, იგი შედგება ორი ტოტისა და ირიბად აჭრილი ორი ნაწილისაგან, რომელიც შარვლის ტოტებში შიგა მხრიდანაა შედგმული. შემდეგ აღებულია ხუთი ერთნაირი ზომის ნაჭერი, რომლებიც ერთმანეთზეა გადაკერებული. უბის წინა მხარის სისრულისათვის კი სამი ერთნაირი სიშორის ნაჭერია აღებული და შეერთებულია უკანა უბესთან. შეერთების ადგილას ნაოჭია ასხმული ანუ „დაყათულია“. გამზადებულ უბეს შეუდგამდნენ შარვლის ტოტებს. უბის წინა მხარე უკანასთან შედარებით ნაკლებად დაკეცილია. შარვალს ჯიბეები არ აქვს. ჯიბის ადგილები ჩახსნილია და ირგვლივ მას იგივე ქსოვილის მეორე პირი აქვს დაკერებული გაცვეთისაგან დაცვის მიზნით. შარვალს მუხლთან სარაჯები აქვს დაკერებული, ყველა ნაკერი მისთვის შესაბამისი ფერის „ყაითნითაა მოყაითნული“. ასეთ შარვლებს ღორჯომში ზოგჯერ „დუმიან შარვალს“ და მუზიკალს ეძახდნენ. (სამსონია, 2005: 100)

დუმიანი შარვლები ცნობილია მესხეთ-ჯავახეთშიც. მაგრამ აქაური შარვლები სხვა შარვლებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ შარვლის უკანა უბეზე გრძლად დაყოლებული ჰქონდა ათი ხელის დადება დაკეცილი შალის ნაჭრები, რაც შარვლის უკანა ნაწილს ცხვრის დუმის მოყვანილობას აძლევდა. ამიტომ ამ სახის შარვლებს დუმიან შარვალს ეძახდნენ.

შარვალს აქვს „ჭრელი ხვანჯარი“. ხვანჯარი შარვლის ფერისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. აბრეშუმის ხვანჯარი მზითვის აუცილებელ კომპონენტს შეადგენდა. თ. სახოკია წერს, რომ „გათხოვებამდე ქალი მზითევეში უგზავნის თავისი ხელით მოქსოვილ აბრეშუმის ხვანჯარს, თუ შესაძლებელია აბრეშუმისავე პერანგს, მის ამხანაგს და ქისას (სახოკია, 1950:183) შარვლის ბოლო გადაკეცის გარეშე ყაითან მოვლებულია.

განიერი ფართო უბიანი შარვლები XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ კახეთში. მაგრამ აჭარული ჩაქურა, მეტად თავისებური თარგისაა და მსგავსი სხვა ყოფაში არ გვხვდება. მისი უბე ძლიერ განიერია, ტოტები კი ვიწრო. უბესთან წელამდე ჩადგმული აქვს მართკუთედის ფორმის ნაჭერი, რომელიც უბეს აძლევს სისრულეს. უბის ქვემო ნაწილი ოვალურია. აჭარული ჩაქურა მსგავსია გურული ჩაქურისა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გურული ჩაქურა სწორია და ნაკლებად სრული.

საინტერესოდ ჩანს შარვლის აღმნიშვნელი ტერმინი შალი. ამ ტერმინით აღინიშნება მატყლის ქსოვილი ქართულ და რუსულ ენებზე. შალი იხმარება სხვა ხალხებშიც ქსოვილის გარკვეული სახის აღსანიშნავად, ჩრდილო-დასავლეთ ირანში მცხოვრები ქურთებიც შარვალს შალს ეძახიან, ხოლო აზიის ზოგიერთ ხალხში შალი უხეში მაუდისაგან დამზადებული ზედა ჩასაცმელია.

ზუბუნის ჩოხის შიგნით ჩასაცმელი ზედატანია, სარჩულიანი წელამდე მწვდომი, გულის ქვემოთ ორი ჯიბით. ზუბუნის საყელო და საგულის ნაწილი ჩოხაში მოჩანს. ამიტომ ეს ნაწილი ძვირფასი, აბრეშუმის ქსოვილისაგან იკერებოდა. მას ჰქონდა აგრეთვე სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფით დაქარგული მრგვალი საყელო. რომელსაც მეორენაირად „იახას“ ეძახიან. იახა - თურქული ენიდან შემოსული ჩანს და ნიშნავს „საყელოს“- გადმოკეცილ საყელოს.

ზუბუნი წინ გახსნილია და ადგილობრივად დამზადებული ხის ან ნაყიდი ღილებით იკვრება. საზუბუნე ქსოვილად ადრე შინ ნაქსოვ შალს, შემდეგ კი შავ სატინას ხმარობდნენ. ზუბუნი სხვადასხვა იყო ზამთარ-ზაფხულის მიხედვით. საზამთრო ზუბუნი დაბამბული იყო, ხოლო საზაფხულო- უსახელო და დაუბამბავი.

ზუბუნმა განვითარების პროცესში ევოლუცია განიცადა. პირველად იგი საგულეს სახით გვევლინებოდა და უკან ბაილებით იკვრებოდა. თანდათანობით განვითარების შედეგად იელეგი მივიღეთ. იგი ზუბუნის მსგავსია, მხოლოდ იელეგი სახელოების გარეშე იკერებოდა. თანდათან იელეგს სახელოები მიედგა უკან წელის არეში ნაოჭები

გაუკეთდა და ზუბუნად იქცა. მისი გულისპირი შეიმკო აბრეშუმის ძაფებით გამოყვანილი მცენარეული თუ გეომეტრიული ორნამენტებით.

თავსაბურავებიდან ჩოხა-შალის აუცილებელ ატრიბუტს ყაბალახი წარმოადგენდა. ყაბალახს 3-5 ადლი ქსოვილი სჭირდებოდა. მისი კიდურები შემკული იყო სხვადასხვა ფერის ყაითნით, ოქრომკედით, სირმით, ბოლოებზე ფუსკულებს უკეთებდნენ. საყაბალახე ქსოვილი იქსოვებოდა ორმაგი და ერთმაგიც. ორმაგი ძვირადღირებული იყო. უპირატესობა ენიჭებოდა შავსა და წითელ ფერს. დიდი მოწონება ჰქონდა ოსმალური სკალატისაგან შეკერილ ყაბალახს. ამ სახის ქსოვილი თურქეთიდან შემოჰქონდათ.

ყაბალახის მოხვევას თავისი წესი აქვს და საკმაოდ რთულიც. თავზე ჩამოიცვამდნენ ყაბალახის იმ ნაწილს, რომელიც გაკერილი იყო და კუთხეს ქმნიდა, ხოლო ყაბალახის მარცხენა ყურს მარჯვნივ უკან შემოტარებით მარცხენა მხარემდე შემოიხვევდნენ, მარცხენა ყურის შემოხვევაც იმავე წესით წარმოებს ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით გვერდზე შემხვედრი ყაბალახის ორივე ყური გაინასკვება.

აჭარაში სამოსის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ფეხსამოსი და ფეხსაცმელი. ბოლო დრომდე ყოფას შემორჩა როგორც შინ ნაქსოვი წინდა, პაიჭი, კარაჭინი, ასევე ტყავისა და ხის ქერქისაგან შინაური წესით დამზადებული ქალამანი, წულა, ფოთინი, ჩილატანი. ცნობილია ორი სახის წინდები- სადა- თეთრი და შავი ფერის. განასხვავებდნენ ჭრელი წინდის შემდეგ სახეებს: ბურმალი, წკენტია, ხალისახე, სამთითა, ოთხთითა და სხვა. ყველზე ძვირფასს წინდად ითვლებოდა ბურმალი. მის მოქსოვას ჩვეულებრივ წინდასთან შედარებით ორი დღით მეტი სჭირდებოდა. ასეთი წინდა სასიძოსადმი გაგზავნილი საჩუქრის აუცილებელ შემადგენელ ელემენტად ითვლებოდა. ბურმალი გრძელი წინდაა, მის მოქსოვაზე ერთი ხერტალი ნართი იხარჯებოდა. მას ზემოდან დააქსოვდნენ სხვადასხვაგვარად შეღებილი შალის ძაფების გრებილს. ამგვარი წინდა გამოირჩეოდა თავისი სილამაზითა და ხარისხით. იგი მჭიდროდ იყო ნაქსოვი, ამიტომ წყალს არ ატარებდა. ასევე გეომეტრიული ორნამენტებით არის დამშვენებული, მასში სჭარბობს ჭადრაკული განლაგებით შექმნილი ჯვრის გამოსახულებანი. აჭარულ ოჯახში წინდის ქსოვას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ოჯახის უფროსი ქალი ცალკე გამოყოფდა იმ პირებსაც, რომელსაც უნდა ექსოვათ წინდები. გასათხოვარ ქალს სამზითვოდ თავისი ხელით ნაქსოვი 10-15 წყვილი წინდა მაინც უნდა გაჰყოლოდა, რომელიც სამზითვო ნივთებში ერთ-ერთ მთავარ ადგილს იჭერდა.

წინდისათვის ორი ხარისხის მატყლს იყენებდნენ. საუკეთესო ხარისხის წინდებს გრძელი და ნაზი მატყლისაგან ქსოვდნენ, ხოლო ყოველდღიურად სახმარი წინდების დასამზადებლად დაბალი ხარისხის მატყლს ხმარობდნენ.

წინდების ქსოვის ხელოვნება საქართველოში თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულია ჭრელი წინდების სახეები- თევზიფხა, ციცისკუდი, მარწყვისფოთოლი, ნუშისგული, კუჭიანი და სხვა. ეს სახელწოდებები დღესაც არის შემონახული თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში. (ფუტკარაძე, 1993:202-214)

აჭარაში წინდასთან ერთად პაიჭსაც ფართოდ იყენებდნენ. პაიჭი უტერფო წინდას წარმოადგენდა. მასაც მატყლისაგან ქსოვდნენ. აჭარაში შალის პაიჭები სადა, ერთფერი იქსოვებოდა, სჭარბობდა შავი ფერის პაიჭები, რომლებიც იღებებოდა მცენარეულ საღებავში. პაიჭისა და წინდის ერთდროული მოხმარება შემდეგნაირად ხდებოდა: პაიჭს წინდის ზემოდან იცვამდნენ და შიგ შარვლის ტოტებს ჩაატანდნენ.

ქალამანი ქალის გავრცელებულ ფეხსამოსს წარმოადგენდა აჭარაში. ისინი ფორმით ერთნაირი იყო და იკერებოდა ყველა ოჯახში. საქალამნე მასალად მიჩნეული

იყო ხარისა და ძროხის ტყავი, საქონელი აუცილებლად 4-5 წელზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ქალამნის კერვას წინ უსწრებდა ტყავის დამუშავება. ადრე გახმობის მიზნით ნედლ ტყავს იატაკზე დადებდნენ, ჯოხებით გაჭიმავდნენ ჯერ სიგრძეზე, შემდეგ სიგანეზე. გახმობამდე ტყავს სახლის კედელზე ჩამოკიდებდნენ, რასაც არანაკლებ 15-20 დღე სჭირდებოდა. გამხმარ ტყავს ჯერ სიგრძეზე დაჭრიდნენ ზოლებად ანუ ნაჭრებად, შემდეგ ფეხის ზომაზე. ბეწვისაგან წმენდნენ და შეკერვის წინ წყალში დაალბობდნენ. დამბალ ტყავს მრგვალ ჯოხზე ახვევდნენ და ხელით გალენავდნენ. ასეთი ხერხით ტყავი რბილდებოდა და სახმარად მოქნილი ხდებოდა. ქალამანი ორი სახისა იყო- მესხურა და შედარებით უფრო რთული კოლოტური, მათ შორის განსხვავებას ქმნის დამზადების ტექნიკა.

აჭარაში სხვა ფეხსამოსთან წულაც იხმარებოდა. XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ადგილობრივ ხელოსნებთან ერთად წულებს კერავდნენ ბერძენი და სომეხი მეწუღეები. წულა საქართველოში გავრცელებულ ფეხსამოსს წარმოადგენდა. წულა არა მარტო აჭარის, არამედ საქართველოს სხვა კუთხეების მახასიათებელიცაა- გურიაში წულა ადგილზე მზადდებოდა. ქალამანი და წულა, როგორც მასალის, ასევე დამზადების ტექნიკისა და ფორმის მიხედვით მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი ფეხსამოსის ელემენტებისა. ქალამანი მთიან აჭარაში იყო გავრცელებული, ხოლო წულა- ბარში.

წარჩინებული წოდების ქალები ატარებდნენ განსხვავებულ ფეხსაცმელს- ფოთინას, რომელიც ყვითელი ტყავისაგან იკერებოდა. ფოთინი ფრანგული სიტყვაა , შემოსულია თურქულში და ნიშნავს ყელიან ფეხსაცმელს.

ჩილატანი ხის ქერქისაგან მზადდებოდა. ხეს ჩამოაცლიდნენ გარეთა შავ ქერქს , თეთრ ნაწილს კანაფით ჩამოხდიდნენ, მიღებულ ზოლებს დაგრებდნენ და საქსელავის საშუალებით ერთმანეთზე გადაახლართავდნენ. წენას ქუსლიდან იწყებდნენ. ჩილატანი ზაფხულის ცხელ დღეებში გამოიყენებოდა. ზამთარში მისი ტარება შეუძლებელი იყო.

ამრიგად, აჭარელი ქალის ყოველდღიურ ფეხსამოსს წარმოადგენდა წინდა, წინდასთან ერთად აჭარელი ქალი პაიჭსაც ატარებდა. ასევე გავრცელებული იყო ფეხსამოსის ისეთი ისეთი სახეობა, როგორიცაა ქალამანი, წულა და ჩილატანი.


აჭარაში მამაკაცის ფეხსამოსის შემადგენელი ელემენტებია: წინდა, ზანკალი, ქალამანი, წულა. ამ ხრივ განასხვავება შეინიშნება მთისა და ბარის ზონას შორის. ბარში ჭარბობდა ადგილზე ნამზადი ჩექმა და „აზიაცკი“.

აჭარული ჩაცმულობიდან ფეხსამოსსა და თავსაბურავში ყველაზე დიდხანს შემორჩა ძველი ქართული ჩაცმულობის ტრადიციული ელემენტები.

აღსანიშნავია, რომ აჭარული სამოსი თავისი აღნაგობის, დამზადებისა და მოხმარების წესების თვალსაზრისით შეიცავს მთელ რიგ სპეციფიკურ ნიშნებს და გამორჩეულ ადგილს იჭერს ქართული ჩაცმულობის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
2. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბილისი, 1987.
3. ნოღაიძე ი., ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1935.
4. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბილისი, 1950.
5. სამსონია ი., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.
6. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
7. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბილისი, 1995.
8. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტომი III-IV, თბილისი, 1962 წ.
9. ციციშვილი ი. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ. 1954



ქალის კაბა – „ზუბუნ-ფარაგა“



შემღებული ქალის
ზედა სამოსელი „სალტა“



ლეჩაქის სამაგრი – „თორი“



წინსაფარი „ფემტემალი“



ქალის თავსაბურავი „ფესი თეფელულით“



ჭრელი წინდა „ბურმალი“



ქალის ზედა სამოსელი „ჩათავა“



ჩოხა



ჩაქურა

აჭარის მუზეუმის უძველესი ექსპონატები

2018 წელს მუზეუმი თავის საიუბილეო 110-ე წლისთავს აღნიშნავს. შექმნის დღიდან აქ გროვდებოდა სხვადასხვა სახის ექსპონატები: ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ზოოლოგიური და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოლოგიური ფონდი, სადაც დაცულია სხვადასხვა კრისტალები, მინერალები, ქანის ნიმუშები, სასარგებლო წიაღისეული, როგორც აჭარის ტერიტორიაზე მოპოვებული, ისე მეზობელი რეგიონებიდან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან აღებული ნიმუშები. ეს ექსპონატები მოგროვილია როგორც მუზეუმის თანამშრომლების მიერ, ასევე გადმოცემულია მუზეუმის მოყვარული პირებიდან, ცნობილი მეცნიერებიდან.

ჩვენს სტატიაში აღწერილია უძველესი გეოლოგიური ექსპონატები, რომელთა წარმოშობის ასაკი მილიონობით წელს ითვლის და მუზეუმში შემოსულია თითქმის საუკუნის წინ.

კრიპტომელანი (სურ. 1) - სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სახელიდან „კრიპტოს“ - ფარული და „მელანოს“ - შავი, ასეთი დასახელება მინერალმა მიიღო ფარულკრისტალური აგებულებისა და მუქი ფერის გამო.

კრიპტომელანი შექმნილია ცხელი ხსნარებიდან, დედამიწის ზედაპირთან ახლოს, მარგანეცის დალექვის ზონაში. იგი ოქსიდების კლასის მინერალია. კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. ქიმიური შემადგენლობით კრიპტომელანი არამდგრადია. მინერალის მთავარი ქიმიური ელემენტია მანგანუმი (62 %), აგრეთვე კალიუმი, თუთია, კობალტი, ნიკელი, ბარიუმი, ნატრიუმი.

გარეგნულად კრიპტომელანი თირკმლისებური აგებულებისაა, მეტალური ელვარებით, სიმაგრე - 6-6,5. სიგრძე 20 სმ, გარშემოწერილობა 42 სმ, ზედაპირის გაპრიალებით ქვა ღებულობს ლამაზ, მეტალურ ელვარებას, რისთვისაც მას იყენებენ ბიჟუტერიაში.

„უდაბნოს ვარდი“ (სურ. 2) - ასე უწოდებენ ამ მინერალს. ის იგივე თაბაშირია. სახელწოდება „თაბაშირი“ არაბულ-სპარსულია და ქართულად ცარცისებურს ნიშნავს. როგორც ცნობილია თაბაშირი სულფატების კლასის მინერალია, წარმოიქმნება ზღვებსა და ტბებში ქიმიური დალექვით. თაბაშირი შეიძლება გამოიყოს ცივი და ცხელი წყაროებიდანაც. ხოლო უდაბნოში თაბაშირი „უდაბნოს ვარდს“ ქმნის. ჩვენს მუზეუმში დაცული „უდაბნოს ვარდის“ ფერი მოყვითალო-ჩალისფერია, გაუმჭვირვალე, მინისებური ელვარების, კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. მინერალის სიმაგრე 1,5-2. სიგრძე 24 -სმ, სიგანე - 20 სმ. სიმაღლე 14 სმ.

მაინც როგორ წარმოიქმნება „უდაბნოს ვარდი“?

როდესაც უდაბნოში ნალექი მოდის, მას ქვიშა შეიწოვს, თუ ქვიშა თაბაშირით მდიდარია, ამ მინერალის კომპონენტები წყლის მიერ ირეცხება და ილექება. ამასთან, ხსნარი ძლიერი სიციხისაგან ორთქლდება და წარმოიქმნება თაბაშირის კრისტალები. ქარი წამოუბერავს, თაბაშირის კრისტალებიდან ქვიშას და სილას მოხვეტავს, ცაში აიტაცებს, ერთმანეთს შეაწებებს, შეჭმუჭნის, მიგრირებ-მოგრირებავს და მიწაზე დანარცხებულს დატოვებს. ასე წარმოიქმნის თაბაშირის ზოგჯერ ნამდვილი ვარდის ფორმა აქვს „უდაბნოს ვარდის“ ფურცლების სისქე ძირითადად 2-3 მმ-ია. შეფერილობა დამოკიდებულია ქვიშის ფერზე, რომელშიც იგი ფორმირდება. ტუნისის ვარდი თეთრი ფერისაა, ხოლო არგენტინის - შავია.

„უდაბნოს ვარდის“ მინერალები შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი პლანეტის ბევრ ადგილზე, სადაც უდაბნოს კლიმატური პირობები და ნიადაგი ქვიშიანია. განსაკუთრებით მაროკოს და ტუნისის უდანოში (აფრიკა), არიზონას და ნიუ-მექსიკის (აშშ) უდაბნოებში, აგრეთვე რუსეთის უდაბნოებში.

თაბაშირის შემცველობით ასეთი შემადგენლობის თაბაშირი არ გამოიყენება მშენებლობაში, მაგრამ თვით „უდაბნოს ვარდი“ დიდად ფასობს სამკაულების მოყვარულებსა და კოლექციონერებში. ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია „უდაბნოს ვარდის“ ჩუქება შეყვარებულებზე, როგორც უჭკნობი სიყვარულის სიმბოლო.

კრიპტომელანი და „უდაბნოს ვარდი“ მუზეუმში შემოსული ბუნების პირველი ექსპონატებია. გარეგნობითაც და წარმოქმნის თავისებურებით საოცარია. მათი მოპოვების ადგილი უცნობია. კრიპტომელანი შესაძლოა ჭიათურიდან იყოს, ვინაიდან მანგანუმი საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეთაგან უპირველესია და მსოფლიოშიც ერთ-ერთი უდიდესი, ხოლო „უდაბნოს ვარდი“ შესაძლოა საჰარიდან იყოს ჩამოტანილი.

ერთ-ერთი საინტერესო ექსპონატია ვაზის გაქვავებული მერქანი (სურ. 3) - გოდერძის ნამარხი ტყიდან. მერქნის სიგრძე - 50 სმ.

გოდერძის ნამარხი ტყე ეს არის მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური არაორგანული ბუნების ძეგლია. მას კაჟის ტყესაც უწოდებენ. ბუნების ასეთი საოცრება ჯერ-ჯერობით მხოლოდ შუა აზიასა და საქართველოს მიწაზეა მიკვლეული. დაცულია სახელმწიფოს მიერ და შეტანილია „წითელ წიგნში“.

გოდერძის განამარხებული ფლორა წარმოდგენილია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მესხეთის ქედის სამხრეთით, არსიანის ქედის აღმოსავლეთით და დასავლეთით, გოდერძის გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე, (ზღ. დ. 2025 მ., ბათუმიდან 115 კმ.-ში). მდინარეების ძინძეს და აჭარისწყლის სათავეებში. აღნიშნული ტერიტორიის გეოლოგიური ისტორია რამდენიმე მილიონი წლის წინანდელ ვულკანიზმს უკავშირდება, რის გამოც იგი „გოდერძის წყების“ სახელით ცნობილი ნეოგენურ-ვულკანოგენური ქანებითაა აგებული. მის აღმოსავლეთ ნაწილშია აღმოჩენილი მესამეულის განამარხებული ფლორის ფრაგმენტები. ნამარხი ტყის ფართობი დაახლოებით 70-80 კვ. კმ.-ია.

ვულკანურმა ლავამ და ფერფლმა გადაფარა მძლავრი ტროპიკული ტყე, რომელშიც ათეულობით სახეობის ხე-მცენარე იყო წარმოდგენილი. ტროპიკულ ტყეში წარმოდგენილია ქვედაპლიოცენური ასაკის მცენარეების (გიგანტური პალმების, მაგნოლიების, დაფნის, ვაზის, ლეღვის, არყის, რცხილის, წიფლისებრნის და სხვ.) ნაშთები, გაქვავებული და ნახევრადგაქვავებული ხეების, აგრეთვე ფოთლების ანაბეჭდების სახით.

გოდერძის განამარხებული ფლორა პალეოგეოგრაფიისა და მცენარეთა ევოლუციის საუკეთესო ნიმუში აღმოჩნდა. მისი მეშვეობით დადგინდა, რომ იმ პერიოდში კავკასიის ტერიტორიაზე ნოტიო ტროპიკული სარტყლისათვის დამახასიათებელი ჰავა და მცენარეულობა დომინირებდა. ტყეებში გვხვდებოდა როგორც მარადმწვანე, ისე ფოთოლმცვენი სახეობები, ბუჩქნარები და ლიანები, გვიმრისნაირები და ბალახოვნები.

ჩვენს მუზეუმში დაცულია გაქვავებული, ქალცედონიზებული და ოპალიზებული მერქნის ნიმუშები გოდერძის ტყიდან.

ბუნების ექსპოზიციაში ნაჩვენებია ვაზის გაქვავებული, ოპალიზებული ნიმუში, დასტური იმისა, რომ მილიონი წლის წინ ჩვენში ხარობდა გიგანტური ვაზი. დღესაც,

ტყეებში ხარობს ველური ვაზი, აჭარაში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც მრავლადაა ვაზის აბორიგენული ჯიშები.

სულ ახლახან, მსოფლიოს 7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა, სამწლიანი კვლევის შედეგად დაადასტურეს, რომ საქართველო მევენახეობისა და მეღვინეობის სამშობლოა, რომ აქედან გავრცელდა მთელს მსოფლიოში ვაზი და მევენახეობა.

მუზეუმის გეოლოგიური განყოფილების მშვენიერაა მდ. აჭარისწყლის სათავეებში მოპოვებული ოპალიზებული ხის ნიმუში, რომელიც თავისი სიდიდით, (50 სმ. დიამეტრი), სიძველითა და სილამაზით მსოფლიოს ნებისმიერ მუზეუმს დაამშვენებდა. იგი შესაძლოა წიფლის იყოს. მისი ასაკი 15 მლნ წლისაა. (სურ. 4.)

გაქვავებული მარჯანი (სურ. 5) – სფერული ფორმის, ჭრილში რადიალურ-სხივოსნური აგებულების, წარმოშობა ორგანული, კოლონიურად მცხოვრები მარჯანების სიცოცხლის დროინდელი დაგროვების შედეგია.

მარჯანი წარმოადგენს ზღვის უხერხემლოთა კლასის ნაწლავღრუიანი ორგანიზმების ჩონჩხს, რომელიც კალციტისა და არაგონიტისაგან შედგება. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვასა და ოკეანეებში, 100-200 მ. სიღრმეზე. მარჯანის პოლიპები ქმნიან დატოტვილ კოლონიურ გაერთიანებებს, რომლებიც მჭიდროდაა მიმაგრებული კლდოვან გრუნტზე. მარჯანის პოლიპებს ზღვის წყლიდან კირქვის გამოყოფის უნარი აქვთ. თვითონ პოლიპი თეთრია, აქვს რვა ბუმბულისებრი საცეცი, წითელი კიროვანი სხეულებისაგან (სპიკულებისაგან) შემდგარი შინაგანი ჩონჩხი. მარჯანის პოლიპები ზოგჯერ ერთეული ორგანიზმებია. სხეული ჩვეულებრივ, ცილინდრულია. მისი ძირი ან კოლონიას მიეზრდება ხოლმე, ან (ერთეული ფორმები) გრუნტს ემაგრება ლანჩით.

თანამედროვე პოლიპები გაერთიანებულია 2 ქვეკლასში: რვასხივიანი მარჯანის პოლიპები და ექვსხივიანი მარჯანის პოლიპები. რვასხივიანი მარჯანის პოლიპები კოლონიური ფორმებია. მარჯანის პოლიპების კლასში 6 ათასამდე სახეობაა. ყველაზე პრიმიტიული მარჯანის პოლიპების ნაშთები პირველად კამბრიულ (590 მლნ. წლის წინ) ნალექებშია ნაპოვნი.

მარჯანის რიფების ძირითადი მასივები თავმოყრილია აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვებში, ასევე ატლანტის და ინდოეთის ოკეანეში, ასევე წითელ ზღვაში.

ჯერ კიდევ შუმერების სამეფოში, ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში, ვარდისფერი მარჯანი იყო უკვდავების და ბედნიერების სიმბოლო. ინდოეთში მარჯანს სცემდნენ პატივს სილამაზის და მისი სამკურნალო და მაგიური თვისებების გამო. ნამარხი მარჯანებით წარმოქმნილი კირქვები, აგრეთვე ზოგი თანამედროვე მარჯანი გამოიყენება სამშენებლო მასალად ან საიუველირო საქმეში.

საინტერესო ფორმის ექსპონატებია სტალაქტიდი და სტალაგმიტი (სურ. 6-7).

სტალაქტიტი (ბერძნულიდან წვეთ-წვეთად დენა)-არის გამოქვაბულის თალიდან კონუსისებურად სვეტად ჩამოგრძელებული შვერილი, რომელიც გაჩენილია ჩამოქონილი კირიანი წყლის წვეთებისაგან. მუზეუმში დაცული სტალაქტიდი თირკმლისებური ნაღვენთი ფორმაა. (სიგრძე 25 სმ.). სტალაქტიტების ზრდა ზემოდან ქვემოთ ხდება, სტალაგმიტების კი-პირიქით. ორივე ამ ფორმას განივკვეთში ზონალურ-კონცენტრული აგებულება ახასიათებს.

სტალაგმიტი - მინერალური წვეთებისაგან (ძირითადად კირისაგან) შექმნილი კონუსისებრი წანაზარდი, რომელიც აღმართულია გამოქვაბულის ძირიდან ვერტიკალურად. მუზეუმში დაცული სტალაგმიტს (ზომა 20x24 სმ.) აქვს ნაჟონი, გაქვავებული წვეთების, მარცვლების სახე, ფერი მოყვითალო.


გარდა ზემოთ აღწერილი ექსპონატებისა, მუზეუმის ბუნების ექსპოზიციაში და ფონდებში დაცულია მრავალი საინტერესო ექსპონატი, გეოლოგიური კოლექციები, პალეონტოლოგიურ მასალა, საქართველოს კრისტალები და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქსე, ტ. 5, თბილისი, 1980
2. ქსე, ტ. 6, თბილისი, 1983
3. ზუხბაია ვ., განძი ქართული მიწისა, თბილისი, 1984
4. სხირტლაძე, პეტროგრაფია მინერალოგიის საფუძვლებით, თბილისი, 1970
5. ძველაია მ. კვიციანი ბ., აჭარის გეოლოგიური ისტორია, თბილისი, 1987
6. ნამარხი ცხოველები. იხ.: <https://ka.wikipedia.org/wiki>



სურ. 1. კრიპტომელანი



სურ. 2. უდაბნოს ვარდი



სურ. 3. ვაზის გაქვავებული მერქანი გოდერძის ტყიდან



სურ. 4. ოპალიზებული ხე არსიანიდან. 15 მლნ წლის.



სურ. 5. გაქვავებული მარჯანი



სურ. 6. სტალაქტიტი



სურ 7. სტალაგმიტი

შავი ზღვის იშვიათი თევზები

შავი ზღვა ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ზღვაა. იგი თითქმის მთლიანად იზოლირებულია მსოფლიო ოკეანეებისაგან. ოკეანეებთან მისი ერთადერთი დამაკავშირებელი გზაა ბოსფორის სრუტე. შავ ზღვაში ზედა ასმეტრიანი ფენა უფრო მტკნარი არის, ვიდრე ქვედა ფენა. ამ ორი ფენის შერევა ძლიერ ნელა ხდება, ამის მიზეზი კი არის ის, რომ ზედა ფენაში ჩაედინება მდინარისა და წვიმის წყალი, ხოლო ქვედა ფენა მარაგდება, ხმელთაშუა ზღვის წყლით.

შავი ზღვა მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდი უჟანგბადო აუზია. მის ქვედა ფენაში ჭარბად არის წარმოდგენილი გოგირდწყალბადი და აქ არ ცხოვრობს ზღვის არანაირი ორგანიზმი ბაქტერიის რამდენიმე ფორმის გარდა. სიცოცხლე მხოლოდ ზღვის ზედა, 150 მეტრი სისქის ფენაშია. სწორედ ამის გამოა, რომ სითბოს მოყვარული სახეობები და ღრმა წყლის ორგანიზმები, რომლებიც მრავლადაა ხმელთაშუა ზღვაში, შავ ზღვაში არ გვხვდება. სამაგიეროდ შავი ზღვა ბიოლოგიურად უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ხმელთაშუა ზღვა. აქ ბინადრობს 3774 სახეობა, რომელთა უმრავლესობა უხერხემლოები და წყალმცენარეებია.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ადამიანის საქმიანობამ და მდინარეებმა შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. პოპულაციები საგრძნობლად შემცირდა არამკვიდრი ორგანიზმების შემოჭრის, გადამეტებული თევზჭერისა და დაბინძურების გამო. განსაკუთრებით საფრთხის შემცველია ზღვების დაბინძურება ნავთობით. ნავთობის ტრანსპორტირების დროს ხდება მცირე თუ დიდი ავარიები, როგორც სანაპირო წყლებში, ისე ღია ოკეანეში, ასევე, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებიდან დაბინძურებული წყლები ჩაედინება მდინარეში და შემდეგ ზღვებში.

1969 წელს ბათუმში გაიხსნა თევზის მრეწველობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი საზღვაო ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია, რომელმაც დაიწყო ნავთობის ტოქსიკოლოგიური გამოკვლევა. ო. ბურჭულაძის და თ. ბაჟაშვილის მონაცემებით გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს შავიზღვის სანაპიროზე თითქმის პრაქტიკულად აღარ იჭერდნენ სკუმბრიას, პელამიდას, ლუფარს, სტავრიდას, ზღვის მელას, ზღვის მამალს. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა დაჭერა შემდეგი ოჯახების თევზებისა: სარღანისნაირების, ტუჩოსანთა, ზღვის ძაღლებისა, კამბალასნაირების, ვარსკვლავთმრიცხველების, მორიელისებრების, ათერინების. ეს იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ მრავალი ამ სახეობის წარმომადგენელი იმყოფება გადაშენების საფრთხის ქვეშ, და რომ სანაპიროს ეკოსისტემა განიცდის მკვეთრ დეგრადაციას.

თევზების სამყარო იდუმალი და გამოუცნობია. თევზები მეტნაკლებად ძველი ხერხემლიანი ცხოველებია. თანამედროვე სამყაროში პლანეტის წყლებში დაახლოებით 25 ათასი სახეობის თევზი ბინადრობს, რომელთა ზომა დაწყებული პატარა ორსანტიმეტრიანი მტკნარი წყლის თევზებიდან, დამთავრებული უზარმაზარ ოცმეტრიანი სიდიდის და უფრო დიდი ოკეანის ზვიგენებით. შავ ზღვაში გავრცელებულია თევზების 187 სახეობა.

განვიხილოთ ზოგიერთი იშვიათი თევზი, რომელიც შავ ზღვაში ბინადრობს.

ზღვის მელა (*raja clavata*) სკაროსების ყველაზე გავრცელებული ევროპული სახეობაა. მისი სხეული რომბისებურია, თავი მოკლე, ფრთების მსგავსი მკერდის

ფარფლები კიდებზე წაწვეტებულია. ზედა მხარე ხორკლიანი, ქაცვებით მოფენილი, დაფარულია ნათელი და მუქი ლაქების ნაოჭებით. ქვედა მხარე თეთრი. ბოლოს უკანა ნაწილზე, რომელიც დაფარულია ნათელი და მუქი განივი ზოლებით, ორი პატარა ზურგის ფარფლია. დამახასიათებელია ზურგისა და ბოლოს ზედა ნაწილზე ნემსისებრი ქაცვების მწყობრი რიგი. მოწიფულ ინდივიდებს აქვს დამატებითი ქაცვები ფრთების ზედა და ქვედა მხარეზე. მამრების ზომა აღწევს 70 სმ-ს, მდედრისა 120 სმ-მდე.

ზღვის მელა ბინადრობს ზღვის ქვიშიან და შლამიან ფსკერზე 20-300 მ-მდე სიღრმეზე. იკვებებიან უხერხემლოებით, კიბოსნაირებით, თევზებით. შეწყვილება მიმდინარეობს გაზაფხულზე. მდედრი ერთჯერადად დებს მხოლოდ ერთ კვერცხს რქოვანა კაფსულაში (სიგრძე დაახლოებით 11 სმ-მდე), რომელიც წანაზარდების მემწეობით ემაგრება სუბსტრატს. ყოველი მდედრი დებს ათეულობით კვერცხს (70-170), რომელთა განვითარება გრძელდება 4-5 თვე. შემდეგ იბადებიან პატარები, რომელთა სიგრძე აღწევს 12 სმ-ს.

ზღვის კატა ანუ ჩვეულებრივი ბოლოქაცვია (common stingray) სანაპირო წყლებში გვხვდება. სკაროსების მკერდის ფარფლები შეზრდილია თავთან და წარმოქმნიან რომბისებურ დისკოს, მისი მაქსიმალური სიგანე 60 სმ. სიგანე ოდნავ მეტია სიგრძეზე. ზურგი ვარდისფერია, უქერცლო. მრავლდებიან კვერცხცოცხალმშობის გზით. ემბრიონები დედის მუცელში ვითარდებიან, კვერცხის გულით და ჰისტოსტრფით იკვებებიან. მაკეობის შემდეგ. ჩნდება 4-5 ნაშიერი.

ზღვის კატებს შეუძლიათ მტკივნეული ჩხვლეტა მიაყენონ შხამიანი ქაცვით. ჩხვლეტა სიცოცხლისათვის საშიში არ არის. ზღვის კატებს ადამიანები კარგად იცნობდნენ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ძველი ბერძნები მათ „გვრიტი“-ს უწოდებდნენ. ძველ რომში სახეობა ცნობილი იყო დასახელებით *pustinaka* (ძირითეთრ). პირველად ზღვის კატა მეცნიერულად 1758 წელს აღწერა კარლ ლინემ, როგორც *paju pastinaka*. მოგვიანებით მიაკუთვნეს ბოლოქაცვიანების გვარს. ლიტერატურაში არსებობს ამ სახეობის სხვადასხვა (სულ 25) დასახელება.

2001 წელს გამოქვეყნდა ბოლოქაცვიების 14 სახეობის მორფოლოგიაზე დაფუძნებული ფილოგენეტიკური ანალიზი. ჩვეულებრივი ბოლოქაცვია ყველაზე ბაზალურ წევრად იქნა მიჩნეული.

მოზრდილი ზღვის კატის გრძელი და მოქნილი შოლტისებური ბოლო სიგრძით დისკოს ტოლია. ბოლოზე აქვს დაკბილული ქაცვი ან ნემსი, რომელიც სადინარებით უერთდება შხამიან ჯირკვალს. პერიოდულად ქაცვები ტყდება და მათ ადგილას ამოდის ახალი. უსუფთაო თეთრი, უნახატო, დისკოს ცენტრალურ ნაწილზე განლაგებულია ლაყუჩის 5 ხვრელი, პირი და ნესტოები. თვალების უკან ლაყუჩის ღრუს ხსნის ძლიერ ფართო სასულეები, რომლებიც თვალებზე ბევრად დიდია და ერთმანეთთან ახლოს არის განლაგებული. პირში 28-38 ზედა და 28-43 ქვედა კბილი აქვს. ძღვის კატის შხამიანი ნემსის ჩხვლეტა ძალიან მტკივნეულია და მძიმე უქეიფობა შეიძლება გამოიწვიოს.

ველურ ბუნებაში მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 წელია. ტყვეობაში 21 წელს ცოცხლობენ.

ბევრი საოცარი არსებაა შავ ზღვაში, ერთერთი მათგანია ზღვის მამალი (*tigla Lucerne*). იგი ბინადრობს 10-20 მეტრის სიღრმეზე. ზღვის მამალი განეკუთვნება ზღვის ქორჭილასებრთა ოჯახს. იზრდება 40-50 სმ-მდე და ფსკერის აქტიური მტაცებელია. მუცლის ფარფლის პირველი სამი სხივი მას თათისებურ წარმონაქმნებად აქვს გარდაქმნილი. მათი საშუალებით ზღვის მამალი ფსკერზე გადაადგილდება. თბილ საღამოს ნავით გასულებს შეგიძლიათ ნახოთ, თუ როგორ დაფრინავს ზღვის მამალი.

არავინ იცის თუ დატომ აკეთებს იგი ამას, მაგრამ ოცმეტრიანი ნახტომები, უზარმაზარი ფრთისმაგვარი გაშლილი ფარფლებით, დაუვიწყარი სანახაობაა.

ზღვის მამალს თავზე ქერცლები არ აქვს. გამჭვირვალე კანის ქვეშ აშკარად მოჩანს მძლავრი ძვლოვანი ჯავშანი. თევზი თვალ-ბუდის ძვლები ერთმანეთთანა შეზრდილი და ქმნის მტკიცე დინგისებრ წანაზარდს. ზღვის მამლის შეფერილობა მურა ნაცრისფერია. ქვირითობის პერიოდში მამრები შეფერილობას იცვლიან და კაშკაშა ჭრელები ხდებიან. ამ სახეობის თევზების ტოფობა საკმაოდ გაწელილია და ფაქტიურად მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს.

ზღვის მამალი ეგზოტიკურ თევზებსაც კი შეგვიძლია მივაკუთვნოთ. ერთის მხრივ ძალიან ლამაზია, მეორეს მხრივ მახინჯი. თევზის უზარმაზარი ხახა მდებარეობს გვერდებიდან შებრტყელებული თავის გარდიგარდმო. მოზრდილი, სრულიად „არათევზური“ შუბლი თავისი ზომით ახდენს შთაბეჭდილებას. ორმაგი ზედა ტუჩი გადმოფარებულია ქვედაზე. შუბლზე თვალ-ბუდეებში ღრმადაა ჩამჯდარი დიდი თვალეები. თვალეების ქვემოდან გამოზრდილია დიდი ეკლები, რომლებიც სხვა მტაცებლებისაგან თავდაცვის იარაღია. თითისტარისებური სხეულის მთელ სიგრძეზე ორ რიგადაა განლაგებული ხერხის მსგავსი ეკლები. მათ შორის ზურგის ფარფლი მდებარეობს. ის ორი ნაწილისაგან შედგება, წინა ნაწილი ვიწროა, მაგრამ გრძელი და თითქმის კუდის ბოლომდე აღწევს. ორკაპა კუდი ძლიერადაა განვითარებული. შეფერილობა მოწითალო აგურისფერია, კუდისკენ ყავისფერში გადადის. მუცელი მოვერცხლისფრო თეთრი ან ღია ვარდისფერია. სალაცუჩე ფარფლები გარედან ისეთივე ფერის არიან, როგორც მუცელი. ისინი დაკეცილ მდგომარეობაში თითქმის კუდამდე აღწევენ, თუ ამ ფარფლებს ამოვატრიალებთ, დაინახავთ ისეთ რამეს, რასაც ვერასოდეს დაივწყებთ. ფარფლის ზედა ზედაპირი მოიასამნისფრო-ნაცრისფერია, თანდათან ლილისფერში გადადის. ფარფლის კიდეს მთელ სიგრძეზე მიუყვება ლამაზი ლურჯი ზოლი, კიდესაც წითელი არშა ამშვენებს.

სხვა საოცრებებთან ერთად ზღვის მამალი კარგად გასარჩევ ხმებს გამოსცემს, რომელთა დახმარებით მათი ადგილმდებარეობის დადგენაა შესაძლებელი.

ზღვის ძროხა - *uranoscopus scaber*, იგივე ვარსკვლავთმრიცხველი სხივფარფლიანების კლასის, ქორჭილასებრთა რიგის წარმომადგენელია. მთელ მსოფლიოში ზღვის ძროხის 35-მდე სახეობაა გავრცელებული. შავ ზღვაში მისი ერთი სახეობა - ევროპული ვარსკვლავთმრიცხველი გვხვდება.

სხეულის ზომა 15-25 სმ-ია, წონა 200-400 გრამი. მამრები მდედრებზე დიდი ზომისაა, პირი წვრილი, ბასრი კბილებითაა შეიარაღებული. ლაცუჩის სახურავები კი გვერდებზე შეიარაღებულია წვეტიანი შხამიანი ეკლებით. ასეთივე ეკლებია მკერდის ფარფლების ქვეშ. ეკლების ფუძესთან შხამიანი უჯრედებია. მისი ქვირითი საკმაოდ დიდი ზომისაა. ქვირითს ნაწილ-ნაწილ დებენ. ზღვის ძროხის ხორცს უმეტეს ქვეყნებში საკვებად არ იყენებენ.

ასეთი სახელწოდება ამ თევზმა ძროხის მსგავსი ფართო და ბრტყელი დრუნჩის და თავზე ორი რქისმაგვარი წანაზარდის გამო მიიღო. რაც შეეხება სახელს, ეს მას კარლ ლინემ უწოდა. გამოჩენილ მეცნიერზე როგორც ჩანს, თევზის უცნაურმა, ზეცას მიშტერებულმა თვალეებმა მოახდინა შთაბეჭდილება. ასეთი თვალეები იმისთვის აქვს, რომ კარგად უთვალთვალოს მსხვერპლს და მოულოდნელად დაესხას თავს ქვემოდან. ქვედა ყბის შიდა მხარიდან გამოდის ენის მსგავსი წითელი გამონაზარდი, რომელსაც თევზი სატყუარასავით იყენებს. ქვიშაში ჩაფლული ძროხა ფაქტიურად უხილავია, მოჩანს მარტო თვალეები და „სატყუარა“.

ზღვის ძროხას თვალების მობრუნება სხვადასხვა მხარეს შეუძლია. შეუძლია გადმოკარკლოს კიდევაც, ან დამალოს. მას სრულყოფილი ბინოკულარული მხედველობა აქვს. დღის განმავლობაში შეუძლია საკუთარი წონის შესაბამისი წყალი დალიოს. ოღონდ ისინი არა მარილიან, არამედ მტკნარ წყალს სვამენ. ამისათვის მათ ლაყუჩებში სპეციალური დამამტკნარებელი აპარატი აქვთ. თევზს თავისებური ფილტრიც აქვს, რომელიც აკავებს და პირში არ უშვებს ლამსა და ქვიშას.

თვალების უკან ზღვის ზროხას აქვს ელექტრონული ორგანოები, რომლებიც გამოსცემენ 50 ვოლტის სიმძლავრის ელექტროენერგიას.

ზღვის დრაკონი - trachinus – ფსკერული თევზია. აქვს წაგრძელებული სხეული. პირი წვრილი, კონუსური კბილებით მიმართულია ირიბად ზევით, ქვედა ყბა ზედა ყბაზე გრძელია. თვალები თავის ზედა მხარეზე აქვს. ამ თევზს აქვს ორი ზურგის ფარფლი: პირველი მოკლეა, მეორე და ანალური ფარფლი გრძელია. ქვედა ფარფლები განლაგებულია ყელზე. ქერცლები ძალიან წვრილია, განლაგებულია ირიბად.

ზღვის დრაკონები ცხოვრობენ დაბალწყლიან სრუტეებსა და უბეებში. ისინი საკმაოდ აქტიურები არიან, ჩვეულებრივ ეფლობიან რბილ გრუნტში ისე, რომ მხოლოდ თავის ზედა ნაწილი, პირი, თვალები და ფარფლის სხივები უჩანთ. პირველი ზურგის ფარფლი არის მუქი შავი ფერის, რომელიც მკვეთრად გამოირჩევა დანარჩენი სხეულის ღია ყვითელი და მღვრიე ფერებისაგან და გარემო არსებული ქვიშისაგან. როდესაც დრაკონი ჩაწოლილია ქვიშაში, ეს მუქი ფარფლი კარგა მანძილზე მოჩანს. როდესაც თევზი გაღიზიანებულია, ფარფლი უფრო ამობურცულია და მობრუნებულია, რაც გამაფრთხილებლად მოქმედებს მტაცებლებზე. დრაკონს შეუძლია მკვეთრად მობრუნდეს და უზუსტესი დარტყმით შხამიანი ეკლებით ზიანი მიაყენოს მომხდურს. დრაკონის შხამი ძალიან ძლიერია, მსგავსი გველის შხამისა. შხამიანი ეკლების შეხების შემთხვევაში ვითარდება გაუსაძლისი მტანჯველი ტკივილი, რომელიც გრძელდება რამდენიმე საათს და ერთ დღესაც კი. კიდური სივდება, იწყება ციება, თავის ტკივილი, კრუნჩხვა, სუნთქვის შეკავება, გულისცემის გაძლიერება, ღებინება და რთულ შემთხვევაში სიკვდილი. ამ დროს მორფინიც არ აძლევს შეღავათს. ამ დროს საჭიროა 5%-იანი მარგანცოვკის სითხის შეყვანა ნატკენ ადგილას, რომელიც შლის შხამს და ამსუბუქებს მდგომარეობას. თუ კი ეს არ გაკეთდა საჭიროა ადგილის ცივი ან ცხელი დამუშავება. მორჩენა კი გრძელდება რამდენიმე თვეს. ზღვის დრაკონები საშიშროებას წარმოადგენენ ცხოველებისა და ადამიანებისათვის. თვით მკვდარ დრაკონსაც კი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ.

ზღვის ეშმაკი ეკუთვნის ზღვის ეშმაკისნაირთა რიგს, რომელშიც გაერთიანებულია 11 ოჯახი. საქართველოში გვხვდება ერთი.

ზღვის ეშმაკებს აქვთ დიდი პირის ხვრელი, რომელიც აღჭურვილია მძლავრი კბილებით ყბათაშორისსა და ქვედა ყბის ძვლებზე. თავი დიდია და განიერი, გაბრტყელებული ზემოდან ქვემოთ. ტანი ტიტველია. მასზე მრავალი კანოვანი დანამატი. მუცლის ფარფლები განლაგებულია ყელზე და მასზე მრავალი კანოვანი დანამატი. მუცლის ფარფლები განლაგებულია ყელზე და მათზე ხუთ-ხუთი დატოტვილი სხივია. ლაყუჩები სამ ლაყუჩის რკალზეა. ზურგის ფარფლი ორია. პირველ ზურგის ფარფლში სამი სხივია და სამი იზოლირებული სხივი, რომლებიც თავზეა განლაგებული. მათ შორის პირველი ყველაზე გრძელია და წვერზე ბურთისებური დანამატი აქვს. მეორე ზურგის ფარფლი და ანალური ფარფლი მოკლეა.

სხეულის სიგრძე 159 სმ-მდეა. ტოფობს იანვარ-თებერვალში. ქვირითს ყრის თავისებური წარმონაქმნის სახით, რომლის სიგრძე 4 მეტრამდეა, სიგანე 30 სმ-მდე, ხოლო სისქე 4 მმ-მდე. ლავრის განვითარება მიმდინარეობს მეტამორფოზით.

ხმალთევზების ოჯახში შედის მხოლოდ ერთი სახეობა ხმალთევზა (*xiphias gladius*), რომელმაც თავისი სახელწოდება ხმალივით წაგრძელებული ზედა ყბის გამო მიიღო. ხმლის სიგრძე თევზის სხეულის მესამედს შეადგენს. მოზრდილი თევზის ტორპედოს მსგავსი სხეული მოკლებულია ქერცლებს. აქვს საინტერესო ფორმის ზურგის და ანალური ფარფლები, რომლებიც შედგება წინა და უკანა ნაწილისაგან. წინა ფარფლები წარმოადგენენ წამახვილებულ სამკუთხედებს, უკანა ნაწილები კი ძალიან პატარები არიან და მიერთებული არიან კუდთან. კუდს აქვს ნახევარმთვარისებური ფორმა. მოზრდილ ინდივიდებს კბილები არ აქვს.

ნაყოფიერება ხმალთევზას ძალიან მაღალია. 68 კილოგრამიან მდედრში დათვლილი იქნა 16 მილიონამდე ქვირითი. ახალგაზრდა იკვებება გააჩნიათ პატარა ცხვირი, მაგრამ როცა მიაღწევენ 6-8 მმ-ს, ქვედა ყბა იწყებს წაგრძელებას. პატარებისათვის დამახასიათებელია უხეში ქერცლი, შეიარაღებული ეკლებით. განსხვავებით დიდებისაგან პატარებს გააჩნიათ კბილები და მთლიან ზურგის და ანალურ ფარფლებს არ გააჩნიათ დაშორება და გაყოფა წინა და უკანა ფარფლებად.

სამწლიანი ხმალთევზები აღწევენ 100-120 სმ-სიგრძეს. სქესობრივ სიმწიფეს აღწევენ 140-170 სმ-ს მიღწევის შემდეგ, ე. ი. 5-6 წლის ასაკში.

ხმალთევზა ჩქარი და აქტიური მცურავია. იგი ავითარებს 130 კმ-ს საათში. მოძრაობის დროს იგი ჭამს ყველაფერს, რაც შეხვდება

ხმალთევზას ნაშთები ნაპოვნია ეოცენის ნალექებში. ისინი უკვე არსებობენ 60 მილიონი წელია.

ზღვის ნემსთევზა - თევზების გვარი კონალაყუჩიანების რიგისა. სხეული წვრილი და წაგრძელებულია. დაფარულია ძვლოვანი ფარებით. პირი პატარა, უკბილო ხორთუმი წაგრძელებულია, მეტად თუ ნაკლებად ცილინდრულია. ტანის სეგმენტები 15-17, კუდისა 36-41. მუცლის ფარფლები არა აქვს. სხეული მომწვანო-ყომრალი ან მოწითალო ყომრალია, თეთრი განივი ზოლებით, მუცელი მოთეთროა, ხოლო მუცლის ქედი ჩვეულებრივ მოშავო. სიგრძე მამლისა 15 სმ-მდე, დედლისა 18 სმ-მდე.

ზღვის ნემსთევზა შედის მდინარეებში და ზღვასთან დაკავშირებულ ტბებში. ირჩევს წყალქვეშა მცენარეულობით მდიდარ ბიოტოპებს. იკვებება პლანქტონით - კიბოსნაირებით და წყლის სხვა მცირე ცხოველებით. საქართველოში გვხვდება ნურიის, კახაბრის, პალიასტომის ტბებში. მდინარეებში ადის დიდ მანძილზე, ზღვიდან 50 კმ-ზე ზევით. მრავლდება მაისიდან აგვისტომდე. დედალი 28-85- მდე ქვირითს დებს მამლის მუცლის გარეთა მოგრძო არხში ორ სიგრძივ მწკრივად. ქვირითის დაყრის შემდეგ ერთდება არხის ქვედა კიდეები და იქმნება მოგრძო პარკი, სადაც იჩეკებიან ლავრები, რომლებიც იქ რჩებიან, იკვებებიან ქვირითის ყვითრით. შემდეგ არხი (პარკი) თანდათან იხსნება. იქედან გამოდიან ლიფსიტები და იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

შავ ზღვაში ბინადრობს ორგვარი ნემსთევზა: გველისმსგავსი და ჩვეულებრივი. ჩვეულებრივ ნემსთევზას (*sungnathus asus*) კუდისა და მკერდის ფარფლები გააჩნია (გველისმსგავს კი არა), სხეული წინა ნაწილში ექვსწახნაგაიანია, უკანა ნაწილში კი ოთხწახნაგა.

ზღვის ცხენთევზა (*hippocampus*) თევზების გვარი ნემსთევზასებრთა ოჯახიდან. სხეულის სიგრძე 4-20 სმ-ს აღწევს. ფორმით მოგვაგონებს ჭადრაკის ფიგურას - მხედარს. კუდისა და მუცლის ფარფლები არ აქვს. თავი და კუდი მუცლის მხარესაა მოხრილი. მამალს კუდის დასაწყისში ქვედა მხარეზე აქვს ლიფსიტების გამოსაჩეკი პარკი, სადაც დედალი დებს 102-197 ქვირითს. გამოჩეკილი ლიფსიტები იკვებებიან ყვითრით, შემდეგ გარეთ გამოდიან და იკვებებიან პლანქტონით. გვარი აერთიანებს 30-მდე

სახეობას. საქართველოში ბინადრობს ამ გვარის ერთი სახეობა - შავი ზღვის ცხენთევზა (*h. guttulatus microstephanus*), რომელიც გავრცელებულია ატლანტის ოკეანეში, ხმელთაშუა და შავ ზღვებში. სარეწაო მნიშვნელობა არ აქვს.

ზემოთ განხილული, შავ ზღვაში მობინადრე იშვიათი და უცნაური თევზების ფიტულები და დასპირტული სახეობები დაცულია ჩვენს მუზეუმში (იხ. ფოტო).

გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხიძე ჯ., ბურჭულაძე ო., საქართველოს შავი ზღვის თევზები, ბათუმი, 1982
2. ფრანკი ს.ტ., თევზების ილუსტრირებული ენციკლოპედია, პრაღა, 1975
3. მაზმანიძე ნ., შავი ზღვის ეკოლოგია და ნავთობი, ბათუმი, 1997
4. ცხოველთა ცხოვრება, ენციკლოპედია, ტ. IV, მოსკოვი, 1971
5. ანისიმოვა ი.მ., ლავროვსკი ვ.ვ., იქტიოლოგია, ნაწილი II, თბ., 1983



ზღვის მელა



ზღვის მამალი



ცხენთევზა



ზღვის კატა



ხმალთევზა



ზღვის ეშმაკი



ზღვის ძროხა



ზღვის დრაკონი



ნემსთევზა

აჭარის მუზეუმის ქამრების კატალოგი

კატალოგი შეიცავს აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმში, მვირფას ლითონთა ფონდში დაცულ, მდიდარსა და მრავალფეროვან, ქართულ-კავკასიური წარმომავლობის ვერცხლის ქამართა კოლექციას.

ცნობილია, რომ კავკასიის ხალხთა ყოფაში ფართოდ იყო გავრცელებული ნაირი სახის ლითონების ქამრები, რომელთა მოპოვება საკოლექციო მიზნით საქართველოში ამ დარგით დაინტერესებულმა კოლექციონერებმა დაიწყეს. აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა კი მათი შეგროვება გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, ზემო აჭარაში გასვლითი ეთნოგრაფიული ექსპედიციების, ზოგიც კერძო პირებისგან შეიძინა. საუკუნის მანძილზე ფონდში თავი მოიყარა დიდი რაოდენობით უნიკალური ხასიათის ნივთებმა. ისინი მრავალმხრივ არიან საყურადღებო და შუქს ფენენ კავკასიის ხალხთა ოქრომჭედლობის თავისებურებას. ქამრების ეს მდიდარი ფონდი, ძირეულ მსგავსებასთან ერთად, ასახავს აღნიშნულ ხალხთა ოქრომჭედლობის „თვითმყოფად“ კულტურას, ხელოსნების ინდივიდუალურ ხასიათს, სტილსა და „ხელს“. წინამდებარე კატალოგი პირველი მცდელობაა აჭარის მუზეუმის ფონდში დაცული ქამრების პუბლიკაციისთვის, რათა ნივთიერი კულტურის ეს მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული სასიცოცხლო ტრადიციები არ მიეცეს დავიწყებას, ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის. კატალოგზე მუშაობისას ძირითადად ვიხელმძღვანელებ აჭარის მუზეუმის საინვენტარო წიგნებით, ამოღებულ იქნა მუზეუმის საკატალოგო დავთრებიდან პირველადი ჩანაწერები სარტყლების შესახებ. ასევე ჩვენს ხელთ არსებული, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, თუმცა ჩვენს ფონდში არსებული დამუშავებული ქამრების კოლექციებთან შედარებისას სრულყოფილი სურათის წარმოდგენა არ დარჩა საკმარისი, კერძოდ ვერ მოხერხდა ზოგიერთი სარტყლის მოხელის და მფლობელის ვინაობის გარკვევა, წარწერების არ არსებობის გამო.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლულებებმა, მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან, ვერცხლის ქამრების გამოყენების ტრადიციას ნიადაგი გამოეცალა, მოთხოვნილება შეწყდა. დამზადების ხელობა გაუქმდა, ამიტომაც სარტყლების აღწერილობა შევსება კატალოგისათვის საჭირო მასალით, პირთა დახმარებითაც ვცადეთ, მაგრამ სრული სურათის მოცემა მაინც შეუძლებელი დარჩა. ამიტომაც ვეცადე გამომეყენებინა მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ფოლკლორული მასალა ადგილობრივი ტრადიციებიდან გამომდინარე, რაც ამ პერიოდის ყოფის ისტორიასაც მოიცავს და დაგვეხმარება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ვერცხლის ნაკეთობათა შექმნის ისტორიისათვის. ვფიქრობ, არა სრულყოფილად, მაგრამ იგი ერთგვარ სამსახურს გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ პირს. შევეცადე კატალოგში ამეღწერა ფონდში დაცული თითოეული ქამარი ცალ- ცალკე, რადგან ერთი და იგივე სარტყელთან მიმართებაში მაინც შეინიშნება განსხვავება, რაც დასტურია იმისა, რომ ოსტატები შეკვეთით მუშაობდნენ და ითვალისწინებდნენ თითოეული შემკვრთის გემოვნებას და ასევე ცდილობდნენ თითოეულ ნახელავში ახალი ელემენტი შეეტანათ.

ვერცხლის ქამრები დანიშნულებით არის სამამაცო და სადიაცო, ისინი შესაბამისად არიან აკინძულები და გაფორმებულები. აჭარის მუზეუმში დაცული ქამრები ძირითადად ხელოვნების მაღალი შესრულების ნიმუშებს წარმოადგენენ: მასიური, სევადიანი, ოქროცვარული, გრებილური, ცვარულით, ძირითადად „აბზინდიანი“ საკიდით, რაც დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის. ისინი ნაციონალური ტანსაცმლის თანმხლები ატრიბუტი გახლავთ, ხოლო „გობაკიანი“ ანუ ფართო ბალთიანი ვერცხლის სარტყლები დაკავშირებული იყო გარკვეულ პროფესიასა და ეკონომიკურ მდგომარეობასთან, მას ატარებდნენ უმთავრესად მაღალი წოდების პირნი და სხვადასხვა ხელობის მოქალაქენი. ეს სარტყლები დღეს როგორც მაღალი მხატვრული ხელოვნების მატარებლები სამუზეუმო ექსპონატებს წარმოადგენენ და მკაფიოდ ასახავენ ქართულ- კავკასიური ოქრომჭედლობის

მაღალ კულტურას (ლ. ბედუკიძე, ლ. სოსელია, მ. ჩართოლანი, სარტყლების კატალოგი, თბ., 1967).

„აბზინდიანი“ სარტყლების ორი ტიპი არსებობს სადა - სამუშაო და სადღესასწაულო. სამუშაო სარტყელი არის ღვედზე აკინძული ლითონის აბზინდა, ენა და ხიდი. მორთული სარტყელი გაწყობილია: აბზინდა, ენა, ხიდი, ღილი, საქონე, საკვესი და სხვა სამკაულებითა და სამშვენისებით, ძვირფასი თვლებით.

სარტყელზე წარწერა კეთდებოდა როგორც ოსტატის, ისე მეპატრონის მიერ. წარწერები შესრულებულია სევადით და აწერია მოხელის გვარი; მეორე შემთხვევაში წარწერა შესრულებულია ამოკაწვრით ნივთის შეძენის შემდეგ. წარწერების არსებობა ნათელს ხდის ხელოსნის ვინაობას; პრობლემები გვექმნება იმ სარტყლებზე, რომლებზეც არ არის არავითარი წარწერა. ასეთები კი ბევრია.

ქართულ საოქრომჭედლო სახელოსნოში დამზადებულ ნივთებზე დასმულ დამლაზე უმეტეს შემთხვევაში გამოყვანილია როგორც ქართული ისე რუსული ასოები. მას აწარმოებდა ხელოსანი ან ამქარი. ნივთის სინჯისა და დამლის გარეშე ოსტატს ნამუშევრის გატანა ბაზარზე არ შეეძლო.

აჭარის მუზეუმში დაცული ქამრები ეთნოგრაფიული ნიშნით შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: მამაკაცის ქამარი ტყავის და ვერცხლის ე.წ. „გობაკიანი“ ან „უგობაკო“. ასევე ქალის ქამარი წარმოდგენილი ვერცხლის ბალთებით, ქსოვილისა და ტყავის მასალაზე, ან ბანდული ვერცხლის სახით. არქეოლოგიური მასალით ირკვევა, რომ ეთნოგრაფიული ხასიათის სარტყლებს თავისი წინაპრები გააჩნიათ უკვე ბრინჯაოს ხანიდან.

1974 წელს გონიოს ციხე-ქალაქთან ნაპოვნი განძი, რომელშიც 26 დასახალების ნივთია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ოქროს ფირფიტებისაგან დამზადებული ფერადი ქვებითა და ვარდულებით შემკული ქამრის ნაწილები, კიდებზე მოყოლებული წნული ორნამენტებით. განძი ახ.წ. I-II სს. ქართული საიუველირო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია და მხატვრული ღირებულებით უნიკალურია საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის. დიდია მეცნიერული ღირებულებით, რადგან იგი ნათლად ასახავს კოლხეთის სამეფისათვის დამახასიათებელ საოქრომჭედლო ტრადიციებს.

რაც შეეხება ტერმინებს „ქამარი“ და „სარტყელი“, ქართულში ორივე იხმარება. ქამარი უფრო მეტად იხმარება ვერცხლის სარტყლების მიმართ. ქამარ-ხანჯალი და არა სარტყელ ხანჯალი. საბას ხანჯალი განმარტებული აქვს რიგორც თურქული სატყვა, რომელიც შეესაბამება ქართულში „ზოსტერი“, ხოლო სარტყელს ასე განმარტავს - წელსაკრავი. (საბა, „სიტყვის კონა“). ივანე ჯავახიშვილს ტერმინი ქამარი მიაჩნია კავკასიურ ენათა უძველეს სიტყვად და მას უკავშირებს კამარას...(ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ1, 1953). ქამრებს უწოდებენ მთლიანად ვერცხლის ქამარს, ხოლო სარტყელს უმთავრესად ტყავის, აბზინდიან ქამრებს. ასეთი ქამრები დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული; - სამეგრელოში მას „ორტყაფუ“ ჰქვია, სვანეთში - „ლარტყ“. ზემო აჭარაში „ქემერი“ /ნ.ცეცხლაძე, შუახევი, სოფ. დარჩიძეები). აჭარაში დღემდე შემორჩენილი გადმოცემებით და მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ქამრებს ასევე სამგზავროდ საჭირო ნივთების აკინძვის ტრადიციის დატვირთვაც ჰქონდა; კერძოდ, წელზე შემორტყმულ ქამარზე დაკიდებული ჰქონდა საჯაყვე, ტარიანი და ქარქაშში ჩაგებული და ქამარზე დაკიდებული სატევარი, საქონე, სამოგვის მათარა (სახოკია, 1985:224-245).

გობაკიანი და აჭურული ქამრები

1. ქამარი აჭ.მ. N 20193 - ვერცხლი. შედგება ღვედის, ბალთის, გობაკის, აბზინდისა და ენისაგან. ღვედზე მჭიდროდ ასხმულია ერთნაირი მოყვანილობის სწორკუთხა ხიდური ბალთა. ქამარი დასარჩულებულია ტყავით. აქვს ორმხრივი აბზინდა და სამუშაო ენა. ქამარი იკვრება კავით და ყურით, რომელიც ბოლოვდება გველის თავიანი კაუჭით. თითოეული ბალთა მოსევადებულია ფოთლოვანი ორნამენტებით, არშიებით და კოპებით. თითოეულ სეგმენტზე თითო კოპია. ქამარი განკუთვნილია მამაკაცებისათვის. სიგრძე 84 სმ. თბილისი. შეძენილია ამირან ზარქუასაგან. 1975 წ.

2. ქამარი აჭ.მ. N 22947 - ვერცხლი, ღვედზე მჭიდროდ მიყრილი 54 სეგმენტით. დასარჩულეებულია ალუბლისფერი თასმით. ბალთები მოოქროვილი და მოსევადებულია,- ქვემოდან დაკბილული არშია შემოსდევს. აქვს დედალ-მამალი ბალთა კავის გამოსადებით. ამოტვიფრულია ციფრები - 1915. განკუთვნილია ქალისათვის. სიგრძე 76 სმ. შექმნილია ო. აბაშიძისაგან 1988 წელს.

3. ქამარი აჭ.მ. N 20148 - სპილენძი, აყურული. შედგება მოძრავად დაკავშირებული სწორკუთხა და ოვალური მოყვანილობის ბალთისაგან, რომლებიც გადაბმულია ღერაკებგაყრილი სახსრებით. ქამარი ბოლოვდება დედალ-მამალი ბალთით. მამალ ბალთაზე დარჩილულია ოვალური გობაკი, რომელიც დედალ ანჯამაში გამოეყრება. ქამარი მთლიანად დაფარულია გრეხილით დაქსელილი ფირფიტებით. მათ შორის დაფენილია მოოქრული თხელი ფურცელი, გვერდითი სპირალები ბოლოვდება თვალბუდეებით, შუაში კი დარჩილულია დაკბილული ყვავილები თვალბუდეებით. აყურულ ფირფიტებში ჩასმულია ცისფერი ქვები. ქამარი ქალისთვისაა განკუთვნილი. სიგრძე 78 სმ. შექმნილია მაყვალა ბეჟანიძისაგან. შუახევი, ჭვანა. 1975 წ.

4. ქამარი აჭ.მ. N19745 - სპილენძი, ოთკუთხა 13 ც. სეგმენტით. ასხმულია ღვედზე. თითოეული ბალთა ამობურცულია, მრგვალ ზედაპირზე თითო კოპით, ხოლო სეგმენტს კუთხეებში 4-4 ცალი კოპი აზის. სეგმენტებს გადაბმის ადგილას აქვს თითო ცალი ცისფერი ქვა. ბალთა რვაკუთხედა და ციფრი „ 8 “-ს მსგავსი. ფილიგრანირებული. განკუთვნილია ქალისათვის. სიგრძე 75 სმ. შემოვიდა ვ. მუკუტაძისაგან 1970 წელს.

5. ქამარი აჭ.მ. N21045 - სპილენძი, დაწული წვრილი მავთულისაგან. ჯვარედინად ნაქსოვი, აქვს ბალთა ციფრი „8“-ს მსგავსი. ყვავილოვანი ორნამენტებითაა გაფორმებული, ბუდეში ჩასმულია 2 ც. ლურჯი ქვა. ბალთის ბოლო მოსევადებული და მოხატულია. აქვს 3 ცალი ჩამკეტი ღილები. ქამარი განკუთვნილია ქალს. ზომა 91-4 სმ. შექმნილია ემინე გელაძისაგან (ხულო, ღურტა) 1977 წ.

6. ქამარი (აჭ.მ. N17127) - ვერცხლი, ნაქსოვი წვრილი სიმებით. ბალთა ოვალური ფორმის, მასიური, (სავარაუდოდ ყალიბად ამოსხმული) ყვავილებით გაფორმებული, ბოლოვდება ორნამენტირებული ბალთით. აქვს ორი ჩამკეტი ხვრელი. ქამარი განკუთვნილია მამაკაცისათვის. აკრეფილია ვიშნისფერ ნაჭერზე. 680 გრ. შექმნილია აიშე ბეჟანიძისაგან 1956 წ.

7. ქამარი (აჭ.მ. N 20075) - ვერცხლი, მართკუთხედი ფორმის 24ც. სეგმენტით, რომელიც დაყოფილია ორ-ორ კვადრატად. ისინი რომბისებური სახსრებითაა შეერთებული, ქამარი აკინძულია ვიშნისფერ ნაჭერზე. მთავრდება მრგვალი ორნამენტისანი ბალთით, რომელზეც გამოსახულია ვარსკვლავი და ნახევარ მთვარე. ქამარს ორ ადგილას სახსრებით ჩამოკიდებული აქვს სეგმენტი ნახევარ მთვარითა და ვარსკვლავით, მეორე სეგმენტზე ნახევარმთვარე და ვარსკვლავი შუაში ხანჯლით. ქამარი ქალისთვისაა განკუთვნილი, სიგრძე 80 სმ. წონა 300 გრ. შექმნილია გულნარა ბერიძისაგან. (თურული) შუახევი, უჩამბა. 1974 წ.

8. ქამარი (აჭ.მ. N23312) - აყურული. შედგება მოძრავად დაკავშირებული 10 მართკუთხა სეგმენტისაგან, რომელიც გადაბმულია ღერაკებგაყრილი სახსრებით. ქამარი მთლიანად დაფარულია დაქსელილი ფირფიტებით. თითოეულ სეგმენტს აქვს მომადლო ორნამენტირებული ბუდეები, რომლებშიც ჩასმულია ცისფერი ქვა. ქამარი ბოლოვდება ორი დედალი და ერთი მამალი ბალთით. მამალ ბალთას აქვს ციფრი „8“-ს ფორმა, ყვავილოვანი ორნამენტებით. სიგრძე 80 სმ. ქამარი განკუთვნილია ქალისათვის. შექმნილია რუსუდან კობრავასაგან 2002 წ.

9. ქამარი (აჭ.მ. N19814) - ვერცხლი, მოოქროვილი. შედგება 8 ოთხკუთხა სეგმენტისაგან, სახსრებით შეერთებული ერთმანეთთან. ზემოდან გაკეთებულია ორნამენტები ფილიგრანებით; თითოეულ სეგმენტზე ამობურცულია ორი პატარა და ერთი დიდი ბუდე, რომლებშიც ჩასმულია ცისფერი ქვის თვლები. ქამარი მორთულია წერტილოვანი გავარსითა და ორნამენტებით. ბალთა ციფრი „8“-ს მსგავსი, ზემოდან ფილიგრანირებული, ორნამენტებით და გაფორმებულია ცისფერი ქვებით. სიგრძე 73 სმ. წონა 450 გრ. ქამარი განკუთვნილია ქალისათვის. შექმნილია მ. ზოიძისაგან (ხელვაჩაური, ახალი სოფელი). 1970 წ.

10. ქამარი (აჭ.მ. N17784) - მოოქროვილი, წვრილი, აჟურული ნამუშევარი, შედგება 33 ცილინდრული ფორმის სეგმენტისაგან, რომელიც ერთმანეთთან გადაბმულია რგოლებით. თითოეული სეგმენტი მთლიანად აჟურული ნამუშევარია, გაფორმებულია 5-5 ცალი კოპებით. ქამარი ბოლოვდება მასიური დედალ-მამალი ბალთით, ერთი მხარე ციფრი „8“-ს მსგავსი ბალთა, ორნამენტირებული, რომელზეც დაბნეულია ვერცხლის ფირფიტა კოპებით. ქამრის მეორე მხარე მთავრდება ბრტყელი ყვავილოვანი, ორნამენტისანი ფირფიტით, რომელიც არის ჩამკეტი ბალთების. ზომა: 82-5 სმ. 404 გრ შემოსულია ა. ფუტკარაძისაგან, ბათუმი, 1960 წ.

11. ქამარი (აჭ.მ. N19354) - ვერცხლი, შედგება 8 სეგმენტისაგან, ინკუსტრირებული ფერადი ქვებითა და ფილიგრანირებული ვერცხლისავე წვრილი მავთულებით. თითოეულ სეგმენტს აზის თითო კოპი, რომელშიც მოთავსებულია ცისფერი ქვა და ასევე ხვიანები თითო-თითო ქვებით. სეგმენტები ასხმულია სპირალებით, ირგვლივ შემოვლებულია წერტილოვანი ბურთულები. ქამარი მთლიანად გაფორმებულია სხვადასხვა ორნამენტებით, მიცემული აქვს ვიშნისფერ-ვარდისფერი ფონი. ბალთა დედალ-მამალი ოვალური ფორმის, - იგივე გაფორმებებით. იკვრება ენით. ქამარი განკუთვნილია ქალისათვის. ზომა 73X2,8სმ. წონა 308გრ. თბილისი, 1887-1899 წწ. მოხელე უცნობი. შემოვიდა ისრაფილ ფუტკარაძისაგან. შუახევი, ოლადაური. 1967 წ.

12. ქამარი (აჭ.მ. N18536) - ვერცხლი, ოთხკუთხი ფორმის „8“ სეგმენტისაგან და ბალთისაგან. ამობურცულ ბუდეებში ჩასმულია ფირუზის ქვები. სეგმენტები შეერთებულია სპირალებით. ირგვლივ შემოვლებულია წერტილოვანი გარსი, გაწყობილია აჟურული ფიტფიტებით და ყვავილოვანი ორნამენტებით, ზემოდან აზის ცისფერი ქვა. ბალთის მეორე მხარეს აქვს სამი ჩამკეტი ხვრელი. ქამარი განკუთვნილია ქალისათვის. სიგრძე 84 სმ. წონა 545 გრ. ჩრდილო კავკასია, პრობერი ბაქოს გუბერნიის სამმართველოდან. მოხელე უცნობი. XX საუკუნე. შეძენილია თენზილე ქათამაძისაგან, შუახევი, ჭვანა, 1962 წ.

13. ქამარი (აჭ.მ. N20076) - ვერცხლი, შედგება ვიშნისფერ ქსოვილზე აცმულ 9 სეგმენტისაგან. გადაბმა სპირალებით. თითოეულ სეგმენტზე სამ-სამი ფერადი ქვაა ჩასმული ამობურცულ ბუდეებში. გაფორმებულია ქვებით ფილიგრანირებული წვრილი მავთულებითა და წერტილოვანი ბურთულებით. ზედაპირი დაფენილია ოქროსფრად. აქვს დედალ-მამალი ასევე ორნამენტირებული ქვებით გაფორმებული ბალთა. ქამარი განკუთვნილია ქალისათვის. სიგრძე 80 სმ. წონა 300 გრ. შეძენილია მერი ქათამაძისაგან, შუახევი, ჭვანა, 1974 წ.

14. ქამარი (აჭ.მ. N19298) - ვერცხლი, ოთხკუთხედი ფორმის, ბრტყელი, ამობურცული ფირფიტებისაგან, კიდეებშეჭრილი, 15 სეგმენტისაგან შემდგარი; თითოეული სეგმენტი მოსევადებულია ყვავილოვანი ორნამენტებით. სეგმენტები ერთმანეთთან შეერთებულია რგოლებით. ქამარს აქვს ბალთა სამკუთხა ფორმის ასევე გვერდებში შეჭრილი და წარწერა რუსული შრიფტი „КАВКАЗ“. იგი განკუთვნილი იყო მამაკაცებისათვის. სიგრძე 68 სმ, წონა 11 გრ. შეძენილია ი. ფუტკარაძისაგან, შუახევი, ოლადაური, 1966 წ.

15. ქამარი (აჭ.მ. N 16820) - ვერცხლი, ტყავის ღვედზე აკინძულია 48 მასიური სეგმენტი, ორნამენტირებული, აზის თითო კოპი. ქამარი მოსევადებულია; აქვს მსხვილი ოვალური ბალთები. სეგმენტებს მთელ სიგრძეზე გასდევს აჟურული ხვიანები, სილამაზისათვის. წონა 360 გრ. განკუთვნილია მამაკაცებისათვის. ვლადიკავკაზი, ალი კადიევი 1886-1917 წწ. (პრობერი). უცნობი ხელოსანი. შემოსულია ჭ. ნიკოლაიშვილისაგან, ბათუმი, 1952 წ.

16. ქამარი (აჭ.მ. N 19695/6) - ვერცხლი, მოოქროვილი. შედგება ტყავზე აკინძული ოთკუთხა 45 სეგმენტისაგან. თითოეული სეგმენტი საკმაოდ მასიურია და დაფარულია ყვავილოვანი და ფოთლოვანი ორნამენტებით. აქვს დედალ-მამალი ბალთა, ასევე ორნამენტებითა და წერტილოვანი ბურთულებით შემკული. ქამარი განკუთვნილია მამაკაცებისათვის. სიგრძე 81 სმ. წონა 404 გრ. ბაქო. მოხელე უცნობი. დამლა ამიერკავკასიის გუბერნიის პრობელის მიერ. შემოვიდა ერემია სხირტლადისაგან. საჩხერე, კალოვათა, 1969 წ.

17. ქამარი (აჭ.მ. N17466) - ვერცხლი, ტყავის თასმაზე ასხმული, საკეტითა და პეტლით. ქართული ჭედური ნამუშევარი, 37 სეგმენტისაგან შემდგარი. თითოეული სეგმენტი გაფორმებულია სხვადასხვა ორნამენტებით, არის მოსევადებული, აზის კოპები, წერტილოვანი

გავარსებით, ლურჯი საღებავებით; ქამარს ქვედა ნაწილში მთელს სიგრძეზე გასდევს ხვიანები, სილამაზისათვის. ბალთა მასიურია, ასევე ორნამენტებით. სიგრძე 78 სმ. 300 გრ. განკუთვნილია მამაკაცისათვის. მოხელე უცნობი. პრობერი შმიდერცკი ი.ა. თბილისი, 1903-1904 წწ. შექმნილია შოთა კიკალეიშვილისაგან. 1957 წ.

18. ქამარი (აჭ.მ N17606) - ვერცხლი, მოოქროვილი, 22 მართკუთხა ფორმის სეგმენტისაგან, რომელშიც ჩასმულია რომბისებური ფირფიტები, მიმაგრებული რგოლებით. შუა ნაწილში ჩამოკიდებულია 2 ცალი სეგმენტი, რომელიც მთავრდება ნახევარმთვართა და ვარსკვლავით; რგოლებით კიდია: ფისტოლეტი, პორთველი, ხანჯალი. ქამარი იკვრება დედალ-მამალი ბალთით, მამალ ბალთაზე არის შტამპი და თურქეთის გერბი. სიგრძე 85 სმ. წონა 360 გრ. განკუთვნილია მამაკაცისათვის. მფლობელი ზ. ქიქავა, ბათუმი, 1959 წ.

19. ქამარი (აჭ.მ. N20084) - ვერცხლი, შედგება 26 ოთხკუთხა, გვერდებშიწერილი სეგმენტისაგან, რომლებიც შეერთებული არიან რომბისებური ფორმის ვერცხლისავე სახსრებით. ქამარს დართული აქვს ორ ადგილას სეგმენტები. აქვს დედალ-მამალი ბალთა, ოვალური ფორმის, თურქეთის გერბით. ზომა 89-3,5 სმ, წონა 300 გრ. ქამარი ქალისათვისაა განკუთვნილი. შექმნილია გურამ თავდგირიძისაგან, 1974 წ.

20. ქამარი (აჭ.მ. N19901) - ვერცხლი, რომბისებური სახსრებით ერთმანეთთან შეერთებულია 27 ცალი სეგმენტით, რომლებიც გაფორმებულია წვრილი ვერცხლის ძაფებით, რგოლებით. აქვს ოთხკუთხა გვერდებში ოვალურად შეჭრილი ფორმის ბალთა, შუაში გამჭოლი, მცენარეული ორნამენტით, მოსევადებული. თურქული, განკუთვნილია ქალიბისათვის. სიგრძე 74 სმ. წონა 350 გრ. შემოვიდა თ. მაკარაძისაგან, შუახევი, ქ. კარაპეტი, 1972 წ.

21. ქამარი (აჭ.მ. N20149) - ვერცხლი, 11 სეგმენტით, რომლებიც ერთმანეთთან გადაერთებულია კოპებიანი ვერცხლის ფირფიტითა და 5-5 ცალი ასევე ვერცხლის რგოლებით. სეგმენტები ოვალური ფორმისაა, ამობურცული, მოსევადებული, გავარსით გაფორმებული, ორნამენტებით. ბალთა დედალ-მამალი, ასევე ოვალური ფორმის, გაფორმებული ყვავილოვანი ორნამენტებით; ბოლოვდება ორი ჩამკეტი ბალთით. სიგრძე 80 სმ, წონა 344 გრ. დამლა გაურკვეველია. შექმნილია ჯემალ ვაშაყმაძისაგან. ჩაქვი. 1975 წ.

22. ქამარი აჭ.მ. N 17892 - ვერცხლი, ზედაპირი ოქროსფრად დაფენილი, მოსევადებული ორნამენტებით. ქამარი შედგება 10 მართკუთხედი ფორმის სეგმენტისაგან, ისინი ერთმანეთთან გადაბმულია სახსრებით. სეგმენტები გაფორმებულია გავარსებით. აქვს დედალ-მამალი ბალთა ციფრი „8“-ს ფორმის, ზემოდან ვერცხლის ფირფიტა გადაკრული, რომელიც ასევე დაფარულია წერტილოვანი ორნამენტებით. შუაში ბუდეში ჩასმულია წითელი ფერის ქვა. გაფორმებულია წვრილ ჯაჭვზე ჩამოკიდებული 6 ქიმიანი ვარსკვლავითა და ხანჯალით. ქამარი ბოლოვდება ბალთაზე ორი ჩამკეტით. სიგრძე 96 სმ. წონა 417 გრ. შემოსულია ტ. ანთაძისაგან. ხულო, რიყეთი. 1961 წ.

23. ქამარი (აჭ.მ. N19459) - ვერცხლი, შედგება 16 ცალი ვერცხლის ორნამენტირებული ტიხარით აკრეფილი სეგმენტისაგან. ოთხკუთხა შუაში ამობურცული ოვალური სეგმენტები მოსევადებულია, შუაში მოთავსებულია ფერადი ქვები. თითოეულ სეგმენტზე ოთხივე კუთხეში კოპია ამობურცული. ქამარს აქვს დედალ- მამალი ბალთა. ბალთა არის ციფრი „8“-ს მსგავსი ფორმის ყვავილოვანი ორნამენტებით, შუაში წითელი თვალით, გვერდებზე ბუდეებში სასმული კოპეებით. სიგრძე 84 სმ. წონა 490 გრ. განკუთვნილია ქალისათვის. უცნობი ხელოსანი. შემოვიდა ზ. ცხადაძისაგან, ბათუმი, 1968 წ.

24. ქამარი (აჭ.მ. N 19110) - ვერცხლი, შედგება 16 სწორკუთხა სეგმენტისაგან, რომლებიც ასხმულია ტყავის ღვედზე და გადაბმულია ლითონის სალტეებით, აქვს კოპები. სეგმენტის შუა ნაწილი ამობურცული და ოვალურია, ირგვლივ წერტილოვანი ორნამენტებით, მოხატული და მოსევადებულია. ბალთა აჭურულ-ორნამენტირებულია, შუაში ყვავილოვან ორნამენტში ჩასმულია ფერადი ქვა. სიგრძე 85-3 სმ. წონა 570 გრ. ქამარი განკუთვნილია ქალისათვის. დამლა არ იკითხება. შექმნილია ე. ხოზრევანიძისაგან, ხულო, ბოძაური, 1967 წ.

25. ქამარი (აჭ.მ. N22786) - ვერცხლი, 16 ცალი სეგმენტი ერთმანეთთან შეერთებულია ვერცხლის ფირფიტებით. თითოეული სეგმენტი ორნამენტირებულია. შუაში ოვალურად

ამოზნეკილი, თითოზე 4-4 კოპით, ბალთები, ასევე მოსევადებული და ორნამენტირებულია. სიგრძე 83 სმ. ქამარი განკუთვნილია ქალებისათვის. შექმნილია ანზორ იკაევისაგან, მახინჯაური, 1986 წ.

26. ქამარი (აჭ.მ. N20291) - ვერცხლი, ღვედზე ასხმულია 17 სეგმენტი, რომელთაც ერთმანეთისაგან ყოფს მოსევადებული ვერცხლის ფირფიტები. სეგმენტები ოთხკუთხაა, შუაში ოვალურად ამოზრცულია, ოვალი გავარსითაა შემოვლებული, შუაში მოსევადებული ყვავილოვანი ორნამენტებით. აქვს ოთხკუთხა აჭურული ბალთა ორმაგი ჩამკეტით. ქამარი განკუთვნილია ქალებისათვის სიგრძე 82 სმ. აქვს დამლა, უცნობი ხელოსანი. შექმნილია გიორგი ბერიძისაგან, ხულო, ღორჯომი, 1976 წ.

27. ქამარი (აჭ.მ. .N 20124) - ვერცხლის მავთულებისაგან დაწნული. ბალთა ოვალური ფორმის, ორნამენტირებული. აქვს ორი ვერცხლის სალტე. ზომა 85X 3,4სმ. წონა 255გრ. განკუთვნილია ქალისათვის. შექმნილია ლილი ჯაიანისაგან. ხულო, ხიხაძირი. ქამარს აქვს დამლა „3A“ – ზახარ აბდულაევი, 1899-1903 წწ., პრობირერი გაურკვეველია.

28. ქამარი აჭ.მ. N 21125 - ვერცხლი, დაწნული, ორნამენტირებული, ბადისებური ბალთით, სამი ვარდულით, რომლებშიაც ქვის თვლებია ჩასმული. აქვს დამლა „სკ“ და „84“. სიგრძე 85 სმ. წონა 255 გრ. თბილისის პრობირერის სამმართველო. იოსებ შმიდეცი, 1903-1904 წწ. მოხელე უცნობი. შემოსულია ექსპედიციისაგან, 1977 წელს. ლოლა ხოზრევანიძისაგან, ხულო, კვატია, განკუთვნილია ქალებისათვის.

29. ქამარი (აჭ.მ. N.22022) - ვერცხლი. წვრილი მავთულებისაგან დაწნული. ბალთა რვაკუთხიანი ბალთით, რომელზედაც დასმულია ვერცხლისავე წვრილი მავთულებით გამოსახული სამი ვარდული. ზომა: 85-4,3 სმ. წონა 328,5 გრ. შექმნილია ხასან დავითაძისაგან. 1980 წ. განკუთვნილია ქალებისათვის. აქვს დამლევი. თბილისის პრობირერის სამმართველო. იოსებ შმიდეცი, 1903-1904 წ. მოხელე უცნობია.

(М. М. Постникова-Лесова, Н. Г. Плфтонова, Б. Л. Ульянова, Золотая и серебряное дело ХУ-ХХ в.в. Издательство „ЮНВЕС“, „ТРИО“, Москва, 1995 г. стр: 151, 250, 313.)

აზინდიანი სარტყლები

30. სარტყელი (აჭ.მ. N18952) - ღვედზე ასხმული, მამაკაცისათვის. ვიწრო და გრძელი ტყავის ღვედი გაწყობილია ვერცხლის 44 ცალი ნაჭრით, მათ შორის მინიატურული რევორველით. ვერცხლის ნაწილები ორნამენტირებულია და მოსევადებული. წონა ვერცხლის 350 გრ. სიგრძე 133 სმ. შემოვიდა ა. მამედოვისაგან, ბათუმი. აქვს წარწერა რუსულ ენაზე „А Мамедов“ 1891 წ. 20/х. მოხელე უცნობი.

31. სარტყელი (აჭ.მ. N 19695/3) - მამაკაცის, ღვედზე ასხმული, გაწყობილია რკალისებური ვერცხლის ნაჭრებით, ფილიგრანირებული, ზარნიშით, მოსევადებული, მოოქროვილი, 12 ნაჭერი სხვადასხვა ორნამენტებით, ოთხკუთხედი ფორმის ვერცხლის საფულეთი და წარწერით: „ილიკო გრძელიშვილი“ (სავარაუდოდ მეპატრონე). სიგრძე 127 სმ. წონა 300 გრ. შემოსულია ერემია სხირტლადისაგან, 1969 წელს. საჩხერე, კალოვათა.

32. სარტყელი (აჭ.მ. N19144) - ღვედზე ასხმული, განკუთვნილი მამაკაცებისათვის. გაწყობილი ვერცხლის 13 ცალი ნაჭრით (ეგრეთ წოდებული ღვედის ქამარი). ვერცხლით გაწყობილი ნაჭრები ორნამენტირებულია და მოსევადებული. ერთ-ერთ ნაჭერზე აქვს წარწერა: „ხელობა ნაფეტვარიძე“. სიგრძე 1მ. 23 სმ. წონა ღვედითურთ 270გრ. შემოსულია ი.დარაბეგაშვილისაგან, ბათუმი. 1965წ.

33. სარტყელი (აჭ.მ. N19695/5) - მამაკაცის, ღვედზე ასხმული სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის მოზარნიშებული და ფილიგრანირებული ვერცხლის 13 ცალი ნაჭრით გაწყობილი, მოსევადებული, მოოქროვილი, ტყავის საფულეთი, რომელზედაც გარედან დამაგრებულია ვერცხლზე ამოჭრილი ნახევარმთვარე და ვარსკვლავი. სიგრძე-106 სმ. წონა ღვედითურთ 252გრ. ქამარს აქვს დამლა, სინჯი, რომლებიც არ იკითხება და წარწერა: „ნიკოლეიშვილი“. სავარაუდოდ მოხელე. შემოსულია ერემია სხირტლადისაგან, 1969 წ. საჩხერე, კალოვათა.

34. სარტყელი (აჭ.მ. N19681) - მამაკაცის, ღვედის, ვერცხლით გაწყობილი, ორნამენტებიანი, მოსევადებული, კუსტარული ნაწარმი 19 საუკუნის 80-90-იანი წლები.


ქართული. იხმარებოდა ჩოხა-ახალუხზე (ახალუხზე შემოსარტყამი უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩოხისა). ქამარს ახლავს საფულე ყუთი, რომელზეც ამოჭრილია ქართული ასოები „გ.ს.კ.“ სიგრძე 98 სმ. წონა 638 გრ. (ღვედითურთ). შემოვიდა ვ. ჭანიშვილისაგან, ბათუმი, 1968 წ.

35. სარტყელი (აჭ.მ. N17572) - მამაკაცის, ღვედზე წამოცმული აქვს 34 ცალი ვერცხლის ნაჭერი სხვადასხვა კუსტარული გაფორმებებით ქართულ ატელეაში. სიგრძე 132 სმ. წონა 435 გრ. (ღვედითურთ). შეძენილია ი. დარაბეგაშვილისაგან, ბათუმი, 1958 წ.“ (აქვს არასრული წარწერა).

36. სარტყელი (აჭ.მ. N19695/4) - ღვედზე (ტყავზე), სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ორნამენტირებული ვერცხლის ნაჭრებით გაწყობილი, მოსევადებული, რევორველის მოდელით და წარწერით: „...22/7,29“. სიგრძე 130 სმ. წონა 323 გრ. შემოსულია ერემია სხირტლამისაგან. 1969 წ. საჩხერე, კალოვათა. თბილისი. დამზადებული (სავარაუდოდ) უცნობი სომეხი ხელოსნის მიერ. ინიციალები ამოჭრილია მეპატრონის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბედუკიძე ლ., სოსელია ლ., ჩართოლანი მ., სარტყლების კატალოგი. თბილისი, 1967
2. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 1.
3. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბილისი, 1985
5. აჭარის მუზეუმი, საინვენტარო წიგნი NN 8, 10, 11, 12.
4. Постникова-Лосева М. М. Платонова Н. Г. Ульянова Б.Л. Золотые и серебряное дело XV-XX вв. Издательство, „ЮНВЕС“, „ТРИО“, Москва, 1995



N 1



N 2




N3



N 4



N 5



N 6



N 7



N 8



N 9



N 10



N 11



N 12




N 13



N 14



N 15



N 16




N 17



N 18



N 19



N 20



N 21



N 22



N 23



N 24



N 26



N 27



N 28



N 29
99



N 30



N 31₁₀₀



N 32



N 33



N 34



N 35



N 36

მინის ნეგატივებიდან ამოღებული ისტორიები

ფოტოგრაფიული სურათი თავისი ბუნებით დოკუმენტურია. თვით ხერხი, საშუალება, ობიექტური სამყაროს ფოტოგრაფიული აღქმისა განაპირობებს და ბადებს ამ თვისებას.

დოკუმენტურ ფოტოში შერწყმულია ავტორის სოციალურ-პოლიტიკური მრწამსი, მისი დამოკიდებულება გარე სამყაროს მიმართ, წამის განმავლობაში დანახული, აღქმული, გააზრებული და ფიქსირებული სინამდვილე. ასეთი სურათები გვაოცებს ცხოვრების ღრმა წვდომით. სწორედ ასეთი სურათები იქცევა ხოლმე ეპოქის დოკუმენტებად, ხოლო მათი ავტორები-მემატიანებად. ამიტომაც თვლიან ფოტოგრაფიის ისტორიის ხედვით მეხსიერებად.

ფოტოგრაფიის დამკვიდრებამ საქართველოში თავიდანვე მიიქცია მოწინავე ქართველი საზოგადოების ყურადღება. მათ დაინახეს, რომ ფოტო სინამდვილის ღრმა ასახვის ცხოვრების ნიუანსებში წვდომის შეუდარებელი საშუალებაა.

კავკასიის შტაბთან არსებული პირველი ფოტოგრაფიული დაწესებულება და კავკასიის მუზეუმის გახსნა თბილისში მიზნად ისახავდა ფოტოგრაფიის გამოყენების, როგორც მხარის შესწავლის ერთ-ერთ წყაროს, რამაც ახალი ელფერი შესძინა იმდროინდელ ფოტოსტატთა შემოქმედებას და ინტერესი გაუღვიძა ქართულ საზოგადოებას. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში თბილისში უკვე 13 ცნობილი ფოტოსტატი მოღვაწეობს. მათ შორის არიან: ლ. გოლდშტეინი, ო. ხლამოვი, ვ. ბარკანოვი და სხვები.

1866 წლიდან გოლოვანის პროსპექტზე, თავად მუხრანელის სახლში ცნობილი მხატვარ-ფოტოგრაფი ო. ხლამოვი ფოტოგრაფიის გაკვეთილებს უტარებს შეგირდებს. სწორედ დაეუფლა ფოტოხელოვნებას ქართული ფოტოგრაფიის მამამთავარი ალექსანდრე როინიშვილი. აი რას წერს ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი: ალ.როინაშვილი მიეზარა ერთ კეთილ „მესურათხატეს“ ისწავლა მისგან ხატვა. მასწავლებელმა გაგზავნა ის სურათების გადასაღებად კახეთს, ბაქოს, დაღესტანს, კავკაზს, ოსეთს, იმერეთს, სამცხეს, ქართლს და სხვა.

ალ. როინიშვილის, როგორც ფოტოგრაფის, მთავარი საზრუნავი მაინც ხალხი და მისი ბედი იყო, რამაც აიძულა იგი თბილისი მიეტოვებინა და თავის აღზრდილებთან მოევლო მთელი საქართველო. ახლოს გაცნობოდა გლეხკაცის ჭირ-ვარამსა თუ სიხარულს. მის მიერ არის გადაღებული ქართველთა ტიპები, ყოფა-ცხოვრების ამსახველი კადრები, თბილისელი ხელოსნების: ხაბაზების, ოქრომჭედლობის, თერძებისა და ხარაზების საქმიანობა.

1905 წლის 2 აპრილს ხელშეკრულება დაედო ცნობილ ფოტოგრაფ დ.ერმაკოვთან ალ.როინაშვილისეული ფოტოგრაფიის გამოცემის შესახებ. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ გამგეობის წევრები: ექვთიმე თაყაიშვილი და სამსონ ფირცხალავა.

დიმიტრი ერმაკოვის ფოტო კოლექციაში, გარდა ალ.როინაშვილის ნეგატივებისა, ინახება იმ დროის საქართველოში მოღვაწე ბევრი უცხოელი ფოტომემოქმედის ნამუშევრები, რომელთა სახელი ერმაკოვის ფოტოკატალოგში აღარ ფიგურირებს.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებიდან ბათუმში მოღვაწეობდნენ საკმაოდ ცნობილი ფოტოგრაფები - დ.ერმაკოვი, ა.შაანიანი, მ.გლაუდანი, ა.სოლოდკინი და სხვები.

დ. ერმაკოვის ფოტოები საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექციაა ძველი ბათუმის შესახებ. (ინახება აჭარის მუზეუმში).

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის სახის მასალა შემოგვინახა დ.ერმაკოვმა. დ.ერმაკოვი იმყოფებოდა ბათუმში. გადაღებული აქვს ძველი იმ პერიოდის ბათუმის ხედები, აჭარელთა ტიპები, ბათუმის ნავსადგური და სხვა. დ.ერმაკოვი თბილისის მკვიდრი იყო. გარდაიცვალა თბილისში 1916 წ. და დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე. (საბჭოთა ხელოვნება. 1978 წ.).

მსოფლიო კულტურის საგანძურთა შორის ფოტოგრაფიამ დამსახურებული ადგილი დაიკავა. თუ არა ფოტოგრაფია ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა ძველი ბათუმის კოლორიტი, მისი ყოფნა ზრდა და განვითარება. ფოტო არა მარტო საილუსტრაციო მასალაა, არამედ სრულიად დამოუკიდებელი დოკუმენტი.

ფოტოგრაფიის დამკვიდრებამ საქართველოში თავიდანვე მიიქცია მოწინავე ქართველი საზოგადოების ყურადღება. მათ დაინახეს, რომ ფოტო სინამდვილის ღრმა ასახვის, ცხოვრების ნიუანსში წვდომის შეუდარებელი საშუალებაა.

ასე დაიწყო საქართველოს, მისი ყოფის ასახვა ფოტოდოკუმენტებში განუმეორებელი ბუნება, ყოველდღიური ყოფის თავისებური კოლორიტი, იზიდავდა ფოტოოსტატებს საქართველოსკენ და კერძოდ ბათუმისაკენ.

ბათუმში ბევრი ფოტოგრაფი ჩამოდიოდა, მათ შორის იყო ევტიხი ჟვანია. იგი დაიბადა 1890 წელს აბაშის რაიონის ს.ონტოფოში. 9 წლის ასაკში იგი მამამ ბათუმში ჩამოიყვანა სასწავლებლად. აქ იგი ფოტოგრაფიამ გაიტაცა და 13 წლისა ცნობილ ფოტოგრაფს გლაუდანს შევირდად მიეზარა. 1906 წელს კი თბილისში წავიდა რეტუმორის ხელობის შესასწავლად. ე.ჟვანია შემდეგში მიწვევით გადავიდა ფოტოგრაფ ე.კლართან. ამ დროისათვის ე.კლარს დიდი შეკვეთა ჰქონდა აღებული - ამიერკავკასიის რკინიგზის ცალკეული უბნები. თანამშრომლები და მათი საქმიანობა თბილისიდან ხაშურის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის მიმართულებით. შემდეგ კი, ვინაიდან დ. ერმაკოვმა ვერ მოასწრო ბათუმის, ბაქოს და ერევანის ხაზის გადაღება, ეს სამუშაო ე. ჟვანიას მიანდეს.

უნდა ავლნიშნოთ ბათუმში მრეწველობის განვითარება, როგორ გადაიქცა ბათუმი ერთ-ერთ უმთავრეს სამრეწველო ქალაქად. ასევე უნდა ავლნიშნოთ ბათუმის განვითარება განათლებისა და კულტურის მიმართულებით. ბათუმში გაიხსნა სტამბები, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბათუმში გამოსული გაზეთები, რომელიც გვაცნობდა იმ დროინდელ ბათუმის სიახლეებზე და მოვლენებზე.

ბათუმი განუმეორებელი, თავისებური კოლორიტისა და ზნე-ჩვეულების მქონე ქალაქია. ბათუმის შესახებ ქართულ სატირულ იუმორისტულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებში ჩანს ბათუმის ისტორია, მაგრამ „ფოტოებზე აღბეჭდილ ისტორია“ ნაჩვენებია ბათუმში მოღვაწე ცნობილ ფოტოგრაფებთან: ერმაკოვთან, გლაუდთან, ჟვანიასთან, დიადუმასთან და სხვებთან. ამ დიდებული მემკვიდრეების მიერ შესრულებულმა ფოტოებმა შთამომავლობას შემოუნახა ძველი ბათუმი და მისი ღირშესანიშნობანი.

მე-20 ს. დასაწყისში ბათუმში ცხოვრობდა და სამხარეთმცოდნეო ინსტიტუტში მოღვაწეობდა ცნობილი ფოტოგრაფი ა. შანანიანი, რომელიც თავისი საქმის კარგი პროფესიონალი იყო. ა. შანანიანმა ფირზე აღბეჭდა აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები: სხალთის ეკლესია, გონიოსა და პეტრას ციხეები და სხვა. აჭარის ქალთა და მამაკაცთა ტიპების გადაღებისას შეიტანა თავისებური სიახლე - მის ფოტოებზე გამოსახულ ტიპებთან ერთად გაჩნდა ყოფა-ცხოვრებიდან აღებული სხვადასხვა საგნები. ის ამდიდრებდა და ავლენდა თვით ფოტოებზე გამოსახული ტიპის ხასიათს.

ა.შაანიანი იღებდა აჭარაში, განსაკუთრებით ბათუმში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს, ქალაქის ხედებს და სხვა. მის ფოტოებს უკანა მხარეს აწერია: „ფოტოგრაფის ნებართვის გარეშე არ დაბეჭდოთ“.

1937 წელს ა.შაანიანი დააპატიმრეს, ხოლო მისი ნეგატივები წაიღეს. წლების მანძილზე ეს მასალები დაყრილი იყო აჭარის მაშინდელი ე.წ. შინსახკომის შენობის სარდაფში. 50-იან წლებში ისინი აჭარის სახელმწიფო მუზეუმში მიიტანა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, მუზეუმის დირექტორმა ხარიტონ ახვლედიანმა.

ა.შაანიანის მიერ გადაღებული ფოტოები ძირითადად ასახავს 1930-40-იან წლებს. ის დადიოდა სხვადასხვა კუთხეში კერძოდ, ზემო აჭარაში და იღებდა სურათებს. მის მიერ გადაღებული ფოტოებით და ნეგატივებით მდიდარია ჩვენი მუზეუმის ფოტოთეკა.

ფოტოგრაფია მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგია. იგი მოიცავს შუქმგრძნობიარე მასალაზე ხანგრძლივ გამოსახულებათა ან ოპტიკურ სიგნალთა მიღების მეთოდებისა და საშუალებების დამუშავებას შუქმგრძნობიარე შრეში.

პირველი ფოტო 1826 წელს ფრანგმა ინჟინერმა ჟოზეფ ნიეფსმა გადაიღო, ხოლო ფოქს ტოლბოტის პირველი ფოტოები 1835 წლით თარიღდება. მოგვიანებით ფოტოგრაფიულ სისტემებში ნეგატივი მინის შრეზე ან ფირზე ფორმირდებოდა.

აჭარის მუზეუმში XX ს-ის დასაწყისისათვის უკვე იყო მინის ნეგატივების დამზადების ტექნოლოგიები. მუზეუმის ფოტოთეკაში 300-მდე ასეთი ნეგატივია დაცული. 2012 წელს მოხდა ამ ნეგატივების გაციფრულება.

აღსანიშნავია აჭარის მუზეუმის ფონდში დაცული სხვადასხვა სახის ფოტო მასალა. ძველი ბათუმის ხედები, ბათუმის ნავსადგური, ისტორიული ფოტოები, დამსახურებული ექიმები, სპორტი აჭარაში, ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი, აჭარის დამსახურებული მასწავლებლები, აჭარის კურორტები, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ფოტო და ნეგატივები თემატიკის მიხედვით.

გარდა ამ ჩამონათვალი ექსპონატებისა მუზეუმში დაცულია უნიკალური ძველი მინის ნეგატივები, რომელიც ამდიდრებს ჩვენი მუზეუმის ფონდს. მუზეუმში დაცულ მინის ნეგატივებზე ასახულია ბათუმი და მისი შემოგარენი. ადგილები, აჭარის სოფლები, ბათუმის ქუჩები.

ამოღებული მინის ნეგატივებიდან ფოტოების საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექცია ძველი ბათუმის შესახებ და ზემო აჭარის სოფლები ამშვენებს აჭარის მუზეუმის ფოტო ფონდს, რომელიც გატარებულია მუზეუმის ძირითად საინვენტარო წიგნებში.

ა. შაანიანის მიერ გადაღებულ ფოტოსურათების რიცხვს მიეკუთვნება ხულოს რ. სოფ. ხიხაძირში 1939 წელს ჩატარებული პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელი იყო მუზეუმის დირექტორი ხ. ახვლედიანი.

ა. შაანიანის მიერ XX ს-ის დასაწყისში გადაღებული ფოტოები აჭარის ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე შტრიხებად ითვალეება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინასარიძე შ., საქართველოს მესურათხატენი, თბ., 2002
2. ჟურნალი - „საბჭოთა ხელოვნება“, 1978
3. გაზეთი - „აჭარა“, 1996
4. მუზეუმის საინვენტარო წიგნი - ფოტოფონდი



მინის ნეგატივი



ცეკვა ხორუმი



გოგონა წყალს აწვდის მოხუცებს



გოგონა წყაროსთან



ბათუმის ზღვისპირა პარკი

ქალთა ხელსაქმე და მისი ნიმუშები მუზეუმში

მველი ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, სტრაბონისა და სხვათა ცნობით, საქართველო უძველესი დროიდან განთქმული იყო მხატვრული ხელსაქმით. კერძოდ, ქარგვის, ქსოვის და სხვათა ხელოვნებით. ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ფეიქართა ნახელავი (გობეჯიშვილი, 1952).

სარდიონის სახელწოდებით ცნობილი სელის ქსოვილი კონკურენციას უწევდა სხვა ქვეყნების განთქმულ ქსოვილებს. ცნობილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლი და სპარსი გეოგრაფი ყაზივინი მოგვითხრობენ საქართველოში აბრეშუმის წარმოებაზე და აღნიშნავენ, რომ აბრეშუმის აქ მოყვანას შესაფერისი კლიმატიც უწყობს ხელსო. „აქ ბევრი აბრეშუმია და აქ ამზადებენ აბრეშუმისა და ოქროს ქსოვილებს. ასეთ ლამაზებს ვერსად ნახავ“ - აღნიშნავს XIII ს. ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო (დავითაშვილი, 1973).

უძველესი დროიდან მოკიდებული, ქართული ქსოვილი საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს საგნად იქცა. იგი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებში, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ვაჭრებს რთვა-ქსოვის განვითარებამ ხელი შეუწყო ქარგვის ხელოვნების განვითარებას, რამაც დროთა განმავლობაში მაღალ სრულყოფას მიაღწია. ამასთანავე ითვისებდნენ და ეუფლებოდნენ ოქრომკიდის დამზადების რთულ ტექნიკას. ქარგვის დროს მასთან ერთად იყენებდნენ ოქროს ზიზილებს. ნაქარგობა ხელოვნების ისეთ მაღალ დონეზე იდგა, რომ ფარსმან მეფემ ადრიანე კეისარს ძვირფას საჩუქრად გაუგზავნა ოქროთი შემკული სამასი ხელი წამოსასხამი (სპირტინი, XVII,12).

შუა საუკუნეების საქართველოში იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული ქარგვა, რომ მაღალი წოდების ქალებიც ქარგავდნენ და თავიანთ მხევალთა შორის მოწაფეებაც ჰყავდათ, რომელთაც ოსტატებად წვრთნიდნენ. ქართველმა ოსტატებმა შეიმუშავეს ხელსაქმის შესანიშნავი ტრადიციები და შექმნეს მეტად თავისებური ნაციონალური ხელსაქმე: მხატვრული ნაქარგობა, ქსოვა და დაჩითულობა. იქარგებოდა როგორც საეკლესიო ხასიათის საგნები გარდამოხსნები, სასულიერო პირთა სამოსელი, დაფარნები, საბუხრეები, ენქერები, სამხრეები და სხვა, ისე საერო ტანსაცმელიც: კაბები, შეიდიშები, სარტყელი, გულისპირი, ყურთმაჯები, ლეჩაქი, საფენები, სუფრები, ფარდაგები, ბალიშები, მუთაქები და სხვა. საქარგავად იხმარებოდა როგორც ადგილობრივი ქსოვილები: შალი, თივთიკი, ბამბა, სელი, ასევე უცხოეთიდან შემოტანილი ხავერდი, ლიბერტი და ა.შ. (უზნაძე, 1973).

იქარგებოდა ოქრომკედით, ვერცხლმკედით, ზეზით შლილი და დაგრებილი აბრეშუმის მაფით, ხავერდულათი. მრავალმხრივი იყო შესრულების ტექნიკაც: ამობურცული, სადა და მოყინული სითვი, ყაისნალური, კრერტული, ატლასის, გობელინის, ფარდაგული, ხევსურული, ალმასური, ლიანდაგური, ჯვარი, ნახევარჯვარი და სხვა ნაქარგობანი.

საეკლესიო ხასიათის ნაქარგობაში თემატიკა შერჩეული იყო დანიშნულების მიხედვით და მათში ქართული ჩუქურთმის სხვადასხვა სახეც ჩაერთვებოდა. საერო ხასიათის ნაწარმოები კი უმეტესად მცენარეული მოტივით ირთვებოდა: შროშანი, ზამბახი, ვარდი, მიხაკი, თავთავი და სხვა. უფრო იშვიათად ვხვდებით გეომეტრიულ

ჩუქურთმას. ზოგჯერ გვხვდება ცხოველთა: ქურციკი, აფთარი, ვეფხვი, ლომის გამოსახულებები, უფრო ხშირად კი ირემის გამოსახულება.

ქართული ნაქარგობის ერთ-ერთი ასეთი შესანიშნავი ნიმუში, რომელიც ამოქარგულია შინდისფერ ნაჭერზე, შესრულებულია ოქრომკიდით და მთელ ფონზე მცენარეული ორნამენტითაა დაფარული, ინახება დიდი ბრიტანეთის ქ.ჰალის მუზეუმში. ხელოვნების ამ იშვიათ ქმნილებაზე ამოქარგულია მრავალფიგურიანი კომპოზიცია: მამაკაცი, ქალი, ორი ყრმა და მარცხენა კუთხეში კი ამოქარგულია ირემი დატოტვილი ქორბუდა რქებით (გაჩეჩილაძე, 1998:70). ნაქარგი დათარიღებულია ასე: „ავვისტოს კბ. ქვა უმჰ“ - რაც ნიშნავს 1794 წელს. როგორც საქართველოს ისტორია გვაუწყებს სწორედ ერთი წლის შემდეგ 1795 წელს დატრიალდა საშინელი უბედურება ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ნივთი გაიყიდა აღმოსავლეთის ბაზარზე, სადაც ძვირად ფასობდა ყველაფერი გურჯის ქვეყნიდან.

ნაქარგობის სიუჟეტი, შესრულების მანერა, მასალა დროის მიხედვით თანდათან იცვლებოდა. ფეოდალურ ხანაში ნაქარგობა თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია, რაც ზოგიერთი კლასიკური ნიშნის შენარჩუნებით XII ს. გრძელდება.

ამ დროის ქსოვილების ქსოვის ტექნიკა, მასალა, მხატვრული სახე გვაფიქრებინებს, რომ ეს ქსოვილები მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, მათი მოხმარების საგანი იყო. ქსოვილები, უმეტესად აბრეშუმისა.

ქალების ერთ-ერთ საყვარელ ხელსაქმედ ითვლებოდა მძივით ქარგვა. მძივებით ქმნიდნენ არა მარტო დეკორატიულ, არამედ თემატიკურ სურათებს.

მძივებით ნაქარგობა გავრცელებული იყო ქართველი ხალხის სხვადასხვა სოციალურ ფენაში. გასათხოვარ ქალს თავად უნდა დაემზადებინა სამზითვო საგნები. ამ საგნებს უკეთებდნენ დამახასიათებელ წარწერებს: „მზითვის ვარ“, „მე ვარ ქისა მინანქრისა“, „მისართმელი მიჯნურისა“. აჭარის მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციებშიც შედის მძივებით ნაქარგი ქისების შესანიშნავი კოლექციები.

ქართულ ხელსაქმეში ერთ-ერთ მთავარ როლს მისი ფერადოვნება თამაშობდა, რისთვისაც ქართველი ქალები მცენარეულ საღებავებს იყენებდნენ, რის შესახებაც საინტერესო ცნობას გვაწვდის ჰეროდოტე. აქ „ხეების ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წყალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს. ეს ნახატები კი არ ხუნდება, არამედ ცვდება, დანარჩენ შალთან ერთად, თითქოს თავიდანვე არის ჩაქსოვილი მათში“ (ჰეროდოტე, 1952:102).

როგორც ვხედავთ, ქართველებს მცენარეული საღებავთა საიდუმლოება დიდი ხნის წინათ სცოდნიათ. ისინი წითელი ფერის მისაღებად იყენებდნენ ენდროს, ყვითლისათვის-თრიმლოს, ვაშლისა და მსხლის ქერქს, თუთის შემოდგომის ფოთლებს. ხახვის ფოთლებს, რძიანას-ყავისფერისათვის. კაკლის ქერქს, წენგოს, ასკილს, ლედვის ფოთლებს, მურყანს, ანწლს და მცენარეული საღებავები ლამაზ, რბილ და მკრთალ ფერებს იძლეოდნენ, უხუნარნი იყვნენ და არ გადადიოდნენ.

ქართველი ქალის ხელსაქმე კარჩაკეტილად და დამოუკიდებლად როდი ვითარდებოდა. იგი იღებდა და ითვისებდა მეზობელი ქვეყნების მიღწევებს, მაგრამ ამუშავებდა მას და თავის ეროვნულ სახეს აძლევდა.

აჭარაში, ქალის ხელსაქმეს ტრადიციულად ძალიან აფასებდნენ. გასათხოვარ ქალს აუცილებლად უნდა სცოდნოდა რთვა, ქსოვა, ქარგვა. ქალი, როცა თხოვდებოდა, მის სამზითვო სკივრის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა ნაქარგობა. აქ თითქმის ყველა ოჯახში იყო მქარგველი. განსაკუთრებით, ახალგაზრდა გოგონები. ისინი ფაქიზად იცავდნენ ქარგვის ტექნიკის ტრადიციებს, ზრუნავდნენ სახეების გაუმჯობესებაზე, თითოეული, თავისი ფანტაზიით ახამებდნენ ფერებსა და ორნამენტებს. აჭარის

სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ფოდში დაცულია ნაქარგების იშვიათი კოლექცია. ნაქარგების ნიმუშების უმრავლესობა შემკულია მცენარეული ორნამენტებით: ვარდი, გვირილა, ყაყაჩო და ა.შ. გვხვდება აგრეთვე გეომეტრიული სახის ორნამენტები. ნაქარგობაში ძალიან გავრცელებული იყო ცხოველთა გამოსახულებაც.

ოქროქსოვილები და ნაქარგი ნაკეთობანი დღემდე მოღწეულია და ინახება ჩვენს მუზეუმში. ყურადსაღებია ოქრომკედით ნაქარგი საქორწინო კაბა, თავსაკრავი, ცხვირსახოცი, რომელიც ეკუთვნოდა დევრიმ ბეგ ბეჟანიძის ცოლს - სალიე თოფანის ასულ შერვაშიძეს.

საქორწინო კაბაზე, რომელიც შესრულებულია მუქი ლურჯი ფერის ხავერდით, მსხვილი ოქრომკედით, მჭიდროდ ამოქარგულია სტილიზებული ყვავილი, რომელიც ჩასმულია ტალღისებური ორნამენტით შემკულ წრეში. წრეში ამოქარგულია ოქროს ძაფით პატარა წერტილები „კუმბილები“.

ნაქარგის ნაწილი შესრულებულია მსხვილი დამაგრებული სითვით და გამოყენებული ოქროცურვილი ძაფი.

საინტერესოა შესრულებული კაბის გულისპირი, რომელიც შემკულია ქართული მცენარეული ორნამენტით. გულისპირის პირველი სიგრძივი, ზიგზაგისებური ზოლი დაკავშირებულია ყვავილების გირლანდებთან. გულისპირიც აგრეთვე შესრულებულია დამაგრებული სითვით, ოქრომკედით (აჭმ. N1173 / 19383).

საქორწინო ჩაცმულობის ერთ-ერთი ელემენტი ცხვირსახოცი (აჭმ. N1173 / 9383). ცხვირსახოციც შესრულებულია დამაგრებული სითვით, მსხვილი ვერცხლმკედით. მის ოთხივე ბოლოზე ამოქარგულია ყვავილის ღერო ოთხი ფურცლით, თავისუფალი ფონი კი დაფარულია კილიტების მსგავსი პატარა ხაზებით. საინტერესოა ცხვირსახოცის შუაში ამოქარგული მცენარეული ორნამენტი, რომელიც შესრულებულია ვერცხლმკედით, ყვავილოვანი ღერო ჩასმულია პატარა „კუმბილებით“ დაფარულ ქოთანში, ყვავილის ორივე მხარეზე კი ამოქარგულია პატარა ჩიტები თევზის კუდით.

მუზეუმში ინახება აგრეთვე ოქრომკედით ნაქარგი საფენი (აჭმ. 1245/19826), ხიმშიაშვილის ოჯახიდან. ნაქარგი შესრულებულია 1913 წელს. შემკულია საინტერესო ქართული ორნამენტებით. წითელი ხავერდის ფონზე დამაგრებული სითვით ამოქარგულია მცენარეული ორნამენტი, სტილიზებული ყვავილები, ნაქარგის ერთ ბოლოში ამოქარგულია შესრულების თარიღი „1913 წ“. აგრეთვე ვერცხლმკედით შესრულებულია სამზითვო ბოხჩა (აჭმ. N832/1849) და პატარა ჩანთა (აჭმ. N1064/11320).

ქარგვის ძირითადი იარაღი საკერავი ნემსი იყო. ნაქარგობის ზოგიერთ სახეობას ყაისნალითაც ასრულებდნენ, რის გამოც მას „ყაისნალურ ნაკერს“ უწოდებდნენ, ხოლო ყაისნალს „ყაისნალის ნემსს“.

ქარგვის პროცესში იყენებდნენ სხვა და სხვანაირ ტექნიკურ მასალებს: კილიტებს, არშიებს, დაწნულ ზონრებს, ხავერდულასა და მძივებს. საინტერესოა მთქმელი ასიე შარაბიძის ნაამბობი: „მძივებით ვალამაზებდი ქისებსა და თავსაჭერს, ავიღებდი მაგარ ქალაღს, გამოვჭრიდი თავის ზომაზე და ძაფით ბოლოებზე დუღუმაგრებდი ზემოდან. გადავაკრავდი ძვირფას ქსოვილს, ხავერდს ან აბრეშუმს, შესალამაზებლად კი ვხმარობდი მძივებს. მძივებს მაღაზიაში ვყიდულობდი. ნაჭერზე დავამაგრებდი სამწვერა ძაფს (მაგარი რომ ყოფილიყო). მეორე ბოლოში კი ჩავუმაგრებდი“.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მძივებით ნაქარგობის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია თავსაკრავები, ანუ როგორც ადგილობრივად ეძახიან თავსაჭერს.

აჭარელი ქალი ლეჩაქის თავზე დამაგრების მიზნით ხმარობდა თავსაკრავს. თავსაკრავი, როგორც ქალის თავსაბურავის აუცილებელი ელემენტი, არაერთ ავტორს

აქვს მოხსენიებული. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, თავსაკრავი თავის შემოსახვევი წვრილი ქსოვილია (ს.ს.ორბელიანი. ლექსიკონი. ქართული).

დავით ფანასკერტელი-ციციშვილი ქალის თავსაბურავის აღწერისას ლეჩაქ-თავსაკრავს ერთმანეთთან ურთიერთკავშირში მოიხსენიებს (ფანასკერტელი-ციციშვილი, 1891).

როგორც ცნობილია, თავსაკრავი მე-17 საუკუნიდან გვხვდება საქართველოში, კერძოდ იხსენიება ქსნის ერისთავის ასულის ანას მზითევის წიგნში აჭარული თავსაკრავი, თავსაბურავის სხვა ელემენტების მსგავსად, ზოგად ქართული ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენს. მასალად ძირითადად იხმარებოდა ფარჩა, ხავერდი, ატლასი, ხოლო შესამკობად პატარა მძივები და ლითონის თხელი ფირფიტები.

მძივებით შემკული თავსაკრავის ერთერთი შესანიშნავი ნიმუშია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

თავსაკრავი - შესრულებულია მუყაოზე ფერადი, ნაზი ვარდისფერი ხავერდის დამაგრებით. რადგან ხავერდი ხაოიანია, მოკლებულია მკვეთრ ხაზებსა და რბილად, ნაზად გადადის ფონის ფერში. ნაქარგობა საქარგი ნემსის საშუალებით შემკულია ფერადი (წითელი და თეთრი) პატარა მძივებით. მძივების საშუალებით ამოქარგულია გეომეტრიული ფიგურები: ჯვრები, ჰორიზონტალური ხაზები, წრეები.

მზივებით ნაქარგი თავსაკრავის მრავალი ნიმუში ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში (აჭმ. 1396/32).

თავსაკრავი (აჭმ. N1408/10) - დამზადებულია მუქი ლურჯი ფერის აბრეშუმისაგან. შემკულია ფერადი (ლურჯი, წითელი) მძივებით. მძივების საშუალებით ამოქარგულია მზის მსგავსი ორნამენტი.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდსა და ესპოზიციაში დაცულია აგრეთვე მძივებით ქისების (საათის, თამბაქოს, ფულის) მდიდარი კოლექცია. თითოეული შესრულებულია ფერთა შეხამების მაღალი გემოვნებთა და მდიდარი ორნამენტებით.

ქისები ნაქსოვია მჭიდროდ, ყაისნალით (კინთით) აბრეშუმის ძაფით და მასზე უმეტესად გამოყენებულია ორნამენტის ერთ-ერთი ძველი სახე, გეომეტრიული ორნამენტი.

საერთოდ ქართულ ხალხური ორნამენტი, მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება: 1. ხევსურული-პირობითად უპირატესად გეომეტრიული სახეებითაა წარმოდგენილი და 2. ლაზური- უპირატესად მცენარისა და ცხოველის სახით (ვ.ბარდაველიძე. გ.ჩიტაია. ქართული ხალხური ორნამენტი . I ხევსურული, თბ. 1930).

სანიმუშოდ განვიხილოთ ზოგიერთი ქისების აღწერა:

ქისა (აჭმ. N76-ე) - ნაქსოვია ყაისნალით, მელნისფერი. სამწვერა მულინის ძაფით. ნაქსოვია მჭიდროდ და ნაზად, ზედაპირი კი შემკულია პატარა, ცისფერი მძივებით. მძივების საშუალებით ქისის ძირითად ფონზე ამოქარგულია გეომეტრიული ორნამენტები, რომლები (მოქსოვილია 1935 წ. ემინე შაქარიშვილის მიერ. ჩაქვი).

ქისა - ნაქსოვი შავი ფერის სამწვერა მულინის ძაფით, ყაისნალით წმინდად და მჭიდროდ. ქისა წარმოადგენს მძივებით ნაქარგობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. ქისის ძირითად ფონზე წრეებადაა შემოვლებული ნაზი ფერის თეთრი, ცისფერი, მწვანე ფერის მძივები. ქისის ბოლო ნაწილი და შესაკრავიც მძივებითაა შემკული (შესრულებულია 1938. აჭმ. N1144).

ქისა - საათის, ძირითად ფონად გამოყენებულია ორმაგი, ფაბრიკული ჩითი. ჩითზე კი მთლიანად მთელ ზედაპირზე დამაგრებულია ფერადი: წითელი, შავი, ყვითელი, მწვანე ფერის პატარა მიწივები.

მიწივებით ქისის ზედაპირი შემკულია მჭიდროდ, წრისებურად. მიწივების საშუალებით ქისა დაფარულია გეომეტრიული ფიგურებით. აკმ. N1147 (მახარაძე, 1978). განსაკუთრებით საინტერესო და შესანიშნავ ექსპონატს წარმოადგენს სახელმწიფო მუზეუმში დაცული თამბაქოს ქისა.

თამბაქოს ქისა - აკმ. N902 - შესრულებულია მუქი წითელი ფერის ხავერდზე. ქისა შემკულია ოქრომკედის დამაგრებით. მცენარეული ორნამენტით, ყვავილის ოთხფურცელა გულებით, აქა-იქ კი პატარა თეთრი მიწივები ჩამაგრებულია ოქრომკედის ძაფებზე (აღნიშნული ქისა გაკეთებულია ლაზის მიერ ავტორი უცნობია, ეკუთვნოდა ჰაიდარ აბაშიძეს).

როგორც ადრე აღვნიშნეთ ქართველი ხალხის კულტურა თავის დასაბამს შორეულ წარსულში იღებს ქართველი ხალხის მაღალმა კულტურამ თავისი გამოხატულება ჰპოვა როგორც ლიტერატურასა, ხელოვნებასა და არქიტექტურაში, ასევე მატერიალური კულტურის დარგშიც, საოჯახო ნივთ-მოწყობილობაში, ტანსაცმლის დამზადებასა და მის მორთვა-კაზმულობაში. ქართველი ხალხის ძველი ჩაცმულობის ნაირობა მის ეთნიურ სიჭრელესთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში დღესაც არის შემონახული ტანსაცმლის ზოგიერთი დამახასიათებელი ელემენტი, რომელიც ამ კუთხის, ძველი ჩაცმულობის იერს გამოხატავს. ეს განსაკუთრებით ითქმის აჭარის მოსახლეობაზე, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შემოგვინახა ჩაცმულობის, ტანისამოსის, ქსოვის, ჭრა-კერვისა და ქარგვის უძველესი ტრადიციები. აქაური ქალები უდიდესი სიფაქიზით, დახვეწილი გემოვნებით ქმნიან საყოფაცხოვრებო ნივთებს. მათი ხელსაქმე მაღალი შემოქმედებაა. ხალხური ქსოვა დაკავშირებული იყო ხალხურ შრომასთან და ყოფაცხოვრებასთან.

საქსოვ პრაქტიკაში საქართველოში და კერძოდ, აჭარაში ფართოდ გამოიყენებოდა: აბრეშუმი, სელი, მატყლი, კანაფი, ბამბა. ქსოვის წინა პერიოდს წარმოადგენდა საქსოვი მასალის მოპოვება და მისი დამუშავება. დამუშავებული მასალიდან კი ნართის მიღების რთულ პროცესი. საბოლოოდ კი ნართის დაზგაზე გადატანა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიღებული ნართით ქსოვდნენ არამარტო საქსოვ დაზგაზე, არამედ ჩხირებით, საქსოვი ნემსით. წმინდა შალის ძაფისაგან ქსოვდნენ ჩოხა-შალებს, ფეშტემლებს, ქალის ჩასაცმელებს, თავშლებს, თორებს, აბრეშუმისაგან ასევე ტანსაცმელებს, თავსაკრავებს, ცხვირსახოცებს. შალის უხეში მატყლისაგან კი ართავდნენ ღაზლს და ჩხირების საშუალებით ქსოვდნენ წინდებს და ხელთათმანებს. ამასთანავე სხვადასხვა მასალა სხვადასხვანაირ დამუშავებას მოითხოვს.

აბრეშუმის პარკისაგან ძაფის ამოხვევა ხდებოდა შემდეგნაირად: დასუფთავებულ პარკს ჩაყრიდნენ ცხელ წყალში, სადაც აჩერებდნენ 1-2 საათს. პარკი ლბებოდა, რბილდებოდა და შემდეგ უკვე ადვილი იყოპარკის ძაფად ამოხვევა.

სელის ქსოვილები საქართველოდან ძვ.წ. VI საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნემდე და მომდევნო ხანაშიც უცხოეთშიც გაჰქონდათ. ე.ი. სელი საქართველოს მეურნეობის მთავარ საექსპორტო საგანს წარმოადგენდა.

სელს თესავდნენ აპრილის მეორე ნახევარში, მზიან ნაკვეთზე, ცალკე. 3-4 თვეში სელი მწიფდებოდა და ივლისში უკვე იღებდნენ მოსავალს. სელს ჭრიდნენ, გააკეთებდნენ კონებს და ახმობდნენ მზეზე 10 დღის განმავლობაში. შემდეგ ალბობდნენ წყალში, ისევ გააშრობდნენ და გააძრობდნენ გარეკანს. ამის შემდეგ ართავდნენ

თითისტარზე. თითისტარი რომ გაივსებოდა, ნართს გადმოიღებდნენ, ნაცარტუტის და საპნის ნაზავში გამოხარშავდნენ და მზეზე აშრობდნენ, რათა უფრო თეთრი და ნაზი ყოფილიყო ძაფი. სელისაგან ქსოვდნენ ქალის საზაფხულო კაბებს, ქალისა და მამაკაცის საცვლებს.

საქსოვ მასალად გამოიყენებოდა კანაფი. კანაფი ძნელი დასამუშავებელი იყო. მას თესავდნენ ოჯახებშიც. კანაფის თესლიდან ორი სახის მცენარე იზრდებოდა დედალი და მამალი. მამალი კანაფისაგან უფრო თეთრი ფერის ნართი მიიღება, დედა კანაფისაგან კი შავი. კანაფიც 3-4 თვეში მწიფდებოდა. დამწიფებას, ღეროს შეთეთრებაზე ატყობდნენ. შემდეგ კანაფს ჭრიდნენ, კონებად აწყობდნენ და მზეზე აშრობდნენ. კანაფს უმთავრესად მისი სიმაგრის გამო იყენებდნენ თოკების დასაგრებად, ხოლო თუ სხვა საქსოვი მასალა არ გააჩნდათ, მისგან ტილოსაც ქსოვდნენ. „კანაფისაგან დართულ ძაფს კარგად გამოვხარშდით ცხელ საპნიან წყალში, შემდეგ გავაშრობდი, ამის შემდეგ ძაფი რბილი ხდებოდა, თეთრდებოდა და მისგან საპერანგე ფართლსაც კი მოვქსოვდით“ (მთქმელი ხ.მოფინაძე).

ჭილოფი - კუსტარულად ნაქსოვ ნაწარმში თავისებური ადგილი უჭირავს ჭილოფით დაწულ ფარდაგებს, სკამებს, კალათებს. ჭილისათვის შეგროვების საუკეთესო დროდ ივლისის თვე ითვლებოდა. ჭილოფი ხარობს ნესტიან, ჭაობიან ადგილებში. „ჭილს პატარა ნამგალით ვჭრიდით ძირში, დღეში ათ კონამდე ჭილს შევაგროვებდით, შემდეგ მზეზე გავფენდით გასაშრობად, მანამდე, სანამ ღეროები შეყვითლდებოდა“ (მთქმელი სურმანიძე უმიანი, სოფელი ურეხი).

ჭილოფის წვნის პროცესში სხვადასხვა სახის ორნამენტი გამოყავთ, მეტწილად გეომეტრიული.

მატყლი - ზემო აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად შინნაქსოვ ტანსაცმელს ატარებდა და ამდენად, მატყლს დიდი გამოყენება ჰქონდა. ადრე მატყლისაგან ქსოვდნენ წინდებს, ყაბალახებს. საქსოვ დაზგაზე ამზადებდნენ შალს, რომელსაც იყენებდნენ ტანსაცმლის შესაკერავად.

თავდაპირველად ქსოვა წარმოებდა ხელით, ხოლო შემდეგ შემოღებული იქნა საქსოვი დაზგები, რომლის არსებობა ჯერ კიდევ 4000 წლის წინათ დასტურდება. ისე, როგორც საქართველოში, აჭარაშიც საქსოვი დაზგების ორი ძირითადი სახეობაა გავრცელებული: ჰორიზონტალური (დგიმ-სავარცხლიანი), რომელსაც ადგილობრივად „სამექლოსა“ და „საფეიქროს“ ეძახიან და ვერტიკალური.

ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე იქსოვება ქსოვილი ყოველგვარი მასალისაგან. მხოლოდ განსხვავებაა დგიმსა და სავარცხელში. სავარცხლის სიწმინდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უნდა იხმარონ საქსოვ მასალად. მაგ: სელსა და აბრეშუმს უფრო წმინდა სავარცხელი სჭირდება, ხოლო შალსა და კანაფს უფრო მსხვილი სჭირდება. ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე ქსოვდნენ აგრეთვე ჯეჯიმებს, ფარდაგებს, ნოხებს. ვერტიკალური დაზგა უფრო მარტივი მოწყობილობისაა. აჭარაში მისი ორი სახეობაა გავრცელებული. ამათგან ერთი სახეობა გამოიყენებოდა თორების საქსოვად და მეორე ბადის საქსოვად. თორები იქსოვებოდა ხელითაც დაზგის გარეშე: „თორს მუხლზედაც ვქსოვდით, დავქსელავდი ორწვერა ძაფს და გადავიხვევდი მუხლზე, იმისდა მიხედვით რა სიგრძისაც მინდოდა თორი გამეკეთებინა. მქონდა ბამბუკის პატარა ჯოხი 5 სმ-ის სიგრძისა. ამ ჯოხს „საჯახუნას“ ვუძახდი. ამ ჯოხით ამოვკრავდი ძაფს და გაკეთდებოდა ჯვარედინი. იმ ჯვარედინში გევიყვანდი ძაფს, ჯოხით მივაჯახუნებდი, გაკეთდებოდა თვალი და ასე ვქსოვდი. მაგრამ მუხლებზე

ნაქსოვი თორი სხვაა და დეზგაზე ნაქსოვი სხვა. დეზგაზე ნაქსოვი უფრო სუფთაა“ (მთქმელი ასე შარაბიძე, სოფ. ხელვაჩაური).

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციასა და ფონდებში დაცულია კუსტარული ქსოვილების მრავალი ნიმუში: დაზგაზე ნაქსოვი შალის ჩოხები, წინსაფრები, ქალის ზედა ჩასაცმელი-სიხმა, ფემტემალი, სხვადასხვა სახის თორები, ხელით ნაქსოვი ორნამენტისანი წინდები და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ორნამენტის გამოყენება ამა თუ იმ ნაწარმის გაფორმებისათვის, ორნამენტით განსაკუთრებით მდიდარია წინდები, თორები, ქალის ზედა ჩასაცმელი სიხმა.

აჭარაში გავრცელებულ ორნამენტისანი წინდებში უმეტესად დაცულია ერთ-ერთი უძველესი სახე ორნამენტისა-გეომეტრიული. ერთი წყვილი ორნამენტისანი „ნამჭრელი“ წინდის მოქსოვას სჭირდებოდა გრამნახევარი ძაფი. ცალკე იღებდნენ ფერად ძაფს ორნამენტების გასაკეთებლად.

წინდა ძირითადად იქსოვებოდა 5 ჩხირით. ხშირად აჭარელი ქალები წინდაზე ქსოვდნენ ხის ტოტებს, ასევე წინდას ეძახიან „ტოტებს“, ცნობილია აგრეთვე „კავა“ წინდები. ფონდში ინახება აგრეთვე ორნამენტისანი წინდა, რომელსაც ეწოდება „მასკვლავა“ (ეს სახელწოდებები მომდინარეობს წინდაზე გამოხატული ორნამენტებიდან). ასე, რომ ქსოვის პროცესი მარტო ხელოსნურ საქმიანობას არ წარმოადგენდა, არამედ ის მოიცავდა შემოქმედებით შრომასა და ფანტაზიას, რაც ვლინდებოდა ქსოვილების მოხატვაში, ორნამენტირებაში და ჩაქსოვილ წარწერებში.

ამრიგად, ჩვენს მიერ მიმოხილული მასალა შემდეგი დასკვნების უფლებას გვაძლევს:

1. საქართველოში და კერძოდ აჭარაში რთვა-ქსოვის და ქარგვის საქმე უძველესი დროიდან მომდინარეობს, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები (ქსოვილიანი კერამიკა, ფიჭვნარი-ქობულეთი, პირველი ათასწლეულის პირველი ნახევარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ერისთავთა სამარხები I–III ს) და მას დიდი ადგილი ეთმობა აჭარის ყოფით ცხოვრებაში.
2. ტრადიციულად ხელსაქმეს მისდევდა ქალების უმეტესობა. ეს ტრადიცია თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ყოველი ქართული ოჯახი ხელსაქმის თავისებურ სკოლას წარმოადგენდა.
3. ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ამკობდნენ ტანსაცმლის ცალკეულ ელემენტებს: თავსაკრავს, სარტყელს, გულისპირს, ცხვირსახოცებს, განსაკუთრებით კი ქალის საქორწინო და საზეიმოდ გამოსასვლელ კოსტიუმს. მხატვრული კერვით ალამაზებდნენ აგრეთვე საოჯახო დანიშნულების საგნებს: მუთაქა-ბალიშის პირებს, ფარდებს, საფენებს.
4. აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ქალების ერთ-ერთი ხელსაქმე-მძივებით ქარგვა, რომელიც მოითხოვდა უდიდეს მხატვრულ გემოვნებას. მძივებით ამკობდნენ საათისა და ფულის ქისებს, თავსაკრავს, გულისპირს და ა.შ.
5. საქსოვ პრაქტიკაში აჭარაში ფართოდ იყენებდნენ აბრეშუმს, სელს, მატყლს, კანაფს, ჭილოფს. ამათგან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო მატყლი.
6. აჭარაში რთვა-ქსოვის იარაღებიდან გავრცელებული იყო საფეიქრო დაზგების ორი ტიპი: ჰორიზონტალური და ვერტიკალური. საქსოვად გამოიყენებოდა აგრეთვე საქსოვი ჩხირები და ნემსები.

ამრიგად, შინამრეწველობა სამეურნეო დარგებთან ერთად მველთაგანვე განვითარებული ტრადიციული დარგი იყო აჭარაში. ფაბრიკული ნაწარმის

დამკვიდრების შემდეგ შინაქსოვი ნაწარმი თანდათან გადადის ხმარებიდან. დღეისათვის უფრო მეტად ქსოვენ წინდებს, ხელთათმანებს და ა.შ. მაგრამ მდიდარი ხალხური ტრადიციების არ დავიწყება და თაობისათვის შენახვა უაღრესად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია დღესაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარდაველიძე ვ. ჩიტაია გ., ქართული ხალხური ორნამენტი, ტ.1, თბ., 1939
2. გაჩეჩილაძე მ., ჟურნალი „მეგლის მეგობარი“, N24, თბ., 1998
3. გობეჯიშვილი ი., არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, თბ., 1952
4. დავითაშვილი ქ., ძველი ქართული ნაქარგობა, თბ., 1973
5. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული
6. სპარტიანი ილ., ადრიანეს ცხოვრება, XVIII, 12
7. უზნაძე ., გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1973
8. ფანასკერტელი-ციციშვილი დ., მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა, გაზ. „ივერია“, N122, თბ., 1891
9. ციციშვილი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954
10. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1951
11. ჰეროდოტე, კოლხეთის შესახებ, თბ., 1952




ქისა



ჩანთა




სადელოფლო კაზა



თავსაკრავი



ქისა



თორი




ბოხჩა



საფეხი კედლის



წინდა



მაქმანი



არშია

მეფუტკრეობაში გამოყენებული ინვენტარი აჭარაში
(მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)

მეფუტკრეობა-ფუტკრის მოშენება განსაკუთრებით კეთილშობილური საქმეა. ფუტკარი უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. აღმოჩენებით დადასტურებულია, რომ ქართველები მეფუტკრეობას და თაფლის შენახვას 5500 წლის წინ ეწეოდნენ. მეფუტკრეობა ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით პირველად შეისწავლა პროფესორმა ა.რობაქიძემ ნაშრომში „მეფუტკრეობის ისტორიისათვის“, სადაც ვკითხულობთ: „ფუტკარი ღვთაებრივ წევრად მიაჩნდათ, იგი კულტადაც კი აქციეს, წელიწადში ერთი დღე ფუტკარს ეძღვნებოდა, ფუტკრის ოჯახთა რაოდენობის მიხედვით აცხობდნენ კვერებს და შუა საფუტკრეში ხეზე ჰკიდებდნენ, სადამოს კი ბავშვებს ურიგებდნენ, წესად იყო ქცეული ფუტკრის შელოცვა ავი თვალისაგან, ამ დღეს მამაკაცები სკებს ამზადებდნენ, საფუტკრეს ასუფთავებდნენ. დიდ დანაშაულად ითვლებოდა ფუტკრისადმი უდიერი მოპყრობა, უპატივცემულობა. ფუტკარს, როგორც ღვთაებრივ მწერს ეკლესიასაც კი სწირავდნენ.“

აჭარაში ისევე, როგორც საქართველოში მეფუტკრეობაში ისტორიულად ჩამოყალიბდა და განვითარდა სამი ძირითადი ფორმა: ტყიური, ნახევრად შინაური და შინაური მეფუტკრეობა.

ტყიური ფორმა, რომელიც ველური ფუტკრის თაფლზე ნადირობით ხასიათდებოდა, შეიცავს ფუტკრის ოჯახების ხის ფულუროებსა და კლდის ნაპრალებში თაფლისა და ფიჭის ამოღებას. ფუტკარზე ნადირობა, ფიჭის დაუნდობელი ამოყრა, ფუტკრის ოჯახის ბუდის განადგურებასა და ფუტკრის რიცხოვნების შემცირებას იწვევდა.

ნახევრად შინაური ფორმა ტყიურ ფორმასთან შედარებით უფრო პროგრესული სახეა. ამ ეტაპზე ადამიანები ბუკებს ხეებზე აწყობდნენ. ბუდიდან მხოლოდ თაფლის ნაწილს იღებდნენ, ნაწილს კი უტოვებდნენ. ნაყრის გამოსვლის შემთხვევაში მას აგროვებდნენ და წინასწარ მომზადებულ საცხოვრებელში აბინავებდნენ. ანუ ადამიანმა დაიწყო ფუტკრის ოჯახების გამრავლების რეგულირება, ამ დროს წარმოიქმნა ფუტკრის მოვლა-პატრონობის პირველი პრიმიტიული ტექნოლოგიები და ამ ეტაპზე განვითარდა მეფუტკრეობა, როგორც პროფესია.

შემდგომ ეტაპს შინაური მეფუტკრეობა წარმოადგენს. ამ დროს გაჩნდა სხვადასხვა სახის და ფორმის ფუტკრის ხელოვნური დასაბინავებელი. ადამიანმა საცხოვრებლის მახლობლად დაიწყო საფუტკრის მოწყობა. მეფუტკრეობას, როგორც საოჯახო, ისე სამრეწველო მნიშვნელობა გააჩნდა. ამ დროისათვის მეფუტკრეობა გამოირჩევა უდიდესი წინსვლით. მსოფლიომ აღიარა ქართული ფუტკრის სასარგებლო ნიშან-თვისებები და სამი ოქროს მედალი მიანიჭა. 1961 წელს გერმანიაში ქალაქ ერფურტში გამართულ მებაღეობის საერთაშორისო გამოფენაზე, 1965 წელს რუმინეთში ქ. ბუქარესტში მეფუტკრეობის XX საერთაშორისო კონგრესზე, 1971 წელს ქ. მოსკოვში მეფუტკრეობის XXIII საერთაშორისო კონგრესზე (<http://mefutkre.com/>).

მეფუტკრე - სპეციალისტია, რომელიც უვლის ფუტკარს, ზრუნავს მის გამრავლებაზე, უზრუნველყოფს ახალი ოჯახების ფორმირებას, მათ მოვლა-პატრონობას. ფუტკარი ადამიანისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ პროდუქტებით, რომლითაც ის აწარმოებს ბუნებრივი ნივთიერების შეგროვებით და თავის ორგანიზმში გამომუშავებით, არამედ მათ შორის კვების პროდუქტებად

გამოყენებულ მცენარეთა დამტვერვით, რის შედეგადაც ხელს უწყობს მათი მოსავლიანობის ზრდას

ფუტკარი 6 სახის ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ პროდუქტს იძლევა: თაფლს, დინდგელს, ცვილს, ყვავილის მტვერს - ჭეოს, ფუტკრის რძეს და ფუტკრის შხამს. თაფლი შეიცავს სხვადასხვა სახის ვიტამინებს, 300-ზე მეტ ორგანულ მინერალურ ნივთიერებას, თაფლს სიცოცხლის ელექსირს უწოდებენ და სიცოცხლის გახანგრძლივების თვისებებს მიაწერენ. თაფლს დიდი რაოდენობით იყენებდნენ კულინარიულ, საკონდიტრო და სასმელების დამამზადებელ საწარმოებში. მეფუტკრეობის პროდუქტებს ასევე იყენებენ კოსმეტოლოგიური საშუალებების დასამზადებლად (თაფლის ნიღბები, ბალზამები, კრემები, თმისა და სხეულის მოვლის საშუალებები და ა.შ) ცნობილია, რომ თაფლის მასაჟი ხელს უწყობს ადამიანში ქსოვილებში სისხლის მიმოქცევას, აუმჯობესებს კანის ელასტიურობას, თაფლის ნიღბი აცილებს ნაოჭებს, თაფლი გამოიყენება ხელის კანის მოვლის მალამოებში, ასევე ფარმაციაში, ცვილისაგან კი, რომელიც განსაკუთრებულ არომატსა და სურნელს წარმოშობს, ამზადებენ სანთლებს (კუხიანიძე, 2015:15).

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ „პირველად ადამიანს სკა ხის ღრუში უნახავს, იგი დაუმორავს და თაფლიან-ფუტკრიანად სახლში მიუტანია“ .ასეთ ფუტკარს „ხე ფუტკარს“ ეძახდნენ, რომელიც იძლეოდა დიდი რაოდენობით თაფლს. თაფლის ხილვის დროს ფუტკარი, რომ ვერ მოუშორებიათ ფუტი უკრავთ (ფუტით დახრჩოლვა) და იმით დაუმონებიათ, სახელი ფუტკარიც აქედან დაურქმევიათ (მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N1029,1967:54).

სკა - ფუტკრის საცხოვრებელი სახლია. სკების დასამზადებლად იყენებდნენ სხვადასხვა ჯიშის ხეს, განსაკუთრებით ცაცხვის, რომელიც ხალხის დახასიათებით „თბილი“ და „ტკბილი“ ხეა. ფუტკარი მას კარგად ეგუება. სასკე ხეების შერჩევაში და თვით მისი დამზადების ტექნიკაში, ხის მოჭრასა და დამუშავებაში ანგარიში ეწეოდა გარკვეულ დღეებს. სასკე ხის შერჩევა ხდებოდა სათანადო ნიშნის დასმით, რომელსაც „საბოგილე“ ხე ეწოდებოდა. ასეთი ხეები გვარების მიხედვით ნაწილდებოდა და მას საზღვრები ენიშნებოდა.

დაკვირვებით დადგინდა, რომ ნოტიო ჰავისა და წვიმების პერიოდში აღიარებული იყო წაბლის ხისგან გამოთლილი ფუტკრის როგოები. ის კარგად იტანდა წვიმას, დამზადებულ როგოებს წყლით სავსე ორმოებში აწყობდნენ. წყალში ჩაწყობილი როგოები აპრილი-მაისამდე მთლიანად იწმინდებოდა სიმწარისაგან.

ხე-მასალის გამოყენება განპირობებული იყო იმით თუ რა ჯიშის ტყეები ერტყა გარს. მეფუტკრემ იცოდა თავისი სოფლის ბუნებრივი გარემო და როგოს სიდიდეს უხამებდა ბუნებრივ პირობებს. როგოს სიგრძე 80-100 სმ. იყო, სიგანე კი 35-50 სმ. სკებს ანუ, როგორც აჭარაში უწოდებდნენ, „როგოებს“ სიგრძეზე სათანადო ზომაზე გადახერხავდნენ, შემდეგ გულს საკმაოდ ღრმად ამოუჭრიდნენ ანუ, როგორც იტყოდნენ, „ამოუქუთნიდნენ“. ბოლოებში ხვრელებს უკეთებდნენ, რომ ფუტკარს საშუალება მისცემოდა როგოში შესვლის, თუკი ფუტკრის მოშენება საკუთარ კარ-მიდამოში იყო გათვალისწინებული მას უკეთებდნენ სადგამებს (კომახიძე, 1911:197).

გარდა როგოსი, აჭარაში ფართოდ გამოიყენებოდა მრგვალი მთლიანი ხისგან გაკეთებული კოდანა (კარვანი), რომელსაც უმთავრესად ლაზეთში იყენებდნენ. მეფუტკრეობის დიდი ტრადიციები გააჩნიათ ლაზეთსაც, რომელზედაც წერილობით წყაროებში მიუთითებდა ვ.ბაგრატიონი. კოდანას სიგრძე 45-50 სმ. იყო კარვანი იყო გრძელი და წვრილი, რადგანაც ფუტკარი მსხვილს ვერ ავსებდა და ცივი რჩებოდა

.საკარვანე მასალას გულს ამოუწმენდნენ, თავში დ ბოლოში ცაცხვის და წაბლის ფიცარს გამოუდგამდნენ. ერთი მხარე ფუტკრის სამოდრაო მთლიანად მაგრდებოდა კარვანში, ხოლო მეორე საკეტი იკეტებოდა. მეფუტკრეს შეეძლო მისი გაღება და ფუტკრის მდგომარეობის გაგება. ასეთ გამზადებულ კარვანს მეფუტკრე სამ ნაწილად ჰყოფდა. ერთი ნაწილი ფუტკრის იყო, ხოლო ორი ნაწილი ხილვისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც გამოყოფილი იყო მრგვალი ჯოხით, მეფუტკრეს ჯოხის იქით წასვლის უფლება არ ჰქონდა, რადგანაც დანარჩენი ფუტკრის საზრდო იყო აღნიშნული. ჯოხით მეფუტკრე ამოწმებდა აგრეთვე საზრდოს რაოდენობას. ცუდ ამინდში ფუტკარს უჭირს მუშაობა და თავის საზრდოს ვერ იკეთებს, ამიტომ მას მეფუტკრე დამატებით საკვებს აძლევს თავლის ან შაქრის შერბეთის სახით, რომელსაც თეფშით კარვანში ათავსებდნენ. კოდანას გარდა იმისა, რომ იყენებდნენ მეცხოველეობის პროდუქტებისათვის (მყავეების შესანახად და სხვა) ასევე იყენებდნენ თავლის შესანახადაც. სათაფლე კოდანა კარგ სადურგლო დამუშავებას მოითხოვდა, რომ თავლი არ გადენილიყო. კოდანასთან ერთად აჭარაში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე თიხის დერგები. დერგი თავლის შესანახად საუკეთესო ჭურჭლად ითვლებოდა. რადგან კარგად დამუშავებულ თიხის დერგებში თავლი დაცული იყო გადენისა და დაზიანებისაგან (ბაგრატიონი, 1941:142).

აჭარაში ხის და თიხის ნაწარმთან ერთად სატრანსპორტოდ აღიარებული იყო ტყავის ჭურჭელიც. კინტრიშის და აჭარის წყლის ხეობის სოფლებიდან თავლით სავსე გუდები ცხენებით გასაყიდად გადაჰქონდათ ქ.ბათუმში, ოზურგეთში და სხვაგან. ამზადებდნენ როგორც ხეზე ასატან-ჩამოსატანად. სკის თოკს ცაცხვის ქერქისგან გრებდნენ. საქერქე მასალის შერჩევისას ყურადღება ექცეოდა ხის მოხრილობას. ასეთ ხეს წალდით ზედა მხრიდან ქერქს ჩააჭრიდნენ, შემდეგ კი მას ნელა აამრობდნენ ძირისაკენ. ანამრობ მასალას ტყეშივე გახდიდნენ. გახდილი ქერქი რამდენიმე ფენისგან შედგებოდა მას დაშლიდნენ, გაამრობდნენ სახლში მიქონდათ და თოკს ჰგრებდნენ (მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N 1003,1960:82).

მეფუტკრეობის ინვენტარიდან აღსაღნიშნავი იყო თავლის ხილვასთან დაკავშირებული იარაღ-ჭურჭელი. ბოგილში მოშენებული სკების სახილვად სკის თოკთან ერთად მოჰქონდათ თავლის წამოსაღები ჭურჭელი. ეს იყო ყავრისგან დამზადებული თავსახურიანი კოდი, ასევე იყენებდნენ გვარდას - კაპიწს. გვარდას უპირატესობა გამოიხატებოდა იმით, რომ ოვალური ფორმის ბრტყელი ჭურჭელი იყო, ზურგზე მოსაკიდათაც კარგი და ხეზე ასატანადაც მოხერხებული (შამილაძე, 1970:148).

სკის პირის გასაღებად მეფუტკრეს მიჰქონდა პატარა ნაჯახი, ხოლო სამკუთხა ორთითა ხეს „სიმონას“ ქვემოდან შეუმაგრებდნენ. მეფუტკრე ხილვის დროს იყენებდა პირბადეს. ზოგჯერ მეფუტკრე პირბადის გარეშეც მუშაობდა. გადმოცემით ფუტკარი პატრონთან შეგუებულია და მას აღარ კბენს. ფიჭის გამოსაღებად კი გამოყენებული იყო სპეციალური დანები, ხოლო ფიჭის ჩასალაგებლად ხის ლაფერი. სკის ხილვის დროს სკაში პატარა გობს ჩადგამდნენ, თავლი რომ არ ჩაღვრილიყო. გობიდან კი ფიჭა ძირითადად ჭურჭელში გადაჰქონდათ ლაფერით.

საინტერესო პროცესი იყო ფიჭის გადამუშავება: თავლს ქვაბში ათბობდნენ, გამთბარი თავლიდან ფიჭა ზევით იწევს, თავლი კი ფიჭის ქვევით რჩება. ფიჭიდან თავლის გამოწურვის ორი ვარიანტი არსებობდა: ერთი როცა „ცხავზე“ ე.წ. საწურზე ალაგებდნენ ფიჭებს და დროთა განმავლობაში თავლი თავისთავად გამოეცლებოდა, მეორე-როცა ფიჭას სპეციალური ჯოხებით „შანკო“-თი წურავდნენ. „შანკო“ ორი ჯოხია ერთმანეთზე გადაბმული. სიგრძით 35-40 სმ. „შანკოს“ იყენებდნენ ასევე თივის

ტვირთის შესაკრავად. ქართული ეთნოგრაფიული მასალებით მტკიცდება, რომ „შანკოს“ ქართულ ტომებში ფართო გამოყენება ჰქონდა, როგორც მეფუტკრეობაში, ასევე მემინდვრეობაშიც.

მეფუტკრეობის იარაღ-ინვენტარის დამზადება ხალხის საუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებასთან იყო დაკავშირებული. მეფუტკრეობის ინვენტარის დამზადება ცოდნის გარდა მოითხოვდა უპირველესად ფუტკრის ბუნების, გარემო ბუნებრივი პირობების და კლიმატის ცოდნასაც, რასაც უხამებდნენ მეფუტკრეობის ინვენტარს.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის განახლებულ ექსპოზიციაში წარმოდგენილია აჭარაში მეფუტკრეობაში გამოყენებული ინვენტარი, აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

1. როგო-სკა – იგი მუზეუმში შემოვიდა 1968 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ცინარეთიდან, მ. ზოსიძისაგან, ცაცხვის ხის მრგვალი მორი, გაყოფილი ორ თანასწორ ნაწილად, შიგნიდან ამოხვეწილი. ზომა 102–34 სმ.
2. სანაყრე – ფუტკრის გადასაყვანი, მრგვალი ფორმის, ტკეჩის ჩარჩოთი, ირგვლივ ტილო შემოვლებული. შემოწერილობა 102 სმ. ძირის დიამეტრი 33 სმ.
3. გალია დედა ფუტკრისათვის – 2 ცალი, მოგრძო ფორმის სინისაგან ბადესავით მოქსოვილი, ზომები 8–3 სმ.
4. ჭურჭელი ფუტკრის საკვებისათვის – ოთხკუთხედი ფორმის თუნუქის, ზომა 11,5–11.5 სმ.
5. ჭურჭელი ფუტკრის საკვებისათვის – თუნუქის, სამ უჯრიანი, ზომა 29–20 სმ.
6. საფუტარი (საბოლბელი) – თავისივე მეტალის ხელით, ოთხკუთხა ფორმის, ზედა ნაწილია დახვრეტილი აქვს ფუტის (კვამლის) ამოსაყვანად, მუზეუმში შემოვიდა 1971 წელს ჩაქვის ხეობაში ჩატარებული სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის მიერ, ზომა 19 სმ.

გამოყენებული ლიტერატურა


1. ბაგრატიონი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941
2. დავითაძე ალ., მეფუტკრეობის ხის იარაღ-ინვენტარი. – მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, N1029, ბათუმი, 1967
3. დავითაძე ალ., ხის ჭურჭლის დამუშავების ხალხური წესები. – მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, N1003, ბათ., 1960
4. კუხიანიძე ი., მეფუტკრეობა, თბ., 2015
5. კომახიძე თ., აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, ბათუმი, 1911
6. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960
7. შამილაძე ვ., აჭარის ალპური მესაქონლეობა, თბილისი, 1970



როგო-სკა



სანაყრე ფუტკრის გადასაყვანი



ჭურჭელი ფუტკრის საკვებისათვის



გალია დედა ფუტკრისათვის



ჭურჭელი ფუტკრის საკვებისათვის
(სამ უჯრიანი)



საფუტარი (საბოლბელი)

ევგენი ალექსანდრეს ძე ლანსერე

აჭარის მუზეუმის ექსპოზიციას ამშვენებს ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრები. მათ შორისაა მოქანდაკე ევგენი ლანსერე.

ევგენი ალექსანდრეს ძე ლანსერე დაიბადა 1848 წლის 12 აგვისტოს ტამბოვის გუბერნიის ქალაქ მორშანსკში. მამა ალექსანდრე პავლეს ძე რკინიგზის გზების ინჟინერი იყო. ბაბუა ნაპოლეონის ჯარის ყოფილი ოფიცერი. 1812 წ. ბოროდინოს ომში მოხვდა ტყვეობაში და სამუდამოდ დარჩა რუსეთში, მიიღო რუსეთის მოქალაქეობა.

პირველდაწყებითი განათლება ევგენი ლანსერემ მიიღო მორშანსკში ბაბუის ოჯახში, დედის მხრიდან ბარონ ვარნეხისთან. 1861 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადადის პეტერბურგში. 13 წლისა მიაბარეს პეტერბურგის მე-2 კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიის შემდეგ სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურდიულ ფაკულტეტზე, დაამთავრა 1869 წელს. სამი წელი იმსახურა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში თარჯიმნის თანამდებობაზე. ევგენიმ სამსახურს თავი დაანება იმის გამო, რომ მთელი თავისი ცხოვრება მიეძღვნა საყვარელი საქმისადმი. სკულპტურით იგი დაინტერესდა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს.

საკუთრივ ქანდაკებაზე არსად უსწავლია, ამ განხრით განათლება არ მიუღია, თვითონ დაეუფლა სკულპტურის საუკეთესო ტექნიკას. მისი მეგობარი იყო იმ დროისთვის ცნობილი მოქანდაკე ნ.ი.ლიბერიხი-პრეობრაჟენსკის პოლკის ყოფილი ოფიცერი. ევგენი ხშირად სტუმრობდა მის სახელოსნოს და მისგან ღებულობდა მითითებებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ლანსერეს არც ერთ მხატვრულ სკოლაში არ უსწავლია და იგი მართლაც თვითნასწავლი სკულპტორი იყო. ძერწავდა მცირე ზომის ფიგურებსა და ჯგუფებს. თუმცა თავის ნაწარმოებებში გვიჩვენა ისეთი ღრმა ცოდნა ნატურისა და ფორმისა, რომელსაც ვერ მისცემდა ვერანაირი სკოლა.

ლანსერემ თავისი ნამუშევრების გამოფენა დაიწყო სტუდენტობის პერიოდში საიმპერატორო აკადემიის გამოფენაზე, სადაც 1869 წელს მიაჩქეს კლასიკური მხატვრის მეორე ხარისხის წოდება ნამუშევრებისათვის „Тройка“ (ბრინჯაო) და „Руслан и Людмила“ (ცვილი). 1972 წ. აკადემია ევგენი ლანსერეს ანიჭებს პირველი ხარისხის კლასიკური მხატვრის წოდებას შემდეგი ნამუშევრებისათვის: „Царский сокольничий XVII века“ (ბრინჯაო) 1872 წ. „Молодой линейный казак“, «Подпасок и обрек“. საბოლოოდ 1876 წელს მიენიჭა „საპატიო თავისუფალი წევრის წოდება“. ამით შემოიფარგლა აკადემიის მონაწილეობა ლანსერეს შემოქმედებაში. 20 წლის მანძილზე აკადემიას არ შეუძენია ნიჭიერი მოქანდაკის არც ერთი მოდელი.

1867-1876 წწ. ლანსერემ სამჯერ იმოგზაურა საზღვარგარეთ პარიზის მუზეუმებსა და გალერეებში, მიეცა შესაძლებლობა ენახა სამაგალითო ნაწარმოებები წვრილი ქანდაკებისა. ეცნობოდა ცნობილი ხელოვნების ნამუშევრებს და სწავლობდა ბრინჯაოს ჩამოსხმის ტექნიკას.

1883 წელს ჯანმრთელობის გამო ლანსერე სამი თვე ცხოვრობდა ალჟირში, სადაც ეცნობოდა არაბულ ტიპაჟებს, რომლებიც შემდგომ მან წარმოსახა ბრინჯაოში ფაბრიკანტ შოპენის დაკვეთით.



ამავე დროს ევგენი ლანსარე ხშირად მოგზაურობდა რუსეთში, გარეუბნებში, ყირგიზეთში, ბაშკირეთში, ყირიმში, ამიერკავკასიაში, საიდანაც გამოჰქონდა მდიდარი მასალა თავისი პოეტური და ყოველთვის სამართლიანი ნამუშევრებისთვის.

ლანსერე ბევრს მუშაობდა კერძო შეკვეთებზე, როგორც წესი ქმნიდა მხოლოდ ერთ ეგზემლიარს ბრინჯაოსგან. მან სახელი გაუთქვა რუსულ მინიატურულ სკულპტურას საზღვარგარეთ. 1872 წელს ევგენი ლანსერე თავისი ნამუშევრებით მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიო გამოფენაზე ლონდონში. შემდეგ ასეთივე გამოფენაზე ვენაში 1873 წელს, პარიზში - 1878 წ. ფილადელფიაში და 1882 წელს მოსკოვში. მის ნამუშევრებს იძენენ მსოფლიო მუზეუმები და კერძო კოლექციონერები.

1886 წლის თებერვალში, პეტერბურგში საზოგადოებრივი წახალისების დარბაზში მოეწყო მისი პირველი სკულპტურული გამოფენა, რომელიც მიძღვნილი იყო ევგენი ლანსერეს და მისი უახლოესი მეგობრის ნიჭიერი სკულპტურის ა.ა.ობერის ნამუშევრებისადმი. ხელოვანმა ვერ შეძლო ენახა ერთად შეკრებილი ნამუშევრები, რადგან მისი დაავადება-ჰლექი პროგრესირებდა და არ აძლევდა ამის საშუალებას.

ახლობლების ძალისხმევით და ცნობილი ფაბრიკანტის ნ.ა. მალიუტინის დახმარებით, სოფელში გაიგზავნა ექიმი ნ.ნ. ორლოვი, რომელიც აღჭურვილი იყო იმ პერიოდისათვის ყველა მედიკამენტით, მაგრამ ავადმყოფის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ევგენი ლანსერე გარდაიცვალა ახალგაზრდა 38 წლის ასაკში, 1886 წლის 23 მარტს ხარკოვთან ახლოს, თავის მამულში და იქვე დაკრძალეს.

ევგენი ლანსერეს შექმნილი აქვს 400-ზე მეტი ნამუშევარი. ის თავის ნამუშევრებს უკეთებდა დამღას „Е Лансере“, ზოგიერთი ნაკეთობა დათარიღებულია, მაგალითად (1872). უმეტესი ნაწილი ამ ნამუშევრებისა ხელთ ჰქონდათ ბრინჯაოსა და ვერცხლის მწარმოებელ ცნობილ ფაბრიკანტებს: შოპენს, საზიკოვს, გრაჩევს, ხლებლიკოვს, შტანგეს და დაიწყეს მისი ნამუშევრების ტირაჟირება. ჩამოსხმა ხდებოდა წამყვან ქარხნებსა და ბრინჯაოს კერძო პირთა სახელოსნოებში, ასევე ურალის თუჯჩამომსხმელ ქარხანაში, რომლებზეც ჩნდება ფაბრიკანტების დამღაც. ლანსერეს შემოქმედების სრული კოლექცია დაცულია მორანას პეტროგრადის ფაბრიკაში. მისი ბოლო ნამუშევარი „Слятослае“(1886 წ).-ბრინჯაო (1), ცხენზე ამხედრებული მიმართავს მეომრებს - იმყოფება პეტროგრადში იმპერატორ ალექსანდრე III მუზეუმში.

ევგენი ლანსერეს ნამუშევრები დაცულია რადიშევსკის მუზეუმის ექსპოზიციაში, ბელორუსიის ეროვნულ მხატვრულ მუზეუმში, ტრეტიაკოვსკის სახელმწიფო გალერეაში, რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში.

ევგენი ლანსერეს ერთ-ერთი სკულპტურული ნამუშევარი „კავკასიელი“- ბრინჯაო ამშვენებს აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ექსპოზიციას, მუზეუმში შემოვიდა აჭარის კულტურის სამინისტროდან 1973წ.5/6.

ყველა თავის ნაწარმოებში ლანსერე რჩება ჭეშმარიტ ხელოვანად, არც ერთი ტრაფარეტული, შაბლონური შტრიხი რომელიც ამსხვრევს ეფექტს, პირიქით ყველა მისი ნივთი გაკეთებულია სიყვარულით და გულწრფელობით. ნატურის შესანიშნავი ცოდნით და სიმართლის გადმოცემით. იმავდროულად ატარებენ თვითონ ხელოვანის, შემოქმედის სახასიათო ანაბეჭდს, ისე რომ მათი მნიშვნელობა როგორც ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებისა რჩება სამუდამოდ. მომხიბვლელი სცენები რუსული სოფლის ცხოვრებიდან: „Возвращение с пашии“ „Крестьянские сахи“, „Овечий пастух“. ასევე შექმნილი აქვს ნამუშევრები ბაშკირეთზე და კავკასიაზე - „Башкир табунщик“, „Лоеля дикой лошади“, „Джигитовка“, „Киргиз с беркутом“, „Погонщик ослов в Грузии“. მისი ბოლო ნამუშევრები შესრულებულია ალჟირიდან ჩამოსვლის შემდეგ. არაჩვეულებრივი არაბული „Фантазия“, „Бедуин“, „Араб с соколом“, „Возвращение с охоти“, „Арабский шейх“ და სხვა, თითოეული მათგანი სავსეა პოეზიით და სილამაზით.

მრავალ მის ნაწარმოებში სადაც გამოსახულია ცხენი, გარდა მისი გარეგანი მსგავსებისა გამოხატულია ცხენის სულიერი თვისებები როგორც ადამიანის საუკეთესო მეგობრისა. - „ скачки “ ასევე იქმნებოდა ცხენები ისტორიული სიუჟეტებით. არსებობს მცდარი, მაგრამ გავრცელებული აზრი, რომ ლანსერე მერწავდა თითქოს მხოლოდ ცხენებს, მართლაც ეთაყვანებოდა რა თავის გამორჩეულ მისწრაფებას (ცხენებისადმი სიყვარულს) ის ბუნებრივია ყველაზე ხშირად ქმნიდა ამ კეთილშობილ ცხოველს დამოუკიდებლად ან ადამიანის ფიგურებთან ერთად. მაგრამ საკმარისია გენახა მის მიერ შესრულებული მგელი, ცხვარი, აქლემი, ძაღლი მიხვდები, რომ ესენიც დიდი სიყვარულით არის შესრულებული.

ლანსერეს შემოქმედებაში ნათლად ჩანს რეალიზმის მიმდევრობა. ამავე დროს ის ინარჩუნებს თავის ნამუშევრებში საერთო სილამაზეს და ერთიანობას. ამით ის ასრულებს სკულპტორის მთავარ დანიშნულებას, რასაც ვხედავთ რენესანსის და ბაროკოს იტალიელი და ფრანგი ოსტატების ნამუშევრებში.

ყველა მისი ნაწარმოები გამოირჩევა დახვეწილობით, პოეზიით და გულახდილობით, სავსეა სულიერებით და სევდით, მათ შორისაა „Прошание казака с казачкой перед от правлением в поход“, „Утрата товарища коня“, „Убитый араб“.

შესანიშნავია მისი ჯგუფები, რომლებიც ეძღვნება ისტორიულ ტიპაჟებს, „донские казаки“ ან ლ.ტოლსტოის რომანის გმირებს. მდიდარი ისტორიული წარმოსახვა, ფრთხილი დაკვირვება, ნამდვილი მხატვრული ზომიერება, შესანიშნავი ტექნიკა, ყველაფერი ეს ევგენი ლანსერეს აყენებს მხატვრული ოსტატობის უმაღლეს რიგებში. ის სამართლიანად ითვლება XIX საუკუნის II ნახ. მინიატურული სკულპტურის საუკეთესო ოსტატად.

ევგენი ლანსერე გახდა მისი გვარის ცნობილი დინასტიის ფუძემდებელი მეუღლე ეკატერინე ბენუა (1850-1933) არის ცნობილი არქიტექტორის ნიკოლოზ ბენუას შვილი. ლანსერეს შვილები იმ პერიოდისათვის ცნობილი ადამიანები იყვნენ. ევგენი ევგენის ძე ლანსერე (1875-1946), ზინაიდა ევგენიას ასული სერებრიაკოვა (1884-1947) მხატვრები იყვნენ. ნიკალაი ევგენის ძე ლანსერე (1879-1942 წ) არქიტექტორი. უფროსი ევგენი ევგენის ძე ლანსერე კარგად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოჩენილი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი ჩიბუნიშვილის მოწვევით ოჯახთან ერთად საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა. მუშაობას იწყებს მხატვრად თბილისის სახელმწიფო მუზეუმში და ფერწერის მასწავლებლად კერძო სამხატვრო სკოლაში. მან მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო-ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში. მოიარა თითქმის მთელი საქართველო, დააგროვა უამრავი ჩანახატი და ეტიუდი, შექმნა მხატვრული ნამუშევრები.

მამა-შვილი ლანსერების მოღვაწეობა XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საუკეთესო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აკმ –ს ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი N10
2. კუკულაძე კ., ევგენი ლანსერე, თბილისი, 1979
3. ელ.ბიბლიოთეკა - ე.ა.ლანსერე. მოქანდაკე - მისი ცხოვრება და შემოქმედება (1846-1886)
4. 225 лет академии художеств СССР. Каталог 1757-1917 гг. Москва,1983 г. Ст.276
5. <http://www.salon-petersburg.ru/>



კავკასიელი - აჭარის მუზეუმი



დონელი კაზაკები
ბელორუსიის ეროვნული სამხატვრო მუზეუმი



სვიატოსლავი
სანკტ-პეტერბურგი



კაზაკის და კაზაკი ქალის გამოთხოვება



დოლი. რუსეთი

აჭარის მუზეუმის ფონდებში დაცული უცხოური წარმოების ლამპები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აჭარა თურქთა ბატონობისგან გათავისუფლდა და სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ახალ გზას დაადგა (საქართველოს ისტორია, ტომი IV, 2012. გვ.70-71).

1878 წელს ბათუმი პორტო-ფრანკოდ (უბაჟო ქალაქად) გამოცხადდა, რამაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებას, მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. 1880 წელს ბათუმში 725 გემი შემოვიდა, რომელმაც მილიონზე მეტი ღირებულების საქონელი შემოიტანა. შემოჰქონდათ და გაჰქონდათ მრავალი დასახელების საქონელი. ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყო ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნამ, ბათუმი ბაქოს ნავთობის ექსპორტის ცენტრად იქცა (სურგულაძე, სიორიძე, 1996:36-38).

1878-1884 წლებში ბათუმში აიგო 305 საცხოვრებელი სახლი, თამბაქოს 4 ფაბრიკა, 8 სასტუმრო, გაიხსნა მაღაზიები, სასადილოები, ბუნგეს, როტმილდის სიდერიდისის, რიხნერის ნავთის საწარმოები, მოწესრიგდა სასმელი წყლის სისტემა და ქალაქის ქუჩები, მოეწყო ქალაქის ბაღი და ზღვისპირა ბულვარი.

1883 წელს „ძმები ნობელების“ ამხანაგობამ ბათუმში პირველი ნავთის რეზერვუარები ააგო, შესაბამისად, ბათუმში გაჩნდა ნავთის ლამპები, რითაც ქალაქი ცენტრალური ქუჩები, ზღვის სანაპირო და სასტუმროები ნავთის ლამპებით განათდა.

ნავთის ლამპის ანთება მარტივი არ იყო, ამ საქმეს საგანგებოდ განსწავლული მეფარნე ყავდა მიჩენილი, რომელიც ფარნებს შებინდებისას ანთებდა და დილით აქრობდა. მეფარნეობა ძალიან პატივსაცემი პროფესია იყო იმდროინდელ ბათუმში, მათ განსხვავებული ფორმა ეცვათ საგანგებო სამკერდე ნიშნებს ატარებდნენ, მუზეუმში დაცულია მეფარნის ნიშანი, რომელიც შემოვიდა 1921 წელს ბათუმის საქალაქო კომიტეტიდან (გუჯაბიძე, 2015:21-23).

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის უცხოური წარმოების 15-მდე ნავთის ლამპა, რომლებმაც ელექტრონერგის გამოგონებისა და გავრცელების შემდეგ, მუზეუმის ფონდსაცავში დაიდეს ბინა.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია გერმანული კომპანია „Ehrich & Graetz“-ის ცნობილი ლამპის „Matador“-ის ორი ეგზემპლარი, რომელიც შექმნილია მოქალაქე ლ. გულორდავასაგან. (ფონდების ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი N16)

„Ehrich & Graetz“-ის მეტალის ნამუშევრების ქარხნული წარმოება დაიწყო 1866 წელს ბერლინში. ქარხნის სახელწოდებით - „Lampen-Fabrik Ehrich & Graetz OHG“ დამაარსებლები იყვნენ ალბერტ გრეცი და ემილ ეჰრიჩი. ფირმის ლოგოზე გამოსახული იყო ორი ერთმანეთისკენ შებრუნებული დრაკონისთავიანი ცხენთევზა, რომელთა შორის მოთავსებული იყო მზე და კომპანიის ინიციალები - E&G.

თავდაპირველად, ქარხანამ - „Lampen-Fabrik Ehrich & Graetz OHG“ სახელი გაითქვა ნავთის ლამპების წარმოებით, დიდი წარმატებით იყიდებოდა „Matador“, „Akaria“ და „Iris“ ბრენდების სახელების ქვეშ გამოშვებული ნავთის ლამპები. ქარხანაში ასევე ამზადებდნენ თხევად (ხის სპირტი, პარაფინი) და აიროვან (პროპანი, ბუნებრივი აირი) საწვავზე მომუშავე ქურებს.

1897 წლიდან ფირმას სათავეში ჩაუდგნენ ალბერტის ვაჟები - მაქს და ადოლფ გრეცები. კომპანია სწრაფად იზრდებოდა და 1899 წლისთვის ბერლინში არსებობდა ქარხანა-კომპლექსი, რომელსაც ჰქონდა წარმომადგენლობები შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და ბომბეიში (ახლა - მუმბაი).

ასევე გერმანული წარმოებისაა მუზეუმში დაცული ნავთის ლამპის ოთხი ეგზემპლარი წარწერით: Отто Мюллер Берлин „Лампа-чудо“. აღნიშნული ლამპები ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ასევე დაცულია რუსეთის „ხალხთა მეგობრობის მუზეუმში“. მუზეუმში შემოვიდა 1984 წელს ქობულეთის სამეცნიერო ექსპედიციიდან. (ფონდების ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი N3)

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში ექსპონირებულია ევროპაში ფართოდ გავრცელებული ნავთის ლამპების, ჭაღებისა და განათების სხვადასხვა საშუალებების მწარმოებელი კომპანიის - „Kosmos Brenner“-ის ნავთის ლამპა, რომელიც მუზეუმში შემოვიდა 1930 წელს აჭარის მიწის სახალხო კომისარიატისაგან.

მუზეუმში წარმოდგენილ „Kosmos Brenner“-ის ნავთის ლამპაზე დამაგრებულია მოწყობილობა „ოვოსკოპი“, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა მეფრინველეობაში კვერცხში ჩანასახის განვითარების პროცესზე დაკვირვების მიზნით და კვერცხის ვარგისიანობის შესამოწმებლად (ფონდების ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი N1).

მუზეუმის ფონდში დაცულია ასევე სპარსული და რუსული წარმოების ნავთის ლამპები. სპარსული წარმოების ნავთის ლამპა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა მოქ. მ. კომახიძემ. რუსული წარმოების ნავთის ლამპები მუზეუმში შემოსულია 1973-1980 წწ. ქობულეთისა და ქედის სამეცნიერო ექსპედიციებიდან. (ფონდების ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი N2-3)

სტატიაში ნათლად ჩანს XIX საუკუნის 2-ე ნახევრიდან ბათუმში ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, თუ როგორ იზრდებოდა უცხოეთიდან შემოტანილი ნაწარმის რაოდენობა, მკვიდრდებოდა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში და შესაბამისად წლების შემდეგ უკვე ექსპონატებად იდებდა ბინას ჩვენი მუზეუმის ფონდსაცავში, რომელიც ბევრ, ძალიან საინტერესო ისტორიას ინახავს მომავალი თაობებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუჯაბიძე შ., ბათომი, წიგნი I, ბათუმი, 2015.
2. გუჯაბიძე შ., ბათომი, წიგნი II, ბათუმი, 2015.
3. საქართველოს ისტორია, ტომი IV, თბილისი, 2012.
4. სურგულაძე ა., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996
5. ფონდების ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი №1, 2, 3, 16.



მეფარნის ნიშანი



ნავთის ლამპები - Matador



Kosmos Brenner“-ის საწარმო



ნავთის ლამპა ძველ ბათუმში – მარიას ქუჩაძე



მაქს გრეცი



ლამპების ქარხანა ბერლინში



კომპანიის ლოგო



მოსახლეობის რწმენა წარმოდგენების ასახვა ნივთიერ კულტურაში

ხალხური რწმენები შეიცავენ კონკრეტულ მონაცემებს, რომლებიც ასახავენ ქართველ ტომთა რელიგიურ წარსულს. რელიგიური წარმოდგენების და ღვთაებათა პანთეონის პირველი ნიშნები საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითის ხანიდან გარკვევით იკვეთება, ნაყოფიერების და სიცოცხლის მფარველი ღვთაების დიდი კულტის სახით. იმისათვის, რომ გავიგოთ რას წარმოადგენდა ქალღმერთის დიდი დედის კულტი გავეცნოთ იმ საერთო ნიშნებს, რომლებითაც ხასიათდებიან მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიებში დედა ღვთაებები, რაც დაგვეხმარება მისი ზოგადი სახის წარმოსახვაში.

არქაული ხანის ადამიანთა წარმოდგენით, მას სიცოცხლის მიმნიჭებელი ძალა გააჩნდა. ამიტომ ბუნების ყველა სფეროში გაბატონდა და მრავალფუნქციური მითოსურ სახედ ჩამოყალიბდა, რომელიც ნაყოფიერებასთან, სიცოცხლესთან დაკავშირებულ სფეროს განაგებდა. როგორც წესი დიდ დედას უკავშირებდნენ მიწას (ზოგჯერ აიგივებდნენ მასთან) უფრო ფართოდ კი ბუნების ქალურ დამბადებელ საწყისს განასხვავებდა. იყო ღმერთებისა და ადამიანების დედა, მეუფებდა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში. განაგებდა ამინდს, მასზე იყო დამოკიდებული წვიმის მოსვლა და შესაბამისად მოსავლის სიუხვე.

დღეს ძნელია იმის დადგენა, რა დეტალებს შეიცავდა დიდი დედის კულტი თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე ან, როგორ ჩამოყალიბდა მისი ერთიანი მითოლოგიური სახე. მითიური მოთხრობები მხოლოდ ზეპირად ვრცელდებოდა, სხვა ფორმით ისინი არ დაფიქრებულა, ესეცაა იმის მიზეზი, რომ მათ ჩვენამდე მოაღწიეს. არქეოლოგიური მასალისა და მონაცემების საფუძველზე მაინც შეიძლება მათ ძირითად ნიშნებზე საუბარი. ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ მას წინ უძღვოდა დარგობრივი ქალღვთაებების კულტი, რომელთა ფუნქციები შეითავსა ერთიანი ქალღმერთის მოგვიანებით ჩამოყალიბებულმა სახემ. სხვები ვარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში ადამიანებმა შექმნეს ერთი მშობლის დიდი დედის სახე, რომელიც შემდგომში დანაწევრდა დარგობრივ ღვთაებებად. არ არის გამორიცხული, რომ ამ სახის განვითარების ისტორიაში ორივე პროცესს ჰქონოდა ადგილი. ცალკეული ღვთაებები განვითარებულიყვნენ ერთ სახეში, ხოლო თავისი მითო-რელიგიური ფუნქციის ამოწურვის შემდეგ ერთიანი სახე კვლავ დანაწევრებულიყო დარგობრივ ქალღვთაებებად. ასეთი რამ არ არის უცხო მითოლოგიისათვის, რომელიც არ არის ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი უცვლელი სისტემა. იგი როგორც ადამიანთა ყოფისა და ცნობიერების გამომხატველი მუდამ იცვლება და აქვს როგორც აღმასვლისა და განვითარების, ისე დაკნინებისა და გაქრობის პერიოდი (სიხარულიძე, ელ.ბიბ. 2013).

ქალის პატივისცემა ბევრ ხალხში უმაღლეს რანგში ადის. კულტის სახეს იღებს და ყალიბდება ფორმულის სახით: „ხალხი მალდება და ეცემა ქალის სახით, ქალთან ერთად“. ასე იყო ძველ ეგვიპტეში სადაც ღმერთთა და დედათა დედას ეწოდა შაქტი (ძალა საწყისი ენერჯია), რეც ღმერთების დიდი დედაა. დიდი დედა სწამდათ კრეტაზე, მინოსური ცივილიზაციის აკვანში. დედის ქალის კულტთანაა დაკავშირებული ინდოელთა რელიგიის ტანტარას მთავარი რიტუალი: ქალთან ტაძარში დაწოლით ღმერთთან შეზიარების პრაქტიკა, რაც საკულტო დღეობაზე ხდებოდა. ანალოგიური ღვთაებები იყო მცირე აზიური რეა, კიბელა და მა-დიდი, რაც უთუოდ ხეთური დიდი დედის ორეულს წარმოადგენდა (გელოვანი, 1983:127-128).

ქართულ მეხსიერებას ადარ შემორჩა ის ტექსტები, რომლებშიც მოთხრობილი იქნებოდა დიდი დედისა და მისი კულტის შესახებ. მაგრამ ისტორიული მონაცემების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მითოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქალღვთაებას, რომელიც თავისი არსითა და ფუნქციებით „დიდ დედას“ უტოლდებოდა. არა ერთგზის აღნიშნულია ის ფაქტი, რომ საქართველოში ქალს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ, უდავოა ასეთ დამოკიდებულებას უძველეს ხანაში ჩაეყარა საფუძველი, რაც ქალღმერთის გამორჩეული თაყვანისცემით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ნაყოფიერების ქალღმერთის კულტი, რომ უძველესი დროიდან არსებობდა ამას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. აქ ნაპოვნი პალეოლითისა და შემდგომი ხანის ქალის ფიგურები, მცირე ზომის ქანდაკებები გვხვდება მწოლარე, ფეხზე მდგომი და დამჯდარი. ისინი სხვადასხვა მასალისგან არის დამზადებული: თიხისაგან, ძვლისაგან, ქვისაგან. ფიგურები ძირითადად ნაპოვნი კერაში და მის ახლოს, რაც ამ კულტის ხტონურ (მიწიერ) სამყაროსთან, ნაყოფიერებასთან კავშირზე მიუთითებს (სიხარულიძე, ლ.ბიბ. 2013).

უფლისციხის მახლობლად ყალთანიხევის ბორცვზე ნაპოვნი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისის ხანძარში განადგურებული სალოცავის ნანგრევები, რომლის ერთ-ერთ ნაგებობაში, სხვა მასალებთან ერთად აღმოჩნდა თიხისაგან გამოქერწილი ჰორელიეფი - ქალის თავის გამოსახულება. როგორც ჩანს, აღმოჩენილი დეტალი - თავის გამოსახულება მთლიანი ჰორელიეფიური კომპოზიციის ნაწილია, რომელიც თიხით შელესილ კედელზე იყო მიქერწილი. უნდა ვიფიქროთ, რომ რომელშიც ქალღმერთის გამოსახულება იყო წარმართულ კომპლექსის ძირითად სათავსოს წარმოადგენდა.

უფლისციხე ყალთანიხევის სალოცავში მოპოვებული მასალა კარგი ილუსტრაციაა იმისა თუ რამდენად ძირძველია ქართულ რელიგიურ ტექსტებში ასახული ვითარება. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, რომ ყალთანიხევის წარმართული სალოცავი ქართულ-ზანური, ერთობის ხანის ძეგლია, შეიძლება დაუშვათ რომ გვიან ბრინჯაოს ხანის დასავლეთ ამიერკავკასიაშიც ჩვენ მიახლოებით ისეთ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენების არსებობა დაუშვათ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (შიდა ქართლი) სინამდვილეში გვაქვს (ხახუტაშვილი, 1995:91-92).

ქანდაკებები ასევე აღმოჩენილია გურჯაანის რაიონის სოფელ მელანის სამხრეთით, შვიდიოდე კილომეტრის მანძილზე „შავხის გორის“ ძირში ძველი სამლოცველო „მელი-ღელე“ I-ის ქვედა კულტურული ფენაში ქალის ქანდაკება ბრინჯაოსია. ყველა ისინი ნაყოფიერების სიმბოლოებადაა მიჩნეული, რომელთა მონაწილეობით საწესო წეს-ჩვეულებებში „მელიღელეს“ სამლოცველოზე ღმერთების დიდი დედის საპატივცემულოდ სრულდებოდა. საინტერესოა ბალთასა და საირმეში ნაპოვნი ბრინჯაოს მდებრობითი ფიგურები, რომლებიც ძვ.წ. IX-VII სს. თარიღდება. ისინი პოზით პროპორციულობით, ძეგლის მანერით ახლოს დგანან სოფელ გორის (საჩხერის რაიონი) ქანდაკებასთან, რომელიც ქუთაისის მუზეუმში არის დაცული. (ბერძენიშვილი, ელ.ბიბ. 2013).

მეტად საინტერესოა აჭარის ხარტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული თიხის ქანდაკება (აჭმ. N151) რომლის შესახებაც დავით ხახუტაიშვილი ქართველი ისტორიკოსი არქეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპოდენტი აღნიშნავს: „რელიგიური წარმოდგენებისა და ღვთაებათა პანთეონის ფორმირების პირველი ნიშნები ქობულეთის „ქვეყანაში“ ადრე ბრინჯაოს ხანიდან

დასტურდება. კერძოდ, ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე მოპოვებულია ადამიანის მცირე ზომის ქანდაკება, რომელიც თიხისგანაა დამზადებული, შეიძლება ნაყოფიერების ღვთაების გამოსახულებით მივიჩნიოთ“ (დ.ხახუტაიშვილი, 1995:90).

არნიშნულ ნივთს შემდეგნაირად აგვიღწერს არქეოლოგი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა.კახიძე: „სხვა სახის ნაკეთობათაგან აღსანიშნავია პატარა ზომის ქალის სკულპტურული გამოსახულება. ამ დროისათვის აქაურ საზოგადოებაში უნდა ვივარაუდოთ დედისეული გვარის არსებობა. ქალის ქანდაკებაზე ნაყოფიერების გამომხატველი ნიმუშებია ხაზგასმული“ (კახიძე, 1992:5).

ქანდაკება, რომელიც თიხისგანაა დამზადებული წარმოდგენილია ტორსით, ცალი მარჯვენა ხელი მომტვრეული აქვს, თავი სამკუთხა მომრგვალებული შვერილებით არის გამორჩეული, ხოლო თვალები და პირი შეღრმავებული წერტილებითაა წარმოდგენილი, ძირი ბრტყელი, ნასვრეტისანი, თიხა კარგად გამომწვარი მუქი ფერის.

ამრიგად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ხალხთა მსგავსად ქართველთა მთავარ ღვთაებასაც „დედა“ ანუ „დიდი დედა“ ერქვა. სახელიდან უნდა მომდინარეობდეს ბებუის აღმნიშვნელი სიტყვა „დიდი დედა“. გარდა ამისა, ქართული ენის დიალექტებში დღესაც არის შემორჩენილი დედას აღსანიშნავი „ნანა“ (მეგრ), ნენა (გურია), ნენე (აჭარა).

გამოყენებული ლიტერატურა

1. სიხარულიძე ქ., კავკასიური მითოლოგია, 2013 (ელ. ბიბლიოთეკა)
2. კახიძე ა., გაზეთი „აჭარა“ 1992
3. ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის ქვეყანა, ბათ., 1985
4. ბერძენიშვილი დ., წარმართული ნაყოფიერების ქანდაკებები ქუთაისის მუზეუმიდან, 2013 (ელ. ბიბლიოთეკა)
5. გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983



დღემდე უცნობი ტრადიციები - ქორწინება და რიტუალი
(მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)

საქარწილო ურთიერთობები ადამიანების მიერ განვლილი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მისგან მიღებული შთაბეჭდილებები ძნელად თუ ავიწყდება ადამიანს. ეს გარემოება საფუძველს ქმნის ქორწინების ინსტიტუტის სრულყოფილი შესწავლის საქმეში, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებრივი და საოჯახო ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან არის დაკავშირებული. ამ ინსტიტუტის შესწავლამ, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენებურთა ეროვნული ცხოვრების მყარად შენარჩუნებისა და საომედობაში.

ამჯერად, აჭარული ქორწილის ტრადიციებზე გავამახვილებ ყურადღებას მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით.

1873 წელს აჭარაში იმოგზაურა დავით ბაქრაძემ. მოგზაური აჭარის ისტორიისა და ყოფის სხვადასხვა მხარეებს გვამცნობს, იგი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ოსმალთა ბატონობის მიუხედავად, აჭარული ქორწინება საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული ქორწინების ინდენტურია: მშობლების წინასწარი მოლაპარაკება, მზითევი, ნიშნობა, მისი ცერემონიალი და სხვა. ჩვეულებრივად ახალგაზრდა კაცს საცოლეს ურჩევდა დედა, ან რძალი, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ ქალიშვილების ავკარგიანობას დააკვირდებოდნენ (ხ/ფ N1392).

ქალიშვილის შესარჩევად მოხერხებული ადგილი იყო: ნადი, ქორწილი და შუამთობა (ხალხური დღესასწაული). ქალიშვილის სარძლოდ მოწონებას „გამორჩევა“ და „თვალის დაკავება“ ეწოდებოდა. ამის შემდეგ დაინტერესებული პირები იწყებდნენ ამ ქალის შესახებ ყოველგვარი ცნობების შეგროვებას „გაკითხვას“. გაკითხვაში შედიოდა ოჯახისა და ახლოვლების ავკარგიანობის დადგენა. გამოიკითხავდნენ აგრეთვე მოძმეებსა და გამრიგობებსაც, მათ „ჯიშს“ და „ჯიბილეთს“ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დედას, რადგან ხალხური გამოთქმით „როგორც დედაა, გოგოც იმფერი იქნებაო“.

გამოკითხვის შემდეგ მონახავდნენ შუაკაცს ქალის ოჯახში მისაგზავნად. შუაკაცის აღსანიშნავად აჭარაში რამდენიმე ტერმინი გვხვდება „ელჩი, მურავი, მაჭანკალი და შუამავალი“. ელჩად კარგი, დამაჯერებელი მსჯელობით გამორჩეულს, გავლენიანს, პატივსაცემ, ხშირად ორივე მხარისათვის მონათესავე პირს აირჩევდნენ, რომ ქალის პატრონს მისთვის უარი არ ეთქვა.

ქალის ოჯახში მისულ ელჩს პირველივე სიტყვის თქმაზე თანხმობას არ ეტყოდნენ, სულ ცოტა 3-5-ჯერ მაინც უნდა მისულიყო ელჩი. საბოლოოდ ქალის ოჯახიდან თანხმობის მიღებისთანავე, ელჩი რაიმე ნივთს ტოვებდა - ბეჭედს, მძივს ან „ალთუნს“ (ოქროს მონეტა), ხოლო ელჩი სანაცვლოდ საჩუქარს იღებდა (ქალამანს ან წინდას). ელჩის მიერ საქმის „გაკეთების“ და ქალის ოჯახიდან სიტყვის გამოტანის შემდეგ, ნიშნობის „ჯერი“ (დრო) დგებოდა. აქვე ავლნიშნავ, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული წესები სავსე მთვარეზე და კვირის მაგარ დღეებში უნდა შესრულებულიყო „ჯუმას“ (პარასკევი) და შაბათს.

სანიშნო ნივთებს ყიდულობდა ვაჟის მამა და უფროსი ძმა. ნიშანში აუცილებლად შედიოდა: საათი, გულის თობდი (ბროშკა), ბეჭედები (რგოლისა და თვლიანი), ძეწკვი, მძივები, პუდრი, დუხი და სხვა.

საინტერესოა, მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალა შინაური წესით დუხის დამზადებისას: „ბანკაში“ ვარდის ფურცლებს ჩაყრიან, ცოტა წყალს დაასხამენ და თავს ისე წაუკრავდნენ, რომ ჰაერი არ ჩავიდეს, ასე იქნება 15 დღეს, შემდეგ მოხსნიან თავს, კარგად შეჭყეპენ, მარლაში გაწურავენ და ბოთლში შეინახავენ. ასე დაწურულს ერთ კვირას კიდევ მზეზე დადებდნენ და მზად იყო. (მთქმელი ემინე მევლუდის ასული შარად. ხ/ფ N617).

ნიშანის ხარისხი და რაოდენობა დამოკიდებული იყო ვაჟის შემდეგზე. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ერთი ნიშნის შემადგენლობით რამოდენიმე ქალი ინიშნებოდა. თუ ვაჟს შემდეგ არ ჰქონდა, ინათხოვებდა და ისე გზავნიდა ნიშანს. ისე კი ქალს არ მიათხოვებდნენ. ამის შემდეგ წყდებოდა „აღდი“. „აღდს“ გაკვეთდნენ ე.ი. ჯვარს დაწერდნენ. აღდის გაკვეთა ვაჟის ან ქალის ოჯახში ხდება. თუ ქალის ოჯახში გააკეთეს აღდი, ხარჯებს ვაჟი იღებს. ხოჯა კითხულობს ყურანიდან, აღდს ესწრება წარმომადგენლები ვაჟის და ქალის მხრიდან ხშირად ბიძას აგზავნიდნენ. ხოჯა ეკითხება ორსავე წარმომადგენელს, არიან თუ არა თანახმა. თანხმობა ქალ-ვაჟის მაგივრად ითქმის და იწერება აღდი (აქტი), სადაც აღნიშნულია თუ რამდენ ოქროდ შეფასდა ქალი, შემდეგ სადილობენ და შერბეთს (ტკბილი წყალი, სიროპი) დალევენ. თუ ქალი დაქვრივდებოდა, ან ქმარი გაუშობდა ვაჟი ვალდებული იყო ქალისთვის გადაეხადა აღდში აღნიშნული თანხა. ამის შემდეგ მალე წყდება ქორწილის დღე.

საქორწილოდ ორთავე მხარე ემზადება. ქორწილის წინა დღეებში ვაჟი ქალს უგზავნის „ბოხჩას“ ტანისამოსებს (ხუთი საკაბე, კრებდიშინის 4 და 1 შალის, ლიზადე (პალტო), პერანგები, ჩულქები, უბრალო საკაბეები სამი, ქალის დედისთვის ერთი საკაბე. კაბებს დედოფალი აკერინებს და შეკერვის ფულს ვაჟი იხდის. ქალი თავის მხრივ იწყობს მზითებს. მზითებად მიაქვს: კრაოტი, ქვეშაგებლები, საბნები, ბალიშები, კარადა, საკერავი მაშინა, ნოხი და სხვა წვრილმანი საოჯახო ნივთები. თეთრეული ნაქარგი ბლომად“ (ხ/ფ N119. მთხრობელი ემინე მახარადე).

აჭარის მუზეუმში წარმოდგენილია საქორწინო კოლექცია დერვიშ-ბეგ ბეჟანიძის (ქედა ზენდიდი) მეუღლის, სალიე შერვაშიძის ბოხჩა. იგი ქედის მაზრის უფროსის, იმ დროისათვის ცნობილი პიროვნების თუფან-ბეგ შერვაშიძის ქალიშვილი იყო. ეს კოლექცია მუზეუმში 1967 წელს შემოვიდა. ამ კოლექციაში შედის სამზითვო ბოხჩა, რომელიც ქალის პარფიუმერიული ნივთებით არის აღჭურვილი. სავარაუდოა, რომ დევრიშ ბეჟანიძემ მეუღლისათვის ეს ბოხჩა თურქეთიდან ჩამოიტანა, ვინაიდან ის ხშირად მოგზაურობდა. (ფოტო)

ქორწინებისათვის ყველაზე სასურველ ასაკად ითვლებოდა 17-20 წელი ქორწინების ასაკთან დაკავშირებული ფოლკლორული ნიმუშები ბლომდაა აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში:

„გაზდომიხან შენ არ გკითხვენ
სიცხითა თუ სიცივითა,
თერთმეტი წლის შეთავდება
ელჩი მოვა სიცილითა“.

ქორწილები უფრო ხშირად გვიან შემოდგომაზე იმართებოდა. ყველაზე არასასურველ თვეებად იყო მიჩნეული: მარტი - პატარძალი ჭიჭყინა იქნებაო, მაისი გველივით სისინა ენა ექნებაო, დეკემბერი - ზამთარივით ცივი იქნებაო. (მთქმელი ჩემი ბებია - ფატი თურმანიძე).

დაპატიჟება, ძირითადად სასიძოს ძმის ან ბიძაშვილის საქმე იყო. ისინი ერთი კვირით ადრე დაივლიდნენ მეზობლებს და ნათესავეებს, აცნობდნენ ქორწილის დღეს,

უფრო მოგვიანებით ქორწილში პატიჟებდნენ სპეციალურად დაბეჭდილი ბარათებით, რომლის ნიმუში ინახება აჭარის მუზეუმში ხ/ფ N119. (ფოტო 3 ც)

სასიძო ქალის მოსაყვანად არ მიდიოდა, მიდიოდნენ მაყრები მამა, ბიძები, ძმები, ნათესავები, მეგობრები. თუ ვაჟს მამა ან უფროსი ძმა არ ჰყავდა, მაშინ „სამამამთილოდ“ ბიძას ან რომელიმე საპატიო ნათესავს აგზავნიდნენ. მათ აუცილებლად მიჰყვებოდა ნათესავი ქალი - „დადე“ (იგივე მეჯვარე) დედოფლის უშუალოდ მომყვანი.

ქალის სახლთან მისულ ვაჟის მაყარს თან ახლდა ქორწილის დღისათვის მოწვეული მუსიკოსები: დავლი და ზურნა ან სულაც ჭიბონი. ვაჟის მაყარს ქალის მაყარი ეგებებოდა და სტუმრები სახლში შეჰყავდა. მამაკაცები ცალკე ოთახში მრგვალი სუფრების „ფეხშუმების“ გარშემო სხდებოდნენ, მათ სადილობას მამაკაცებივე ემსახურებოდნენ. ამ დროს ვაჟის მაყრების თანმხლები დადე-დადეები ცალკე ოთახში ჯდებიან. შარბათს მიაერთმევდნენ, კაცების სუფრისაგან განსხვავებით მეჯვარეების (დადე) სუფრაზე ხორცი არ იყო. სამაგიეროდ სუფრაზე ერიშტა, ბორანი, ერბო-კვერცი, კორკოტი, ბრინჯის ფლავი, ლუხუმი, ბაქლავა და სხვა კერძებ ელავა.

ქალის ოჯახში ქორწილი რამოდენიმე საათი გრძელდებოდა. უშუალოდ წყვანის წინ დედოფალს უშლიდნენ თმებს, უხსნიდნენ ღილებს და ყოველნაირ ნასკვს ჩასაცემელზე, რომ დაკოჭილი არაფერი ჰქონდეს და თვითონაც არ დაიკოჭოს. ძმა ან მამა ფეხსაცმელში ფულს უდებდა და ლოცავდა. ბოლოს მამა ან ძმა თავზე ახურავდა საქორწილო თავსაბურავს „ღვალს“, რომელიც დედოფალს თითქმის კოჭებამდე წვდებოდა. ქობულეთსა და ქვემო აჭარაში ღვალზე მეტად „ვატა“ გამოიყენებოდა, რომელიც გამჭვირვალე იყო და მხოლოდ სახეს ფარავდა. (ფოტო 3)

პატარძლის სახლიდან გაყვანამდე მამამთილს ფულის გადახდა უწევდა, როგორც კი ეზოში გაიყვანდნენ თოფები დაიქუხებდა. თოფების ქუხილს მაყრული სიმღერა მოყვებოდა, ამ მომენტიდან დედოფალი ვაჟის მაყრის თანმხლები დადეების მზრუნველობის ქვეშ გადადიოდა. ეზოდან გასვლის შემდეგ სოფლის ახალგაზრდობა ხშირად თოკით, კოჭით ან ჯოხით გზას ღობავდნენ და გზის გახსნისათვის საჩუქარს ღებულობდნენ (ფულს იღებდნენ).

ვაჟის ოჯახში პირველი მახარობელი მიდიოდა, მახარობლის მისვლის შემდეგ ბავშვები და ახალგაზრდები მექორწილეთა შესახვედრად მაშხალებით მიიჩქაროდნენ. ეზოსთან მისული მაყრები მღეროდნენ - „ორერას“

მოვდივართ მოგვიხარია
მოგვყავს ლამაზი ქალია,
მასპინძელო მას უყურეფ
გაგვინათე სანთელია“.

აჭარლების რწმენით, დედოფლის სახლში პირველი შესვლის დროს, შეითან (ემშაკს) არ ეძინა. შეიძლება დედოფალი „დაეკოჭა“, ამიტომაც წესად იყო, რომ ქალის სახლში შესვლის წინ ხალხი ერთ მხარეს დგებოდა, რომ დედოფალს შუაში არ გაევილო. პატარძალს ეზოში დედამთილი ხვდებოდა, რძალს გადაკოცნიდა, საჩუქარს აძლევდა (ოქროს ბეჭედს) შემდეგ ტკბილს მიაწოდებდა და ხურდა ფულს აყრიდა თავზე.

დედოფალს კიბეზე მარჯვენა ფეხი უნდა შეედგა, ჯერ სამზარეულოში - „მუთვალში“ შეიყვანდნენ, მერე კერასთან მიიყვანდნენ და ხელს სამჯერ ჩამოასმევიანებდნენ ბუხარზე. იქვე კეცზე გამომცხვარ მჭადს აალებინებდნენ, ბრინჯის და პურის მარცვალს ერთმანეთში შეურევდნენ და გადაარჩევიანებდნენ, რომ საქმის დროს გზას ადვილად გაიკვლიესო. სამზარეულოდან სასტუმრო ოთახში გადაჰყავთ,

სკივრზე დასვამდნენ და კალთაში ვაჟს ჩაუსვამდნენ, რათა წლისთავზე ვაჟი შეძენოდათ. დედოფალს ბავშვი ფულით ან წინდებით უნდა დაესაჩუქრებინა.

დაახლოებით შუალამისას დედოფალს ძმა ხანჯლით „ღვალს“ მოხდიდა. „ღვალს“ დედამთილს აძლევდნენ და მიუმღეროდნენ „დაიჭირე და მოსრისე კარგადო, რომ არ ავიგდოს მასხრათო“. ამის შემდეგ ვაჟის მხარეს შეეძლო დედოფალს გაცნობოდა, ოღონდ ყველა შემსვლელს დედოფლისათვის „პირსანახავი“ (საჩუქარი) უნდა მიერთმია (ხ/ფ N111 ე.მახარაძე). დედოფლის ნახვის პარალელურად ვაჟის ნახვის მოთხოვნის უფლება ქალის მაყრებსაც ჰქონდათ.

გათენებისას მექორწილენი იშლებიან და ქალის ნათესავები ემშვიდობებიან პატარძალს და თან არიგებენ, რომ ოჯახში კარგად მოიქცეს.

ქორწილის შემდეგ ნეფე და დედოფალი ოთახში შეჰყავდათ. ოთახში ვაჟს ქალისათვის პირსანახავი უნდა ერუქებინა, რომ დედოფალს ხმა ამოელო და სიახლოვის უფლება მიეცა. დედოფალი მისთვის განკუთვნილ ოთახში თითქმის სამი დღე რჩებოდა. მესამე დღეს გამოიყვანდნენ და ხაჭაპურს დააცხობინებდნენ, 22 დღის შემდეგ პატარძალს ტკბილეული მოსდის, რასაც ადგილობრივები „სადილს“ ეძახიან (ბაქლავა, შაქარლამა) იგი მოაქვს უმცროს ძმას ან ბიძაშვილს. მომტანს ფულით ასაჩუქრებენ. აღნიშნული ტრადიცია დღესაც გრძელდება. ქორწილიდან ორმოცი დღის განმავლობაში ახალი რძალი გარეთ სამუშაოდ არ გადიოდა. ამ ხნის განმავლობაში მისი უმთავრესი მოვალეობა საოჯახო საქმე იყო.

ამგვარად საქორწილო ტრადიციები შეცვლილი ფორმით დღესაც გვხვდება. ტრადიციებმა შეითვისა ბევრი ახალი ფორმა, რომელიც იმკვიდრებს თავს ჩვენს ყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა


1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
2. ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974
3. მაკარაძე ა., საქორწინო წეს-ჩვეულებები აჭარაში. – აკმ. ხელნაწერთა ფონდი, N1392
4. მახარაძე ე., აჭარული ქორწილი. – აკმ. ხელნაწერთა ფონდი, N111
5. მახარაძე ე., ახალი ეთნოგრაფიული მასალები. – აკმ. ხელნაწერთა ფონდი, N119
6. მახარაძე ე., ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები. – აკმ. ხელნაწერთა ფონდი, N617
7. ნოღაიდელი ჯ., ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, ბათუმი, 1935



საგანმანათლებლო პროგრამა
როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად



სალიე შერვაშიძის „ბოხა“



ფატა



1933 წლის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია ზემო აჭარაში
(აჭარის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)

30-იანი წლებიდან აჭარის ეთნოგრაფიულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა აკად. გ. ჩიტაიამ. სხვა მდიდარ მასალებთან ერთად მკლევართა ყურადღება მიიქცია სამეურნეო ყოფამ. შემდგომ პერიოდში ამ საკითხების მიმართ ყურადღებას ამახვილებს აჭარისტანის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. აღნიშნულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა შეაგროვეს მდიდარი სამუზეუმო კოლექციები, წერილობითი მასალები და შრომები.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი გიორგი ჩიტაიას მიერ 1933 წელს ზემო აჭარაში ჩატარებულ ექსპედიციას, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გ. ჩიტაია (ხელმძღვანელი), ვერა ბარდაველიძე, რუსუდან ხარაძე, გ. გარდაფხაძე, სტეფანე მენტეშაშვილი (თბილისი), ჯემალ ნოლაიძელი, ვუკოლ იაშვილი (ბათუმი). ექსპედიციამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა სამომავლოდ აჭარაში ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებათა მიმართულების ჩამოყალიბებაში, რადგან დიდი იყო ექსპედიციის წევრთა მოპოვებული სავსე წყაროების პრაქტიკული და თეორიული ღირებულება (ახვლედიანი 1978: 98)

1933 წ. აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ამ დროს გადაღებული ფოტოები, რომელთაც დიდი ეთნოგრაფიული ღირებულება გააჩნია და ასევე მნიშვნელოვანი ექსპონატები, რომელთა ნაწილი ინახება აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდებში, ხოლო ნაწილი ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული კოლექციების მიხედვით შესაძლებელი გახდა აგვეღწერა და შეგვესწავლა სახვნელთა სახეები - როგორცაა: კავი, ჯილა, ჯილა-გოგორა, არვანა. ქართული ხალხური ხის ჭურჭელი - ვარია და ქალის სამოსის სხვადასხვა სახეობა: სიხმა, ზუბუნ-ფარაგა, ფეშტემალი, სარტყელი, კაბა - „ფორკა“ (1933 წ. ექსპედიციის დროს მოპოვებული ექსპონატები. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი. საინვენტარო წიგნები N1 N2

კავი - მარტივი კონსტრუქციის სახვნელია, შედგება გუთნის, ერქვანისა და კავისაგან. კავის ნაწილებისაგან მთავარი მნიშვნელობა ენიჭება გუთანს (კბილა). კავის გუთანად არჩევდნენ მძიმე და მაგარ ხეს უხრავს „ურთხმელს, თუთას და წიფელსაც. გუთანი 55-60 სმ სიგრძის უნდა ყოფილიყო, რომელსაც უკანა მხარე ფართო უკეთდებოდა, ცხვირზე გასდევდა ოვალური ნაწიბური, ხოლო ყურებს საგრძნობლად დაბალს უტოვებდნენ. გუთანში მაგრდებოდა კავი, რომელიც საგანგებოდ შერჩეული „მოკაკული“ ხისგან მზადდებოდა. კავის მოხრილი ნაწილების წინა მხარე „ნაპირული“ იყო, რომელიც გუთნის მიერ გაჭრილ მიწას იქით - აქეთ ყრიდა და იგი ხმალას მოვალეობას ასრულებდა. კავის სიგრძე 2,70 - 2,80 მეტრამდე მერყეობდა, ხოლო ერქვანის სიმაღლე 80-100 სმ-მდე აღწევდა.

ერქვანის მასალად აღიარებული იყო შქერის მასიური ხე, რომელსაც სახელური ბუნებრივად, ზედვე უნდა ქონოდა ნაზარდი. კავის სახნისი განსხვავდებოდა სხვა სახვნელების სახნისისაგან, იგი შედარებით დიდი ზომისა იყო და ბოლო ფართო ქონდა. კავისთვის არჩევდნენ წაბლის მოხრილ ხეს, კავის კონსტრუქციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გუთანი.

ტერმინთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა აკად. ჩიტაიას მოსაზრება, რომლის თანახმად თავდაპირველად ტერმინი „გუთანი“ გაჩნდა პრიმიტიული სახვნელი იარაღის სახელწოდებად, რომელმაც შემდგომში განიცადა შინაარსობრივი ცვლილება. ქართულ სამიწადმოქმედო ყოფაში „გუთანი“ რთული აგებულების სახვნელს აღნიშნავს (ახვლედიანი, 1978:99). გუთნის გარდა კავის კონსტრუქციაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე „კავის“ და „ერქვანის“ აგება დამზადების თავისებურებანი, ერქვანი არის სახვნელი კავის სახელური. სახელწოდება ერქვანი ჯერ ცალკე იარაღის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ხოლო შემდეგ მოექცა სახვნელთა კონსტრუქციაში. საბა ორბელიანი ერქვანის ქვეშ სახვნელთა ზოგად სახელს

გულისხმობს, ხოლო ეთნოგრაფიული მონაცემებით საქართველოში, ერქვანი სახვნელის სახელურის აღმნიშვნელია და არა ცალკე სახვნელისა (ბერიაშვილი, 135-141)

ჯილა - ყველაზე უფრო გავრცელებული სახვნელია. იგი შედგება ბუდის (კბილა), სახნისის, ტარას, (რვილი) კაცასა (სახელური) და ხმალასაკროგან. მასალა საგანგებო შერჩევას მოითხოვდა. მას უყენებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: 1. ადვილად არ უნდა სკდებოდეს; 2. უნდა იყოს მძიმე; 3. მიწას არ უნდა იკრობდეს; ამიტომ ამ დანიშნულების მასალა ხის ფესოსგან მზადდებოდა. მთხრობელთა დახასიათებით, „მცენარის ფესო მიწაში დულს, იხარშება, მისი ძარღვები შებრძვნილია, გადახლართულია, ამიტომ ასეთი მასალა არ სკდება და არც ადვილად ცდება. ამიტომ გამართლებული იყო რცხილის, თუთის, ნიგვზის, უხრავის, წიფლის და სხვა მაგარი ხეების მასალა (ახვლედიანი, 1978:101-102).

ზემო აჭარის მოსახლეობის ყოფაში დადასტურებულია ბორბლებიანი სახვნელის გამოყენება, რომელიც „ჯილა - გოგორას“ სახელწოდებით არის დამკვიდრებული. ამ სახის ერთ-ერთი ნიმუში გამოფენილია აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განოფილებაში. ჯილა-გოგორა კონსტრუქციით განსხვავდება ჯილისა და არვანასაგან. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს სახვნელისათვის ხე-მასალის შერჩევა. აქ ძირითადად მუხის მასალაა გამოყენებული, ტარი გამოთლილია მუხის მასიური ხისგან, რომელიც ჯილის ტარივით ზურგაწეულია. ბუდისთვის რცხილის მასალაა გამოყენებული, ხოლო ბორბლებზე ისევ მუხა მეორდება. მუხის მასალის მოჭარბებული გამოყენება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჯილა-გოგორა „კორდის გასატეხად“ იყო უმთავრესად გამოყენებული და შიგ ორ-სამ უღელა ხარს უზამდნენ (ახვლედიანი, 1978:104-105)

აჭარული ჯილა-გოგორა კონსტრუქციულად მესხურ გუთანს უახლოვდება. მესხეთში ამავე დროს შესწავლილია ჯილა-გოგორაც, რომელიც შედარებით ინტენსიურად გამოიყენება. აჭარული რელიეფის გამო, როგორც ჩანს, ჯილა-გოგორამ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება, ამიტომ მას საგანგებოდ ხმარობდნენ ყამირის დასამუშავებლად. სადაც შესაძლებელი იყო ყვეარი ხარების გაბმა, ხოლო უპირატესობა მოიპოვა ჩვეულებრივმა აჭარულმა ჯილამ, სადაც ერთი უღელი ხარი იბმებოდა და მისი გამართვა უფრო პრაქტიკული იყო (ახვლედიანი, 1978).

არნაბი 91x 62სმ . კალოს იარაღი, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „არნაბი ბზის გასახვეტელია“. არნაბი ნაძვის ან ნეკერჩხლის ხისგან მზადდებოდა. ნიჩაბთან შედარებით არნაბს უფრო ფართო პირი აქვს, რათა მეტი მარცვლეულის აღება შეძლებოდათ. არნაბს სოფელში შინა კაცი აკეთებდა. არქეოლოგ გ.გობეჯიშვილის აზრით, არნაბის ნაწილები, ჩვენს ტერიტორიაზე ჩვ.წ.აღ.-მდე III ათასწლეულის დასასრულისათვის უკვე გამოიყენებოდა, რაც ქართული პურეული კულტურის უძველესობას უსვამს ხაზს. (გასიტაშვილი 1962)

დათვა - ბოყვა (აჭარ.)ხალხური საკეტის ტიპი. იხმარება კარების, ბელოსა და სხვათა დასაკეტად.აკეთებდნენ ხისგან, შედგება ოთხი ნაწილისგან: კბილები, გასაღები, ურდული და ფიცარი, რომელზედაც დამაგრებულია მთელი ეს მოწყობილობა. დათვა-ბოყვა კარების ამყოლზეა მოჭედილი. გასაღების ამოღებით, რომელიც გაყრილია კბილების ზევითა ნაწილისა და ურდულის შუა, ბოქლომი იკეტება, რადგან კბილები დაბლა ეშვება და თავის ბუდეებში ჩადის. გაღებისას კი ისევ გასაღების საშუალებით კბილები მაღლა აიწევა.საკეტის ასეთ ტიპს ანალოგები ეძებნება მახლობელი აღმოსავლეთის უზველეს კულტურაში.(ჩიტაია შრომები,ტ II).

ვარია - ნაღების გადასამუშავებელი ჭურჭელია, ცილინდრული ფორმის, მთლიანი ხისგან გამოთლილი.გულამოღებული და ორმხრივ დახურული ჭურჭელია. ზემოდან, შუა ადგილზე ოთკუთხედად ან მრგვალად, კარაქის ამოსაღებად, ვარიას პირნი აქვს ამოჭრილი, ქვემოთ ვარიას „ტანს“ ნაჩვრეტი - ლულა აქვს,საიდანაც დო გადმოდის ლულა ხის ჩხირითაა დაცობილი (იხ.სახ. მუზეუმის კოლექცია)

აჭარა ცნობილია მაღალი ხარისხის რძის პროდუქტების დამზადებით. აჭარის მთის ერბო განთქმულია თავისი კარგი თვისებებით. აქ ამზადებდნენ საუკეთესო ყველს,კარაქს, ერბოს, ნაღებს, ხაჭოს.

ვარია დიდი რაოდენობით ნაღების გადასამუშავებელი ჭურჭელია .ქართველ მეურნეს საუკუნეების მანძილზე შეუმუშავებია ცოდნა- ამოცდილება ჭურჭლის დახვეწილი ფორმის შესაქმნელად, რაც მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ვარია დღევანდის დროს ჭერში თოკით არის ჩამოკიდებული. ვარიაში, რომ რძემ თავისუფლად იმოძრაოს და მალე შეიძღვებოს, ასევე გათვალისწინებულია დაკიდებული ვარიის

მდებარეობაც. მათ „თავი“ გარკვეულ სიმაღლეზე უნდა ჰქონდეს აწეული. ასეთ მდგომარეობაში რძე მოძრაობისას ძლიერ ხმას გამოსცემს, ეს კი იმის ნიშანია, რომ ვარიის სასურველი მდებარეობა აქვს მიღებული. ე.ი. ვარიას თოკს ხმის მიხედვით არეგულირებენ – ხან ასწევენ, ხან დასწევენ.

სიხმა – აჭარელი ქალის ძირითადი სამოსია, რომელიც განსაკუთრებული სიფაქიზითა და გემოვნებითაა გამორჩეული. სიხმას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აჭარელი ქალის ცხოვრებაში, რადგან იგი იყო პრაქტიკული და ტანზე კარგად მომდგარი. სიხმა იკერებოდა ხავერდის, სატინის, ფარჩის ქსოვილისაგან. გამოყენებული ნაქარგობა გამოირჩევა მაღალმხატვრული ოსტატობით. დასტურდება სიხმას ორი სახეობა: გულამოჭრილი და გულდახურული. პირველს ხმარობდნენ ბარში მცხოვრები ქალები, მეორეს კი მთის მაცხოვრებლები. გულდახურული სხვა მხრივაც იყო გამორჩეული, მას მკერდს ქვემოთ ნაკერები ედგმებოდა, რითაც მისი საკალთე ივსებოდა. წელზე მომდგარ სიხმას, უკეთდებოდა განიერი სახელოები, რომლის სიფართო მხართან და მაჯასთან ერთნაირი იყო. ამასთანავე, მხრებთან და მაჯებთან ნაოჭიც აუცილებელია. შესაკვრელად მკერდის ქვემოთ ჩაფრასტებს აკეთებდნენ. სიხმას გული და მაჯები მოქარგულია მცენარეული და გეომეტრიული ფიგურებით.

ფეშტემალი – იგივე წინსაფარი აუცილებელი ატრიბუტი იყო აჭარელი ქალის ჩაცმულობისათვის. მას იყენებდნენ წვრილმანი საგნების გადასატანად, ასევე ასრულებდა ხელსახოცის ფუნქციასაც. იგი იკერებოდა შალის ქსოვილისაგან. წელს ქვემოთ დაშვებულ ერთ კალთას, წელთან სამაგრად „ბალი“ ქონდა მიკერებული. წინსაფარს აჭარელი ქალი მუდამ ატარებდა. იგი კაბის ქვედა ნაწილს მთლიანად ფარავდა. აჭარელთა ყოფაში დასტურდება როგორც საპატარძლო, ასევე სამუშაო ფეშტემალებიც. საპატარძლო ფეშტემალი სილამაზითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, სამუშაო კი შედარებით დაბალი ხარისხის ქსოვილისაგან მზადდებოდა (სამსონია, 2005).

სარტყელი - სამოსს ხდიდა უფრო სრულყოფილს. იგი იყო შალისა ან აბრეშუმის, წელზე ზამბის თხელი ფენით. აჭარელთა ყოფაში გამოიყენებოდა სამკუთხედი სარტყელი, რომლის მსგავსი საქართველოს არც ერთ კუთხეში არ გვხვდება.

ზუბუნ-ფარაგა არის აჭარული ძველი სამოსი. ეს არის ქალის გრძელი სამოსი, ერთმანეთზე გადადებული ფარაგებით და ფეშტემალში ჩამაგრებული, გვერდები ჩაჭრილი. ზუბუნს წელიწადის სხვადასხვა დროს იკერებოდა, ზამთარში მკლავით - ზაფხულში უმკლავოდ. შესაკვრად იყენებდნენ ხავერდს ან ფარჩას. იყენებდნენ სადედოფლოდაც.

„ფორკა“ გახლავთ ქალის მთლიანი კაბა. სწორი სილუეტის, კოჭამდე სიგრძით, წელის არეში გადაჭრილი. სახელო ჩაკერებული, წელის არეში ნაოჭასხმული (სამსონია, 2005).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1978
2. გასიტაშვილი გ., ხითხურობა საქართველოში, თბილისი, 1962
3. მენტეშაშვილი სტ., აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. – „ენიმიკის“ მოამბე, I, თბ., 1937
4. სამსონია ი., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005
5. ჩიტაია გ., აჭარული დათვა-ბოყვა. – შრომები, ტ. II, თბილისი, 1940
6. ჩარკვიანი ი., ქართული ეროვნული ტანსაცმლის ეროვნომიკული მაჩვენებლების კვლევა და ტექნოლოგიის დამუშავება, ქუთაისი, 2014
7. ხაზარაძე მ., ქართული ხის ჭურჭელი, თბილისი, 1988
8. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის საინვენტარო წიგნები N1, N2.



კავი



მანდილი



ფემტემალი



კაბა (ჩითი)



კაბა (ხავერდი)

თამარ კვაჭაძე - ჭეშმარიტი აღზრდელი, მოძღვარი

საქართველოს და აჭარის დამსახურებული მასწავლებელი, პედაგოგიური და ადამიანური ღირსებებით შემკული ქალბატონი თამარ კვაჭაძე იმ ღვაწმოსილ აღზრდელ პედაგოგთა პლეადას მიეკუთვნება, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში. იგი მოწოდებით პედაგოგი, მოძღვარი იყო. გამოირჩეოდა კრისტალური პატიოსნებით, ობიექტურობით, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, პროფესიული ოსტატობით, გულისხმიერებით, საქმის უსაზღვრო სიყვარულით. იგი ექვსი ათეული წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ემსახურებოდა ქვეყნის ხვალისდელი დღის მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს. მის მაღალ პროფესიონალიზმზე, პედაგოგიურ ოსტატობაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მისი აღზრდილები, კოლეგები, მეგობრები დღემდე უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებენ აღზრდელ-მასწავლებელს, რომელმაც გამორჩეული კვალი დატოვა მათ ცხოვრებაში.



აი, ასე იხსენებენ მისი აღზრდილები-“გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც მაგალითს გვაძლევენ, რომელთაც შეიძლება მიბადო, ქალბატონი თამარი სწორედ ასეთ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. იგი თავისი მაღალი ზნეობით, ინტელექტით, დიდბუნებოვნებით, სათნოებითა და ტაქტით გვატყვევებდა მოსწავლეებს. სილამაზის, სიკეთისა და სიყვარულის გაკვეთილებით გვზრდიდა, გვწვრთნიდა და გვამზადებდა მომავალი ცხოვრებისათვის.” ბათუმის N2 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი ეთერ ყურშუბაძე იგონებს-“1966 წლის ოქტომბრის თვეში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტურ პრაქტიკაზე ქალაქის N1 სკოლაში (ახლანდელი N2) გაგვანაწილეს. 40-მდე მეშვიდე კლასელი ბავშვი ზარის დარეკვისთანავე მიუსხდა მერხებს. პრაქტიკანტებმაც დავიკავეთ ჩვენი ადგილი და ველოდებით მათემატიკის მასწავლებლის შემოსვლას...და აი გამოჩნდა საოცრად მომხიბლავი ქალბატონი, რომელმაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ნათელი შუბლი, უკან გადავარცხნილი ჭადრაკუბები ნისლშეპარული ნიშანი უდიდესი დარდისა და ტკივილისა, მტკიცედ მოკუმძული თხელი ბაგეები, შავი თავსაფარი, თითქოს მასთან შეზრდილი-ასეთი შემორჩა თამარ კვაჭაძე ჩემს მეხსიერებას. მისი პედაგოგიური სრულქმნილობით გამორჩეული გაკვეთილი დღესაც მახსოვს. ვფიქრობ, რა გამოცდილება ჰქონდა ასეთი, რომ ოთხი ათეული წლის წინათ ჩატარებული გაკვეთილი დღევანდელ მოთხოვნებსაც კი ტოლს არ უდებს. ოთხი ათეული წელია მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობ და ქალბატონი თამარი ჩემი იდეალია როგორც პედაგოგი” (ეთერ ყურშუბაძე ქ. ბათუმის #2 საჯარო სკოლის პედაგოგი, მოგონებები).

თამარ კვაჭაძე დაიბადა 1912 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ეწერში. პედაგოგიურ პროფესიას ჯურყვეთის შვიდწლიან სკოლაში ეზიარა. მაძიებელ პედაგოგს არ აკმაყოფილებდა მიღებული ცოდნა, ამიტომაც 1933 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. სრული

კურსის დამთავრების შემდეგ იგი აჭარაში დამკვიდრდა. აქვე შექმნა ოჯახი. თავისი ბედი ჩვენი კუთხის აღიარებულ პიროვნებას, ცნობილ მეცნიერ-მკვლევარს და საზოგადო მოღვაწეს ხარიტონ ახვლედიანს დაუკავშირა. პედაგოგიური მუშაობა 1937 წლს, ბათუმის N4 საშუალო სკოლაში დაიწყო. შემდეგ N1 სკოლაში (ახლანდელ N2).

გადაიყვანეს, სადაც მუშაობდა პენსიაში გასვლამდე, აქაც ჩვეული შემართებით იღწვოდა და იხარჯებოდა აღსაზრდელების გონებრივი განვითარებისა და ზნეობრივი სრულქმნისათვის. სისტემატურად აწყო კონკურსებს, საუკეთესო წერითი ნამუშევრების გამოფენებს. მიზნობრივად იყენებდა დიდაქტიკურ თამაშობებს. მოსწავლეებში აღძრავდა ზუსტი მეცნიერებისადმი სიყვარულს. მისი აღზრდილები სისტემატურად გამოდიოდნენ საგნობრივ ოლიმპიადებზე, შემოქმედებით კონფერენციებზე და ყოველთვის დიპლომებითა და სიგელებით ახარებდნენ საყვარელ მასწავლებელს. ბევრმა მისმა ყოფილმა მოსწავლემ თავის მომავალ პროფესიად მათემატიკა აირჩია.

1982 წლით არის დათარიღებული მისი ყოფილი მოსწავლის მიხეილ ხვინგიას (ხვინგია მიხეილ ვლადიმერის ძე-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე) წიგნი “მექანიკური რჩევების გამოყენებითი თეორიის საფუძვლები და მანქანათა დინამიკა” “ მორიდებით გჩუქნით ჩემო საყვარელო მასწავლებელო”-აწერია წიგნს.

განათლების და კულტურის მუზეუმში ჩატარებულ თამარ კვაჭაძისადმი მიძღვნილ საღამოზე, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე-თეიმურაზ კომახიძე იხსენებს საყვარელ მასწავლებელს - “ თამარ მასწავლებლის აღზრდის ძირითადი მეთოდი იყო ცოდნა, მოსწავლისადმი დედაშვილური დამოკიდებულება, გაკვეთილების უმაღლეს დონეზე ჩატარება, მოსაწავლისადმი დიდი ყურადღება როგორც სწავლების პერიოდში, ასევე გაკვეთილების შემდეგ. ორი წლის განმავლობაში ის იყო ჩვენი კლასის დამრიგებელი, ამ ხნის განმავლობაში კვირა არ გავიდოდა, რომ სახლში არ მოსულიყო და არ შეემოწმებინა ჩემი სასწავლო კუთხე, გაკვეთილების მომზადების დონე, ჩემი დამოკიდებულება შრომისადმი და ოჯახისადმი. ყოველივე ამას აკეთებდა დიდი ტაქტით. არ შევცდები თუკი ვიტყვი რომ ქალბატონი თამარი ქალი კი არა ანგელოზი იყო. ბოლო წლებში ის ძალიან მოტყდა, მაგრამ ჩემი ბავშვობის სიმპატია და სიყვარული მისადმი იმდენად ძლიერი იყო რომ ჩემი თვალთახედვიდან ის მაინც ყველაზე ლამაზი იყო როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად.”

ქალბატონი თამარი მრავალი წლის განმავლობაში ედგა სათავეში მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებას. პრაქტიკით დამოწმებული, საინტერესო და შინაარსიანი მოხსენებებით თავად არაერთხელ წარსდგა კოლეგების წინაშე, საოლქო და რესპუბლიკურ, სამეცნიერო- პედაგოგიურ კონფერენციებზე.

„განა ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა” - დიდი პოეტის აკაკი წერეთლის ეს სიტყვები ზუსტად ესადაგება ქალბატონი თამარის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მას უსაზღვრო ტკივილი და მწუხარება არგუნა ბედმა. მისი პირველი უსაზღვრო სიხარული, ვაჟი-იზარი წლინახევრისა გარდაიცვალა. ბედმა ეს სიმწარეც არ აკმარა და დედისათვის გამორჩეულად საყვარელი ქალიშვილი- ლიანა, თოთხმეტი წლისა დაეხრჩო ზღვაში. უსაზღვროდ დამწუხრებულ მშობლებს ტკივილის გასაწელებლად და დარდის შესამსუბუქებლად ვაჟი- ჯაბა ეიმედებოდათ. სამწუხაროდ, ისიც 14 წლის ასაკში შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. სიყვარულით გამთბარ ურთიერთპატივისცემაზე აგებულ სანაქებო ოჯახს, როგორც იტყვიან ცა თავზე

ჩამოექცა. თუმცა მეგობრების, კოლეგების, ახლობლების თანადგომამ, ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულმა შეაძლებინა კვლავ დაბრუნებოდა თავის საქმიანობას.

სწორედ თავის აღსაზრდელებს მიუძღვნა თავისი მრავალწლიანი შრომის საგანძური, წიგნი –“პედაგოგიური წრთობის გზაზე” აღზრდის მეცნიერული პრინციპებისა და პედაგოგიური დაკვირვების განზოგადების საფუძველზე განიხილა საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლების საკითხები.წინასიტყვეობაში იგი წერს: “სამწუხაროდ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ერკვევა ამ მეცნიერული დისციპლინის მნიშვნელობაში, ჩვენი საშუალო სკოლის მასწავლებელთა ვალია, გამოვნახოთ ყოველგვარი წამახალისებელი და ინტერესის აღმძვრელი ღონისძიებანი, რომ ბავშვობაში მტკიცედ დავნერგოთ მათემატიკისადმი ღრმა სიყვარული, გზა გავუხსნათ მათ პოტენციურ ნიჭს, სასკოლო პროგრამების საფუძველიანად შესწავლის საქმეში”, წიგნს დღემდე არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკულ-შემეცნებითი ღირებულება. იგი მათემატიკის მასწავლებლებისათვის სამაგალითო წიგნად ითვლება.

ქალბატონი თამარი გატაცებული იყო პოეზიით. ადრეული ასაკიდან წერდა ლექსებს, რომლების თავდაპირველად იბეჭდებოდა სკოლის კედლის გაზეთებში, ხოლო შემდეგ ჟურნალ გაზეთებში.

„საათმა დაჰკრა ცხრის ნახევარი,
მას ბანი მისცა ზარის წკრიალმა,
სკოლა ხმაურობს მოუსვენარი,
ძილი დაუფრთხო ბავშვთა გრიალმა“.

ეს ლექსი ჯერ სასკოლო კედლის გაზეთში გამოჩნდა, ხოლო შემდეგ რესპუბლიურ გაზეთ “მოსაწავლის ხმაში”

ქალბატონმა თამარმა გულში ჩამწვდომი ლექსი უძღვნა საქართველოს სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის ხსოვნას:

„ჩაქრა ნათელი სიცოცხლე,
დადუმდა ნიჭი ელვარე,
მაგრამ ის სული ამბოხი
მაინც ბობოქრობს მღელვარებს.
ტკბილ სიზმარივით გასრულდა
ცხადად შეთხზული ზღაპარი.
სცენას კი მაინც ანათებს
ვით სხივუქრობი ლამპარი,
სიკვდილი მასთან დამარცხდა,
კვლავ დარჩა სცენის დიდება,
მისი ბაჯალლო ღირსება
არასდროს დაიბინდება“. ჟურნალი „ჭოროხი“, 1983 წ. N2.

ქალბატონი თამარი ტკივილით დამძიმებული მაინც მსუბუქად დააბიჯებდა მშობლიურ მიწაზე. რა ავბედობა არ გამოსცადა, მაგრამ მაინც შეინარჩუნა წონასწორობა, საზოგადოებრივი მოღვაწეობის სურვილი და მაინც ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვწოდა და იხარჯებოდა.

გამოხდა ხანი და შვილებზე შავმოყვანილებელ ქალბატონს ერთადერთი იმედიც-ძვირფასი მეუღლე, საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი ხარიტონ ახვლედიანი (1904-1992) გამოეცალა.

ძველ სევდას ახალი დაერთო და ისე დამძიმდა, რომ მისმა დასუსტებულმა სხეულმა ვეღარ ზიდა და რამდენიმე თვეში მრავლის გადამტანმა გულმაც სამუდამოდ

შეწყვიტა ძგერა.იგი 1998 წელს გარდაიცვალა და მთელმა ქალაქმა დაიტირა.მისი ღვაწლი დაფასდა საქართველოს და აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდებების მინიჭებით. ქალაქმა კი სიკვდილის შემდეგ სიყვარულის ნიშნად ბათუმის საპატიო მოქალაქედ აირჩია.ის დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებით,მრავალი მედლით,„სახალხო განათლების წარჩინებულის” სამკერდე ნიშნით, მთავრობის საპატიო სიგელებით და განათლების სამინისტროს დიპლომებით.

მის ტრაგიკულ ცხოვრებას ესადაგება მისივე ლექსი, რომელიც თანაკლასელ გამესა სადარაძეს მიუძღვნა:

„უხემ სიკვდილის მოციქული შავი ლანდები,
შენს ყოფილ სკოლას მწველ ნაღველად გადაეფინა.
დაიწვა გული, განბანილი სევდის მორევში,
ოხ, რა ობლობა ამ სიკვდილით ჩვენ მოგვევლინა“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვაჭაზე თ., პედაგოგიური წრთობის გზაზე, ბათუმი, 1977
2. წულუკიძე ვ., განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი, 2002
3. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1980
4. გაზ. „აღორძინება“, N12-13, 1998





ბათუმის პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი
თამარ კვაჭაძე, გაკვეთილზე მუშვიდე კლასში



ქალბატონი თამარი აჭარის საზოგადო მოღვაწეებთან ერთად

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკები

სიმბოლო, ანუ პირობითი ნიშანი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და რაიმე ცნებას, იდეას გამოხატავს. სიმბოლოები შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. სხვადასხვა ხალხს ნაირ-ნაირი სიმბოლო ჰქონდა. ერთგან ლომი სიმბოლოურად ძალას, ხელისუფლებას გამოხატავდა, მტრედი - მშვიდობას, ფუტკარი - შრომისმოყვარეობას, ნალი - ბედნიერებას, გველი - სიბრძნეს, ღუზა - იმედს, მახვილი - მართლმსაჯულებას და ა.შ. სიმბოლო ერთ ცნებას მეორეთი ხსნის, ამაღლებს, ხაზს უსვამს რომელიმე ერთ თვისებას.

სახელმწიფო სიმბოლოები თავისი ღრმა იდეური შინაარსით, სამშვიდობო პოლიტიკის დაცვით, მიზანსწრაფულობით განსხვავდებიან. ქვეყნის სიმბოლიკები გამოხატავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ხასიათს, სახელმწიფოს სუვერენობას.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველმა საზოგადოებამ დიდი მუშაობა გაშალა ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის. ყველა მიმართულებისა და მიმდინარეობის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა შეიკრა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. გაჩნდა ეროვნული დროშის აუცილებლობა. ეროვნული დროშა უნდა გამხდარიყო ის სიმბოლო, რომელიც ამ ბრძოლაში წაუძღვებოდა ქართველ ხალხს. დამოუკიდებელი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სიმბოლო - დროშა უნდა ყოფილიყო ეროვნული, ქართული ისტორიული ტრადიციებით დატვირთული.

ყოველი ხალხის ცხოვრებაში გამორჩეული სიყვარულით და მოწიწებით სარგებლობს ეროვნული სიმბოლიკის უმთავრესი ნიშანი - დროშა. განსაკუთრებით დიდი იყო მისი მნიშვნელობა მაშინ, როცა ერთი აზრითა და სულისკვეთებით შედუღაბებული ქართველი ერი რწმენითა და იმედით იბრძოდა უპირველესი და უზენაესი უფლების - თავისუფლების დასამკვიდრებლად.

ამ პერიოდში საქართველოში ძლიერი იყო სოციალ-დემოკრატიული (იგივე მენშევიკური) პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის დროშა-პროლეტარიატის სიმბოლო - წითელი იყო. სოციალ-დემოკრატებმა ეს წითელი დროშა ქართველ ხალხს ეროვნულ დროშად შესთავაზეს, მაგრამ ეროვნული საკითხის გადაჭრისათვის ბრძოლაში ეს დროშა სიმბოლოდ ვერ გამოდგებოდა.

1917 წლის სექტემბერში ეროვნული დროშის საკითხი ბჭობის საგანი გახდა. ამ საქმის გადასაწყვეტად შეიქმნა ინტერპარტიული საბჭო. მოიწვიეს საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. საკითხის განხილვის შემდეგ მიიღეს დროშის პროექტი იმ ზომებით, როგორც შემდეგ ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა. დროშის ავტორი იაკობ ნიკოლაძეა. ქართულმა საზოგადოებამ უმაღლესი მიიღო ეს პროექტი და ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლა ამ დროშით წარიმართა.

1917 წლის 19 ნოემბერს ოპერის თეატრში გაიხსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, სადაც პირველად გამოფინეს ეროვნული დროშა. ის აღმართეს ყრილობის სცენაზე და გადმოვიდეს თეატრის აივანზე. ყრილობის ყველა მონაწილეს მკერდზე ეკეთა სამფეროვანი (შინდისფერი, თეთრი და შავი) პატარა ბაფთა. ერთი ასეთი ბაფთა

ქართველი პოლიტიკური მოღვაწის გრიგოლ გველესიანის ვაჟის პროფესორ ლევან გველესიანის ოჯახში ინახება.

1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გამოცხადდა, ქართული ეროვნული დროშა მთავრობის სასახლეზე აღიმართა. ამავე წლის სექტემბერში ეროვნულმა საბჭომ განიხილა ეროვნული დროშის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად გამოცხადების საკითხი. მომხსენებელმა ეროვნული საბჭოს ხელოვნების კომისიის თავმჯდომარემ კოტე მაცაშვილმა თქვა: „რა თქმა უნდა, ეს დროშა არის ერთგვარი კომპოზიცია, მაგრამ რადგანაც ეს დროშა იყო გაშლილი შარშან ნოემბერში ეროვნულ ყრილობაზე, რადგან ამ დროშის ქვეშ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და გარდა ამისა ეს დროშა უკვე მოინათლა ბრძოლის ცეცხლში, ამგვარად იქცა ისტორიად და ახლა ვალდებული ვართ, რომ კანონით დავაკანონოთ მისი არსებობა“ (გაზ. „ სამშობლო ” N 14. 1989)

სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას იმის გამო, რომ შინდისფერი იგივე წითელი იყო. ხოლო ესერებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. ესერების პარტიული დროშა ასევე წითელი იყო.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ შესაბამისი კანონი მიიღო - კანონი საქართველოს რესპუბლიკის დროშისა, რომელშიც ნათქვამი იყო: 1. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელი (შვინდისფერი) შავი და თეთრი ფერისა. 2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (შვინდისფერისა) შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან: შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს.

1918 წ. 10 სექტემბერი საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე - ნ.ჩხეიძე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე - ნ.ჟორდანია.

მას შემდეგ რაც ეროვნულმა საბჭომ ქართული დროშა სახელმწიფო დროშად გამოაცხადა, ის კვლავ აღმართეს მთავრობის სასახლის თავზე. მენშევიკების სახალხო გვარდიელებმა ეს დროშა ჩამოხსნეს და მის ნაცვლად თავიანთი პარტიული დროშა აღმართეს. ამას ქართველი საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვა.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის შვინდისფერი ალამი შავი და თეთრი ზოლით“. (მუხლი მეხუთე).

დიდხანს ქართველების უმეტესობას წარმოდგენაც არ ჰქონდა თავისი თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის წმინდათაწმინდა სიმბოლოზე და როცა თბილისის ქუჩებში თეთრი, ჩალისფერი და სამფეროვანი ბაირალები აფრიალდა, მომეტებული სიყვარული მაინც სამფეროვან შვინდისფერ დროშას ერგო. შინდისფერ ფონზე ზედა კუთხეში გამოსახული შავი და თეთრი ზოლების სიმბოლურ მნიშვნელობაზე ალბათ ბევრი დაფიქრებულა. მეწამული ფერი იმ სისხლზე ღაღადებს, მრავალ დამპყრობთან და მოძალადესთან გამართულ აურაცხელ ომებში ჩვენს მამა-პაპას რომ დაუღვრიათ. შავ და თეთრ ზოლებში ის სიმართლეა გაცხადებული, რომლითაც ჩვენი წარსული ხან ბნელად იქუფრებოდა, ხან კი იშვიათად, მაგრამ მაინც ნათდებოდა. შავი ფერი გლოვასაც უნდა გვახსენებდეს და ქმარშვილშეწირული ქართველი დედის ლეჩაქის ხატებაც უნდა იყოს. თეთრი ფერი კი რწმენას ნიშნავს - თავისუფლების მოყვარე ქართველი ერის ნათელი მომავლის მტკიცე რწმენას. (გაზ.

სამშობლო „მამული“ ნ. ნონიაშვილი „დროშა ქართული“ N 1990). ეს დროშა აცისკროვნებდა დამოუკიდებელი საქართველოს ცას 1007 დღის განმავლობაში.

დროშასთან ერთად სახელმწიფოს სიმბოლოა გერბი. სიტყვა „გერბი“ გერმანული წარმოშობისაა და ნიშნავს მემკვიდრეობას. ეს არის სახელმწიფოს ოფიციალური ემბლემა, რომელიც გამოხატავს მის სუვერენულ უფლებებს.

საქართველოს თითოეულ სამთავროს თავისი გერბი ჰქონდა. ქართლის გერბი იყო ლომი და ხარი, რომელთა გამოსახულებას ვარსკვლავთა შარავანდედი ადგა. სვანეთისა - დათვი მთების წინ, ოდიშისა - ტახტი, რომელსაც წინა ფეხებში დროშა უჭირავს და დროშაზე გამოსახულია ოთხი ვარსკვლავით გარემოსილი თეთრი ფრინველი; გურიის გერბი იყო შველი მის ზემოთ მნათობით, იმერეთისა - ირემი რქებშია ჯვართ, ჯვარს ზემოდან ახალი მთვარე და ცენტრში წითელი გვირგვინით და ა.შ. თავისი გერბი ჰქონდა ყოველ ქართველ თავადს.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გერბი 1918 წელს მიიღო - მაშინდელი ქართველი საზოგადოების აზრით ეს ემბლემა გამოხატულება უნდა ყოფილიყო ისტორიული ტრადიციის, მემკვიდრეობის, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ძველი საქართველოს, მისი ისტორიის, მრავლასაუკუნოვანი ქართული ტრადიციების გამგრძელებელი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ეროვნულ საბჭოზე გერბის შესახებ მომხსენებელი კვლავ კოტე მაყაშვილი იყო. მისი თქმით, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა აზრით გერბის გამოსახულება უნდა ყოფილიყო „საქართველოს სპეტაკი რაინდი „თეთრი გიორგი“. სოციალ-დემოკრატთა ერთმა ჯგუფმა უარყო თეთრი გიორგი. მათი აზრით თეთრი გიორგის ნაცვლად განთავისუფლებული ამირანი უნდა ყოფილიყო გამოსახული, რადგანაც ვერ შეთანხმდნენ, გამოცხადდა კონკურსი.

1918 წლის 5 აგვისტოს ეროვნული საბჭოს ხელოვნების კომისიის სხდომაზე, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილიც ესწრებოდა, ვრცელი, დასაბუთებული მოხსენებით გამოვიდა ივანე ჯავახიშვილი და კვლავ დაადგინეს, რომ ქართულ გერბზე თეთრი გიორგის გამოსახულება უნდა ყოფილიყო შვიდი მნათობით. შვიდი მნათობი ლეონტი მროველიდან მოდის: „დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი...და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონი... და უბრძანა ალექსანდრემ აზონს, რათა პატივს ცემდნენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა“.

ხელოვნების კომისიამ დაასაბუთა, რომ თეთრი გიორგი ქართველი ხალხის ქრისტიანობამდელი ღვთაება იყო და მას თავზე შარავანდედი ადგას. გერბზე გამოსახული შვიდი მნათობიდან მზე და მთვარე განსხვავებული სიდიდისა უნდა ყოფილიყო. ეს მნათობები შუა საუკუნეების საქართველოს დროშებზე და სხვა რეგალიებზეც იყო გამოსახული. როგორც ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიაში სწერია, გერბზე შვიდი მნათობის გამოსახულება იქნებოდა შვიდი „მთავარი თემისა და სამმართველოს“ გამოსახულება. ქართველ მეფეთა ტიტულიც ხომ ასეთი იყო - მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა. აქვე იყო ნათქვამი, რომ მთვარის გამოსახულება ნიშნავდა შეერთებულ საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოს.

საკონკურსო პირობებში ნათქვამი იყო, რომ გერბზე გამოსახული უნდა ყოფილიყო თეთრი გიორგი ცხენზე მჯდარი, გველეშაპით. გერბის ღერძი შესრულებული უნდა ყოფილიყო ქართულ სტილში. კონკურსში გაიმარჯვა ცნობილმა მხატვარმა იოსებ შარლემანმა, რომელიც ქართველების სიძე იყო. (მასვე მიეწერება შემდეგში ევგენი ლანსერესთან ერთად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის გერბის

შექმნაც). შარლემანის საკონკურსო პროექტი საქართველოს სახელმწიფო გერბად დააკანონეს. ასე მიიღო ეროვნულმა კრებამ „კანონი საქართველოს გერბისა“, სადაც ნათქვამი იყო: 1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს თავისი ღერბი. 2. ღერბად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობითა.

1918 წლის სექტემბრის 20

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე - ნ.ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე - ნ.ჟორდანი

საქართველოს რესპუბლიკის გერბის აღწერილობა კი ასეთი იყო: შვინდისფერ ადგილიან რგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ოქროს ჩლიქებიან თეთრ ცხენზე. მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი. ცისფერი ჯავშანი, რომელზეც აქვს ვერცხლის უჯრედები, ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი. სახელო და ბოლო მოსასხამისა თეთრი. მარცხენა მხარზედ თეთრი ფარი სახიანი, შალვარი ალისფერი, ოქროს წაღები. უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი, უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლისა. ღერბის თავში რვაკუთხედიანი ვერცხლის ვარსკვლავია, მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე, მთვარისა და მზის აქეთ-იქით ორ-ორი რვაკუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი. ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია თეთრწინწკლებიანი ოქროს ზოლებში ჩასმული. კანონი გერბის შესახებ ძალაში შევიდა დღიდან მიღებისა 1918 წლის დეკემბრის 27-ს (გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“ 1990 წ. N57).

სახელმწიფო სიმბოლოდ ითვლებოდა აგრეთვე მთავრობის შტანდარტი. საქართველოს პარლამენტის ხელოვნების კომისიამ შეიმუშავა შტანდარტის პროექტი, რომელიც უკამათოდ იქნა მიღებული კანონად, სადაც ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი შედგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის გერბი. შტანდარტს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია, შავი კუწუბებით შიგნითა მხრიდან. არშიას გარს არტყია ოქრომკედით ამოქარგული ქართული სირმა, ანმა არის სამფეროვანი. ვიწრო ზოლები - შავი და თეთრი, მომცრო ზოლები - შვინდისფერი. ეს კანონი ძალაში შევიდა დღიდან მისი მიღებისა. 1918 წლის 27 დეკემბერს.

დროშასა და გერბთან ერთად სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოს წარმოადგენს სახელმწიფო ჰიმნი, რომლის შექმნის ტრადიცია შედარებით ახალგაზრდაა.

ჰიმნის საკითხი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე 1918 წელს დაისვა. ჰიმნების სპეციალურ კონკურსში გაიმარჯვა ქართველი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის საგუნდო ნაწარმოებმა „ღმერთო, ღმერთო“, რომელიც ქართული პროფესიული მუსიკალური შემოქმედების ოქროს ფონდში შევიდა.

ცოტა მოგვიანებით, 1918 წლის 2 ივნისს გაზეთ „საქართველოში“ „გურჯის“ ხელმოწერით გამოქვეყნდა „დიდება“ რომლის სიტყვებიცა და მუსიკაც ეკუთვნოდა კოტე ფოცხვერაშვილს. იგი იყო ჩვენი ეროვნული საუნჯის მოამაგე და პოპულარიზატორი. ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სიყვარულით აგროვებდა ქართული ხალხური სიმღერის ნიმუშებს.

„სადიდებლად ქართველი ერისა, იჟღერეთ, სიმნო ოქროისანო!“ - ეს სიტყვები წამმღვარებული აქვს ეპიგრამად ქართულ ეროვნულ ჰიმნს, რომელიც კოტე ფოცხვერაშვილმა მიუძღვნა დამოუკიდებელ საქართველოს. ამ ჰიმნის ტექსტი ასეთია:

„დიდება ზეცით კურთხეულს

დიდება ქვეყნად სამოთხეს

ტურფა ივერსა,
დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა.
დიდება ჩვენსა სამშობლოს
დიდება ჩვენის სიცოცხლის
მიზანს დიადსა.
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს
ვაშა შვებასა, სიხარულს
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა“.

1918 წლის 26 ივნისს ოფიციალურად კონკურსის გარეშე სახელმწიფო ჰიმნად აღიარებულ იქნა „დიდება“. 1919 წლის 26 მაისის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა: „...ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობას თავიდანვე ჰქონდა თავისი სამუსიკო ამოძახილები...საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე უკვე ქალაქში დაიწერა ქართველი ხალხის საჰიმნო ამოძახილებიდან შეზავებული ქართული ეროვნული მუსიკა, შესაფერისი სიტყვიერი თარგმანით. ამიერკავკასიის რესპუბლიკის გამოცხადების დღეს ეს ჰიმნი შესრულებული იქნა მრავალრიცხოვანი ხალხის წინაშე და იმთავითვე იგი დამსწრე საზოგადოებამ ისე მიიღო, როგორც აღფრთოვანებული საგალობელი. ამავე ჰიმნით მიეგება ჩვენი ერი საქართველოს განთავისუფლებას. იგი დიდი ზეიმით შესრულდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების დღეს 1918 წლის 26 მაისს ქ.თბილისში.

ერთი თვის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ეს საგალობელი ქართულ ეროვნულ ჰიმნად სცნო და შესრულებული იქნა შვიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე სხვა ერთა ჰიმნის თანასწორ“.

„დიდება“ პირველი შესრულებისთანავე აიტაცა საზოგადოებამ, მაგრამ მისი გუგუნე მალე შეწყდა. ახალი დროის მთავრობამ აკრძალა „მენშევიკური ჰიმნი“. თავად კოტე ფოცხვერაშვილი სასწაულებრივად გადაურჩა რეპრესიებს და როგორც ჰიმნის ავტორი სიცოცხლის ბოლომდე დამნაშავედ ითვლებოდა. ასევე რეპრესიული ზემოქმედება განიცადა შემდგომში მთელმა მისმა შემოქმედებამ. იგი 1959 წელს გარდაიცვალა.

„დიდება“ არ დაივიწყეს ქართველმა ემიგრანტებმა. მათი შთამომავლობა ამ ჰიმნით იწყებდა ყველა საზეიმო თუ სამგლოვიარო თავყრილობას. „დიდება“ მთელ ევროპაში, და არა მარტო ევროპაში, ითვლებოდა ქართულ ეროვნულ ჰიმნად.

1919 წლის დასაწყისში შედგა კომპოზიტორთა საგანგებო კომისია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ თბილისის კონსერვატორიის დირექტორი თეორეტიკოსი ნ.ჩერეპნინი, თეორეტიკოსი გრანელი,სამხედრო ინსტრუმენტოვკის მცოდნენი გონსიორსკი, გონელი, თვით კ.ფოცხვერაშვილი და სხვანი. ამ კომისიამ საბოლოოდ გადაამუშავა ახალი ინსტრუმენტოვკა გაუკეთა და იგი ამ სახით ხუთასი მომღერლისა და სამასი დამკვრელის ანსამბლით შესრულდა. საქართველოს განთავისუფლების ერთი წლის თავზე დამფუძნებელი კომისიის დადგენილებით. გაზ. „სამშობლო“ N14, 1990 წ.).

ჰიმნი შეიძლებოდა შესრულებულიყო როგორც გუნდურად, ისე საკრავიერად. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალმა ჰიმნმა ვერ მოიპოვა ქართული მუსიკალური, და არამარტო მუსიკალური, საზოგადოებრივი აღიარება. როგორც ჩანს ეს იყო მიზეზი, რომ

ეროვნული ჰიმნის ფუნქციას ხალხში ხშირად ასრულებდა ანდრია ყარაშვილის „სამშობლო“.

მიუხედავად ამისა, კოტე ფოცხვერაშვილის „დიდება“ მნიშვნელოვანი ფურცელია საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ისტორიაში, როგორც პირველი ქართული ოფიციალური სახელმწიფო ჰიმნი. (უ.სიდამონიძე - საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლიკა გაზ. „სამშობლო“ N14. 1989).

დამოუკიდებელი საქართველოს ხანმოკლე ისტორიის პერიოდში ეროვნული ჰიმნისათვის ტექსტის შექმნაში მონაწილეობა აკაკი შანიძესაც მიუღია. 1917 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულია მისი ავტორობით დედაქალაქში გამოქვეყნებული „ქართული ეროვნული ჰიმნი“ რომელიც 8 სტროფისაგან შედგება. იგი მეტად გულში ჩამწვდომი და თითოეული ქართველისათვის შეგონების სიტყვებითაა გამჯდარი:


„აბა ფხიზლად ქართველებო! მივეყვით მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა,
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშრობთ გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!“
სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია როგორც ერსა
მრავალ შავს დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა
უსიკვდილოდ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა,
გვიმღერია, კვლავაც ვიმღერთ ჩვენს ტკბილ მრავალჟამიერსა“...
(გაზ. „წიგნის სამყარო“ N 5. 1919.)

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკებმა ცვლილება განიცადეს საბჭოთა პერიოდში და შემდგომ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისას. სიმბოლიკებს უდიდესი დატვირთვა აქვს ქვეყნის წინსვლაში. დროშის, ასევე ჰიმნის, როგორც სახელმწიფოს სიმბოლოს ფუნქციასა ერთიან იდეების გარშემო შეკრებას.

ჰერალდიკაში, ზოგადად, მიჩნეულია, რომ ქვეყნის სასიკეთო მოქმედებები, წინსვლა, პროგრესი დიდად არის დამოკიდებული სწორად შერჩეულ სახელმწიფო სიმბოლოებზე.

გამოყენებული ლიტერატურა


1. ნონიაშვილი ნ., დროშა ქართული, გაზ. „მამული“
2. ჟორდანიანი ი., მუსიკისმცოდნის კომენტარი, გაზ. „სამშობლო“, N14, თბ., 1989
3. სიდამონიძე უ., საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლიკები, გაზ. „სამშობლო“, N14. თბ., 1989
4. შანიძე აკ., ქართული ეროვნული ჰიმნი, გაზ. „წიგნის სამყარო“, N 5, თბ., 1991
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N114, თბ., 1919
6. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, N57-58, თბ., 1990
7. გაზ. „სახალხო განათლება“, 24 მაისი, თბ., 1989
8. გაზ. „სამშობლო“ N14, თბ., 1989
9. გაზ. „წიგნის სამყარო“ N5, თბ., 1991



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დროშა



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი



ამ ჰიმნით მიეგება ქართული ერი საქართველოს განთავისუფლებას 1918 წლის 26 მაისს

დიდება

მუსიკა და ტექსტი კონკრეტული



დი დე ბა ზე ცით კურ თხე ულს დი დე ბა ქვეუ ნად სა მო თხეს
ტურ ფა ი ვერ სა დი დე ბა მხო ბას ერ თო ბას დი დე ბა თა
ვი სუფ ლე ბას დი დე ბა სა მარ დი სო ქა რთველ მხნე ერ სა

ქართული ეროვნული ჰიმნის მუსიკალური ტექსტი

შოთა ხოლუაშვილი

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი 100 წელზე მეტ წელს ითვლის და თავისი არსებობის მანძილზე უკვე 180 000-ზე მეტი ექსპონატის მფლობელია, ამათგან 110-ზე მეტი ავტორის 300-მდე მხატვრული ტილო, გრაფიკა, ქანდაკება, გობელენი, ჭედური, დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებია. ეს ყველაფერი წლების მანძილზე მუზეუმში სხვადასხვაგვარად გროვდებოდა. იქმნებოდა ჯგუფი, რომელიც მივლინებით გადიოდა რეგიონებში და ასე აგროვებდნენ ექსპონატებს, ხდებოდა ადგილზე შექმნა, ავტორების მიერ ჩუქება, აგრეთვე აქ არის ნამუშევრები, რომლებიც გადმოცემულია კულტურის სამინისტროდან და მხატვართა კავშირიდან. მხატვართა კავშირი წელიწადში ერთხელ აწყობდა გამოფენა-შესყიდვას, რომელიც შემოდგომაზე იმართებოდა და მას „საშემოდგომო გამოფენა“ ერქვა. ეს გამოფენა მთლიანად ჟიურის მიერ შერჩევით და შესყიდვით ეწყობოდა.

მუზეუმში დაცულია ძირითადად XX საუკუნის 20-60-იანი წლების მხატვრების ნამუშევრები, მათ შორის არის დიმიტრი პოხომოვი, მარიამნა სტოლპნიკოვა, მამუდ ბოლქვაძე, ოლღა ჩაჩუა-სელეზნიოვა, ვლადიმერ სელეზნიოვი, გრაჩ სერენიანი, ვართან ჩიზმენჯიანი, ვლადიმერ ილუშინი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, უჩა ჯაფარიძე, შოთა ზამთარაძე, დურსუნ ინაიშვილი, ანტონ ფილიპოვი, შოთა ხოლუაშვილი და სხვები.

შოთა ხოლუაშვილი (1921-2002 წ.წ.) იყო აჭარაში ერთადერთი სახალხო მხატვარი, მისი შემოქმედებიდან მუზეუმი ფლობს 19 ნამუშევარს. ზოგი ავტორის მიერ არის ნაჩუქარი, ზოგი მხატვართა კავშირის მიერ გადმოცემულია, ზოგი მუზეუმს აქვს შესყიდული და ზოგიც რევოლუციის მუზეუმის დახურვის შემდეგ არის გადმოტანილი.

შოთა ხოლუაშვილის მხატვრული ტილო „ბნელეთის დასასრული“ პირველია, რომელიც მუზეუმში შემოვიდა. მასზე ასახულია ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ, ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს ეს განუყოფელი კუთხე იმყოფებოდა ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ. ნაჩვენებია ქართული სული, რომელიც არც მიწა-წყალს და არც სარწმუნოებას თმობს ასე ადვილად.

შოთა ხოლუაშვილის შემოქმედებაში ძირითადად ისტორიული ჟანრია ასახული. „1921 წელი ჭარაში“, „მიტინგი“, „სულხან-საბა ორბელიანი გონიოში“ „შოთა რუსთაველი თამარის ფრესკასთან“, „პროკლამაციების აწყობა“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, „გაზეთის რედაქციაში“, „ბნელეთის დასასრული“ და ასე შემდეგ.

იმ პერიოდში ძირითადად დიდ ტილოებზე ხატავდნენ, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთს ტილოს სიდიდეშიც ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დიდი ტილოზე იტყოდა სათქმელს ისე, რომ არც პროპორციები დარღვეულიყო და არც შინაარსი.

ბატონი შოთა ერთი უბრალო, ალალი, მომთხოვნი, კეთილი, პატიოსანი, უდიდესი პიროვნება და ხელოვანი იყო. 2000 წელს ბათუმში ლადო გუდიაშვილის სახელობის მხატვრის სახლში პერსონალური გამოფენა მოაწყო, ამ გამოფენაზე რა თქმა უნდა მოწვეული ჰყავდა ხელმძღვანელობაც, ბატონი შოთა გამოფენამდე ერთი წლით ადრე ნაავარიები იყო და მარცხენა ფეხი ტრავმირებული ჰქონდა, ამიტომ ტროსტით დადიოდა, ფეხი ისე მძიმედ ჰქონდა დაზიანებული, რომ ექიმებს მისი ამპუტაცია ჰქონდათ გადაწყვეტილი და თვითონ უარი განაცხადა. „ნაწილ-ნაწილ არ ვაპირებ წასვლას მიწაშიო განუცხადა ექიმებს, თუ წასასვლელი ვარ მთლიანად წავალო“,

(ტროსტი, თეთრი ცილინდრი და კრემისფერი ლაზადა- ეს მისი პორტრეტია.) გაამართლა მისმა ამ გადაწყვეტილებამ, მაგრამ ხელჯობიც კი ესირცხვილებოდა რომ ჰქონდა და მითხრა: „ინგა, შვილო, ბატონი ასლან ახამიძე რომ შემოვა, მე ხელჯობს გადმოგცემ და დამალეო“. მართლაც ბატონი ასლანი რომ შემოვიდა, ჩუმად გადმომცა ტროსტი და ისე შეეგება მეთაურს, დაათვალიერებინა გამოფენა, თან უხსნიდა, თუ როდის, როგორ, და რატომ დაწერა ესა თუ ის სურათი, სუფრაც ჰქონდა მისაღებ ოთახში გაშლილი. დაალოცინა გამოფენა, გააცილა და რომ დაიგულა დარბაზში მხოლოდ ჩვენ ვიყავით, დაიძახა სკამიო, მივედი, ვუთხარი: „ბატონო შოთა, თქვენ ეს ხელჯობიც უფრო სიმპათიურს გხდით და რატომ დაიტანჯეთ თავი, რამოდენიმეჯერ მოვედი, შეგატყვევთ რომ გიჭირდათ და ხელჯობი არ გამომართვით, რას ერჩოდით საკუთარ თავს მეთქი“ მან კი მიპასუხა: „ხომ მაინც დავათვალიერებინე გამოფენა ამ საზიზღრობის გარეშეო“.

ასეთი პრინციპული და უკადრისიც იყო, ამ გამოფენისათვის ერთ-ერთმა ხელოვნებათმცოდნემ გამოართვა მისი დოკუმენტები საგაზეთო რეცენზია უნდა დაწერო შენზეო, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ რომ მოჰკითხა რა ჰქენი დოკუმენტები მაინც დამიბრუნეო, შეეკითხა: „რა ღირს თქვენი ნამუშევრებით, უპასუხა მაგალითად ეს ნამუშევარი „ნიკო ფიროსმანი თავის დაბადების დღეზე“ 2000 დოლარად შეისყიდა მთავრობამ, ხოლო, ჩემი წერილებიც იწყება 100 დოლარიდან, შემიძლია 10 დოლარიანი დაწეროო“.გაოგნდა ბატონი შოთა, რა უნდა ეპასუხა არ იცოდა, მხოლოდ საბუთების დაბრუნება თხოვა...მივედი ვუთხარი, „ბატონო შოთა, თუ კი ნებას დამრთავთ, მე გავაკეთებ რეცენზიას, მაგრამ მანამ ჩემი რეცენზია ნანატრი ჩიტიშვილზე უნდა წაგაკითხოთ, თუ მოგეწონებათ, მე დაწერ რეცენზიას მეთქი“, მიპასუხა: „ინგა, ჩემო კარგო, იცი რამდენი დაწერილა ჩემზე და რამდენი თქმულა? მე რეკლამა არ მჭირდება, უბრალოდ მთხოვა დოკუმენტები მიმეცა და სურდა ჩემზე წერილის გაკეთება, უბრალოდ ხელი არ შევუშალეო, არ მჭირდება მაგ რეცენზიის წაკითხვა, თუ გასურს გადმოგცემ ჩემს დოკუმენტებს და დაწერეო“. მე დავიჯინე: არა, ისე არ დაწერ თუ კი ამას არ წაიკითხავთ მეთქი და მივეცი გაზეთი, წაიღო. მეორე დღეს დილით დამხვდა და მითხრა : მე უკვე გავალებ რომ გააკეთო ჩემზე რეცენზია, აი დოკუმენტები, კატალოგები და აგერ ვარ მე მკითხე რაც გინდაო. დავიწყე კატალოგის დათვალიერება, ვხედავ სურათს, სადაც რამოდენიმე ჯარისკაცი ფეხზე დგას, რამოდენიმე ჩაცვუქულია და ერთს ხელში წერილი უჭირავს და კითხულობს, სურათს „მამები“ ჰქვია. გამახსენდა, რომ სრულიად ახალგაზრდა სამხატვრო აკადემიის პირველ კურსდამთავრებული ომში მოხალისედ წავიდა და ვეკითხები: ბატონო შოთა, ომში ყოფნის დროს მამა ხომ არ გამხდარხარ მეთქი, დახედა სურათს და მითხრა: არა შვილო, ამ სურათზე ჩემი მამის წერილს ვკითხულობ, ომში რომ ვიყავი ვთხოვე აკადემიაში მისულიყო, რაღაც დოკუმენტები შეეგროვებინა და გამოეგზავნა.... მანდ მამის წერილს ვკითხულობ, რომელიც ასე იწყებოდა“ არ გეგონოს შვილო ამ წერილს სადმე წვიმაში ვწერდე ეს ჩემი სიხარულის ცრემლებია, რომ მივედი აკადემიაში შენი სურვილის შესასრულებლად, ისე კარგად მიმიღეს და დაგახასიათეს, რომ სიხარულის ცრემლებს ვაყოლებ ამ წერილსო, ჰოდა ამ წერილს ვუკითხავ ჩემს მეგობრებსო და მეც ჩემს რეცენზიაში ეს სურათი განვიხილე და ეს ამბავი მოვუყევი ჩემს მკითხველებს, გაზეთის დაბეჭდვის მეორე დღეს შემიყვანა დარბაზში ერთ-ერთ სურათთან „განდაგანა“ და მითხრა: მე ეს ამბავი არავისთვის არ მომიყოლია, მაგრამ არავის მოუცია ჩემთვის შანსი, რომ მამისთვის მადლობა გადამეხადა ამ წერილისთვის, შენ კი ამდენი წლის შემდეგ მე ეს ვალი გადამახდევინე და და ამ სურათით, რომელიც 1970 წელს არის დაწერილი, ეს არის

პირველი პირი, ეს ის დროა, როდესაც პირველი ფესტივალი ჩატარდა საქართველოში, ამის დიდი ტილო მოსკოვში გამოფენაზე რომ გავიტანე, რომელიღაც საზღვარგარეთის მუზეუმს შეუსყიდია, იცოდე, ამას უფრო მეტი ფასი აქვს იმიტომ, რომ ნატურიდანაა შესრულებული და მინდა შენ გადმოგცე და გაჩუქო მადლობის ნიშნად.

ჩემთვის ეს მართლაც დიდი საჩუქარი იყო და დღესაც ამშვენებს ჩემი სახლის კედლებს.




შოთა ხულუაშვილი. ბნელეთის დასასრული
ტილო, ზეთი. 157 x 257 სმ.



შოთა ხულუაშვილი
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება
ტილო, ზეთი. 120 x 180 სმ.



შოთა ხულუაშვილი
სულხან-საბა ორბელიანი გონიოში
ტილო, ზეთი. 180 x 140 სმ.



შოთა ხულუაშვილი
შოთა რუსთაველი თამარის ფრესკასთან
ტილო, ზეთი. 240 x 140 სმ.



შოთა ხოლუაშვილი. "განდაგანა", მუყაო, ზეთი. 30 x 40 სმ.

აჭარის მუზეუმის ღონისძიებათა დაიჯესტი – 2017 წელი

- 25 იანვარი - ქ. ბათუმის 25-ე საჯარო სკოლის მე-9 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 10 თებერვალი - ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „წითელფიგურული კრატერი და ბერძნული მითოლოგია“ (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 13 თებერვალი - ქ. ბათუმის მე-7 საჯარო სკოლის მე-9 ბ და მე-9 გ კლასების მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გმირი მამულიშვილები“ (პროგრამის ხელ-ლი ლ. ჯაყელი).
- 15 თებერვალი - ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 გ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „წითელფიგურული კრატერი და ბერძნული მითოლოგია“ (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 15 თებერვალი - ქ. ბათუმის 25-ე საჯარო სკოლის მე-5 ა კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 23 თებერვალი - ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში ჩატარდა ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმისა და აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის ერთობლივი ღონისძიება „მომავალს გავაცნოთ წარსული“.
- 24 თებერვალი - საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კონფერენცია ქ. ბათუმის მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით.
- 24 თებერვალი - ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში აჭარის ა.რ. განათლებისა და სპორტის სამინისტრომ და აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმმა მოაწვეეს გრაჩ სეჩენიანის საიუბილეო პერსონალური გამოფენა.
- 1 მარტი - ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-8 დ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვარი და ნატურმორტი“ (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 1 მარტი - ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-8 დ კლასის მოსწავლეებთან (II ჯგ.) განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვარი და ნატურმორტი“ (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 1 მარტი - ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-8 დ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში“ (პროგრამის ხელ-ლი ს. კოხობე).
- 2 მარტი --ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე- 7 დ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვარი და ნატურმორტი“. (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია.)
- 2 მარტი - ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-7 დ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში“. (პროგრამის ხელ-ლი ს. კოხობე.)
- 3 მარტი - შპს „აჭარა თრეიდიგ და ტურიზმი“-ში მოეწყო გამოფენა-გაყიდვა-საღამო თემაზე „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები დედებს ულოცავენ დედის დღეს“.
- 7 მარტი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა ლიტერატურულ- მუსიკალური საღამო _“დედის დღე და გაზაფხული ერთად მომილოცნია“.

- 7 მარტი - ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ მოაწყო გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის, ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმისა და აჭარის ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ერთობლივი ღონისძიება „ქალის სურნელი“.
- 9 მარტი - საბავშვო ბაღის „მადაგასკარის“ აღსაზრდელებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „პირველად მუზეუმში“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 10 მარტი - გაიმართა სამუშაო შეხვედრა აჭარის განათლების ფონდისა და მუზეუმის წარმომადგენლებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გეგმის შემუშავების მიზნით.
- 15 მარტი - ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვარი და ნატურმორტი“ (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 21 მარტი- მოეწყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების „ტრადიციული სამოსი აჭარაში“ და „ოქრომრავალი კოლხეთი“ განხილვა.
- 23 მარტი - ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ, ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურმა მუზეუმმა და აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმმა მოაწყვეს გამოფენა „ეთერში ვართ“.
- 30 მარტი - მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამის „ტრადიციული სამოსი აჭარაში“ პრეზენტაცია.
- 3 აპრილი - შპს „მეგასკოლის“ მე-2 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 5 აპრილი - ჩაატარდა ეროვნული გმირის, ისტორიკოსის, საზოგადო მოღვაწის, პროფესორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის წმიდა ექვთიმე ღვთისკაცისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.
- 6 აპრილი - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ მე-3 ე კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი“.
- 12 აპრილი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ერთობლივი ღონისძიება - დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.
- 12 აპრილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კაპრეშუმის საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „წითელფიგურული კრატერი და ბერძნული მითოლოგია“ (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 13 აპრილი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ქ. ბათუმის N 1 საჯარო სკოლასთან ერთად ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო – „ქართული მარტო ენაა?!“.
- 20 აპრილი - ფერიის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 21 აპრილი- ქ. ბათუმის მე-6 საჯარო სკოლის მე-4 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 22 აპრილი - ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თემაზე: „გლობალური ეკოლოგიური პრობლემები“.

- 27 აპრილი - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისათვის მოეწყო საიუბილეო გამოფენა „ფონდში დაცული საეკლესიო სამოსელი და ნივთები“.
- 28 აპრილი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში აჭარის მუზეუმისა და ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ-ინტერნაციონალის“ ორგანიზებით მოეწყო ზურაბ გორგილაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
- 1 მაისი - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის I ე კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 2 მაისი - სკოლა „ნიკეს“ მე-3 გ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“ (პროგრამის ხელ-ლი ლ. ჯაყელი).
- 4 მაისი - ქობულეთის რ-ნის ლევას N1 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 11 მაისი - ქ. ბათუმის 30-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 12 მაისი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა ელიაძეების საგვარეულო საზოგადოების შეხვედრა.
- 16 მაისი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში მოეწყო აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მოსწავლეების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.
- 16 მაისი - მუზეუმების კვირეულის ფარგლებში მუზეუმისა და ბათუმის მოსწაღე-ახალგაზრდობის სასახლის ორგანიზებით ჩატარდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიება „მუზეუმი ჩვენი წარსული“.
- 17 მაისი - მუზეუმების კვირეულის ფარგლებში მუზეუმისა და აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება „ფოლკლორის დღე მუზეუმში“.
- 18 მაისი - მუზეუმების კვირეულის ფარგლებში ქ. ბათუმის 25-ე საჯარო სკოლის მე-5 და მე- 9 კლასების მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო მხატვარ გურამ გუჯაბიძის ნამუშევრების გამოფენა.
- 19 მაისი - მუზეუმების კვირეულის ფარგლებში მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამის „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“ პრეზენტაცია.
- 22 მაისი - მოეწყო ფოტოგამოფენა „22 მაისი ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე“.
- 23 მაისი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.
- 23 მაისი - ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ერთობლივი სტუდენტთა კონფერენცია თემაზე: „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა“.
- 27 მაისი - აქციის „ღამე მუზეუმში“ ფარგლებში ჩატარდა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „არგონავტები“. გაიმართა რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი.
- 25 მაისი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ქართულ-ფრანგული სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა მინი სპექტაკლი „საქართველოო ლამაზო“.

- 30 მაისი - ქ. ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის მე-6 ბ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი ისტორიაში თემაზე „ქართული მუზეუმების სათავეებთან“, რომლის მსვლელობაში „სკაიპის“ გამოყენებით ჩართული იყო და მონაწილეობდა მუზეუმის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამების ხელმძღვანელი რუსუდან კობრავა.
- 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო ბავშვების მიერ საგანმანათლებლო პროგრამებისას შესრულებული ნამუშევრების გამოფენა.
- 1 ივნისი - სკოლა „არილის“ მე-3 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“ (პროგრამის ხელ-ლი ს. კობოძე).
- 1 ივნისი - ქ. ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 1 ივნისი - ქ. ბათუმის 1-ლი საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გმირი მამულიშვილები“ (პროგრამის ხელ-ლი ლ.ჯაყელი).
- 1 ივნისი - ქ. ბათუმის მე-4 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“ (პროგრამის ხელ-ლი ლ. ჯაყელი).
- 1 ივნისი - ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 1 ივნისი - მოეწყო ქ. ბათუმის მერიის თავისუფალ პროგრამაში გამარჯვებული პროექტის „ზღვა და სამყარო“ გამოფენა-კონფერენცია.
- 2 ივნისი - ქ. ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის მე 6-ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“ (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 8 ივნისი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „მზიანი გული - ნოდარ დუმბაძე“ ქ. ბათუმის 1-ლი საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით.
- 13 ივნისი - მოეწყო მე-20 საუკუნის მოქანდაკის მამუდ ბოლქვაძის საიუბილეო პერსონალური გამოფენა.
- 22 ივნისი - შპს „მწიგნობარის“ მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ბრწყინვალე მეფეები-თამარ მეფე“ (პროგრამის ხელ-ლი ლ. ჯაყელი).
- 22 ივნისი - ჩატარდა მუზეუმისა და შპს „მწიგნობარის“ ერთობლივი ღონისძიება - მხატვრული კითხვის საღამო.
- 5 ივლისი - რუსეთიდან ჩამოსულ ვიზიტორებთან რუსულ ენაზე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“ (პროგრამის ხელ-ლი ლ. ხუხუნაიშვილი).
- 12 ივლისი - ამერიკელ ვიზიტორებთან ინგლისურ ენაზე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“ (პროგრამის ხელ-ლი ს. კონცელიძე).
- 13 ივლისი - მოეწყო გამოფენა „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები.“ გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი.

- 13 ივლისი - ფრანგულენოვანი საზაფხულო სკოლის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“ (პროგრამის ხელ-ლი ს. კოხომე).
- 18 აგვისტო - სამხატვრო სტუდია „არტ-თაიმის“ აღსაზრდელებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ჩემი სამშობლო“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 7 სექტემბერი - რუსეთიდან ჩამოსულ ვიზიტორებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“ რუსულ ენაზე. (პროგრამის ხელ-ლი ლ. ხუხუნაიშვილი.)
- 26 სექტემბერი - ა(ა)იპ ფონდ ოცნებასა და სსიპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
- 6 ოქტომბერი - ქ. ბათუმის N2 საჯარო სკოლის მე-3 გ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. (პროგრამის ხელ-ლი მ.ჭრელაშვილი).
- 6 ოქტომბერი - სკოლა „ნიკეს“ მე-3 ა და მე-3 გ კლასების მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“ (პროგრამის ხელ-ლი ს. კოხომე).
- 9 ოქტომბერი - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტებთან მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ჩაატარა ლექცია თემაზე „შუა საუკუნეების ქართული საბრძოლო იარაღები“.
- 12 ოქტომბერი - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტებთან მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ჩაატარა ლექცია თემაზე „ფარნავაზ მეფე“.
- 12 ოქტომბერი ქ. ბათუმის N 2 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“. (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 13 ოქტომბერი - ქ. ბათუმის N საჯარო სკოლის მე-7 დ კლასის მოსწავლეებთან გახორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“. (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 13 ოქტომბერი - ქ. ბათუმის N 2 საჯარო სკოლის მე-5 დ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ბრწყინვალე მეფეები - თამარ მეფე“. (პროგრამის ხელ-ლი ლ. ჯაყელი).
- 16 ოქტომბერი - ქ. ბათუმის N 2 საჯარო სკოლის მე-6 ა კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები აჭარაში“. პროგრამის ხელ-ლი ს.კოხომე.
- 16 ოქტომბერი - ჩატარდა ახალგაზრდა პოეტის ნანა შაინიძის პოეზიის საღამო.
- 17 ოქტომბერი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში მოეწყო ქართველ და აფხაზ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.
- 20 ოქტომბერი - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მე-9 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ ბრწყინვალე მეფეები - თამარ მეფე “. (პროგრამის ხელ-ლი ლ.ჯაყელი).
- 24 ოქტომბერი - მეგასკოლის I-ა და I-ბ კლასების მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. (პროგრამის ხელ-ლი ს.კოხომე).
- 24 ოქტომბერი - ქ. ბათუმის N 2 საჯარო სკოლის მე-5 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად “. (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).

- 25 ოქტომბერი - ქ. ბათუმის N 2 საჯარო სკოლის მე-7 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“. (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 26 ოქტომბერი - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მე-6 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“ (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 26 ოქტომბერი - ქ. ბათუმის N 2 საჯარო სკოლის მე-3 ა კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“. (პროგრამის ხელ-ლი თ. დარჩია).
- 26 ოქტომბერი - ქ. ბათუმის N 2 საჯარო სკოლის მე-6 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“. (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).
- 27 ოქტომბერი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა და ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ერთობლივი კონფერენცია მიმდინილი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 180-ე წლისთავისადმი.
- 30 ოქტომბერი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში გაიმართა ქ. ბათუმის N2 საჯარო სკოლისა და ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ერთობლივი ღონისძიება „იაკობი და ბავშვები“.
- 1 ნოემბერი - ქ. ბათუმის N15 საჯარო სკოლის მე-9 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები აჭარაში“. (პროგრამის ხელ-ლი ს. კობოძე).
- 4 ნოემბერი - ქ. ბათუმის N3 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში“. (პროგრამის ხელმძღვანელი თ. დარჩია).
- 8 ნოემბერი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლის ერთობლივი ღონისძიება ილია ჭავჭავაძის დაბადების 180 წლისთავთან დაკავშირებით“.
- 10 ნოემბერი - სკოლა „ნიკეს“ მე-8 გ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები აჭარაში“. (პროგრამის ხელ-ელი ს. კობოძე).
- 14 ნოემბერი - ქ. ბათუმის N9 საჯარო სკოლის 9-ე კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ბრწყინვალე მეფეები“. (პროგრამის ხელ-ლი ლ. ჯაყელი).
- 20 ნოემბერი - ქართულ-ფრანგული სკოლის 9-ე კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში“. (პროგრამის ხელ-ლი ს. კობოძე).
- 28 ნოემბერი - სკოლა „ნიკეს“ 4-ე კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“, (პროგრამის ხელ-ლი მ. ჭრელაშვილი).
- 5 დეკემბერი - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 3-ე კურსის სტუდენტებს პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ჩაუტარა ლექცია თემაზე „რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომი და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება“.
- 6 დეკემბერი - ქ. ბათუმის 5-ე საჯარო სკოლის 4-ე კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“, (პროგრამის ხელ-ლი შ. მახარაძე).



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა



გურამ გუჯაბიძის ნამუშევრების გამოფენა



გამოფენაზე "ეთერში ვართ". ნობელის მუზეუმი



გამოფენა საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები



ღამე მუზეუმში





დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება



მამულ ბოლქვაძის პერსონალური გამოფენა



პროექტი ზღვა და სამყარო



წმიდა ეკვთიმე ღვთისკაცისადმი მიძღვნილი კონფერენცია



გამოფენა ნობელის მუზეუმში მომავალს გავაცნოთ წარსული



პროექტი - მუზეუმი ჩემი წარსული



გრაჩ სეჩენიანის საიუბილეო პერსონალური გამოფენა



პროფესორ ოთარ გოგლიძის ლექცია მუზეუმის ექსპოზიციაში



პოეზიის საღამო



ფოლკლორის დღე მუზეუმში



მემორანდუმის გაფორმება მუზეუმსა და ფონდ „ოცნებას“ შორის



შეხვედრა აჭარის განათლების ფონდის წარმომადგენლებთან



საგანმანათლებლო პროგრამა - „ტრადიციული სამოსი აწარაში“ პრეზენტაცია



საგანმანათლებლო პროგრამა ფრინველთა სამყარო



საგანმანათლებლო პროგრამა შემეცნებითი თამაშები



საგანმანათლებლო პროგრამა მხატვარი და ნატურმორტი



დედის დღე ილია ჭავჭავაძის მუზეუმში



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯი იანჩი მუზეუმში



საგანმანათლებლო პროგრამა როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად



საგანმანათლებლო პროგრამა ბრწყინვალე მეფეები.



საგანმანათლებლო პროგრამა ვიზიტორებისათვის ტრადიციული სამოსი აჭარაში



საგანმანათლებლო პროგრამა - წითელფიგურული კრატერი და ბერძნული მითოლოგია



საგანმანათლებლო პროგრამა ნორჩი გიდი



საგანმანათლებლო პროგრამა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები აჭარაში



ექსკურსიამდლოლი მ.ჭრელაშვილი




ილია ჭავჭავაძის დაბადების
180 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია
ილია ჭავჭავაძის მუზეუმში



ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო
დღისადმი მიძღვნილი გამოფენა



ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის
ისტორიის ფაკულტეტის მე-3 კურსის
სტუდენტები მუზეუმში პროფესორ
ოთარ გოგოლიშვილთან.



მოსწავლეების მიერ საგანმანათლებლო
პროგრამებისას შესრულებული ნამუშევრები



საგანმანათლებლო პროგრამა
იმოგზაურე წარსულში

სარჩევი

ო.გოგოლიშვილი - „დაზვერვის შეჯიბრი“ ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ (1914 წელი)	3
ა. ჩხაიძე - მიგრაციული პროცესების ძირითადი მომენტები აჭარაში თანზიმათის პერიოდში (XIXს. 40-70-იან წლებში)	5
ა. ბაჯელიძე - ოსმალეთის მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაცია	14
ს. ლეკვეიშვილი - ბათუმი ქართულ სატირულ-იუმორისტულ პერიოდიკაში	22
რ. კობრავა - ბათუმის ერთი ქუჩა (გოგებაშვილის ქუჩა)	29
მ. გოგუა - მარტის ქარიშხლიანი დღეები	40
ე. კილურაძე - 1905-07 წლების რევოლუცია ფონდებში დაცული მასალების მიხედვით	45
ლ. ჯაყელი - ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში - „მუჰაჯირობა...“	51
შ. მახარაძე - ტრადიციული სამოსი აჭარაში	61
ლ. გულორდავა - მუზეუმის უძველესი ექსპონატები	74
თ. ტარიელაძე - შავი ზღვის იშვიათი თევზები	49
ნ. ქორიძე - ქაშვების კატალოგი	86
გ. ახვლედიანი - მინის ნეგატივებიდან ამოღებული ისტორიები	103
ნ. შერვაშიძე - აჭარელთა ყოფა - კულტურა (ქალთა ხელსაქმე და მისი ნიმუშები მუზეუმში)	108
მ. ორაგველიძე - მეფუტკრეობაში გამოყენებული ინვენტარი აჭარაში (მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)	118
ნ. ფადავა - ევგენი ალექსანდრეს ძე ლანსერე	123
ნ. ცეცხლაძე - აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდებში დაცული უცხოური წარმოების ლამპები	128
მ. მჟავანაძე - მოსახლეობის რწმენა - წარმოდგენების ასახვა ნივთიერ კულტურაში	132
ლ. დოლიძე - დღემდე უცნობი ტრადიციები - ქორწინება და რიტუალი (მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)	135
ნ.ჩხარტიშვილი -1933 წლის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია ზემო აჭარაში (აჭარის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)	140
მ. ცეცხლაძე - თამარ კვაჭაძე -ჭეშმარიტი აღმზრდელი, მოძღვარი	144
ი. აბაიშვილი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკები	149
ი. დიასამიძე - შოთა ხოლუაშვილი	156
რ. კობრავა - 2017 წლის ღონისძიებათა დაიჯესტი	160